ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

7

1983

ნათეგა
ყველგან!
ყოველ კარეში,
სანამ მივწვდებით
უმაღლეს მიზანს!
ნათეგა,
ყოველ მიზეზს გარეშე —
აი ლოზუნგი
ჩემი და მზისა!

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

313

გამოცემის ოცდამეექვსე წელი

7

ივლისი

1983

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაზიშვილი
თედო გეკეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დღიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
გივდა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
ფოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოფხიშვილი
ნუგზარ შატბაია
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
გადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა და პოეზია

3. **ჯანსუღ ჩარკვიანი** — ლექსები
7. **ჯემალ ქარჩხაძე** — ქარავანი. რომანი. გაგრძელება.
41. **ვახტანგ ჯავახაძე** — ლექსები
46. **ოთარ ჩხეიძე** — სამი ამბავი. მოთხრობები
67. **ალუდა არაგული** — ლექსები
69. **ამირან ახობაძე** — ლექსები
71. **გივი მაღულარია** — ვილას ფაფაროს მიწამ თავი. მოთხრობა. დასასრული
99. **ლილი ნუცუბიძე** — ლექსები
100. **რაისა ფანგალია** — მიმითვალე მსგვერპალად. ლექსი
101. **სულხან ქეთილაური** — ნათლია. მოთხრობა.

ახალი თარგმანები

111. **უილიამ ბლეიკი** — ლექსები. თარგმნა **თამარ ერისთავმა**
114. **რალფ ელისონი** — ის ყველგანაა, ყველაფერშია. ინგლისურიდან თარგმნა **თამარ ცინცაძემ**

რევაზ ჯაფარიძე — 60

123. **საქართველოს მფარალთა კავშირის გამგეობის მილოცვა**

გეორგიევსკის ტრაქტატი — 200

126. **ანდრეი გელისა და ტიციან ტაბიძის მიმოწერა.** წერილები თარგმნა **ლია თევზაძემ**

წერილები

130. **აკაკი მინდიაშვილი** — ყოველდღიურობის მილმა...
139. **ნაირა გელაშვილი** — აფრადერიკი და ბანაგულ ჯაღოდარიანი საკრავი
152. **ბაკა თევზორაძე** — გაკვეთა მოგაკვალში
155. **მიხეილ კოკალეიშვილი** — სიკეთის გზით მიმავალი ადამიანები
157. **ალბერ კამიუ** — ელენის გადასახლება. ფრანგულიდან თარგმნა **გიორგი ეკიზაშვილმა**

ჯანსუღ ჩარკვიანი

შეცხადება

(სევდიანი სტრიქონები დედაზე)

სიზმარი

ვუმზერდი ფრინველს უცხოდ
მოფრენილს,
სიზმარი შენი თმებით მიჰქროდა,
ყელთან ცისფერი გითრთოდა ნერვი,
ღმერთს საიდანაც სული მიჰქონდა.

იწექ ამაყი, მაგრამ მწუხარე,
დაღლილი დიდი სახლის ხმაურით,
შუა ცეცხლზე იდგა წყალი მდუღარე
და ადუღებდა წყალს სიყვარული.

მე ვიცი, აწი ვერასდროს განახავ,
მე ვიცი, მთვარის შუქით ირთვები,
ყველაფერს შენი ნათელი ახლავს
და სხივი შენი ძველი მზითვების.

მოუწყენიათ შენსავით ბაღებს
ტკივილი სულში უფრო ცხარდება...
მე ვიღვიძებ და დარაბებს ვაღებ
და სიზმარს ვატან ამ შეცხადებას.

დედის ჯერი

ვერ მოასწრებ ჩაის დასხმას...
ჩაიდანი მღერის —
ეს მე,
ეს შენ,
ეს სხვას
და სხვას,
დედას — არაფერი.

სიხარულის მოდის თავსხმა,
წვიმასავით ბევრი —
ეს მე,
ეს შენ.
ეს სხვას
და სხვას,
დედას — არაფერი.

კ. მარქსის სახ. სოქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირჯვარს დასწერს დედა ფაცხას,
მაღლა იწევს ჭერი,
ეს მე,
ეს შენ,
ეს სხვას
და სხვას,
დედას — არაფერი.

ბოლოს, საქმე მოგვარდება
მოყვრისა და მტერის.
სიკვდილი რომ მოგვადგება,
დგება დედის ჯერი.

1936 წელი, 30 სექტემბერი

ჯიმშერს

რა სიმდიდრეც გამაჩნია,
ისევ ძველი ყანების,
მაგონდება სამაჭრია,
ოდა ჩარკვიანების.

მაგონდება რიკულებში
ჩახატული მზეები.
სამყურათა ძველი ეშხით
მოქარგული სერები.

მწვანე ტბიდან მოდის ღამე,
ურუოლვით, ციებ-ცხელებით,
ფრუტუნებენ, ლაგამს ხრავენ,
გაქაფული ცხენები.

ბადრი მთვარე ამოცურდა
მთიდან წმინდა სამების,
ჭრებალოდან გადმოსულან
დედას ნათესავები.

სიყვარულს ვერ მორევიან,
საყვარელი მძახლები...

დინჯად დაიზმორებიან
მონადირე ძაღლები.

ყველაფერი დიადია —
მზის ემბაზში ნაბანი,
ჩიტი მღერის ტია-ტიას,
— ჩიტო, კაი ამბავი.

მიანიშნებს მამა თვალით,
დედა ყელს მოიღერებს,
უერთდება მღერა მამლის
დარბაისლურ სიმღერებს.

ყოჩაღ, გელოვანის ქალო
(ყიფიანი აქეზებს),
გარეთ ბულბული რომ გალობს,
თავის ფერთას აქ ეძებს.

დაარიგებს ნიავქარი
სიყვარულის წერილებს,
ღმერთო ჩემო, იმდაგვარი
კიდევ მომასმენინე.

ორი დღე

მწუხარე და გადაღლილი,
როგორ გაფითრებულა,
სულ მთლად გაჰქრობია სხივი,
იმზირება ბებრულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდი, შვილო, სიყვარულის
ორი დღე დაგვრჩენია,
სუყველაზე მშვენიერი
მაინც დედაშენია.

სამძიმარი

შუა ოთახში დედა იწვა,
უკვე თავის ამარა,
თითქოს მთელი დედამიწა
იყო დედის სამარე.

მე ვუმზერდი კენტებს, წყვილებს,
როგორც წმინდა სანთელსა,
მწუხარების მონაწილე
ახლობელს და ნათესავს.

კაცის ხელი რა ყოფილა
იმ დღეებში ვიგრძენი.
ვიყავ უშნოდ კმაყოფილი
და საშინლად ფხიზელი.

ნაზი ხელი, თბილი ხელი,
ხელი პატიოსანი,
სურმუშელის, თბილისელის,
ექიმის და მგოსანის.

ხელი მკაცრი, ხორკლიანი —
ხელში რომ არ გეტევა,
მოდიოდა ოკეანე
ჩემთან შესაერთებლად.

ზოგი რიდით მოდიოდა,
ზოგიც ამბიციებით,
ოთახს ნაზი სუნი ჰქონდა
ირინოლას იების.

მილიონი მჭვრეტდა თვალი
და მოვასწარ ჩავლება —
ვესწრებოდი საკუთარი
თავის დასაფლავებას.

მამა

მახსოვს,
ურჩხულს შებმული
გამოხედვა ცერად,
უცებ არიდებული
სამი შვილის მზერა.

გადაწყვიტე მარტივად
სავარძელის ბედი,
შენგან დგომა-პატივი
ეკუთვნოდა დედას,
მახსოვს,
ურჩხულს შებმული
ცერად გამოხედვა.

ჩაგიარა ათასმა
ცრემლიანი ჯამით,
სიბერეში დაფასდა
ყმაწვილობის ჟამი.

არ უმზერდი მიხაკებს,
არ უმზერდი ვარდებს,
შენ შორიდან ციხე-კოშკს
დაბერებულს გავდი.

ცრემლი დაუხარჯავი
სევდის ჰანგებს მღერდა,
როგორც ძველი ხანჯალი
გიხდებოდა ელდა.

როგორც ძველი ხანჯალი
გიხდებოდა ელდა,
იდექ ველის კანჯარი,
ცალუღელი გედგა.

ანგელოსი მოფრინდა —
ფრთა შეახო შანდალს,
ხოლო ფიქრის გორიდან
მცხეთის ჯვარი ჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარესთან

ლუიზას

ხევი მისდევს მიწახნულებს,
გზად ბალახი ღაღანებს,
— ჰოი, როგორ ვიმსახურეთ,
ჰოი, როგორ დავღალეთ.

ბოლო სუნთქვაც გამოვძალეთ,
სიკვდილიც არ ვაცალეთ,
— ჰოი, როგორ გამოვცალეთ,
ჰოი, როგორ ვაწვალეთ.

ვდგავართ მე და ჩემი ღმერთი,
საფლავს შვენის იანი,
რა უყვარდა?!
ერთადერთი,
კაბა კოპლებიანი.

19 თებერვალი

სხვანაირი შუქი გედგა,
სხვა აბედით იწოდი,
მოფერებაც, ცრემლიც, სევდაც
სხვანაირი იცოდი.

ერთნაირად ვამბობთ დედას,
არც არავის არ უკვირს,
მაგრამ სხვანაირად ჟღერდა
შენგან თქმული — ჯანუკი.

სხვამ არავინ არ იცოდა
შენისთანა მაყრული,
სახელი და გვარი გქონდა —
იყავი ამაყური.

სხვანაირი საყვედურით
აღვიძებდი ტელეფონს,
ჯერ არ მახსოვს, სხვანაირად
შვილი შენი შეგექოს.

შენ და შენ კაცს,
ჩვენ, სამთავე,
ოღონდ კარგად გყოლოდით,
თორმეტივე თვე ზამთარი
სხვანაირად ვცხოვრობდით.

ქვემოთიდან, ზემოთიდან,
ცრემლის ღვარით იდინეს...
სხვანაირად მღეროდი და
სხვანაირად გიტირეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

ძარაშანი

რომანი

უკლებამ გულკეთილი დაცინვით გაიღიმა, ისე, როგორც ვიღიმებით ბავშვის მიამტობაზე.

— დაუფიქრებლობის ბრალია, ეს აზრი რომ ასე გავრცელებულია. ადამიანს დაშტამპული აქვს ტვინი, თორემ რა დიდი ანგარიში იმას უნდა, რომ საშუალოდ ნიჭიერი და საშუალოდ ხარბი დახლიდარი ათჯერ მეტს შოულობს ათჯერ ნაკლები რისკის ფასად. მსახიობი რომ მსახიობია, საწყალი, ღატაკი, საბოლოო ჯამში მისი შემოსავალიც კი მეტი თუა, თორემ ნაკლები არაა. რომელი სულელი დათანხმდება რაღაც ორი გროშის გულისთვის მუდმივ ხიფათში იცხოვროს. ბევრიც რომ იშოვოს, რაში უნდა გამოიყენოს? ბავშვთა ბაგის სამშენებლო ფონდში გადარიცხავს თუ ღარიბ ნათესავებს სტიპენდიას დაუნიშნავს? ვის გაუგია ისეთი ქურდი, ცოლ-შვილისთვის ან დედ-მამისთვის რომ იპარავდეს ან, საერთოდ, რაიმე ეკონომიური მიზანი ჰქონდეს! არა. ძარცვა შემოსავალს არ იძლევა. თუმცა არის ბედნიერი გამონაკლისები, როცა პროფესიული ოსტატობა იდეალს უახლოვდება და ამის წყალობით მცირე რისკით შეგიძლია ბევრი იშოვო. მე ვარ, მაგალითად, ასეთი გამონაკლისი. მე სრულყოფილად ვიცი ჩემი საქმე... ტყუილად ჩაიღიმეთ, არ ვტრაბახობ. პირიქით, იდეალს უახლოვდება-მეთქი, რომ გითხარით, ეს თავმდაბლობა უფროა, ვიდრე ტრაბახი. სინამდვილეში იდეალს კი არ მივუახლოვდი, მივაღწიე. თქვენ იცით, რა და რა სჭირდება მძარცველს?

— რა და რა?

— ფიზიკური ძალა, მოქნილობა, მარჯვე ხელი, იარაღის ხმარების ტექნიკა, ელვისებური რეაქცია, სწრაფი აზროვნება, ვითარების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება მეათედ წამში. ამ საქმეში ერთი კაცი ვერ მაჯობებს. შეიძლება ვიღაცას ჩემზე მეტი ფიზიკური ძალა ქონდეს, სამაგიეროდ მოქნილობაში და აზროვნებაში ვერ შემედრება. შეიძლება ჩემზე უკეთესად და უფრო სწრაფად აზროვნებდეს, მაგრამ მე ფიზიკურად უფრო ძლიერი გამოვდგები და იარაღის ხმარებაში ვაჯობებ. ერთი სიტყვით, რაღაცაში შეიძლება ვინმემ მაჯობოს, მაგრამ მთლიანობაში ვერავინ შემედრება. თუმცა ეს, გითხარით კიდეც, გამონაკლისია და მაგალითად არ გამოდგება, როგორც შექსპირი არ გამოდგება მაგალითად, მწერლობაზე რომ ლაპარაკობდე. არა, ძარცვის მიზანი გამდიდრება არ არის.

— მაშ, რა არის? სპორტული ინტერესი? მწვავე განცდების სიყვარული?

— ნაწილობრივ კი. ერთიცა და მეორეც. მაგრამ მთავარი სხვაა. მთავარი ისაა, რომ ამ საქმეში კაცის დანიშნულებას დიდი ასპარეზი აქვს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 6.

— იცით, რა არის კაცის დანიშნულება? — აბელს მხოლოდ გული და ისიც სულ ოდნავ გაიღიმა, მაგრამ ეს ფარული ღიმილი მაინც დაეტყო ხმის კილოს.

— თქვენ არ იცით?

აბელს კვიმატმა აზრმა გაუელვა თავში.

— მე ვიცი, რომ კაცს დანიშნულება არა აქვს. აქვს მხოლოდ სიცოცხლის იმპულსი, რომელიც დანიშნულების ძიების სურვილს აჩენს.

უკლებამ სწრაფად შეხედა.

— ასე მალე დაუჯერეთ რევიას?

„იცის, — გაიფიქრა აბელმა. — უსაუბრითთ“.

უკლებამ კიდევ ჰკითხა:

— როცა ცდილობთ კარგად ითამაშოთ როლი, რატომ აკეთებთ ამას?

აბელმა ვერ მოასწრო გაახრება, თუ რატომ უთხრა ის, რასაც არ ფიქრობდა.

— მაქსიმალური სიხარული და სიამოვნება მინდა მივანიჭო მაყურებელს.

უკლებას წამით სახე შეეცვალა, წარბებშუა ისევ გაუჩნდა ის ორი ვიწრო ნოჭი. ერთხანს ჩუმად იჯდა და თავის თეფშს დასცქეროდა. მერე ისევ ასწია თავი და შემოხედა, რაღაცნაირი სახე ჰქონდა, თითქოს ნაწყენი, თითქოს შეურაცხყოფილი.

— მაყურებელი ფეხებზე გკიდიათ და ეს კარგად გეცოდინებათ, თუ საკუთარი სინდისისთვის თვალი გაგისწორებიათ.

აბელს ცოტა შერცხვა. კაცი სერიოზულად ეკითხებოდა.

— მართალია, — წყნარად თქვა. — ჩემი აზრით, ადამიანს რაღაც შინაგანი ძალა უბიძგებს საკუთარი თავი მაქსიმალურად გამოხატოს რაიმე საშუალებით, ალბათ მოწოდებით, თუკი ამ მოწოდებას მიაგნო, რათა თავი შეიტანოს და ამ გზით ცხოვრების აზრი და დანიშნულება გაარკვიოს. თავად დანიშნულება რა არის, არ ვიცი.

— მე კი ვიცი. არავითარი საკუთარი თავის გამოხატვა და შეცნობა თქვენ არ გაწუხებთ. თქვენ, უბრალოდ, ცდილობთ. სხვას აჯობოთ. ეს არის კაცის ერთადერთი დანიშნულება. სპორტში ეს იდეა განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოხატული. არ არსებობს ისეთი სპორტსმენი, რომელსაც მეტოქის გამარჯვება უნდოდეს. აი, ესაა ადამიანი. ადამიანის სიცოცხლე მარადიული შეჯიბრია. ჯობნა, უპირატესობის გრძნობის დაკმაყოფილება. ყველას ეს ამოძრავებს, იღონდ ზოგს გაცნობიერებული აქვს და ზოგს — არა. მე გაცნობიერებული მაქვს. გინდათ გიამბოთ, როგორ მივედი ამ დასკვნამდე და როგორ გავხდი პროფესიონალი მძარცველი?

— მართლა ისეთ სრულყოფას მიაღწიეთ, როგორც წეღან ამბობდით?

უკლებამ გაიღიმა. თავდაჯერებაც იყო ამ ღიმილში, შემწყნარებლობაც. გულკეთილობაც.

— პატარა, სქელი ფიცარი არაფერი გაქვთ? — იკითხა, თვითონვე წამოდგა და ბუხრის გვერდით, შეშის გროვაში დაიწყო ქექვა. მალე მართლაც იპოვა კვადრატული ფორმის სქელი ფიცარი, ასე, თითო მტკაველი სიგრძისა და სიგანის. ჯიბეები მოიჩხრიკა, ფანქარი ამოიღო. აბელი ცნობისმოყვარე თვალით უყურებდა მის საქმიანობას. ვერ გაეგო, რას აპირებდა სტუმარი. უკლებამ ფიცრის მთელ ფართობზე ფანქრით წრე შემოხაზა, მერე ორი ურთიერთპერპენდიკულარული დიამეტრი გაავლო და ფანქარი ისევ ჯიბეში ჩაიდო. ფიცარი აიღო და ოთახის შორეულ კუთხეში ოდნავ დამრეცად ააყუდა. ჩანთა გახსნა, იქიდან ხუთი სხვადასხვანაირი დანა ამოიღო და ხუთივე თავისი თეფშის ირგვლივ უთავბოლოდ დაყარა მაგიდაზე. თვითონაც მაგიდასთან დაჯდა თავის ადგილას და თქვა: — უნდობლობა კაცის ბუნებაა. რაც შემიძლია, ყველაფრის ჩვენება ძნელია, არც დროა საამისო, არც ადგილი და არც ვითარება. — ამ სიტყვებით ჩანგლით მხალს მიწვდა, ცოტაოდენი აიღო და პირში ჩაიდო. — ნაწილს გაჩვენებთ. ნაწილს რაკი ნახავთ, დანარჩენსაც დაიჯერებთ. ასე არ არის?

აბელი მიხვდა, რომ ფიცარი სამიზნე იყო და უკლება ახლა ამ სამიზნეს და-

ნებს ესროდა. დაინტერესდა და საყურებლად მოემზადა. ჯერჯერობით უკლება ზუთგრით იჯდა ფიცრისკენ. ეტყობა, აბელის პასუხს უცდიდა და მერე შეუდგებოდა საქმეს.

— ვნახოთ, — თქვა აბელმა, მაგრამ ეს სიტყვა დამთავრებული არც კი ჰქონდა, რომ უკლებამ უეცრად ჩანგალს ხელი გაუშვა და აბელმა წამით ხუთივე დანას ჰაერში მოჰკრა თვალი. მერე ხუთივე დანა ფიცარში ჩარჭობილი დაინახა, ერთი — დიამეტრისა და დიამეტრის გადაკვეთის წერტილში, დანარჩენი ოთხი — დიამეტრისა და წრეხაზის გადაკვეთის წერტილებში. უკლება ისევ ისე იჯდა და ხელები მაგიდაზე ეწყო. ეს ისეთი სისწრაფით მოხდა, ალბათ „ელვის სისწრაფე“ შედარებისთვის არც გამოდგება. აბელი სახტად დარჩენილი, თვალებგაფართოებული იჯდა და იმაზელი ფიქრობდა, მართლა დაინახა დანები ჰაერში თუ მოეჩვენა.

უკლებას არ მიუხედავს, არ დაინტერესებულა შედეგით, ეტყობა, კარგად იცოდა საკუთარი თავის ამბავი.

— ამით რომ თავდებოდეს მთელი ჩემი ოსტატობა, ალბათ მსოფლიოს საუკეთესო ათეულშიც ვერ მოვხვდებოდი, — აშ სიტყვებით წამოდგა, ნელი ნაბიჯით გაიარა ოთახი, ფიცარი აიღო, ნიკაპის სიმაღლეზე დაიჭირა ისე, რომ დანები ქვემოთ იყო მოქცეული. მერე ხელი ერთბაშად გაუშვა და იმავ წამს მარჯვენა ხელი ჰაერში მოიქნია. ფიცარი შუაზე გაიპო. ცენტრში ჩარჭობილი დანა მოძვრა. და ყველაფერი ეს, დანაცა და ორად გაპობილი ფიცარიც შიგ გარჭობილი ორ-ორი დანით მის ფეხებთან დაცვივდა. — თუ ამასაც დავუმატებთ,— თქვა უკლებამ, დანები დააძრო და ფიცრის ნამტვრევები შეშის გროვასთან დაყარა. — თავისუფლად შევალ საუკეთესო ხუთეულში. — დანები ჩანთაში ჩააწყო და თავის ადგილას დაჯდა. — როგორც დანას ვხმარობ, ასე ვხმარობ ყველა სხვა იარაღსაც. გარდა ამისა, თუნუქის სახურავზე ისე გავივლი, ერთ ჩქამს ვერ გაიგონებთ. ეს ცოტა არ გეგონოთ. ეს უკვე სამეულში მოხვედრაზე შანსია. დაუმატეთ ამას ის, რომ თავისუფლად ვხტები ორ მეტრსა და თხუთმეტი სანტიმეტრ სიმაღლეზე და ამ მეტრს ათ წამში გავრბივარ. დაუმატეთ ამას აზროვნების სისწრაფე და ინტელექტი, რომელიც, ცხადია, ჰეგელთან შედარებით ვერაფერი შვილია, მაგრამ ჩემს საქმეში დიდ უპირატესობას მაძლევს. დაუმატეთ ამას გაბედულება, არტისტიზმი, საქმის სიყვარული და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ძნელად თუ ვინმე გამიტოლდება.

— და ყველაფერი ეს იმისთვის გჭირდებათ, რომ სხვებს აჯობოთ და უპირატესობის გრძნობა დაიკმაყოფილოთ? — აბელი სტუმარს უყურებდა და ფიქრობდა, თმა რომ ამოუვა, სახე შეიძლება იმდენად შეეცვალოს, რომ ძნელი საცნობი გახდესო.

— ნარდი ხომ ისეთი თამაშია, არც ღონე გჭირდება, არც ინტელექტი, არც სმარჯვე და მოქნილობა, მოგვივა კამათელი—მოიგებ, არ მოგვივა—ვერ მოიგებ. და ამ სულელურ თამაშშიც კი გამწარებული იბრძვი მოგებისათვის, რათა ილუზიური უპირატესობა მოიპოვო. თქვენ ზერელედ უყურებთ ჩემს ნათქვამს. აბა, გულში შეუშვით და იქ დააკვირდით, ნახეთ, თუ არ დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობ. თქვენი გედეონ რევია ამტკიცებს, კაცს სიცოცხლის იმპულსი აქვს და ეს იმპულსი ბადებს დანიშნულების ძიების სურვილსო. საბუთი კი არაფერი აქვს. მე ვამტკიცებ, რომ კაცი უპირატესობისათვის იბრძვის და სწორედ ეს არის სიცოცხლის იმპულსი. ამის დასაბუთება არ მჭირდება, რადგან ჩვენი სიცოცხლის ყოველი წამი ამის საბუთია. ეს კანონი რომ აღმოვიჩინე, სულ რაღაც რვა თუ ცხრა წლისა ვიყავი. ერთმა თანაკლასელმა მაგრად მცემა. ტანადაც ჩემზე დიდი იყო, ღონეც მეტი ჰქონდა, სისწრაფეც. დავიწყეთ თუ არა

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ჩხუბი, ცხადი შეიქნა, რომ იოლად მომერეოდა. ჩემს ყოველ მოქნეულ მუშტს იცდენთა და მისი ყოველი მოქნეული მუშტი მხვდებოდა. რამდენს არ ვცდილობდი, კარგად დამემიზნებია, დამესწრო, რა ხერხს არ ვხმარობდი, მისი მუშტები ამეცდინა, არაფერი გამომდიოდა. ეს მამწარებდა, საკუთარ გულს ვასკდებოდი და ამის გამო კიდევ უფრო უთავბოლოდ ვიქნევდი მუშტებს და კიდევ უფრო იოლად ვეგებოდი მის ხრიკებზე. სიმწრისაგან გულ-მუცელი მეწვოდა. ტკივილი იმდენად არ მაცოფებდა, რამდენადაც შეურაცხყოფა, და შეურაცხყოფა იმდენად არ მაცოფებდა, რამდენადაც საკუთარი უილაჯობა. ბოლოს და ბოლოს ამ სასოწარმკვეთმა უილაჯობამ მთელი ჩემი არსება აავსო და მე უკვე აღარაფერი ვიყავი გარდა უილაჯობისა, რომელიც ხსნას ვერსად ხედავდა, რადგან არ არსებობდა ხსნის არავითარი შანსი. ეს საშინელი განცდაა. ეს ისეთი განცდაა, ლიანდაგზე რომ იყო მაგრად დაკრული და ხედავდე, როგორი გარდაუვალი მუქარით მოქრის შენკენ მატარებელი. საზარელი, აურიდებელი ძალა, რომელსაც ვერსად გაექცევი. შეიძლება ჭკუაზე შეცდე, არ ვიცი, იქნებ სხვებს არც მოსდით ასეთი რამ და მე, უბრალოდ, ზედმეტად მქონდა გაღიზიანებული თავმოყვარეობა. ასეა თუ ისე, იმ დღეს გადავწყვიტე შური მეძია და დაუყოვნებლივ დავიწყე ვარჯიში. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ეს სამაგიეროს გადახდის სურვილი კი არა, უპირატესობის მოპოვების, ჯობნის სურვილი იყო. გალახვას იოლად შევარჩენდი, ჯობნას — ვერა. მას მერე დიდი დრო გავიდა. ხან კრივში ვივარჯიშე, ხან სიმძიმეების აწევაში, ხან ჭიდაობაში, ხან კულტურიზმში. მოგვიანებით აღმოსავლურ სისტემებს გავეცანი და ამ სისტემების ათვისებას მივყავი ხელი. მაგრამ, რაშიაც არ ვივარჯიშე, ყველგან უკმარისობის გრძნობა მქონდა. ყოველ ვარჯიშს რაღაც ღირსება ჰქონდა და რაღაცას მმატებდა, მაგრამ არც ერთი არ იყო ისეთი, რომ მთლიანად დავკმაყოფილებინე. ამასობაში წამოვიზარდე, ყველაფერი კარგად შევაჯერე ერთმანეთთან და საბოლოოდ საკუთარი სისტემა მოვიგონე. მას აქეთ ამ საკუთარი სისტემით ვვარჯიშობ და თან თავად სისტემასაც გამუდმებით ვხვეწავ...

— იმ თქვენს გამლახავს რა უყავით?

— ორი წლის მერე გავლახე. გავლახე ისეთივე უპირატესობით, როგორც ადრე თვითონ გამლახა. ჩემდა გასაოცრად, ამან ის კმაყოფილება ვერ მომგვარა, რასაც მოველოდი. თავიდან, ცოტა არ იყოს, შევცბი, მაგრამ მალევე მივხვდი, რაშიც იყო საქმე: შურისძიების გრძნობა ორი წლის განმავლობაში დაჩლუნგდა, ხოლო ის, რაც თავიდან მიზანი მეგონა, მხოლოდ ბიძგი ყოფილა. იმ ბიჭის გალახვა და მის წინაშე ჩემი უპირატესობის დამტკიცება ჩემთვის უკვე აღარაფერს ნიშნავდა, მე თავს უფრო დიდი, უფრო სერიოზული უპირატესობისთვის ვამზადებდი. ჩემი სისტემა კარგი გამოდგა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ვვარჯიშობდი თავდაცვწყენით, არაფერი ქვეყანაზე არ მინდოდა ვარჯიშის გარდა. ვვარჯიშობდი მუდამ, როცა ვისვენებდი, მაშინაც კი ვვარჯიშობდი. თეორიულად, გონებაში. ახლა ჩემი სხეულის ყველა ასო, ყველა კუნთი, ყველა ნაწილი, შინაგანი ორგანოების ჩათვლით, გაწვრთნილია და ისე ვფლობ, როგორც თქვენ, ვთქვათ, თქვენს საჩვენებელ თითს. როდესაც შესაძლებლობის მაქსიმუმს მივაღწევ და მკაფიოდ ვიგრძნენ ჩემი უპირატესობა, საჭირო შეიქნა ამ უპირატესობის დამტკიცება, რათა, რასაც მე ვგრძნობდი, სხვებსაც ეგრძნოთ. ჯერ ვიფიქრე, სპორტისთვის მომეკიდა ხელი და მსოფლიო რეკორდები დამემყარებია, მაგრამ მალევე გადავფიქრე. სპორტი თეატრივითაა. ყველაფერი მოგონილია, ყველაფერი არანამდვილია. მხოლოდ პირობითი წინააღმდეგობის გადალახვა გიხდება და არავითარი ხიფათი არ გემუქრება. გამარჯვების კი მშინაა აქვს ფასი, თუ დამარცხება მართალი დამარცხებაა. თამაში რას მიქვია! სპო-

რტული ფარიკაობა პატარა-პატარა კაცების საქმეა. ფარიკაობას მაშინა აქვს აზრი, როცა ვიცი, რომ მე თუ ვერ მოვასწარი ჩჰვლეტა და მოწინააღმდეგემ მომასწრო, სისხლი გამომივა. ხიფათის გარეშე ნამდვილ უპირატესობას ვერ დაამტკიცებ და ვერც უპირატესობის ნამდვილ გრძნობას დაიკმაყოფილებ. ასეთ ვითარებაში ადრე თუ გვიან უეჭველად უნდა მივსულიყავი ძარცვის იდეამდე. მძარცველს ფართო ასპარეზი აქვს და იქ კარგად ჩანს, რა შეუძლია და რა არა.

— მუხრუჭი?

— რა მუხრუჭი? — თავი ასწია უკლებამ და წარბებშუა კვლავ გაუჩნდა ის ორი წვრილი ნაოჭი.

— კანონი. სახელმწიფო.

უკლებამ ტუჩის კუთხეები ოდნავ ჩამოუშვა.

— როცა კანონები მოიგონეს, ჩემთვის არ უკითხავთ, თუ მოგწონსო. საერთოდ, სახელმწიფოსთან არავითარი ხელშეკრულება არ დამიდვია. მე თავისუფალ პიროვნებად დავიბადე და არ ვაპირებ კანონის თოკი გამოვიბა ყელზე. სახელმწიფოს თავისი ციხეები ჩემთვის არ აუგია.

— მაინც რომ ჩაგსვეს?

უკლებამ გაიღიმა.

— მერე? ვერ წამოვედი? არ გეგონოთ, აქამდე რომ დავრჩი, იმიტომ დავრჩი, გაქცევა ვერ მოვახერხე. არა. იქაურობამ დამაინტერესა, თორემ წამოსვლით, რა წუთას მინდოდა, იმ წუთას წამოვიდოდი. ციხეში ციხის უფროსზე უკეთ ვიცოდი, რა ხდებოდა გარეთ, და, თუკი რამე კავშირი მჭირდებოდა ქალაქთან, მჭონდა. ამაღამ, პირველის ათ წუთზე, აგერ, აქვე, მოსახვევთან მანქანა მომაკითხავს და ქალაქიდან წამიყვანს. ამის თქმა ახლა შეიძლება, რადგან ამ გეგმას ვერაფერი ჩამიშლის. თუმცა, რაღა თქმა უნდა, თქვენი მხრიდან არ იქნება სწორი, გამომყვეთ და ის მანქანა დაინახოთ. იმიტომ რომ, შეიძლება, მერე იძულებული გახდეთ, ნომერიც თქვათ. თუმცა ის ნომერი, ცხადია, შეცვლილია, ალბათ სინდისი მაინც შეგაწუხებთ... მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: — კანონი რომ ჩემს წინააღმდეგაა, ეს ძალიან კარგია, მთელ სახელმწიფოს ვუმტკიცებ ჩემს უპირატესობას. ადამიანს ყველაფერი შეუძლია, თუ რწმენა და ნამდვილი სურვილი აქვს.

აბელს ეჩვენებოდა, რომ გადაპარსული თმა რაღაც არსებითს მალავდა და ხელს უშლიდა მკაფიოდ და ნათლად დაენახა ეს კაცი.

— ყველა უპირატესობას რომ მოიპოვებთ, მერე მაგით რაღას მიაღწევთ?

— მეტს არაფერს. ეს არის ის, რასაც უნდა მივაღწიო.

— თუ იცით, რომ ქალაქში ყველას სძულხართ?

— როგორ არ ვიცი! — უკლებამ გაიღიმა და სახეზე წამით გულწრფელი სიხარულის მსუბუქმა ტალღამ გადაუარა. — სწორედ სიძულვილია ის, რითაც ქალაქი ჩემს უპირატესობას აღიარებს. რაც უფრო ვძულვარ, მით უკეთესია. აბა, თეონა კილაძეს რომ არ ვძულდე, სირცხვილით თავი სადღა გამოვყო?

აბელს მოაგონდა, რა გაწიწმატებით აგინებდა თეიმურაზ კილაძე უკლებას.

— ნაძარცეს რას უშვრებით?

— არაფერს, — უკლება გაჩუმდა და დაფიქრდა. მერე თავის ფიქრებს გაუღიმა, ნელა ასწია თავი და აბელს შეხედა. — ერთი პირობა დავაპირე არსენას გზას გავყოლოდი, ვისაც ჰქონდა, მისთვის წამერთმია და, ვისაც არ ჰქონდა, მისთვის მომეცა. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ეს გზა რომანტიკოსების მოგონილი ზღაპარია. შეუძლებელია, ვინმეს რამე მისცე. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის წართმევა ადვილია, მიცემა — გაცილებით ძნელი. არავინ არაფერს არ ილებს.

— თაკილობენ?

— ეშინიათ. აშკარად რომ მისცე, ამ საქციელს დამაჯერებელი ახსნა სჭირდე-

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ბა. დამაჯერებელი ახსნა კი არ არსებობს. ან კი რა დამაჯერებელი ახსნა გინდა მოუძებნო გულკეთილობასა და უანგარობას? სიცილად არავის ეყოფა. ჩუმად შეაპარეს და შიშით ახლო არ ეკარებიან. მაშინვე მილიციას ეძახიან. ეჭვი არ ეპარებათ, რომ ვიღაცა ხაფანგს უგებს. არა. დახმარება ურთულესი ხელოვნებაა და, თუ ვინმე ამას შეძლებს, იძულებული გავხდები მისი უპირატესობა ვაღიარო... — უკლებამ საათს დახედა.—თორმეტი ხდება,—და აბელს მიუბრუნდა: — ალი უნდა წავიყვანო.

— თქვენია... — ცალი მხარი აიჩეჩა აბელმა და გული რაღაც ჩასწყდა, რადგან დაინახა, რომ ალიმ, რომელიც უკლებას სკამთან იწვა, თავისი სახელის გაგონებაზე კუდი სხარტად აქიცინა და პატრონს დრუნჩი წვიზე აუსვა.

— რომც დავტოვო, არ დარჩება.

— დიდებული მსახიობიაო, თქვენზე ამბობენ, — აბელს ალიზე ლაპარაკი სევდას გვრიდა და საუბრის თემა შეცვალა.

უკლებამ აბელს თვალი აარიდა, სიცრცეს გახედა მის მხარზემოთ და მცირე დუმილის შემდეგ დაფიქრებით თქვა:

— ტბალები ბოლომდე მინდოდა მეთამაშა. არ ვიცი, რა გამოვიდოდა, მაგრამ ისეთი ტბალტის თამაშს ვაპირებდი, რომელსაც ადამიანის სიყალბე ყელში აქვს ამოსული და მტერი და მოყვარე ერთნაირად ეჯავრება. აღიზიანებს ადამიანები, რადგან ერთმანეთს უღიმიან და გული ბოროტებითა აქვთ სავსე. სიკეთეც აღიზიანებს, რადგან ყოველგვარი სიკეთე ბოროტების ნიღაბია. რომეოც სძულს და ჯულიეტაც. მონტეგებსაც სიამოვნებით გაჟლეტდა და კაპულეტებსაც. სიცოცხლე მისთვის სიკვდილის ძებნაა. — აქ გაიღიმა და დაუმატა: — არ დამცალდა. — მერე ისევ საათს დახედა. — თორმეტია. — და სწრაფად წამოდგა. — გილოცავთ ახალ წელს.

— თქვენც გილოცავთ.

— წავედი. წავედით, ალი!

ალი წამოხტა, კუდი ააქიცინა, აწრიალდა, აცმუკდა, ალარ იცოდა, როგორ გამოეხატა სიხარული.

უკლებამ ქუჩაში ჩაიცვა, ქუდი დაიხურა, ჩანთა აიღო.

— ზნეობრივ მხარეზე არასოდეს გიფიქრიათ? — ჰკითხა უეცრად აბელმა.

— რაზე? — უკლებამ, ეტყობა, მართლა ვერ გაიგონა.

— სიცოცხლე ხომ გასხეპილი ხე არ არის, რომ მარტო ერთი პლანი და ერთი მიმართულება ჰქონდეს. ხომ არსებობს სიკეთე, ხომ არსებობს ზნეობრივი კანონები, რომლებიც სახელმწიფოს არ მოუგონია.

უკლება, წასასვლელად გამზადებული, იდგა და ისეთი სახით უყურებდა აბელს, რომელზედაც გაკვირვება და დაინვა უცნაურად ირეოდა ერთმანეთში.

— ზნეობრივი კანონები სახელმწიფოს არ მოუგონია. სიკეთე და ზნეობა პატარა კაცუნებმა მოიგონეს, რომელთაც სხვა კოზირი არ ჰქონდათ, მოწინააღმდეგის უპირატესობა რომ გაეჩროთ. რა ვქნა, ასე მწამს და ასე მჯერა. აბა, კარგად იყავით, — ამ სიტყვებით შეტრიალდა, მაგრამ კარის ზღურბლზე ერთხელ კიდევ მობრუნდა და, სანამ საბოლოოდ გაჭრებოდა, თქვა: — დამიმტკიცეთ, რომ სიკეთე და ზნეობა მართლა არსებობს და მაშინ დაგიჯერებთ. შეირთეთ ცოლად არიოსტო ხოფერიას ქალი და დაგიჯერებთ.

ალი მოუსვენრად წრიალებდა კარის ზღურბლზე, თითქოს ეშინოდა, წასვლა არ გადაეფიქრებია პატრონს და უკანვე არ შებრუნებულიყო. აბელისკენ არც ერთხელ არ გამოუხედავს...

ასლანის მანქანას მუსიკალური სიგნალი ჰქონდა. თუმცა აბელი მანქანებში და მათ სიგნალებში მაინცდამაინც ვერ ერკვეოდა, ამიტომ დაბეჯითებით არ იცოდა, სიგნალი იყო მუსიკალური თუ, უბრალოდ, ასლანი ახერხებდა ჩვეულებრივი სიგნალი მუსიკალურად დაეკრა. ასეა თუ ისე, სახლის წინ რომ ხმამაღალი, ჭკვიტინა საცეკვაო გაისმა, აბელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვირვებით აიღო თავი და საათს დაეხედა. ორის ხუთი წუთი იყო. არადა, რომ გეკითხათ, ერთს არ შეყოყმანდებოდა, ისე გიპასუხებდათ, უკლება და ალი ეს წუთია, გვისტუმრეო.

ამასობაში საცეკვაო მუსიკა შეწყდა, კიბეზე ბრაგბატუგი გაისმა და აბელი მიხვდა, რომ ასლანი მარტო არ იყო. იმავ წუთს კარიც გაიღო. ზღურბლზე იდგა ასლანი თავის ოთხივე მემკვიდრეესთან ერთად. პირველი ნინიკო შემოვიდა. ხელში პატარა კალათა ეჭირა, ვაშლით, მანდარინით, კაკლით, ჩურჩხელებითა და გოზინაყით პირთამდე სავსე. მოციმციმე თვალებში სიხარული ედგა და უმიზეზო, ზღვიდან მონაბერი სუსტი ნიავივით მსუბუქი, გაუგებარი სევდა, რომელიც მის ლამაზ, ბავშვურ, მაგრამ უკვე უაღრესად დახვეწილ სახეს რაღაც გამოუთქმელ მომხიბლაობას ანიჭებდა.

— ძია აბელ, მოგილოცავთ ახალ წელს! — ხმამაღლა, მკაფიოდ წარმოთქვა ვოგონამ აშკარად წინასწარ მომზადებული ფრაზა.

აბელი დაიხარა, ვოგონა კალათისანად აიყვანა ხელში და საფეთქელზე აკოცა.

— შენც მოგილოცავ, ჩემო მზეთუნახავო.

ვოგონა ისევ დასვა, ვოგიტას აკოცა, ტყუპებს, ბოლოს ასლანს ხელი ხელზე მაგრად დაჭკრა და ისიც გადაკოცნა.

— რამ წამოგიყვანათ ასეთ ამინდში? — თავი გაიქნია აბელმა.

—გმირებსა და ვაჟკაცებს, — ასლანმა თითი და წარბი ასწია. — ვერავითარი ამინდი ვერ შეაშინებს! — ამ სიტუაციით მაგიდას გადახედა და, ორი თეფში რომ დაინახა, ეშმაკური ღიმილით გადაიტანა მზერა აბელზე, ეტყობა, თავში კვიმატმა ვარაუდმა გაუელვა.

ბავშვებმა თბილი პალტოების გახდა დაიწყეს. ხმაურით, ერიამეულით იხდიდნენ და აბელს წმინდ მოეჩვენა, თითქოს უხილავ ნაკადულს გადაკრული უხილავი ყინული დადნა და უხილავი წყალი ხალისიანი ჩუხჩუხით ამოძრავდა უხილავ კალაპოტში.

ის იყო, აბელმა თავისი და უკლებამ თეფშები აიღო, სუფრა ხელახლა გაშალა და შამპანურის გახსნა დაიწყო, რომ ერთ-ერთმა ტყუპისცალმა იკითხა:

— ძია აბელ, ალი სად არის?

აბელმა ბოთლის გახსნა წმინდ შეწყვიტა. მერე ისევ განაგრძო.

— წავიდა ალი. ფა-ფუ!

— სად წავიდა? — ახლა მეორე ტყუპისცალმა ჰკითხა და ორივე ტყუპისცალი ერთნაირად პირდაღებული მიაჩერდა. ნინიკომაც მოიხედა. ვოგიტამ კი შუბლი დიდი კაცივით შეიჭმუხნა და შეწუხებული გაკვირვებით ჰკითხა:

— აღარ არის?

— აღარ არის. მომწყინდა შენთან ყოფნაო, მითხრა და თავის პატრონთან წავიდა.

ბავშვებს ერთი კი აღმოხდათ სინანულისა და იმედგაცრუების ხმა, მაგრამ იქვე მიავიწყდათ ალი და ოთახს მოედნენ. სამაგიეროდ ახლა ასლანი დაინტერესდა. ასლანმა ხმადაბლა ჰკითხა:

— რა უყავი?

— პატრონმა წაიყვანა, — აბელმა საცობი მოარყია და ბოთლი ჰაერში დაიჭირა. ასლანისკენ არ მიუხედავს.

— რომელმა პატრონმა? — გაიკვირვა ასლანმა.

აბელმა მხრები აიჩეჩა.

— უკლებამ. სხვა რომელი პატრონი ჰყავდა!

— ხუმრობ თუ...

ამ დროს საცობი ბათქით მოძვრა ბოთლს, ჭერს მოხვდა, იქიდან ასხლეტილი ჯერ მაგიდაზე დაეცა და მერე, უკვე ძალადაკარგული, იატაკზე გადმოვარდა. აბელმა, შამპანური რომ არ დაღვრილიყო, სწრაფად დაიწყო ჭიქებში ჩამოსხმა.

—სად იყო უკლება?

— აქ იყო.

— გამოიქცა?

— ჰო, — აბელმა ჭიქები შეავსო. ერთი ჭიქა ახლო მიუჩოჩა ასლანს, მეო-

---

ჯემალ ჭარჩხაძე
ჭარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე თვითონ აიღო და მიუჭახუნა. — აბა, გაგვიმარჯოს. სიკეთე მოეტანოს ახალ წელს.

— გაგვიმარჯოს, — მექანიკურად გაეპასუხა ასლანი და ასევე მექანიკურად დაცალა ჭიქა. ფიქრით, ეტყობა, სხვა რამეზე ფიქრობდა.

— შენ ნახე? აქ შემოვიდა?

— ვეკახშე კიდეც, — ასლანმა ამის გაგონებაზე სწრაფად მოათვალიერა მაგიდა, მაგრამ აბელისა და უკლებას თეფშები იქ უკვე აღარ იდგა. აბელმა კი განაგრძო: — ხორცს არ ჭამს თურმე. ლობიო და მხალი კი ძალიან მოეწონა. თუმცა, საერთოდ, ცოტა ჭამა. — აბელი ბავშვებს მიუბრუნდა. — ჰეი, ამორძალო! ჰეი, რაინდებო! მე ვერაფერი დაგახვედრეთ, მაგრამ თქვენს მოტანილ ხილეულს მაინც შეექეცით. — ხელი მაგიდის შუაში ჩადგმული კალათისაკენ გაიშვირა.

მიპატიჟება მხოლოდ გოგიტამ მიიღო. დანარჩენებმა უარი თქვეს. გოგიტა წამსვე ეძგერა კალათს, სამი ცალი მანდარინი ამოიღო, ორი აქეთ-იქით შარვლის ჯიბეებში ჩაიდო, მესამეს კი გაფცქვნა დაუწყო. ნინიკომ ჩუმად უჩქმიტა მკლავზე და მწყრალად უთხრა რაღაც ხმადაბლა, რაზედაც გოგიტამ იდაყვი აუქნია და ქმაყოფილებით გაიცინა.

ასლანი უხმოდ მისჩერებოდა აბელს. ბოლოს, ერთბაშად, თავისი მგრგვინავი ხმით გაიცინა, ბოთლს ხელი დაავლო და ჭიქები ხელახლა აავსო.

— ყველას თავისი გზით გაუმარჯოს! — თავისი ჭიქა აბელისას მიუჭახუნა. მერე დაცალა, დადგა და, აბელმაც რომ გაუმარჯოსო, თქვა და დალია, უკვე მხიარული ეიოლთი განაგრძო: — დაკითხვას ვერ აცდები, მაგრამ ეგ არაფერია. ციხეში უარესი ამბავი დატრიალდება. სამი-ოთხი შტატი ისე გამოთავისუფლდება, როგორც არაფერი. — ჭიქები ისევ შეავსო. — აბა, თითოც დავლოოთ და ჩემთან წავიდეთ. ხომ შეხვდი ახალ წელს საკუთარ სახლში! მეტი რაღა გინდა. ახლა წავიდეთ და ვიქეიფოთ. რომანი მყავს და კიდევ ორი-ორი კაცი. უცხო არავინაა.

აბელმა წაუსვლელობის მიზეზი ვერაფერი იპოვა. მით უმეტეს, რომ საქმეში წამსვე ბავშვები ჩაერივნენ. ტყუპებმა ყელისგაწვდენით დაუწყეს ხვეწნა:

— წამოდით, რა, ძია აბელ! წამოდით, რა!

ნინიკო ჩუმი მოლოდინით უყურებდა. გოგიტამ კი მკლავები დაიკაპიწა და მუქარით შეუტია:

— ერთი არ წამოსულხარ!

და აბელმაც მიზეზის ძებნას თავი მიანება. გოგიტას შიშით შეხედა, მხრები აიწურა და დამფრთხალი ხმით თქვა:

— მოვდივარ, მოვდივარ!

ბავშვები ამ გამარჯვებას მხიარული ყიჟინით შეხვდნენ. აბელი კი ასლანს მიუბრუნდა:

— გედეონისთვის კი მინდოდა მიმელოცა ახალი წელი.

— გავიაროთ მერე! მაგაზე ადვილი რა არის!

— დავგვიანდებით. სახლში თუ სტუმრები გელიან...

— მელიან არა! რას მელიან! გულდაგული სმაში არიან. ნანო იქ არის, სიმამრი იქ არის და სიდედრი იქ არის. დილამდე რომ არ მივიდე, კაცი არ მომიკითხავს.

— თუ ასეა, გავუაროთ გედეონს.

— გავუაროთ. ოღონდ რაღაცა წაეიღოთ ტკბილად დასაბერებელი.

აბელს თვითონ არაფერი ჰქონდა. ამიტომ გადაწყვიტეს გორდაძეების მოტანილი ტკბილეულის ნაწილი წაეღოთ. ცოტა-ცოტა ყველაფერი ჩაყარეს მოზრდილ თიხის ჯამში და წავიდნენ. აბელი ასლანის გვერდით დაჯდა, ბავშვები უკან დასხდნენ და მაშინვე ძიძგილაობა დაიწყეს. ოთხივენი თავისუფლად ეტეოდნენ, მაგრამ მაინც ჭიჭყინებდნენ, იდაყვებით აწვებოდნენ ერთიმეორეს და ცდილობდნენ სხვებზე მეტი ადგილი დაენარჩუნებიათ.

გედეონის სახლთან ასლანმა მანქანა გაიჩერა და ყველანი გადმოვიდნენ. ას-

ლანმა ზარი დარეკა. შიგნიდან რომ ფეხის ხმა მოისმა, წინ ბავშვები დაიყენეს. პირველი აქაც ნინიკო იყო, რომელსაც ხელითა და ტკბილეულით სავსე ჯამი ეჭირა ორივე ხელში.

გედეონს გაეხარდა, თვალები, ჩვეულებრივ, ეშმაკურად აუცინცინდა, ყველანი გადაკოცნა, ბავშვებს თბილად მიეფერა და გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართველები ევროპაში მიდიან და თან აზიის მწვავე ნოსტალგია მიპყვებათ. აბელი ვერ მიხვდა, რა საბაბი იპოვა მოხუცმა ან რას გულისხმობდა ამ ნათქვამში. რაც შეეხება ასლანს, იგი არც დაინტერესებულა, ცალ ყურში შეუშვა და მეორედან გაუშვა ნათქვამი. გედეონმა სტუმრები დიდ ოთახში შეიპატიჟა, შამპანურის ბოთლი გამოიტანა და ასლანს ჩაბარა, შენ გახსენი, ამის ოსტატი შენა ხარო. თვითონ კი ბავშვებს მიხედა. აბელისაგან განსხვავებით, იგი მზრუნველი და წინდახედული მასპინძელი გამოდგა, ბავშვებს შოკოლადის ფილები ჩამოურიგა და იმათაც დაუყოვნებლივ მოითხოვარეს ცხვირ-პირი. მერე ლიმონათი დააყოლებინა. ბიჭები გაიწუწენ და გაიკუბანენ, ნინიკო უფრო თავშეკავებულად იქცეოდა. ასლანმა შამპანური გახსნა. მერე, ახალი წელი რომ მიუღოცეს ერთმანეთს და თითო ჭიქა დალიეს, გედეონიც თავისთან დაპატიჟა. გედეონმა უარი უთხრა და, თავის მხრივ, ყავა შესთავაზა სტუმრებს. ის ბოთლი დაცალეს, ყავა დალიეს და მასპინძელს გამოეთხოვენ. გედეონმა ქუჩაში გამოაცილა სტუმრები და მადლობა გადაუხადა. ნინიკოს თეატრალური მოწიწებით აკოცა ხელზე და უთხრა, ამ ხნის მოვიყარე და ასეთი კარგი მეკვლე ჯერ არ მყოლიაო. ნინიკომ მშვიდად შეანთა თავისი მოციმციმე თვალები და ღირსეულად გაუძღო ქათინაურს.

—ახლა ვის გავუაროთ? — ღიმილით იკითხა ასლანმა, როცა მანქანა დაძრა.

— სამსონს, — თავისდა მოულოდნელად მიუგო აბელმა.

ასლანმა ცალი თვალით გამოხედა.

— მართლა?

— არა, ისე გითხარი.

ცენტრს რომ გასცდნენ, ასლანმა ზემოთ, ვიწრო ქუჩაში შეუხვია.

— სად მიხვალ? — გაუკვირდა აბელს.

— სამსონთან.

— რას ამბობ, კაცო! ვიხუმრე.

— საახალწლო სურვილები უნდა შესრულდეს! — ასლანმა მარცხენა ხელი საკეს გაუშვა და საჩვენებელი თითი მანქანის ჭერს ატაკა.

— გეფიცები, ვიხუმრე. რა მინდა სამსონთან!

ასლანმა მის ფიცს ყურადღება არ მიაქცია. ბავშვებიც აყაყანდნენ, წავიდეთ სამსონთანო. არც ერთი მათგანა სამსონს არ იცნობდა, მაგრამ სტუმრად სიარული უხაროდათ და მზად იყვნენ მთელი ღამე კარდაკარ ევლოთ.

— ხელცარიელი ხომ არ შეევლთ ახალ წელს! — აბელი თავს უხერხულად გრძნობდა და წაუსვლელობის საბაბს ეძებდა.

— რა უჭირს. — თქვა ასლანმა.

ამ დროს უკან გოგიტა აწრიალდა. იწრიალა გოგიტამ, იწრიალა და ბოლოს თქვა:

— მე რომ მაქვს, ის მივულოცოთ.

— შენ რა გაქვს? — გაეცინა ასლანს. აბელსაც გაეცინა. გოგიტას და-ძმებიც აკუტკუტდნენ

გოგიტას ნინი არ შეუცვლია. სერიოზული, საქმიანი, თუმცა ცოტა შეფიქრიანებული სახით დაიწყო ჯიბიდან თავისი ავლადიდების ამოლაგება. კარგახანს იხვნეშა და საბოლოოდ კალათში გადმოალაგა ორი ცალი მანდარინი, ერთი შუაში გადატეხილი ჩურჩხელა, ერთი ვაშლი, ერთი პატარა ფილა შოკოლადი და ოთხი შოკოლადის კანფეტი.

— აი! — თქვა ბოლოს, როცა საქმეს მორჩა.

— სად მოაგროვე, ბიჭო, ამდენი რამე? — ჰკითხა ასლანმა.

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგიტა, ეტყობა, ელოდა ასეთ კითხვას და პასუხიც მზად ჰქონდა.

— პაპა გედეონმა მომცა.

— პაპა გედეონმა კი! არავისაც არ მიუცია. მოიპარა, — თქვა ერთმა ტყუპისცალმა.

გოგიტა გულდაგულ მოემზადა სატირლად. ეჭვი არაა, მშვენივრად ესმოდა, რომ სხვა საშუალებით ამ ბრალდებას ვერ მოიხსნდა. მაგრამ აქ აბელი ჩაერია საქმეში.

— ჯერ ერთი, კი არ მოუპარავს, უბრალოდ აიღო, — და გოგიტას მადლიერი მზერა რომ შენიშნა, გაეღიმა. — მეორეც, თქვენ რა იცით, იქნება გული უგრძნობდა, რომ დაგეჭირდებოდა და არ გვექნებოდა.

— მიგრძნობდა, — შეფიქრიანებული გამომეტყველებით დაუდასტურა გოგიტამ.

— აი, ხომ ხედავთ! უგრძნობდა. მესამეც, რა გულუხვი უნდა იყო კაცი, რა გულკეთილი, რა გმირი, რა ვაჟკაცი, რომ ვიღაც სამსონისთვის ამდენი ტკბილეული გაიმეტო!

გოგიტა გაიბღინძა, ტირილი გადაიფიქრა, წვითა და დაგვით მოგროვილი სიმდიდრე უკლებლივ მიუთვალა აბელს და მერე მთელი გზა ამაყი, ღირსეული სახით იჯდა. ისე იყო გატეკნილი საკუთარი დიდსულოვნებისა და ხელგაშლილობის ღრმა შეგნებით, რომ და-ძმებს ზედაც არ უყურებდა.

ალმართის თავში იდგა დიდი, ათსართულიანი და ოთხსადარბაზოიანი სახლი. სამსონმა ერთხელ აბელს უთხრა, ბოლო სართულზე ვცხოვრობო, მაგრამ ეს ცნობა მთლად ზუსტი არ გამოდგა. სინამდვილეში, როგორც გამოირკვა, სამსონი ცხოვრობდა ათსართულიანი სახლის მეთერთმეტე სართულზე. მეათე სართულზე ფართო, ღია კიბე იცვლებოდა ბლოკის კედლებს შორის მოქცეული ვიწრო, ციცაბო და კლაკნილი კიბით. ეს კიბე ადიოდა ბრტყელსა და ვრცელ ბაზზე, რომელიც მობეტონებულ ეზოს უფრო ჰგავდა, ვიდრე სახურავს. ამ ბეტონიანი ეზოს ერთ კუთხეში იდგა პატარა, დაბალი, თეთრი ოთახი ვიწრო, ცალფა კარითა და კვადრატული ფორმის მომცრო სარკმლით. ცხადია, არც სამსონსა და და არც სხვა ვინმეს სახურავზე ოთახის აშენების უფლებას არავინ მისცემდა. როგორც ჩანს, იგი თავდაპირველად ტექნიკური დანიშნულების სათავსოს წარმოადგენდა, რომელიც მოგვიანებით, რაღაც მანქანების წყალობით, იქცა სამსონის სახლად, სამსონის ბინად, სამსონის სენაკად. ამ ფატში უკვე იყო ერთგვარი იდუმალება და არარეალურობა, მით უფრო გასაკვირი არ არის, რომ ახალი წლის თოვლიან ღამეს აქ, მოულოდნელ გარემოში, ბეტონის ვრცელ მოედანზე, რომელიც სამსონისათვის ეზო იყო, ხოლო სახლის ყველა დანარჩენი მობინადრისთვის—სახურავი, აბელს სწორედ არარეალურობის, იდუმალებისა და გაუგებარი სიმყიფის უცხო და უცნაური გრძნობა დაეუფლა. გადაუღებლად თოვდა. თეთრი პეპლების მსგავსი დიდრონ-დიდრონი ფანტელები ფარფატით ეშვებოდნენ ქვემოთ და სადღაც ხევში იკარგებოდნენ. ხოლო კიდევ უფრო ქვემოთ, ხევის ძირას, მიწაზე განრთხმული ქალაქი ჩანდა და არც ჩანდა. ქალაქი სუსტად ბჟუტავდა თოვლის სქელი, თეთრი ფარდის მიღმა. ქუჩის ფარნებისა და სახლების ფანჯრებიდან გამომავალი შუქი უღონოდ მიისწრაფოდა ერთმანეთისაკენ, ერთმანეთში ირეოდა და ილესებოდა და ისე იყო განდღრეული მთელ ქალაქში, თითქოს ეს ნამდვილი ქალაქი კი არ ყოფილიყო, არამედ წყლის ზედაპირი, რომელიც ირწეოდა და ნამდვილი ქალაქის შუქს არაბუნებრივად ირეკლავდა.

ოთახი ბნელში იყო გახვეული. ეტყობოდა, სამსონს უკვე ეძინა. ასლანმა უკან გაბრუნება დადწყვიტა, მაგრამ აბელმა არ ქნა. რაკი მოვედით, გავაღვიძოთ, არაფერი უჭირსო, და კარზე დაკაკუნა.

— რომელი ხარ? — მოისმა იმავე წამს შიგნიდან. ხმას ნამძინარეობისა არაფერი ეტყობოდა.

— მეკვლეები ვართ—მიუგო აბელმა. ოთახში შუქი აინთო. შუქი სარკმლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გადმოიღვარა და სახურავზე დადებული თოვლი ააბრჭყვიალა. სამაგიეროდ განათებული ადგილის იქით, სახურავის კიდესთან, სიბნელე უფრო მკაფიო და თითქოს უფრო მკვრივიც გახდა.

კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა სამსონი, მაღალი, მომღიმარე, დიდებლებიანი. კოჭებამდე ჩამოგრძელებული, წელზე ქამრით შეკრული, უსაყელო ხალათი ეცვა.

— მობრძანდით, — თქვა მასპინძელმა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, რათა სტუმრებისთვის გზა მიეცა.

პირველი ამჯერად აბელი შევიდა. აბელს მარცხენა ხელი მკერდზე ჰქონდა მიდებული და ზედ გოგიტას ნაწყალობევი მოსაკითხი ეწყო.

— აქა მშვიდობა და მოგილოცავთ ახალ წელს! — აბელმა თავისუფალი მარჯვენა ხელი გაუწოდა სამსონს.

აბელს ბავშვები შემოჰყვნენ და, მოლოდინის წინააღმდეგ, წყნარად მიდგნენ კუთხეში. ბოლოს ასლანი შემოვიდა და ახლა იმან მიუილოცა:

— მოგილოცავ, სამსონ, ახალ წელს.

სამსონმა ორთავეს ჩამოართვა ხელი და თქვა:

— ახალი წელი ილუზიაა, ისევე როგორც მთელი გრძნობადი სამყარო. ჭეშმარიტად რეალური არის მხოლოდ ბრაჰმას დღე და ბრაჰმას ღამე.

— ჩვენ ასე ვართ მიჩვეული, — ასლანმა ცალი თითი და ცალი წარბი ასწია. — ადამიანები.

აბელმა ერთხანს ვერ მოიფიქრა, სად დაეწყო ტკბილეული. კარის მოპირდაპირე მხარეს, ოთახის ბოლოში, ყვითელფარდაგგადაფარებული ტახტი იდგა და კედლიდან კედლამდე მთელ სივრცეს ავსებდა. ტახტის წინ ძველი, გვარიანად გაქუცული ხალიჩა ეფინა. სარკმლის ძირას, გვერდგვერდ, ორი ტაბურეტი იდგა. ტახტის ზემით მაცხოვრის ხატი ეკიდა. ჯვარზე გაკრული მაცხოვარს თავი ოდნავ გვერდზე ჰქონდა გადაგდებული. მაცხოვრის მახლობლად ვიღაც კაცის სურათი იყო. კაცს ენერგიული სახე ჰქონდა და მოელვარე თვალები. სარკმლის პატარა რაფაზე შანდალი იდგა ნახევრად ჩამწვარი სანთლით. კარზე ერთ-კაუჭიანი საკიდი იყო მიმაგრებული და სამივეზე ტანსაცმელი ეკიდა. მეტი ოთახში არაფერი იყო.

— ეს ტკბილეული გოგიტამ მოგიკითხათ, — უთხრა აბელმა სამსონს და თავისუფალი ხელი გოგიტას გადაუსვა თავზე.

— დიდი მადლობა. აგერ დავაწყოთ, — სამსონმა ძველი ფრთხილად, ორ გზობაზე ჩამოართვა და სარკმლის რაფაზე დააწყო შანდლის ორივე მხარეს. მერე გოგიტას შეხედა, გაიღიმა და დიდი კბილები გადმოყარა. — ეს მოსაკითხი ღვთის წყალობაა და მადლიერებით მივიღებ. ამ ბავშვში ღმერთს სძინავს. ამათშიც. ყველა ბავშვში. ჩვენშიც ეძინა. ყველაში სძინავს და გაღვიძებას ელოდება. თუ არ გავაღვიძეთ, ცარიელი ხორცი დავრჩებით. ოღონ სხეული ტანისამოსია მხოლოდ, რომლის საშუალებითაც სული ფიზიკურ არეში მყოფავდება. — ბავშვები ერთად იდგნენ კუთხეში და გაკვირვებული უყურებდნენ. გოგიტას ჰქონდა ცოტა განსხვავებული გამომეტყველება, ისეთი, თითქოს შეგინებას აპირებდა, მაგრამ ჯერ ყოყმანობდა. ასლანი უყურადღებოდ ათვალიერებდა ოთახს, ცალი წარბი მაღლა მიუდიოდა და მერე ისევ დაბლა ეშვებოდა. — ტანისამოსი ჭეშმარიტ ცოდნას არ იძლევა. შეგრძნების ორგანოებით მიღებული ცოდნა ისევე განსხვავდება ჭეშმარიტი ცოდნისაგან, როგორც, დოქტორის ბრძანებისა არ იყოს, — ამ სიტყვებით წამით რაღაც უცნაური, ღრმა მოწიწებით გახედა იმ სურათს, რომელიც მაცხოვრის ხატის გვერდით ეკიდა: — ბრძოლის აღწერა თავად ბრძოლისაგან.

— გათბობა თავიდანვე გქონდა თუ მერე გამოიყენე? — ჰკითხა ასლანმა.

— მთავარი მილი შემოდიოდა, რადიატორი მერე დამიყენეს.

— კარგად კი თბილა, — მოწონებით

ჯემალ ძარჩაძე
ბარამანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიქნია თავი ასლანმა. — ეს ფანჯარა იღება?

— კი, იღება. — მიუგო სამსონმა, ფანჯარას რატომღაც თითი მიუკაკუნა და განაგრძო: — მაგრამ ეს ყველაფერი, გათბობის რადიატორიც და ფანჯარაც მეორეხარისხოვანი საგნებია, რადგანაც მხოლოდ ფიზიკური არეში მოქმედებენ. გათბობის სისტემას ისა სჯობს, საკუთარი სისხლის მიმოქცევა დაიმორჩილო. და მისი მოძრაობა შენს ნებაზე ცვალო, ადამიანი ერთიანი კოსმიური ენერგიის ნაწილია. მართალია, იზოლირებული კია, მაგრამ რა უდგას წინ? დაძლიე ეს იზოლაცია და შეუერთდი შენს ნამდვილ არსს. ჩვეულებრივ პირობებში, როცა ეგოიზმი და პატივმოყვარეობა აყვავების ზენიტშია, ცხადია, ეს ძნელია. მაგრამ ადამიანმა უნდა იპოვოს შინაგანი ძალა, რათა დაძლიოს არიმანის გავლენა და ჭეშმარიტებისაკენ იბრუნოს პირი. ჭეშმარიტება კი მაშინ გამოჩნდება, როცა შევძლებთ, ჯერმპრივით წაგიძროთ ეთერული სხეული, ღამის პერანგი ვით გავიხადოთ ასტრალური სხეული და წმინდა არსით შევაბიჯოთ ზეგრძნობად სამყაროში. ეს ძნელი გზაა და მძიმე გამოცდა მოგველის. ზეგრძნობადი სამყაროს ბჭეს რომ მიადგები, ზეგრძნობადი სამყაროს ზღურბლს რომ მიუახლოვდები და მთელი შენი ადამიანური უძლურება, შენი ეგოიზმი, პატივმოყვარეობა, ფარული და შენიღბული სურვილები სურათებიანი წოგნივით გადაგეშლება თვალწინ, შეშინდები, შედრკები, პანიკაში ჩავარდები, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს. სხვა გზა ჭეშმარიტებისაკენ არ მიდის. დღეს უმთავრესი პრობლემა არის ერთიანნი მსოფლიოსაკაცობრიო რელიგიის შექმნა. სინამდვილეში ყველა რელიგიის გულისგული ერთი და იგივეა...

— წავიდეთ, თორემ ძალიან დაგვიანდება, — თქვა ასლანმა.

— რომელი საათია? — იკითხა სამსონმა.

აბელმა საათს დახედა.

— სამის ნახევარია.

სტუმრები კარისკენ დაიძრნენ. სამსონმა ისინი სახურავის კიდემდე გააცილა.

— ...უბრალოდ, ყველა ხალხმა ამ ერთიან გულისგულს ირგვლივ საკუთარი ეთნიკური და ფსიქიკური გარსი შემოაკრა და ის, რაც ნამდვილი იყო, ამ გარსის ქვეშ მოექცა. საჭიროა მოიძებნოს ის საერთო საწყისი, მაშინ ყველას, ქრისტიანებსაც, მაჰმადიანებსაც, ბუდისტებსაც... ყველას ერთი ჭეშმარიტი რელიგია ექნება, რომელიც ადამიანს ერთი ჭეშმარიტი გზით წაიყვანს ყველა დიდი მოძღვარი და მასწავლებელი სწორედ ამას ქადაგებდა, მაგრამ ადამიანებს არ ესმოდათ მათი, რადგან ადამიანები ცდილობდნენ გონებით ჩასწვდომოდნენ იმას, რასაც შეუძლებელია გონებით ჩასწვდე. დროისა და სივრცის კანონებით შემოსაზღვრული გონება, რაღა თქმა უნდა, ვერ გაიგებდა ზედროულ და ზესივრცეერ იდეებს. აბა, კარგად იყავით.

ბავშვები ჩუმად მიაბიჯებდნენ კიბეზე. მანქანაშიც ჩუმად ისხდნენ, არ ხმაურობდნენ, არ ძიძგილაობდნენ. იქნებ სამსონი არც არაფერ შუაში იყო, უბრალოდ, დაიღალენ და ეძინებოდათ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ შინ მისვლისთანავე საწოლ ოთახს მიაშურეს და, დაწვნენ თუ არა, მაშინვე ღრმა ძილით დაეძინათ.

სტუმრები ხმამაღალი შეძახილებით შეხვდნენ ასლანისა და აბელის გამოჩენას. თამადამ, რომან ადეიშვილმა, ორივე თითო დიდი ყანწით დააჯარიმა.

თავი მეთხუთმეტე

ცხოვრების მდინარემ ტრიალ მინდორს მიაღწია, გაივაკა და ერთი ხანობა მდორედ, მშვიდად და უხმაუროდ მიუყვებოდა თავის კალაპოტს. თუმცა, თუ შედარებას ბოლომდე ვენდობით, ისიც უნდა ითქვას, რომ მდორე ადგი-

ლას მდინარეს მეტი სიღრმე აქვს, ვიდრე კლდე-ღრეებში, სადაც ყურისწამღები ხმაური მიხტუნავს. და თუნდაც შედარება არასანდო იყოს, ფაქტი მაინც მის სასარგებლოდ ლაპარაკობს: ამ წყნარი, ჩუმი, შეუმჩნეველი პერიოდის განმავლობაში აბელმა თავის პორტრეტს რამდენიმე საინტერესო (და, ვინ იცის, იქნებ ყველაზე მნიშვნელოვანიც კი) ტრიხი შეპმატა.

მაგრამ შედეგებზე ჯერჯერობით ნუ ვილაპარაკებთ. თანმიმდევრობით მოვყვეთ ყველაფერი, რისი მოყოლაც აუცილებელი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მიზანშეწონილია. დავიწყოთ იმით, რომ უკლებას გაქცევამ ქალაქს სუსხიანი ქარივით გადაუქროლა. ვისაც ეძინა, გააღვიძა, ვისაც ეღვიძა, აფორიაქა. ატყდა მითქმა-მოთქმა, ჩურჩული, ჭორაობა. ყველას თავისი შეხედულება ჰქონდა, თავისი ვარაუდი, თავისი ზღაპარი. თუმცა მთელ ამ ალიაქოთში, რომელსაც უფრო გახურებული გული კვებავდა, ვიდრე ფხიზელი გონება, მკაფიოდ გამოსჩვიოდა ერთი საერთო აზრი: რომ უკლებას „ვიღაც-ვიღაცები“ ეხმარებოდნენ, თორემ ისე ციხიდან ვერ გაიქცეოდა. ამ ვერსიის გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ქალაქის ხელისუფლებამ ეს „ვიღაც-ვიღაცები“, ყოველ შემთხვევაში მათი ნაწილი მაინც, კერძოდ, ციხის ადმინისტრაცია, დაუყოვნებლივ დაითხოვა სამსახურიდან. ოფიციალურად ადმინისტრაციას ბრალად ედებოდა უნიათობა და უყურადღებობა, მაგრამ ჭორი ისეთი რამაა, სიღრმე და წვრილმანები არ აინტერესებს. მისთვის მთავარია ზოგადი, ფორმალური კავშირები. პატიმარი გაიქცა და ადმინისტრაცია დაითხოვეს. მაშასადამე, ადმინისტრაციამ პატიმარი გააპარა. თავად სამსახურიდან დათხოვნილი ციხის უფროსი შინაურ წრეში როყიოდ, ბოღმიანად იცინოდა და მწარე ირონიით ამბობდა, ერთი საყვარელიძე ყოფილიყო ჩემს ადგილას, ვნახავდი, როგორ დააკვებდა უკლებასო. მერე საქმიანი, ცოტა იდუმალი და ცოტა შეურისა თუ პატივისცემის გამომხატველი კილოთი ამტკიცებდა, უკლება ისეთი კაცია, ცხრაკლიტულში ჩასვი თუ გინდა, ათი გალავანი შემოარტყი და რაც ქვეყანაზე ზედამხედველია, ყველა დარაჯად დაუყენე, გაქცევა თუ მოინდომა, მისი დაკავება ტყუილი საქმეაო. შესაძლებელია, ციხის უფროსი განზრახ ამუქებდა ფერებს, რადგან უკლებას ყოვლისშემძლეობა ერთგვარად მის შერცხვენასაც აქარწყლებდა, ქალაქისთვის კი ეს ცეცხლზე ნავთის გადასხმას უდრიდა. ქალაქისთვის ციხის ადმინისტრაციის გამოცვლა დიდი ვერაფერი ნუგეში იყო. ან კი რაღა აზრი ჰქონდა გამოცვლას: მთავარი ავაზაკი თავისუფლად დანავარდობდა და, ვინც ციხეში დარჩა, იმას ძველი ადმინისტრაციაც მშვენივრად მოუვლიდა. პანიკაში ჩავარდნილი ქალაქი თავდასაცავად მოემზადა. ორი დღის განმავლობაში გაიყიდა ყველა კლიტე, ისიც, რაც მაღაზიებში იყო, და ისიც, რაც იმ წვერგაუპარსავ, ფართოკეპიან შავ კაცებს აქვთ ხოლმე, რომლებიც საყელოამოწეულები, ბეჭებში ოდნავ მოხრილები, ცოტა დამფრთხალი თვალებითა და ხელში ძველებური, გაქუცული ჩანთებით დაესუნსულებენ მაღაზიების წინ. ქალაქი დაემსგავსა ალაყაშემორტყმულ ციხესიმაგრეს, რომელშიაც ყველა კარი ჩარაზულია და ყველა ფანჯარა ჩაურდულებული. ლოგიკას თუ მივყვებით, უკლება, ცხადია, ქალაქში არ დადგებოდა, პირიქით, რაც შეიძლება შორს გადაიხვეწებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, შიშმა ლოგიკა არ იცის და, მეორეც, სიფრთხილე არასოდეს არ არის ზედმეტი.

აბელი მეორე დღესვე დაიბარეს დაკითხვაზე. გამომძიებელი, რომელიც ვეებერთელა საწერ მაგიდას უჯდა, სავსებით ქაჩალი იყო. არც თმა ჰქონდა, არც წვერი, არც ულვაში. წარბები რა არის, წარბებიც კი არ ჰქონდა. და თუ

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ბალანი რაიმე არსებითის გამომხატველი ნიშანია, ეს ნიშანი ამ კაცში წარმოდგენილი იყო მხოლოდ და მხოლოდ წითიური წამწამებით. სხვა მხრივ ღაღაჟა იყო და მაგიდასთან ისე მყარად და მორგებულად იჯდა, თითქოს ამ სკამზე დაბადებული, არასოდეს ამ სკამიდან არ ამდგარა და, თუ როდისმე სიკვდილი ეწერა, ამ სკამზევე მოკვდებოდა. დაკითხვა, აბელის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ფორმალური გამოდგა. გამოძიებას ფაქტიურად მხოლოდ ორი საკითხი აინტერესებდა: როგელ საათზე მივიდა უკლება აბელთან და რა ეცვა. ბოლოს გამომძიებელმა მოუბოდიშა, შეგაწუხეთ და დრო დაგაკარგვინეთო, და დაუმატა, თუ საქმის მსგლელობისთვის აუცილებელი შეიქნა, შესაძლებელია, კიდევ ერთხელ მოგვიხდეს თქვენი შეწუხებაო. აბელი გაკვირვებული და ამაყოფილი დარჩა. მართალია, მან დილითვე იცოდა, რომ დაკითხვაზე იყო მისასვლელი, მაგრამ ნასვამსა და დაღლილს, ფიქრის თავი არ ჰქონდა. სრულიად მოუმზადებელი გამოცხადდა გამომძიებელთან და დაკითხვის დამთავრების შემდეგაც არ იცოდა, რა პასუხს გასცემდა, გამომძიებელი რომ დროის იმ მონაკვეთით დაინტერესებულიყო, რომელიც უკლებამ აბელთან გაატარა და დაწვრილებით გამოეკითხა მათი საუბრის შინაარსი.

აბელი მეტად აღარ გამოუძახიათ.

საერთოდ, უკლება მალე დავიწყებას მიეცა. როდესაც პირველი შიში და მღელვარება მიწყნარდა, ქალაქმა ერთი მნიშვნელოვანი და ოპტიმისტური დასკვნა გააკეთა: ციხეში მჯდომ უკლებას თურმე გაქცეული უკლება სჯობდა. ციხე ქალაქში იყო და, სანამ უკლება ციხეში იჯდა, ქალაქს, უნდოდა თუ არა, მუდამ უნდა ეფიქრა პერსპექტიულ ხიფათზე, რომელიც სადღაც იყო ჩასაფრებული და ერთთავად ასაფეთქებლად გამზადებული. ახლა კი, როდესაც პირველი, როგორც გამოირკვა, უაზრო და უგუნური შიში მინელდა, იმის რწმენაც გაჩნდა, რომ გაქცეული პატიმარი ამ ქალაქისკენ პირს აღარ იზამდა, სხვისაკენ კი, რაც უნდოდა, ის ექნა. ბოლოს და ბოლოს ყველა ქალაქი, ისე როგორც ყველა ადამიანი, მხოლოდ საკუთარი სიმშვიდისათვის ზრუნავს.

მატერიალურ შედეგებზე შეგვიძლია გაყიდული კლიტეების რაოდენობით ვიმსჯელთო, რაც შეეხება ფსიქოლოგიურ შედეგებს, მათი მათემატიკური დაანგარიშება შეუძლებელია, თუმცა ერთი ეპიზოდი, რომელიც აბელის თვალწინ გათამაშდა, იმდენად მკაფიო და მეტყველი იყო, რომ გარკვეული სიზუსტით ზოგიერთი ფსიქოლოგიური შედეგის გაზომვისა და აწონის საშუალებასაც იძლეოდა. უკლებას გაქცევისთანავე თეიმურაზ კილაძემ საეკეოდ დაიწყო აბელის ირგვლივ ტრიალი. ღანდივით დასდევდა. საცა არ ეგონა, უცებ თავს ამოჰყოფდა, საუბარში ჩაებმებოდა და თან სულ აბელს შესცქეროდა. აბელმა ვერ გაიგო, რა უნდოდა თეიმურაზს. უთვალთვალებდა? ზვერავდა? რაღაც სერიოზული ჰქონდა სათქმელი და ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა? აბელმა თავი ისე დაიჭირა, ვითომ ვერაფერს ამჩნევდა. თეიმურაზმა კი იწრიალა ნერვიულად, იწრიალა და ერთხელ, მარტო რომ დაიგულა, უცებ ჯიბიდან სიგარეტი დააძრო და შესთავაზა. აბელისათვის ცხადი შეიქნა, რომ რაღაც მართლა უაღრესად მნიშვნელოვანი ხდებოდა. გაკვირვება არ შეიმჩნია, გამოწვდილი კოლოფიდან ერთი ღერი ამოიღო და გააბოლა. თეიმურაზმა სიგარეტი ისევ ჯიბეში ჩაიდო, ხელები მოიფშვნიტა და რაღაცის სათქმელად მოემზადა. მაგრამ ბოლო წამს ისევ შეყოყმანდა და უმნიშვნელო წვრილმანებზე დაიწყო ლაპარაკი. ცოტა ხნის შემდეგ ახალი, კიდევ უფრო მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა: აბელი ბუფეტში დაპატიჟა. საუზმე და ხილის წვენი რომ აიღო და ჭამას შეუდგნენ, ერთხანს კიდევ ილაპარაკა უმნიშვნელო და უინტერესო წვრილმანებზე. მერე უკლებას გაქცევა ახსენა და აბელმა ყურები ცქვიტა, რადგან თეიმურაზს პრო-

ფესიულმა ოსტატობამ ეულალატა და უკლებას ხსენებაზე წამით ამოვარდა უმიზნო მუსაიფის არხეინი კალაპტიდან. ამის შემდეგ კარგა ხანს ერთ ადგილს ტკეპნიდა. აღარც მოეშვა ამ თემას და ვეღარც განვითარება მოუხერხა. ბოლოს ჰკითხა, ძაღლი თუ წაიყვანა თანო, და, დასტური რომ მიიღო, ის ამბავი გაიხსენა, აბელს რომ ალის სახელი „დაავიწყდა“. გახსოვსო? — ჰკითხა. მახსოვსო, უპასუხა აბელმა და იგრძნო, რომ ახლა თეიმურაზი გასაღებს გადაატრიალებდა და საიდუმლო კარს გააღებდა. მართლაც, იმავ წუთს ყველაფერს ნათელი მოეფინა. თეიმურაზმა წყალში გადაყარა სტანისლავსკის მთელი სისტემა, თავი მოსჭრა თავის სამსახიობო ნიჭსა და განსწავლულობას, სრული პროფესიული დისკვალიფიკაცია მოუვიდა, გაწითლდა, ენა დაება, გაუგებრად და უთავბოლოდ აბლუკუნდა და საბოლოოდ, როგორც იქნა, თქვა, რომ მაშინ გუნებაზე ვერ იყო, თორემ უკლებას როგორ შეაგინებდა, უკლებას შესაგინებელი და სალანძღავი რა სჯირს, პირიქით, თეიმურაზი ყოველთვის პატივს სცემდა მას და აფასებდა. ის მაშინდელი გინება გინებად არ ჩაითვლება და არაა საჭირო, ვინმემ გიგოს. ვინმემ რომ გიგოს, იფიქრებს, თეიმურაზ კილაძე უკლებას მართლა აგინებდაო... თეიმურაზს საწყალობელი სახე ჰქონდა. აბელს შეეცოდა და შეეზიზღა. მერე უთხრა, ძაღლის სახელი რომ მომგონე, ის კი მახსოვს, მაგრამ, რომ გეგინებინოს, არ მაგონდებაო. არც მიგინებიაო, წამსვე აიტაცა თეიმურაზმა, ისე რაღაცა გაკვრით ვთქვი, შეიძლება მთლად კარგად ვერ მოვიხსენიეო. აბელმა თავი გაიქნია, არ მახსოვსო. თეიმურაზი დამშვიდდა და ამით დამთავრდა ყველაფერი. რა იცოდა საბრალო თეიმურაზმა, რომ უკლება ამ დროს ცხრა მთას იქით იყო და მას ვერასოდეს შეხვდებოდა, თორემ ან ამოდენა ხარჯს როგორ გასწევდა, ან თავს ასე როგორ დაიმცირებდა!

ამით მოთავდა უკლებას თემა. ამას იქით ქალაქი უკვე უკლებას გარეშე ცხოვრობდა და გაცილებით უკეთაც გრძნობდა თავს.

ნაახალწლევს აბელი ახალ როლზე დაინიშნა რომან ადეიშვილის სპექტაკლში და, პრემიერა რომ ითამაშა, კიდევ უფრო განიმტკიცა ნიჭიერი მსახიობის სახელი. ქალაქშიც უკვე მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მის პოპულარობას და მაყურებლის პირველი კერძო წერილიც მიიღო. წერილი, რაღა თქმა უნდა, სულელური იყო, მაგრამ აბელს მისი კითხვისას გული უტოკავდა, სახე და სხეული უხურდა, აღგზნებული იყო და მერე, მთელი დღე, ლაპარაკის დაუძლეველ მოთხოვნილებას გრძნობდა. ხანი რომ გამოხდა და აღგზნება ჩაუცხრა, შერცხვა და შეწუხდა. თეორიულად მან უკვე მშვენივრად იცოდა, რომ პოპულარობა და სახელი ილუზიაა, ქვიშაზე აგებული ციხე-კოშკი. განა შეიძლება ისეთი არშინი არსებობდეს, რომლითაც პოპულარობა გაიზომება? პოპულარობა ხომ დამოკიდებულია არა შემოქმედის ნიჭზე, არამედ მომხმარებლის გემოვნებაზე! ხოლო აქედან გამომდინარე, პოპულარობა ისაა, რომ უარი თქვა საკუთარ გზაზე, შენი ნიჭი მომხმარებელთა საეჭვო გემოვნებას დაუმორჩილო და თვალდახუჭულმა საკუთარ თავს უმტკიცო, რომ ვისაც მოსწონხარ, სწორედ მასა აქვს მაღალი და დახვეწილი გემოვნება. გედეონ რევიამ მშვიდად გასწია განზე ეს ბანგშერეული შარბათით სავსე ფიალა. აბელმა არ იცოდა, რა გზა გამოიარა გედეონმა, რა გამოცდილება დაგროვა, რა ომი გადაიხადა (ან გადაიხადა თუ არა) საამისოდ, მაგრამ ფაქტი იყო, რომ დღეს იგი სრულიად გულგრილად და ირონიულად უყურებდა თავის სახელს, თავის პოპულარობას, თავის წარმატებასა თუ წარმატებლობას. და, რაც მთავარია, ეს იყო ნამდვილი, ბუნებრივი, სღი გულგრილობა. აბელი თვითონაც ცდილობდა გულგრილად შეეხედა

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

თავისი წარმატებისთვის და ზოგჯერ ახერხებდა კიდეც, მაგრამ მისი გულგრილობა ნაძალადევი იყო, ხელოვნურად შეკოწიწებული. აბელს შურდა გედეონის და „ტკივეულად განიცდიდა საკუთარ ულონობას. ჩვენ ახლა ვიცით (რადგან საკმაო გამოცდილება გვაქვს), ხოლო გედეონ რევიამ ალბათ ჩვენზე უკეთ იცოდა (რადგან მეტი გამოცდილება ჰქონდა), რომ ტკივილი ბრძოლის ბიძგია, ბრძოლა კი გამარჯვების ერთადერთი საწინდარია (თუკი მაროლა გამარჯვებაა ის, რაც აბელს გამარჯვებად ესახებოდა და რის იდეალსაც გედეონ რევიას პიროვნებაში ხედავდა). იქნებ ეს ტკივილი და შინაგანი ბრძოლა ერთ-ერთი მიზეზიც გახდა იმისა, რომ გედეონმა, ამ ირონიულმა, ჭკვიანმა და ცოტა გაუგებარმა ბერიკა

სახელმწიფო რობოტების სახელმწიფოა, ჰკითხა:

— სულელის მეტი მოიგონებდა ვინმე ასეთ სახელმწიფოს?

აბელი გაშტერდა.

— თქვენი აზრით, პლატონი სულელია?

გედეონმა გაიღიმა.

— ყოველი გენიოსი სულელია, აბელ, და თუ ჩვენ ჭკვიანები ვართ, არც ერთ გენიოსს მისი კუთვნილი სისულელე არ უნდა დავუკარგოთ. როგორც კი თქვენ ნაკლს მიჩქმალავთ და ღირსების იდეალიზაციას მოჰყვებით, მაშინვე გამოჩნდება ვიღაც, ვინც იმავე მეთოდით საპირისპირო ეფექტს მიაღწევს: ღირსებას მიჩქმალავს, ნაკლს გაბუქავს და ამ ჩვენს გენიოსს ტახტიდან გადმოგვიგდებს. ადამიანს ყველაფერი კუთვნილებისამებრ უნდა მიუზღო. ეს ადამიანისავე ინტერესებშია.

თვითონ ყველას ყველაფერს კუთვნილებისამებრ მიუზღავდა. ისტორიულ პირებსაც, ლიტერატურულ პერსონაჟებსაც და საერთო ნაცნობებსაც. თუმცა წესს თავისი გამონაკლისიც ჰქონდა. ერთი კაცი მაინც იყო ისეთი, ვისაც (ყოველ შემთხვევაში, აბელი ასე ფიქრობდა) მისაგებელს არ მიაგებდა. ეს კაცი სამსონი იყო. სამსონში ვერავითარ ღირსებას ვერ ხედავდა. ან არ ხედავდა. საერთოდ, სამსონზე არ ლაპარაკობდა. როცა აბელი ახსენებდა, მოსალოდნელ საუბარს ერთი აგდებული ღიმილით ან ერთი აგდებული სიტყვით გადაუკეტავდა გზას და მაშინვე სხვა თემაზე გადავიდოდა. ზოგჯერ აბელს ეჩვენებოდა, თითქოს ამ აგდებული დამოკიდებულების უკან რაღაც ღრმა, ფარული მიზეზი იმალებოდა, მაგრამ ეს ეჭვი წამიერი და ბუნდოვანი იყო და არავითარ ხელმოსაჭიდ საბაბს არ იძლეოდა. არადა, სამსონს ზშირად სრულიად გამიზნულად უხსენებდა, ცდილობდა მოხუცი სალაპარაკოდ გამოეწვია და დაწვრილებით გაეგო მისი შეხედულება ამ კაცის შესახებ. საქმე ისაა, რომ სამსონმა ძალიან დაიინტერესა თავისი უცნაურობით, თავისი გაუგებრობით, თავისი განაპირებით, თავისი ჩუმი, უხმაურო, უპრეტენზიო და თითქოს ამავე დროს (სწორედ ამ უხმაურობისა და უპრეტენზიობის წყალობით) ამაყი, ქედმაღლური, გამომშვევი განდეგილობით, რომელიც თან რაღაცას გაყვედრიდა, თან ზემოდან დაგაცქეროდა, თან თავს გაცოდებდა. თავდაპირველად აბელს ეგონა, სამსონის უცნაურობაში მთავარი და, მისი აზრით, ერთადერთი ძარღვი აინტერესებდა: სამსონი გულწრფელად აკეთებდა იმას, რასაც აკეთებდა, გულწრფელად ამბობდა იმას, რასაც ამბობდა, გულწრფელად ცხოვრობდა ისე, როგორც ცხოვრობდა, თუ ყველაფერი ეს თამაში იყო, დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობის ილუზიური საზღაური, თავისი განკერძოებულობის, განუმეორებლობის, ერთადერთობის ყოველგვარი ხერხითა და საშუალებით დამტკიცების სურვილი. მაგრამ იმ საახალწლო დარბაზობის შემდეგ აბელი მიხვდა, რომ ასეთი სწორახზოვანი და ერომნიშვნელოვანი კითხვა პრობლემის ნამდვილ არსს ვერ ამოწურავდა, მისი ინტერესები უფრო რთული იყო, უფრო ღრმა და მრავალმხრივი, და ამ გაუცნობიერებელ ინტერესში თითქოს რამდენიმე სახიფათო და, ვინ იცის, საეჭვისწერო ძაფიც იყო ჩატანებული. მაშინდელმა სტუმრობამ მძაფრი შთაბეჭდილება დაუტოვა. მეხსიერებაში დროდადრო იელვებდა სურათი, რომელზედაც გამოსახული იყო მაღალი სახლის სახურავი, ზედ მერცხლის ბუდესავით დაშენებული პატარა ოთახით, სადაც აყლაყუდა, დიდგბილებიან, კეთილად მოღიმარე სამსონს დაედო ბინა და საიდანაც იგი ძირს რუკასავით გაშლილ ქალაქს გადმოსცქეროდა. და ეს შთაბეჭდილება, იმის მაგივრად, რომ თანდათან განელებულიყო, გაფერმკრთალებულიყო და ბოლოს გამქრალიყო კიდეც, როგორც შთაბეჭდილების წესია, უფრო გაცხო-

ველდა, უფრო გამოიკვეთა, თითქოს წყლიდან მარილი გამოიყო და ჰიქის ფსკერზე კრისტალებად დაილექა, და მალე აშკარა გახდა, რომ სამყაროს მიზიდულობამ მთავარ ძალებს მაღალი სახლის სახურავზე, სამსონის პატარა სენაკში მოუყარა თავი. იმ ხანებში რომ აბელისთვის გეკითხათ, მაინც რა არის ეს ძალა, ასე მძლავრად რომ გეწვეოდა, უყოყმანოდ გიპასუხებდათ, არ ვიცი. სამსონი მენატრებოდა, ვერ იტყოდა. მეცოდებოდა, ვერც ამას იტყოდა. ის საკითხები მაინტერესებს, რომლებზედაც სამსონი ასე გატაცებით და თავდავიწყებით ლაპარაკობსო, ვერც ამას იტყოდა. უმიზეზო ცნობისმოყვარეობაც გამორიცხული იყო. ან მართლა არ არსებობდა მიზეზი, ან, თუ არსებობდა, ლოგიკური აზროვნების გარეთ იმყოფებოდა, ხოლო თუ ლოგიკური აზროვნების არეში იმყოფებოდა, ისეთ ღრმა ფენებში იყო ჩამალული, რომ იქ შეღწევა აბელს არ ძალუძდა. აბელი მხოლოდ ერთ რამეს გრძნობდა და იმასაც უცხო, ბუნდოვანი გრძნობით: ამ დაუოკებელ მიზიდულობაში იყო რაღაც არაჯანსაღი, სახიფათო საწყისი. მაგრამ ეს გრძნობა მიზიდულობის ძალას ვერაფერს აკლებდა, ამიტომ ერთ მშვენიერ საღამოს (საღამო მართლა მშვენიერი იყო. შუა აპრილი, როცა ნაზამთრალ ქალაქში სიგრილე ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გატეხილიყო, მაგრამ ტყემალი და ნუში უკვე ყვაოდა და გატრუნულ ჰაერში გაზაფხულის სუნი იდგა) სამსონს ეწვია. როგორც კი კარი გაიღო და სამსონის გრძელი, კეთილად მოღიმარე სახე დაინახა, სხეულში წამსვე მწვავე სიცარიელე იგრძნო და ერთბაშად მტკივნეული გაკვირვებით და უცხო, გამოუკვეთელი შიშით მიხვდა, რომ ის მიზიდულობა, რომელიც ასეთი საბედისწერო გარდაუვალობით ეწეოდა აქეთკენ, აღარსად იყო. თუ არსებობდა რამე ძალა, ეს განზიდულობის ძალა უნდა ყოფილიყო, რადგან აბელს ახლა არაფერი ისე არ უნდოდა, როგორც აქედან წასვლა.

— კარგი ქენით, რომ მოხვედით. შემოდით, შემოდით... — უთხრა სამსონმ.

ოთახში რაღაც მძაფრი სუნი იდგა. აბელს მოეჩვენა, რომ ეს სუნი ძველი იყო, მთელ ოთახში, ყველა კუთხე-კუნჭულში გამჯდარი, და გაუკვირდა, რომ პირველი სტუმრობისას არ უგრძვნია. რისი სუნი იყო, ვერ მიხვდა. თითქოს საკმელის, თითქოს რეზინის, თითქოს ოფლის. შესაძლებელია, სულ სხვა რამის. ან ყველაფრის ერთად. მალე ყნოსვა იქაურობას შეეჩვია და სუნიც გაქრა (შემდეგშიც, ყოველ მოსვლაზე, გაიღებოდა თუ არა კარი, ეს გაურკვეველი სუნი ერთბაშად დაეტაკებოდა და მერე, ცოტა ხნის შემდეგ, გაქრებოდა). სხვა მხრივ, ოთახში ყველაფერი ძველებურად იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატარა განჯინას, რომელიც კუთხეში, ტანსაცმლის საკიდის გვერდით იდგა და რომელიც პირველ მოსვლაზე არ შეუმჩნევია. განჯინას ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. ფარდაში მავთული იყო გაყრილი და აქეთ-იქით კედლზე ლუტსმნებით დამაგრებული. სარკელი ჩაკეტილი იყო. აბელი რომ შევიდა, სამსონმა კარი მიხურა და ქადაგად დაეცა. აბელს სიცარიელისა და იმედგაცრუების გრძნობა დაეუფლა და მთელი საათნახევარი ეკლებზე იჯდა. ბოლოს, როცა მასპინძელს თავი დააღწია და წვავდა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ აქეთკენ აღარასოდეს პირს არ იზამდა. მისდა გასაოცრად, ერთი კვირის შემდეგ გულმა ისევ გამოუწია. ამჯერად (და ასე ემართებოდა შემდეგ ყოველ მისვლაზე) სიცარიელისა და იმედგაცრუების გრძნობა ადრევე დაეუფლა, იმ დროს, როცა უკანასკნელი სართული ათათვა და სახურავისაკენ მიმავალ ვიწრო კიბეს შეუყვა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ის, რაც შორიდან მნიშვნელოვანი და ესოდენ მიმზიდველი ჩანდა, ახლოდან რომ შეხედავდი, ნამდვილ სახეს იღებდა, მოჩვენებით მნიშვნელობასა და მიმზიდველობას კარგავდა და მოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლის სიხარული მოსვლის სინანულით იცვლებოდა. ეს უცნაური თამაში დიდხანს გაგრძელდა. ყოველთვის, როდესაც სამსონის მორიგი ქადაგების შემდეგ დაცარიელებული და იმედგაცრუებული შინ წავიდოდა, მტკიცედ გადაწყვეტდა, არასოდეს აღარ მოსულიყო. ერთი კვირის შემდეგ ამ გადაწყვეტილებაში დაეჭვდებოდა, ორი კვირის შემდეგ მოუსვენრობა შეიპყრობდა და აფორიაქდებოდა, სამი კვირის შემდეგ ისევ მიდიოდა, რათა კვლავ მოესმინა ქადაგება და დაცარიელებული, იმედგაცრუებული და საკუთარი უნებისყოფობით გამწარებული უკან დაბრუნებულიყო მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ეს ბოლო სტუმრობა იყო... სამსონმა ყველაფერი იცოდა, ყველა საიდუმლო, რომელთა ამოხსნას კაცობრობამამ ამაოდ დაანახია ტვინი. იცოდა, რომ სამყაროს არსებობა ციკლური ბუნებისაა. თითოეული ციკლი წარმოადგენს წრეხაზს და რამდენიმე მუხლად, ანუ, როგორც თავად სამსონი უწოდებდა, რამდენიმე ცივილიზაციად იყოფა. როდესაც ციკლი იწყება, ახლად შობილი არსი, რომელიც ამავე დროს თვითშეცნების იმპულსია, სპირალური მოძრაობით ეშვება წარმოსახვითი წრის რკალზე და რეალურად ქმნის ამ წრეს. ეს არის არსის თანდათანობითი მატერიალიზაციის გზა. იგი თავდება წრეხაზის ქვედა წერტილში, სადაც მატერია გამოვლინდება მაქსიმალური სიმკვრივით. ამის შემდეგ იწყება აღმასვლა, რომლის ბოლოში არსი უბრუნდება საკუთარ თავს და ციკლიც სრულდება. დღევანდელი კაცობრიობა იმყოფება წრეხაზის უკიდურეს, ქვედა სეგმენტში, სადაც მატერიის სიმკვიდრე მაქსიმალურია, სადაც არიმანის გავლენის სფეროა, სადაც სული უკვე მთლიანადაა მატერიაში ჩაფლული, გასაქანი აღარა აქვს და მის ადგილს გონება იჭერს. გონება, თავისი პირვანდელი დანიშნულებით არის სულის იარაღი, რომლის მოვალეობაა მიზეზი და შედეგი ერთმანეთთან დააკავშიროს. აქ კი, სულის პასიურობის გამო, იარაღი ერთ-თვითონ ხდება მდგომარეობის პატონ-პატრონი, საშუალება იქცევა მიზნად, თითქოს დაღლილ მძღოლს საჭესთან ჩამოსძინებია და მანქანა უთავბოლოდ მიჰქრის, უაზროდ თელავს ყველაფერს, რაც კი გზაზე ხვდება. საბედნიეროდ, კაცობრიობა მალე ახალ ცივილიზაციაში გადავა, სული გაიღვიძებს, ნელ-ნელა გამოფხიზლდება, საჭეს ხელს მოჰკიდებს და უპატრონოდ მიტოვებულ მანქანას კვლავ თავის ნებას დაუმორჩილებს. ასევე კარგად იცოდა სამსონმა ინდივიდუალური სულის განვითარების გზა და ეტაპები. იცოდა, რომ ხორციელი სიკვდილის შემდეგ სული თითო-თითოდ გაიხდის თავის რამდენიმე სხეულს, რომლებიც სიმკვრივითა და სიმძიმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, და, შიშველი და თავისუფალი, თავის კოლეგებს შეუერთდება სულთა საუფლოში, სადაც მშვენივრად ატარებს დროს, სანამ ხელახალი განსხეულების ჟამი დაჰკრავდეს. როდესაც აღნიშნული ჟამი დაჰკრავს, სული იწყებს მიწიერი ცხოვრებისათვის მზადებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ დაკვირვებით ეძებს ისეთ სხეულს, რომელიც ამ მომავალი მიწიერი ცხოვრებისათვის გამოადგება. სულმა იცის, რა მოელის მას, როგორც ხორციელ ადამიანს, და ამის შესაბამისად ირჩევს სხეულს. ყველაფერი ეს (და არა მარტო ეს) სამსონმა იცოდა მტკიცედ, ეჭვმიუტანელად. და როცა ამაზე ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა მწყობრად, დალაგებულად, მჭევრმეტყველურად, თუმცა, ცოტა ზედმეტი გატაცებით. ეს იყო ჩინებული სისტემა, ჩამოყალიბებული, დალაგებული, კომპოზიციურად შეკული და ლოგიკურად ასხმული. მაგრამ ამ სისტემას ერთი სერიოზული ნაკლი ჰქონდა: სამსონმა არ იცოდა, რისთვის ხდებოდა ყველაფერი ეს. მიზანი არ იცოდა. თავსა და ბოლოს ვერ ხედავდა. ცხადია, არ ვიცით, არ ამ-

ბობდა. საერთოდ, არ ვიცი, არაფერზე არ ამბობდა, უბრალოდ, ეს ჩანდა მისი ნალაპარაკევის მიღმა. და თუმცა ენა არ მოგიბრუნდებოდათ, ამ მშვენიერი, გამართული თეორიისათვის ტყუილი გეწოდებინათ, აბელს მაინც რჩებოდა ტყუილის შთაბეჭდილება და ბუნდოვანი სევდა ეუფლებოდა. ცუდი ის იყო, რომ გამოეთხოვებოდა თუ არა სამსონს და დაეშვებოდა თუ არა ვიწრო, ხვეულ კიბეზე, ეს განწყობილება ნელნელა ქრებოდა, როგორც სუნი, ან როგორც მიზიდულობის ძალა, და მალე ისევ მოუნდებოდა სამსონთან საუბარი, თუმცა კარგად იცოდა, რომ ის თავის მოტყუების მაგვარი განწყობილება ისევ იქ დახვდებოდა (აბელს ამ სფეროში ცოტა რამ წაკითხული ჰქონდა და თუ დაბეჯითებით არა, ბუნდოვნად მაინც *იცოდა, რომ სამსონის მოძღვრებაში* საკუთრივ სამსონის არაფერი იყო, მაგრამ როდესაც გედეონ რივიის მდიდარი ბიბლიოთეკის წყალობით ეს სისტემები ახლოს გაიცნო, თავისდა გასაოცრად, აღმოაჩინა, რომ ეს უცნაური განწყობილებაც კი, იმედგაცრუებისა და მიზიდულობის ეს გარდაუვალი მონაცვლეობაც, რასაც, მისი ღრმა რწმენით, სამსონის პიროვნება იწვევდა, თურმე სისტემის თვისებიდან მომდინარეობდა).

სამსონის მოძღვრებას რომ თავ-ბოლო არ ჰქონდა, ეს არ იყო მთავარი. ბოლოს და ბოლოს, ყოველგვარი მოძღვრება წრეხაზსა ჰგავს, სადაც ნებისმიერი წერტილი წინა წერტილის გაგრძელება და მომდევნო წერტილის დასაწყისია და არ არსებობს არც ერთი ისეთი წერტილი, რომ მხოლოდ მომდევნო წერტილის დასაწყისი იყოს და თვითონ დასაწყისი არ ჰქონდეს. ასეთ ვითარებაში ყოველგვარ მოძღვრებას, თუკი მას შინაგანი ლოგიკა ახლავს, არსებობის თანაბარი უფლება აქვს. მთავარი სხვა იყო. ჯერ ერთი, როგორღაც თავისთავად ბადებდა ეჭვს ის გარემოება, რომ სამსონმა ყველაფერი იცოდა. ყველაფრის ცოდნის წინაშე აბელს გაუცნობიერებელი შიში ჰქონდა, ბუნდოვანი გრძნობით გრძნობდა, რომ ყველაფერის ცოდნა ყველაფრის დასასრულს ნიშნავს. ამიტომ ეჭვი ჩნდებოდა უნებურად, როგორც თავდაცვის ინსტინქტი. გარდა ამისა, სამსონს შეკამათება აღიზიანებდა. მართალია, მათი ურთიერთობის დასაწყისშივე უთხრა, ის ჭეშმარიტება, რომელიც მე დიდი წვითა და დაგვით მოვიპოვე, შენისთანა უბირი კაცისათვის შეიძლება უცხო იყოს, ამიტომ ნუ მოგერიდება, თუ რამე გაუგებარი მოგეჩვენოს, მკითხე, თუ რამე დაუჯერებელი მოგეჩვენოს, შემედავეო, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ამ განცხადებიდან მხოლოდ პირველი ნაწილი — „მკითხე" იყო გულწრფელად ნათქვამი, „შემედავე" კი ლიტონი სიტყვა გამოდგა. შეკითხვაზე მართლა იძლეოდა *პასუხს, შეკითხვა ახარებდა კიდეც.* კამათს ვერ იტანდა და ამაოდ ცდილობდა გაღიზიანება დაემალა. აბელმა სულ მალე იწვნია ეს გაღიზიანება, რადგან შეკითხვებს თავიდანვე კამათი ამჯობინა. პირველი (და ფაქტიურად ერთადერთი) კამათი გაიმართა სულის ხელახალი განსხეულების თაობაზე. როდესაც აბელი განსხეულების ტექნოლოგიას გაეცნო და დაადგინა, რომ სამსონის მოძღვრების მიხედვით, შვილს მხოლოდ ფიზიკური, სხეულებრივი კავშირი აქვს მშობლებთან, სული კი ამ კავშირის გარეშეა, არ დაიჯერა ეს ამბავი და გულდადობით წამოიწყო დინჯი, გეგმაზომიერი კამათი. თუ ეს ყველაფერი მართლა ასეა, საიდან გაჩნდა მემკვიდრეობითობა? რატომ გადაეცემა ბავშვს მამის მუსიკალური სმენა, რომელიც თანდაყოლილია, და არ გადაეცემა, ვთქვათ, ინგლისური ენის ცოდნა, რომელიც შეძენილია? საიდან მოდის სულიერ თვისებათა მემკვიდრეობითობა? სამსონმა სცადა ეს ფაქტი იგსნა იმით, რომ სული ფიზიკური სხეულის არჩევისას ზრუნავს არა მხოლოდ თავის მომავალ სხეულზე, არამედ იმაზეც, რომ მშობლებთან ერთგვარი სულიერი ნათესაობა იქონიოს. კამათი რომ გახურდა და

ასეთი ახსნა საკმარისი არ გამოდგა, სამსონმა თანდათან გაღიზიანება დაიწყო, შეიძლება ამის გამო აზრის ძაფებიც დაებნა, ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნის შემდეგ თქვა, სული აბსოლუტურია და თვისებები საერთოდ არა აქვსო. მაშინ აბელმა მოითხოვა, თუ ასეა, ამიხსენი, ან სვედა რისი თვისებაა, ან სიყვარული, ან ხელოვნების გრძნობაო. სამსონი იძულებული გახდა, ყველაფერი რაღაც ფიზიოლოგიურ ცვლილებებამდე დაეყვანა, ისე რომ ვერც გრძნობდა, როგორ მიექანებოდა სულ სხვა მხარეს. აბელმა უთხრა, თუკი ფიზიოლოგიით შეიძლება ყოველგვარი სულიერი მდგომარეობის ახსნა, მაშინ ვილაპარაკოთ ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე, სული რაღაში გვჭირდება, ავდგეთ და საერთოდ გამოვრიცხოთ მისი არსებობაო. საბოლოოდ სამსონის გაღიზიანებამ ზღვარს მიაღწია და წონასწორობიდან გამოსულმა კამათი ასე დაამთავრა:

— ვერ გავიგე, რას მეკამათები! მე ყველაფერი ეს ჭეშმარიტების წიგნში მაქვს წაკითხული.

ამის შემდეგ კამათს, ცხადია, აზრი აღარ ჰქონდა. რაღაა სადავო, თუ კაცს ყველაფერი ჭეშმარიტების წიგნში აქვს წაკითხული! შესაძლებელია, ამ წიგნში ყველა წვრილმანი არ იყოს ახსნილი, ამიტომ ზოგი რამ ვერ გაიგო და საეჭვო მოგეჩვენოს, მაგრამ ეს ეჭვი წამსვე გაქრება, როგორც კი გაიხსენებ, რომ ეს წიგნი ჭეშმარიტების წიგნია. თუ რამე გაუგებარია, ეს მხოლოდ და მხოლოდ შენი მოუმზადებლობის ბრალია. სამსონს შემდგომშიც არა ერთხელ მოუშველიებია ეს უტყუარი არგუმენტი. ხან ამბობდა, ჭეშმარიტების წიგნში მაქვს წაკითხული, ხანაც — იქა მაქვს წაკითხული. როცა ამბობდა, ჭეშმარიტების წიგნშიო, მარჯვენა ხელს საჩვენებელ თითს მოსაუბრეს მიაშვერდა, როცა ამბობდა, იქო, იმავე თითს მაღლა ასწევდა. სამსონი თანამოსაუბრისაგან კამათს კი არა, დასტურს მოითხოვდა. კამათს ეშინოდა. როგორც ჩანს, გულის სიღრმეში თვითონვე არ სჯერდა ბოლომდე საკუთარი თავის ბუნდოვნად გრძნობდა, რომ მის მართლაცდა წვითა და დაგვით აგებულ შენობას მთლად მტკიცე ბალავარი არ ჰქონდა. იმ გაკვეთილის შემდეგ აბელი აღარასოდეს არ შეკამათებია. არც ეკამათებოდა და არც კვერს უკრავდა. ასეთი ურთიერთობა ორივეს აძლევდა ხელს. აბელს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სამსონისა და მისი ქადაგების მიღმა რაღაცას აკვირდებოდა, სამსონი კი ოფიციალურ დასტურს დიდად არ დაგიდევდათ; რაკი მოსაუბრე წყნარად უსმენდა, მისთვის ეს უკვე ნიშნავდა დასტურს. თუ ორჭოფობას შეამჩნევდა, ან მომჩვენებოდა, რომ შეამჩნია, მაშინვე გაღიზიანებას იწყებდა და ზოგჯერ, ჯიბრიანი ბავშვივით, რომელიც არგუმენტად უფროს ძმას იშველიებს, ისეთი სფეროებიდან მოჰქონდა თავისი ნათქვამის დამამტკიცებელი საბუთები, ამ ნათქვამთან რომ არაფერი კავშირი არ ჰქონდა. როცა უსმენდა, აბელს ყველაფერი მტკნარ სიცრუედ მიეჩნდა, როცა დაშორდებოდა, საიდანღაც ჩნდებოდა უცნაური ეჭვი, რომ სამსონის ნალაპარაკევში, სამსონის აზროვნებაში, სამსონის მთელ ცხოვრებაში იყო სიმართლის მარცვალი, რომელზედაც, შესაძლებელია, თვითონ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა. რამდენჯერმე სამსონმა თავისი რაღაც „ზებუნებრივი ძალა“ ახსენა. ამ ძალას ისე, გაკვრით ახსენებდა ხოლმე და საუბარს მაშინვე სხვა საგანზე გადაიტანდა. მაგრამ აბელმა რომ თავისი ეჭვი აგრძნობინა, გადაწყვიტა ამ ზებუნებრივი ძალის პატარა ნაწილი ეჩვენებია. და მართლაც აჩვენა. ერთ მშვენიერ დღეს თავის ტახტზე გაიშოტა, მარცხენა ხელის მაჯა აბელს შეაჩეჩა და პულსი გაიჩერა. მფეთქავი ძარღვი სამსონის მაჯაზე გაჩუმდა და მთელი ერთი წუთის განმავლობაში არ შერხეულა. აბელი სახტად დარჩა. სამსონმა მისი სახტად დარ-

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ჩენით დიდად გაიხარა და შესაძლებლად მიიჩნია ეთქვა, რომ ეს არაფერია, ეს სულ უბრალო ექსპერიმენტია, სინამდვილეში მას გაცილებით მეტი შეუძლია, მას შეუძლია საერთოდ მოკვდეს, ესე იგი, სხეულიდან გავიდეს და თავის ნებაზე ინავარდოს. მერე ამაყად დაუშატა, ძალიან ხშირად ვიქცევი ასე, რაც კი საიდუმლო ცოდნა მაქვს, სულ ამ გზითაა მოპოვებული.

სამსონთან ვიზიტების ამბავს აბელი გედეონ რევიას არ უმხელდა. რატომ არ უმხელდა, არ იცოდა. ცდილობდა არც ეფიქრა ამაზე, თითქოს გაუცნობიერებელი შიში ჰქონდა იმისა, რომ ამაზე ფიქრი, ამის გამოკვლევა და დადგენა რაღაც უცნობ და უსიამოო სიმართლეზე წამოაკვრევინებდა ფეხს. თუ გამოუკვლევლად ვილაპარაკებთ, დროდადრო ისეთი გრძნობა უჩნდებოდა, სპორტსმენი რომ მწვრთნელის მალულად სიგარეტს ეწევა.

სხვა მხრივ აბელის ცხოვრება მიდიოდა მშვიდად და, როგორც ჩანს, კარგადაც. უხვად სარგებლობდა გედეონის ბიბლიოთეკით, კითხულობდა ბევრს, კითხულობდა დაკვირვებით, ცდილობდა ბოლომდე გარკვეულიყო ყველაფერში, რასაც კი წაიკითხავდა.

ცხოვრება რაღაც ნიშნის მიხედვით იყო დაყოფილი და დამოუკიდებელ შრეებად დანაწილებული. როდესაც თავის ნაუკლებარ სახლში განმარტოებული ნაშუაღამევს წიგნს მიუჯდებოდა, ეს ერთი შრე იყო. როდესაც გედეონ რევიას ესტუმრებოდა, სავარძელში იჯდა ძმის მაგიდასთან, ყავას შეექცეოდა და მასპინძელს ესაუბრებოდა, ეს სულ სხვა შრე იყო. კიდევ სხვა შრე იყო გაჩახჩახებული სცენა, სადაც სხვისი სახით გადიოდა, სხვისი ცხოვრებით ცხოვრობდა და სხვისი სიტყვებით ელაპარაკებოდა სიბნელეში გატრუნულ დარბაზს. სხვა იყო ლუდხანაში გაშლილი სუფრა, სხვა იყო ყოველდღიური ცხოვრება თეატრში, სხვა იყო სტუმრად ყოფნა გორდაძეებთან, სხვა იყო მერისთან ხანმოკლე, ოღონდ გაუგებარი ხელოვნურობით ხელოვნური საუბარი. მაგრამ ყველა ამ შრეს ჰქონდა ერთი ლავი ძაფი, რომელიც ყოველივეს ჰკრავდა, აკავშირებდა, ერთ ცხოვრებად ამოლიანებდა.

ახალი წლიდან არიოსტო ხოფერია კულტურის სახლის დირექტორად გადაიყვანეს. აბელს ეშვი არ ეპარებოდა, რომ ეს მთავარი რეჟისორის ინტრიგა იყო და თავს დამნაშავედ გრძნობდა, რადგან ამ ინტრიგას თვითონ გაუჩინა თუ მიზეზი არა, საბაბი მაინც. ერთი პირობა გადაწყვიტა, ყველა ღონე ეხმარა და რომან ადეიშვილის ჩანაფიქრი ჩაეშალა, მაგრამ მალე სიბრაზემ გაუარა. როგორც გამოირკვა, თავად არიოსტო მშვიდად და გულგრილად შეხვედრია ამ ამბავს. აბელი ატყობდა, რომ ამ სიმშვიდის უკან შეკავებული ბოღმა იმალებოდა, მაგრამ შეტყობა რას ქმარა, კაცი თუ თვითონ არ გამოგიტყდა. არიოსტო კი არ გამოუტყდა. ძალიან კარგიაო, მიუგო, როცა აბელმა სამძიმრის კილოთი ჰკითხა, მართალია, რომ კულტურის სახლში გიპირებენ გადაყვანასო, ჩემი თავის ბატონ-პატრონი მეგე ვიქნები და ყველა სულელის დაკრულზე არ მომიხდება ცეკვაო. ამის შემდეგ აბელმა განზრახვაზე ხელი აიღო, მაგრამ გულის მოსაოხებლად რომან ადეიშვილს მაინც უთხრა, ასე გეშინია არიოსტო ხოფერიასი, რომ თავიდან იშორებო? რომან ადეიშვილმა ზანტად შეხედა, ტუჩის კუთხეები ოდნავ დაუშვა და დამრიგებლური კილოთი უპასუხა:

— ჯერ ერთი, მე არავისი მეშინია, მით უმეტეს, არიოსტო ხოფერიასი. მეორეც, მე კი არ ვიშორებ, თვითონ მშორდება, და მესამეც, უკეთესი იქნება ყველამ ჩვენ-ჩვენ საქმეს მივხედოთ.

რომან ადეიშვილი ცამდე მართალი იყო და აბელი გაჩუმდა.

თხუთმეტ იანვარს გორდაძეებს ტყუპი ქალი შეეძინათ. ამის აღსანიშნავად ოცდახუთ იანვარს დიდი ლხინი გადაიხადეს. აბელმა პირველად სწორედ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ ნახა დათიკო ბარაბაძე. იგი მაღალი კაცი აღმოჩნდა, გამხდარი, დიდი, დაძარღვული ხელებით, მაღალი შუბლით და შეჯაღარავებული თმით, რომელიც შუბლს ზემოთ გვარიანად გასცვნოდა, გრძელი სახით, ბავშვური, თითქოს მიამტური ღიმილითა და გულღია იერით, პატარა, ოთხკუთხედი, მოკლედ შეკრეჭილი ულვაშებით. ულვაშები იმდენად პატარა იყო და იმდენად მოკლედ შეკრეჭილი, რომ მის დატოვებას ალბათ არც კი ჰქონდა აზრი. მარცხენა თვალი ოდნავ, სულ ოდნავ გაუბრდა განზე, მაგრამ ეს თითქმის შეუმჩნეველი სილმე მაინც საკმარისი იყო საიმისოდ, რომ, როცა გიყურებდათ, დაბეჯითებით ვერ გეთქვათ, მართლა თქვენ გიყურებდათ თუ სხვა ვინმეს. ხმა ღრმა ჰქონდა, ბოხი და სასიამოვნო. მერის დედა მსუქანი ქალი იყო, პირმრგვალი, და გულკეთილი გამოხედვა ჰქონდა. წვეულებაზე ქალბატონი სალომეც მოვიდა, ვიქტორ საყვარელიძის მოხმობლავი მეუღლე, ტანკენარი, ყელმოღერებული. თავად ვიქტორს, როგორც ყოველთვის, თათბირი ჰქონდა. და იმ რამდენიმე ტანჯული გარდა, ვინც ამ უდროო თათბირს უნდა დასწრებოდა, ქალაქის მთელი ელიტა აქ იყო. მათ შორის გარაყანიძეც, წარმოსადეგი და თავდაჯერებული კაცი, რომელსაც არანორმალურად მაღალი ხმა ჰქონდა. მთელი საღამო, სუფრაზე დასხდომამდე და სუფრაზე დასხდომის შემდეგაც, იგი გაუთავებლად და ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა პოლიტიკაზე, აშკარა იყო, ამაში დიდ სიამოვნებას პოულობდა. ხან თითო კაცს დაიმარტოხელებდა, ხან მთელ ჯგუფს მიიმწყვდევდა კუთხეში და დაიწყებდა: „ახლა ისეთი პოლიტიკური ვითარებაა...“ თან ვერ იტანდა, ვინმე თუ არ უსმენდა. როგორც კი ლექციის დროს რომელიმე მსმენელი კერძო საუბარს დააპირებდა, მწყრალად შეხედავდა და მოუთმენელი კილოთი ტუქსავდა, ამას თქვენთვის ვყვები, თორემ მე რა ხანია ვიცი. ვერც აბელი გადაურჩა მის მჭევრმეტყველებას. როცა ისინი ერთმანეთს წარუდგინეს, გარაყანიძემ მოუყალე ღიმილით გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და წამსვე გადავიდა პოლიტიკურ ვითარებაზე. აბელმა ერთხანს უსმინა, მერე სამსონი მოაგონდა, მასზე დაიწყო ფიქრი და გარაყანიძეს მექანიკურად უქნია თავი, სანამ დრო არ იხელთა, როცა რედაქტორი ახალ მსმენელებს უხმობდა, და არ გაეპარა. სტუმრები რომ სუფრასთან მიიწვიეს, მერიმ ნებიერი ბავშვის ჭირვეული კილოთი მოითხოვა, აბელის გვერდით უნდა დავჯდეო. ამ მიზნის მიღწევა ჭირვეულობის გარეშეც იოლად შეიძლებოდა, თუმცა აბელს მისი ჭირვეულობა არ გაჭკვირვებია. ოღონდ ეს იყო, რომ, რაკი ამას მერის მშობლებიც ისმენდნენ, თავი ცოტა კალპოტიდან ამოვარდნილად იგრძნო და, როცა ღიმილით მიიპატიჟა და უთხრა, შენ რომ არ დაგესწრო, ამას მე მოვითხოვდიო, შეატყო, რომ მიუხედავად ღიმილისა და კილოს სიმსუბუქისა, თავაზიან შეპატიჟებაში ცოტა ნაძალადეობამ გამოჟონა. დედამისმა მერის უეცარ გამოხდომაზე წყნარად და სიყვარულით გაიცინა, მამამისს კი ან არ გაუგონია შვილის ნათქვამი, ან არ შეიმჩნია, რომ გაიგონა.

— აბა, შენ იცი, როგორ კავალრობას გამიწევ! — შემოსცინა მერიმ, როგორც კი სურვილი აისრულა და მის გვერდით დაჯდა.

— ცდას არ დავაკლებ, მაგრამ, თუ გამოუცდელობით რამე შემეშალა, დიდსულოვნად უნდა მაპატიო.

— წინასწარ პირობას ნუ მიდებ. ხომ იცი, კაპასი ვარ. შეიძლება ყველაფერი გაპატიო, შეიძლება არაფერი არ გაპატიო.

მერისთან შეხუმრებული საუბარი, თუნდაც მსუბუქი არშიყობა, სხვა შემთხვევაში ჩვეულებრივი რამ იქნებოდა და აბელი ამას არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდა. ახლა კი, მერის მშობ-

ლები რომ სწორედ მათ პირდაპირ ისხდნენ და ალბათ ყველაფერი ესმოდათ, ურთიერთობას ცოტა ხელოვნურობისა და სიმძიმის ელფერი დაჰკრავდა. დედა დროდადრო ღიმილით გადმოხედავდა შვილს და ზოგჯერ მზერას აბელზეც შეაჩერებდა. მამა კი სუფრის საერთო დინებაში იყო ჩართული, საუბრობდა, იცინოდა, სვამდა და მერისა და აბელს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

მარტის ბოლოს ვანო როსტიაშვილი ოთხზე დადგა და ლუდხანის შესასვლელიდან სასტუმროს კუთხემდე ასე იარა. ამ მნიშვნელოვან ამბავს წინ მოსამზადებელი საქმიანობა უძღოდა. კერძოდ, ერთი-ორი კვირით ადრე ვანომ ჰალსტუხი მოიხსნა, ჭუჭყიანი პერანგითა და დაჰშუქნილი კოსტიუმით მოეკლინა ქალაქს და რესტორნებში და სასადილოებში „ნაცნობებს“ დაუწყო ძებნა. ბოლოს და ბოლოს კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ოთხზე დადგა.

აბელი ამ ამბავს შემთხვევით შეესწრო.

ერთი ისეთი უსიამოვნო დღე იდგა, მარტის თვეში რომ იცის ხოლმე ჩვენში. სუსხიანი, ჯერ კიდევ გამოუზამთრებელი ქარი ქროდა, მზე ხან ღრუბლებს მიეფარებოდა, ხან ისევ გამოანათებდა და ამას ისეთი სისწრაფით სჩადიოდა, რომ სითბოს მონატრებულ ყოველ სულიერს გულის კოვზთან უამურად ეღიტინებდა და ნერვებს უშლიდა. გედეონ რევია და აბელი რეპეტიციიდან მოდიოდნენ. ნაშუადღევი იყო. ცენტრალურ მოედანზე რომ გამოვიდნენ, ლუდხანის კართან შორიდანვე შენიშნეს ბლომად ხალხი. როგორც შემდეგ გამოირკვა, ესენი უმთავრესად ლუდხანის სტუმრები იყვნენ, რომელთაც დროებით შეეწყვიტათ სმა-ჭამა, სუფრები მიეტოვებიათ და სეირის საყურებლად გამოფენილიყვნენ. მათ შემთხვევითი გამვლელებიც შეერთებოდნენ. ქუჩის პირას რამდენიმე მანქანაც გაჩერებულიყო, მძღოლებს თავები გამოეყოთ სარკმლიდან, კმაყოფილებით იღიმებოდნენ და დროდადრო საზეიმო სიგნალებსაც იძლეოდნენ. მოსეირეთა წინ, ტროტუარის შუაში, ოთხზე იდგა ვანო როსტიაშვილი და, მუხლებსა და ხელისგულებს დაყრდნობილი, თავჩაღუნული, ნელა, ხვნეშით მოფორთხავდა. გაფარჩხულ ხელისგულებს სათითაოდ ასწევდა მაღლა და მერე ხმაურით უტყაპუნებდა ტროტუარს, მუხლებს კი, თითქოს უკანა კიდურები წართმეული აქვსო, მიწას არ აცილებდა და დამბლადაცემულივით მიათრევდა.

აბელი ვერ მიხვდა, რამ უფრო შეზარა, ვანო როსტიაშვილის სამარცხვინო მდგომარეობამ თუ მოსეირეთა აღტაცებულმა სახეებმა. სწრაფად დაწინაურდა, სირბილით მიუახლოვდა ვანოს, წინ გადაუდგა, დაიხარა და ბეჭზე ფრთხილად დაადო ხელი. კუ რომ მოულოდნელ შეხებაზე შეკრთება და თავფეხს ბაკანში შემალავს, ასე შეკრთა ვანო როსტიაშვილი. შეკრთა, შეიკუმშა და გაშეშდა. თავი არ აუღია.

— ადექი, ვანო, რას შვრები! — წყნარად უთხრა აბელმა.

ვანომ რაღაც დაუნაწევრებლად წაილუღლუღა. განძრევით არ განძრეულა. მაშინ აბელმა ორივე ხელი იღლიებში ამოსდო, ასწია და შეეცადა ფეხზე დაეყენებინა. ვანოს დადგომა არც უფიქრია. მოწყვეტილი სხეულის მთელი სიმძიმით დაეკიდა აბელს ხელებზე. ფეხები უსიცოცხლოდ აითრია ტროტუარზე. აბელმა უფრო ღონივრად მოსწია და გამართა. ვანოს ფეხები ეკეცებოდა და ისევ ისე მთლიანად აბელზე იყო დანდობილი.

— დადექი ფეხზე, ნუ გეშინია, — უთხრა აბელმა. მერე დაუმატა: — აბა, შემომხედე. ხომ მიცნობ?

ვანომ ამღვრეული, უტყვი თვალები უზიზრად მიაპყრო, ერთხანს გაუგებრად ილუღლუღა, ბოლოს, რის ვაივაგლახით თქვა:

— გიცნობ... აბელი ხარ, მე შენი... — და შეაგინა.

ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ აბელმა წამით ხელიც კი შეუშვა. კიდევ

კარგი, მყისვე მოეგო გონს და ისევ მიეშველა, თორემ საწყალი ვანო ტომარასავით დაებერტყებოდა ძირს.

— წამო, სახლში წავიდეთ. მხარზე გადამხვიე ხელი, — აბელმა ვანოს მარცხენა ხელი კისერზე გადაიდო.

ვანომ ისევ შეაგინა. შეაგინა წყნარად, უბოროტოდ, ისეთი კილოთი, თითქოს რაღაც ამბავს უყვებოდა.

აბელმა მშველელის იმედით მიმოიხედა. ლუდხანის წინ შეკუჭულ მაყურებლებს ახლა მკაცრი, მწყრალი სახეები ჰქონდათ. აბელმა მათ თვალი აარიდა და გედეონს მიხედა. გედეონი ნელა მოსცირნობდა და ჩვეული, თან გულკეთილი, თან ეშმაკური ღიმილით იღიმებოდა.

— მე შენი წესიერი დედა... — კიდევ ერთხელ შეაგინა ვანომ.

მაშინ აბელმა იგი ფრთხილად დაუშვა ძირს და გამოეცალა. ვანომ ცოტა შეიცადა, მერე ძველებურად მოეწყო, მუხლებსა და ხელისგულებს დაეყრდნო და გზა განაგრძო. აბელმა შუბლზე სახელოთი მოიწმინდა ოფლი და გედეონს დაელოდა. ნაწყენი მოსეირეები ისევ გამხიარულდნენ, ისევ გაუნათდათ სახეები. უფრო მეტიც, რაკი აბელმა საწადელს ვერ მიაღწია და სანახაობა ვერ ჩაშალა, მათთვის ახლა აბელიც ამ სანახაობის შემადგენელ ნაწილად იქცა და, როცა გედეონთან ერთად მათ გვერდით ჩაიარა, მასაც ღიმილით გააყოლეს თვალი.

— ჩვენ ალბათ ის კი არა ვართ, — დაფიქრებით თქვა გედეონმა, ხელჯოხი ასწია და მხარზემოთ, უკან გაიშვირა. — ვინც ოთხზე დგას და ხვნეშით მიფორთხავს, უფრო ისა ვართ, ვინც ამ სანახაობით თავს იქცევს.

აბელი გაგულისებული იყო. ვანო როსტიაშვილზე, მოსეირეთა ბრბოზე, საკუთარ თავზე.

— ვინც ამ სამარცხვინო საქმეში ჩაერევა და საწყალი კაცის შველას დაიპირებს? — ეცადა გაბრაზება დაემალა, მაგრამ ბოლომდე ვერ დამალა.

გედეონმა ცერად გამოხედა. ეშმაკური ღიმილი მბხოლოდ თვალებში ედგა.

— „სამარცხვინო“ და „საწყალი“ თქვენს სინდისზე იყოს. ისე კი, ვინც ჩაერევა, კაცმა არ იცის, ისიც ჩვენა ვართ თუ არა. ერთი რამ, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის აშკარაა: ასეთი ჩარევა არა მარტო უაზრობაა, უტაქტობაცაა.

— მაშ იაროს ოთხზე ვანო როსტიაშვილმა და იხორხოცოს სეირის საყურებლად შეკრებილმა ბრბომ?

— ნუ ცხარობთ, აბელ! — გედეონმა ხელჯოხი ასწია და კეფა მოიქექა. — სეირის საყურებლად შეკრებილ ბრბოს ეს სანახაობა სისხლისეს მატებს, ენერგიას, შრომისუნარიანობასაც კი მატებს. თქვენი განწირული, მე ვიტყოდი, ცოტა კომიკური, ჩარევა რომ წარმატებით დაგვირგვინებულიყო და ეს მშვენიერი კონცერტი ჩაგეშალათ, იმ ხალხს სიხალისე და ენერგია მომატების მაგივრ მოაკლდებოდა. ცოდონი არ არიან? რას ერჩით? რატომ უნდა შეეწიროს ასეთი სანახაობა თქვენი უადგილო პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას?

— თქვენ გგონიათ, ეს პატივმოყვარეობამ გამაკეთებინა? — აბელმა გულწრფელი გაკვირვებით შეხედა მოხუცს. მერე კილოში ირონია შეურია: — თუმცა კაცთმოყვარეობას თქვენ ალბათ არა ცნობთ.

— ყველა რომ ზნემაღალი იყოს, აბელ, არავინ ლოთობდეს, ქუჩაში არავინ არწყევდეს, არავინ ქურდობდეს, არავინ ცრუობდეს, სიგარეტსაც კი არავინ ეწეოდეს და უკლებლივ ყველანი ზნეობისა და თავაზიანობის განსახიერებად ვიქცეთ, ხომ დაგვიდგა სამოთხე და ხომ მოკვდა ქალაქი მოწყენილობისაგან.

— და ამიტომ ტაშით შევეგებოთ ასეთ სისაძაგლეს!

— სისაძაგლე პირობითი ცნებაა. ჩვენ რომ სიცოცხლის მიზანი ვიცოდეთ, მაშინ ამ მიზანს ავიღებდით ამოსავალ წარტილად და იოლად მოვახერხებდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკეთისა და ბოროტების განსაზღვრას. მაგრამ ჩვენ მიზანი არ ვიცით და ამატომ მოვლენებს საკუთარი ცხოვრების წესის მიხედვით ვაჯგუფებთ. თავისი ცხოვრების წესი ყველას კარგი ჰგონია და საზიზღადაც მას იყენებს. ეს უსამართლობაა, აბელ.

— მაშინ საზოგადოება რაღაა, თუ ყოველ კაცს თავისი წესი და კანონი აქვს.

— საზოგადოება არაფერი არაა. არსებობს სახელმწიფო, რომელიც ხელოვნური ცნებაა, და არსებობს ერი, რომელიც ბუნებრივი ცნებაა. კანონი სახელმწიფოსა აქვს, მაგრამ ხელოვნურ ცნებებზე ლაპარაკი არ ღირს. რაც შეეხება ერს, ერი პიროვნებათა ჯამია და ამიტომ თავადაც პიროვნებაა. მხოლოდ მასშტაბით განსხვავდება შემადგენელი ნაწილებისაგან.

— მხოლოდ მასშტაბით? — აბელი ჯერ კიდევ გაგულისებული იყო, — ამას წინათ ახალგაზრდა ბიჭებმა მცემეს. ბევრნი იყვნენ, რვა თუ ათი. ცალ-ცალკე, ვიცი, მხდალები არიან, გულდედლები, კურდღლები. ერთად რომ შეიყარნენ, ისეთი თვისებები გამოაჩინეს, რაც შემადგენელ ნაწილებს არ ჰქონდათ: მამაცები გახდნენ, ყოჩაღები, კურდღლებს უეცრად მგლების ფსიქიკა გაუჩნდათ და სისხლის დანახვაზე ლამის ყმუილი ატეხეს. სახლი აგურისგან შენდება, ცემენტისგან და გაჯისგან, მაგრამ არც აგურია, არც ცემენტი და არც გაჯი.

გედეონი ღიმილით უსმენდა და თავს უქნევდა. მერე კი, აბელმა რომ ლაპარაკი მოათავა, თქვა:

— შედარება, აბელ, ყოველთვის არ ნიშნავს დასაბუთებას. იმიტომ რომ შედარება მხატვრული მოვლენაა, დასაბუთება კი — მეცნიერული. ჯამი არ არის შესაკრებელთა უბრალო თავმოყრა, მაგრამ შესაკრებელთა მთავარ თვისებებს ყოველთვის ინარჩუნებს. მე არ მჯერა, თითქოს თქვენი კურდღლები მგლებად იქცნენ. ჯამი ასეთ სასწაულებს ვერ მოახდენს. საქმე სიმამაცეში და სიმხდალე კი არაა, არამედ ბუნებაში, რომელიც არ შეცვლილა. ის თქვენი გამლახველები ცალ-ცალკეც მამაცები იქნებიან, თუ მოწინააღმდეგედ პატარა ბავშვი ეყოლებათ, და ერთადაც მხდალები იქნებიან, თუ მოწინააღმდეგედ ერთი აბელი კი არა, ათი აბელი გამოუჩნდებათ. სახლი ყველგან აგურით შენდება, მაგრამ ერი თვისებაა და არა არსი. სახლი სახლისაგან განსხვავდება იმიტომ, რომ აგური განსხვავდება აგურისაგან. ერი არის არა სახლი, არამედ აგურის სიმტკიცე, ცემენტის ხარისხი, კედლის სისწორე, ბალავრის სიმკვიდრე, ჩუქურთმები. ერი შემოქმედებაა. ჩვენებურ სახლს ჩვენებური აგურის თვისება აქვს. ჩვენებური აგური ვანო როსტიაშვილი და კაკო ორჯონიკიძეა.

— სხვა არავინ?

— როგორ არა. კონტრასტი ყველგანაა, ჩვენში, უბრალოდ, უკიდურესად მძაფრი სახით იჩინა თავი. კონტრასტებს ადგილის მიჩენა უნდა. ჩვენ კი ყველაფერი ერთად დავახვავეთ. ჩვენ რუსთაველი იმისთვის გვინდა, რომ ვიამაყოთ. წაკითხვით არ გკითხულობთ. წაკითხვით პოპულარულ ლაზლანდარებს ვკითხულობთ, რომლებიც საცრემლე ჯირკვლებს გვიღიზიანებენ, რათა თავი ჰუმანიზმისათვის წამებულად მოგვაჩვენონ. ჩვენ ყაჩაღებსა და წმინდანებს საერთო კვარცხლბეკზე ვუდგამთ ძეგლს, თევდორეები და ყორღანაშვილები ერთ სამძო საფლავში გვიწვანან. ამიტომ ჩვენი სახლი მყიფეა. ჩვენს ჩამსხვრეულ ფანჯრებში ქარი გადი-გამოდის.

— მით უფრო არა ვართ მოვალენი, ვანო როსტიაშვილი ფეხზე წამოვაყენოთ, მყიფე აგური კარგად გამოვწვათ და მტკიცე აგურად ვაქციოთ?

აქ გედეონ რევიამ ცოტა მკაცრი სახე მიიღო.

— იქნებ ჯერ გამოწვა გვესწავლა და მერე გამოგვეწვა... იქნებ ჯერ ჩვენთვის გაგვერკვია, რას ვუპირებთ ამ საწყალ ვანო როსტიაშვილს. რა გვ

და? ის, რომ ვანო როსტიაშვილი ოთხზე არ დადგეს, თუ ის, რომ არავინ დაინახოს, ვანო როსტიაშვილი რომ ოთხზე დადგება? თუ ჩვენ ის ხალხი არა ვართ, ვინც თავის ნაკლს უფრო თავგამოდებით იცავს, ვიდრე თავის ღირსებას? — აბელმა მხრები აიჩეჩა და რაღაცის თქმა დაიპირა, მაგრამ გედეონმა ხელის ენერგიული მოძრაობით შეაჩერა. — ნუ აჩქარდებით, აბელ. სანამ ცილისმწამებლობას დამაბრალებთ, ერთ კითხვაზე მიპასუხეთ. ოღონდ გულწრფელად. მე ეჭვი არ მეპარება, რომ გული გეტკინათ, როდესაც ვანო როსტიაშვილი, თქვენი თანამემამულე, თქვენი ძმა, თქვენი სისხლი და ხორცი, ასეთ დღეში დაინახეთ. მაგრამ მითხარით, განა უფრო არ გეტკინებოდათ გული, ამ ამბავს რომ ინგლისიდან ჩამოსული ტურისტების ჯგუფი შესწრებოდა? განა უფრო მწარედ არ განიცდიდით? მიპასუხეთ. — და როცა აბელმა ნელა, ფიქრიანად დაუქნია თავი, გედეონი ისევ შეჩერდა, წამით თვალები დახუჭა, მერე კილო ერთბაშად შეცვალა და ხმადაბლა გაანგრძო: — ეს არის, აბელ, ჩვენი პროვინციალობა, ეს არის გადაბრუნებული ფსიქიკა, ეს არის ყირაზე დამდგარი ზნეობა. თორემ მკვლელობა და ქურდობა ყველგან ხდება. რა უფლება გვაქვს ვანო როსტიაშვილს ჭკუა დავარიგოთ, როცა ჩვენ თვითონ ვანო როსტიაშვილები ვართ!

ამის შემდეგ, სანამ გედეონის სახლს არ მიაღწიეს, არც ერთს ხმა აღარ ამოუღია. გედეონი ჯოხის ბაკუნით მიდიოდა და სადღაც, შორს იცქირებოდა. აბელს შუბლი უხურდა და ცოტა გაბრუებული იყო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სხეულში შხამიანი მუხლუხო დაძვრებოდა. მუხლუხო ზანტად დადიოდა და ყვითელ კვალს ტოვებდა.

თავის სახლთან გედეონი შედგა.

— ყავაზე არ დამეწვევით?

— არა, — ყოყმანით მიუგო აბელმა. — შინ წავალ.

— წადით, — უთხრა გედეონმა და თვალებში შეხედა. — ჩვენი ხნის ერებმა თავიანთი საქმე დიდი ხანია მოგვიტანეს, აბელ. ჩვენ კი ჯერ ისიც ვერ გავიგეთ, ჩვენი საქმე რა არის. საქართველო ისეთი ხომალდი გამოდგა, რომელშიაც შემოვქმედს საჭის ჩამონტაჟება დაავიწყდა.

ეს მოხდა მარტის ბოლოს, ხოლო მაისის ბოლოს, როცა ქალაქში ვარდისა და მწიფე ბლის სურნელი ჭარბობდა, კაკო ორჯონიკიძემ აბელს საკუთარი მოთხრობა წაუკითხა. ამ მიზნით სახლში მიიტაცა. მოთხრობა არ უხსენებია, სახლს გაჩვენებო, ეზო-გარეშოს დაგათვალიერებინებო, ოჯახობას გაგაცნობო. აბელს ეს სტუმრობა არაფრად ეპიტნავებოდა, მაგრამ კაკო ორჯონიკიძე იმდენ ხანს ეპატიჟებოდა, ისე თავგამოდებით, ლამის ცრემლმორეული, ემუდარებოდა, რომ თავისი უსულგულობის შერცხვა. ბოლოს და ბოლოს რა არის ერთი-ორი საათის დაკარგვა, თუკი ამით ადამიანს გაახარებ?

კაკო ორჯონიკიძე, ისევე როგორც ქალაქის ძველ მკვიდრთა უმრავლესობა, კერძო სახლში ცხოვრობდა. ზემოთ, გორაკზე, პარკის მახლობლად ედგა პატარა, ერთსართულიანი სახლი ჭუჭყიანი თუ ჭუჭყისფერი კედლებითა და უკვე დამპალი, კარგა ხანია გამოსაცვლელი მესერით შემოღობილი ციცქნა ეზოთი, რომელშიაც ვარდებისა და იასამნის გარდა, იყო ერთი მაღალი, აშოლტილი ბლის ხე და ერთიც შედარებით ახალგაზრდა კაკალი. კაკლის ძირას ფიცრებისგან შეკრული, საღებავგადაცლილი მრგვალი მაგიდა იდგა. სწორედ ამ მაგიდასთან დასხდნენ საღილად მას შემდეგ, რაც კაკომ სტუმარს სახლი და ეზო დაათვალიერებია და თავისი მეუღლე გააცნო. კაკოს მეუღლე პატარა, შავი ქალი იყო, გაკნაჭული და გაძვალტყავებული, გეგონებოდათ, ფიცრისთვის დიდი ზომის კაბა ჩამოუცვამთო. არადა, კაკოს თუ და-

ჯემალ ქარჩხაძე
ქარაფანი

ვუჯერებდით, თავისი სპორტული კარიერის გაფურჩქვნის ხანს ამ ქალის გულისთვის, ვინ იცის, რამდენი სიყვარულით გახელებული ქალიშვილისთვის მოეკლა ახალგაზრდა გული. ქალმა კაკლის ძირას სუფრა გაშალა. თვითონ არ დაჯდა. აბელმა ამის გამო უხერხულობა იგრძნო და, დაბრძანდითო, მიიპატიჟა. ამაზე ქალმა უპასუხა:

— თქვენ მიირთვით, ბატონო. მე ახლახან გეახელით.

აბელი ცოტ-ცოტას, უგულოდ ჭამდა. კაკო თავგამდგებით აძალებდა, ერთხელ თავისი ხელითაც კი გადაუღო შემწვარი ქათმის ფრთა. თვითონ მადიანად ილუკმპებოდა. აბელმა ერთი პირობა დაიპირა, ღვინოს დავლევ და გუნება ცოტა გამომიკეთდებაო, მაგრამ ღვინო ჭანგმოდებული გამოდგა და არ ესიამოვნა.

სანამ სადილობდნენ, კაკო თავის სპორტულ წარსულზე ლაპარაკობდა და გადმოკარკლული თვალები უელავდა. თავს არ იქებდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი და ისეთი ვიყავიო, არ უთქვამს. უბრალოდ, ფაქტების ენით ლაპარაკობდა: მოწინააღმდეგე ორ წუთსა და თვრამეტ წამში ორივე ბეჭით ხალიჩას გავაკარიო, ოთხ წუთში დავდეო, წუთ-ნახევარში მოვითავე საქმეო. სამაგიეროდ, ყველა მოწინააღმდეგე, ვინც კი წაექცია, ქებით ცაში აჰყავდა. ყველა „საოცარი ფიზიკური ძალის“ პატრონი იყო, ყველას „საკვირველი ტექნიკა“ ჰქონდა, ყველა „ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად“ ითვლებოდა. ნასადილეს ეს თემა უკვე ყოველმხრივ იყო გაშუქებული და კაკოც, ვითომ სხვათა შორის, ახალ თემაზე გადავიდა: აშკერად თავისი დაკუნთული, სპორტული ხელი ხელოვნების მაღალ ჭიშკარს ჰკრა და ჭრილოით გააღო. სადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი. პატარაობიდანვე გრძნობდა, რომ რაღაც უხილავი ძალა (ალბათ მუზა) ხელოვნებისაკენ ეწეოდა. შუბლზე ხელოვნების ბეჭედი ჰქონდა დასმული და არ შეიძლებოდა სანთელ-საკმეველს თავისი გზა დაეკარგა.

ბოლოს, როდესაც საკუთარი შემოქმედების ახსენა, აბელს გულმა რეჩხი უყო.

— პოეზია, — თქვა კაკომ. — ჩვენი მარჩენალი ძროხა. კაცმა არ იცის, საით წაგიყვანს, რა უვალი გზებით გატარებს! — აქ ხმას დაუწია და ცოტა მეოცნება კილოთი განაგრძო: — ყოველი ქართველი პოეტია, ქართველი პოეტი ორმაგად პოეტია. — ერთხანს შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა, თვალები მოჭუტა, ხმას კიდევ უფრო დაუწია და გრძნობით წარმოთქვა ორი სტროფი ლექსი. ერთი სტროფი გალაკტიონისა იყო, მეორე, ყველა ნიშნის მიხედვით, საკუთარი. დეკლამაცია რომ მოაფთავა, თვალები ისევ დააჭყიტა და წამდერებით თქვა: — არა. გალაკტიონი მაინც კარგია.

აბელი სიგარეტს ეწეოდა, მასპინძელს მისჩერებოდა და ფიქრობდა: „ეს ბრიყვია, მაგრამ ეტყობა, არც მე ვარ ნაკლები, რაკი ვზიავარ და ვუსმენ... ნეტა მაინცდამაინც მე რატომ ამირჩია მსხვერპლად? ნუთუ ამ ქალაქში ყველაზე სულელი ვგონიავარ? თუ დანარჩენები უკვე „გააკრა ხალიჩას ორივე ბეჭით“ და რიგმა მე მომიწია?“.

კაკო გამართული იჯდა. დაბალ, სქელ კისერზე პატარა, მრგვალი თავი ედგა. პუტკუნა ლოყები ჰქონდა, გადმოკარკლული თვალები, ვიწრო პირი, სქელი ტუჩები და ერთი ციცქნა, თითქმის არარსებული ნიკაპი. დიდი მუცელი მაგიდის კიდეზე მიებჯინა.

— როცა ასეთ ადგილს ცხოვრობ, — ისევ დაიწყო კაკომ. — და ასეთი გადასახედი გაქვს, — ხელი გაიშვირა გადასახედისკენ (და აბელმა გულში აღიარა, რომ გადასახედი მართლა კარგი იყო) — არ შეიძლება პოეზიას არ ეზიარო. ქართველი კაცი პოეზიით სულდგმულობს. მაგრამ მალე გულმა ეპიკური ენერგია გამიწია. ჯერ დრამატურგიისკენ, — აქ თავისი ვიწრო პირი კიდევ უფრო მოპირუფა და აგდებით დაუმატა: — ჩვენთან რომ ზოგიერთი

პიესა იდგმება, ისეთ პიესებს მე ერთ ღამეში ვწერ. ბოლოს პროზას ვეზიარე და პროზაში დავიწყე მუშაობა, — ამ სიტყვებით კაკო სწრაფად წამოდგა. — ახლავე მოვალ, — დაიბარა და ძუნძულით წავიდა სახლისაკენ.

აბელი მიხვდა, რომ კაკო ორჯონიკიძის ტექნიკურ ილეთზე იყო წამოგებული. ერთი პირობა დააპირა გავიპარებიო, მაგრამ შერცხვა და გადაიფიქრა. მასპინძლის კი არ შერცხვა, იმის შერცხვა, რომ გაპარვით თავის უმწეობას დაადასტურებდა.

ამასობაში კაკო ისევ მობრუნდა. ხელში საერთო რვეული ეჭირა. აბელს არ გაკვირვებია. მისთვის ახლა ყველაფერი ნათელი იყო და, მასპინძელი ხელცარიელი რომ დაენახა, ის უფრო გაუკვირდებოდა.

— დიდი არაა, პატარა მოთხრობაა, ხელად წავიკითხავ, — იმის დასამტკიცებლად, რომ დიდი არ იყო, რვეული გაშალა და უჩვენა. — ძალიან დაგაინტერესებს, — აქ ხმაში სიმორცხვე შეერია. — ცოტა ავტობიოგრაფიულია.

მოთხრობას ერქვა „გრძნობით ანთებული“ და კაკომ ეს სათაური ისეთი საზარელი ღრიალით წაიკითხა, ისე აენთო და ისე დაბრიალა თვალები, აბელი ცოტა შეკთა კიდეც.

მოთხრობა ავტობიოგრაფიული იყო. მთავარი გმირი, მოჭიდავე, სპორტის ოსტატი, მაღალი, ბრგე, წარმოსადგენი, თმახუჭუჭა, თვალებბრიალა, ისეთი, ქალები რომ დახურული დარაბების ჭუჭრუტანებიდან უმზერდნენ და ჩუმად ოხრავდნენ, ერთი სიტყვით, ყველა სიკეთით შემკობილი „ქართველი ვაჟკაცი“, მას შემდეგ, რაც ჩაბნელებულ ჩიხში ნაზად გამოეთხოვება სატრფოს და დაპირდება, შენი ხატება მუდამ თვალწინ შემკობილი, ჩემმ ყველივ და ჩემო ერთადერთოო, მიემგზავრება კრასნოდარში შეჯიბრებაზე. იქ პირველივე შერკინებისას რაინდულმა საქციელმა, ილეთების კორიანტელმა, მომხიბლავმა ღიმილმა, მეტოქის პატივისცემამ და „კოკობმა ულვაშებმა“ ისეთი პოპულარობა მოუპოვა, რომ მოორე შეხვედრაზე დარბაზი ყურისწამღებად გაჰკიოდა: „კარტველი! კარტველი!“ კაკოს პრეტენტიპმა, რაღა თქმა უნდა, ფარდგებივით მიმოფინა ძირს ყველა მეტოქე და სულ გრიალ-გრიალით გავიდა ფინალში, სადაც სიუეტური ხაზის მეტი დაძაბვის მიზნით პირველი ადგილისათვის ადგილმბრივ, კრასნოდაელ მოჭიდავეს უნდა შეხვედროდა. ამ დროს კარტველი ვაჟკაცის სახელს უკვ მთელ ქალაქს პირზე ეკერა. კაცები აღტაცებით აყოლებდნენ თვალს ქეჩაში მის განიერ ბეჭებს, თავებს იქნევდნენ მოწონების ნიშნად და, ნეტა ეს დედამ შობაო, გაკვირვებით ეკითხებოდნენ ერთიმეორეს. ქალები ხომ სულ მთლად გაგიჟდნენ და გადაირიენ. ქალაქს სიყვარულის ეპიდემიამ (ბარია ხელი. ტრიბუნებიდან სტეყვასავით მოდიოდა ყვავილები, იდგა ერთი წვიმ კიკვილი. სასწრაფო დახმარების მანქანების მთელი კოლონა ძლივს აუდიოდა გულშეღონებულთა აკრეფას. ამასობაში ფინალის დღეც დადგა. კაცები მიმე დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. ერთი მხრივ, აღტაცებას ვერ მალავდნენ, როცა ხედავდნენ, როგორ ვეფხვივით დანავარდობდა ჩვენებური მოჭიდავე ბარნაზე, მეორე მხრივ, პატრიოტიზმი და ქალაქის სპორტული პრესტიჟი ჩამოთვალეს თავიანთი სპორტსმენის ქმიმაგობა, მოიფიქრდა. და როდესაც ამ თვალსაზრ და გამოუვალ ვითარებაში ერთმა ბრძენ. ამ მოხუცმა, რომლის სიტყვასაც ქალაქში დიდი გასავალი ჰქონდა, ღრმაზაზროვნად თქვა, დაე, გაიმარჯვოს უძლიერესმა, კაცებმა მყისვე სიხარულით აიტაცეს ეს ფრაზა და პრობლემაც გადაიჭრა. რაც შეეხება ქალებს ეს ქარაფშუტა არსებანი ნაკლებად აგიდევდნენ პატრიოტზმს. ლამაზმუნებს ჩვენი გმირი უყვარდათ და მისი ამარჯვება ეწადათ. ყველას, გარდა ეთისა. მთავარი კი სწორედ ის ერთი ყო, კრასნოდარელი ფინალისტის დანაული, ადგილობრი-

ჯემალ ქარჩხაძე
ქარამანი

ვი პრმადონა, ზღაპრული მზეთნახავი, რომლის სილამაზის ამბავი შორ გასცდენოდა არა მარტო ქალაქს, რამედ მთელს კრასნოდარის მხარესაც. ყარტველი ვაჟკაცი, მართალია, შორეულ საქართველოში დატოვებული სატფოს ხატვის ხმარობდა ფარად და მისწყალობით ყოჩაღად იგერიებდა კრასნოდარელი ლამაზმანების შემოტეხებს, მაგრამ გულში მაინც ხინჯად ჰქმდა, რომ ის ერთი ქალი ვერ გადმოიბრა. და, აბა, ფინალური შერკინებაც დმოთავრდა. კრასნოდარელმა მოჰიდავმ, აგრეთვე ბრგე, წარმოსადეგმა, ლამაზმა ვაჟკაცმა თავჩაღუნულმა დატოვა სარბიელი. ჩვენებურმა კი გამაყრუებელ გუგუნში კოხტად დაუკრა თავი დარბაზს ოთხსავე მხარეს, შეეარდენივით გავიდა არენიდან და გასახდელს მიაშურა, სადაც თავისიანების ალაყაში მოექცა. ილოცავდნენ, კოცნიდნენ, სიხარულის ცრემლებს იწმენდნენ. უცებ ხვეენაკცნა შეწყდა. ყველამ თითო ნაბიჯით უკან დაიხია და მოწიწებით დაუთმო გზა ვიღაცას. გაიხედა ამ ჩვენებურმა გმრმა და ხედავს: მისი მეტოქის დანიშნული მოდის. ხელში ერთი ცალი წითელი მიხაკი უჭირავს. მოვიდა მზეთუნახავი, სულ ახლო მოვიდა, თავი ასწია, შეშვიდი მზერა შეანათა ამ ჩვენს ბიჭს, ეს ერთი ცალი მიხაკი გაუწოდა და ნაზი ჩურჩულით უთხრა: „Я вам люблю“. გმიღის თვალწინ ჯერ მიჯნურის ხატება აჩნდა, მერე დამარცხებული მოწინააღმდეგე. გმირი სულ ერთი წამით შეჭყმანდა. მერე თვალი თვალში გაუყარა ამ ციურ ანგელოზს, კოკობი ულვაშები შეარხია, გულღიად გაუღიმა და უთრა: „Вы мне лубите как брат“. ამ ენაცვიფრებელი სიტყვებით ხელი ხელში ჩაჰკიდა და მეტოქის გასახდელისაკენ წაიყვანა. იქ ახლა მეტოქეს გაუხმა და უთხრა, შენ, ჩემი ძმაო, კი დამაცდი, მაგრამ მაინც გამარჯვებული ხარ ყველგან ასეთ მშვენიერ ქალწულს უყურხარო. მერე დამატა, თუ არ დამშენებ, ქორწილში მეჯვარედ წამოგყვები. და წეღანდელი მოწინააღმდეგეები ძმურად გადეხვივენენ ერთმანეთს.

ამას იქით აბელი აღარ უსმენდა, თუმცა კაკომ კიდევ დიდხანს იკითხა. ეტყობა მერე სულ ქორწილები და სხვა საამო ეპიზოდები იყო და დასამთავრებლად არ ემეტებოდა.

აბელი ახლა ხორხს მისჩერებოდა კაკოს ყელზე და მის მოძრაობას აკვირდებოდა. ხორხი ხან ზემოთ ადიოდა, ხან დაბლა ეშვებოდა, ხან ყელის სიღრმეში გაუჩინარდებოდა, ხან ისევ წამოიწევდა და ამოიბურცებოდა. როცა სიღრმეში გაუჩინარდებოდა, კანი იჭმუჭნებოდა და ჩვარივით ეკიდა, როცა ამოიბურცებოდა, კანი იჭიმებოდა, იტკიცებოდა და ლამის გადამსკდარიყო.

ავტორი განცდით კითხულობდა საკუთარ ნაწერმოებს. გატაცებით კითხულობდა, გზნებით, პათოსით. ხმამ ათრთოლებდა, თვალებს აბრიალებდა, მუშტებს იქნევდა, ზოგჯერ კვნესოდა, ზოგჯერ ძლივგასაგონად ჩურჩულებდა, ზოგჯერაც ისეთს დაიბღავლებდა, მარილა საკვირველი იყო, რომ გულგახეთქილი მეზობლები ამბის გასაგებად არ მორბოდნენ.

კაკოს შავი ცოლი ორჯერ გამოჩნდა ეზოში და ორჯერვე, როგორც კი ქმრისა და მისი სტუმრის შემოქმედებითი თანამშრომლობის ადგილს მიუახლოვდა, თითის წვერებზე შედგა, თავი გვერდზე მიაბრუნა და ფრთხილად, უჩუმრად გაიარა, რათა ყურადღება არ მიეპყრო და კაკებისათვის მუშაობაში ხელი არ შეეშალა.

კაკოს ხორხი აბელმა ზედმიწევნით შეისწავლა. ზუსტად დაადგინა მისი მოძრაობის ხასიათი, მიმართულება, მაქსიმალური და მინიმალური მანძილი, ამ მანძილების დამოკიდებულება ხმის კილოსა და სიმძლავრესთან. უკვე იცოდა, რამდენი ნოიზი ჩნდებოდა ყელზე, როცა ხორხი სიღრმეში ჩაყვინთავდა და როგორი იყო კანის დაჭიმულობა, როცა ხორხი ბოლომდე ამოიბურცებოდა. რამდენიმე წარუმატებელი ცდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ხორხის ცალკეული მოძრაობები სიერთო სქემაში მოაკცია და ამ მოძრაობათა ზოგადი კანონი იპოვა, რის შედეგადაც უკვე წინა მოძრაობის მიხედვით შეუცდომლად შეეძლო ეთქვა, თუ როგორი იქნებოდა მომდევნო მოძრაობა. ხოლო როცა ყველაფერი ძირისძირობამდე შეისწავლა და კაკოს ხორხისაგან ახალი აღარაფერი იყო მოსალოდნელი, ინტერესიც გაუქრა. ფიქრს ახალ თემაზე უნდა გადაენაცვლებინა, ახალი გასართობი უნდა ეპოვა. და დროის იმ უმეცრეს მონაკვეთში, რაც ახალი თემის მოძებნას სჭირდებოდა, გონებაში მოულოდნელად ნიავის მსუბუქ ქროლვასავით გაიარა საკუთარი ბავშვობის ოცნებათა ქარავანმა. აბელმა მუცლის ღრუში უსიამოვნო წვა იგრძნო. ნიავივით გაჩენილი ქარავანი ნიავივით უხმოდ გაქრა, მაგრამ თავის გზაზე უცნაური კვალი დატოვა. და აბელი უეცრად მიხვდა, რომ ისა და მისი მასპინძელი ერთნი, განუყოფელები იყვნენ. და გუნება საბოლოოდ მოეშლება. არა. განსხვავებას, ცხადია, კარგად ხედავდა. განსხვავება უზარმაზარი იყო, მაგრამ ეს განსხვავება იყო რაოდენობრივი და, მაშასადამე, პირობითი. თვისობრივად კი ერთნი იყვნენ, ძარღვებში ერთი და იგივე სისხლი ედგათ, ორივე მათგანის სულიერი წყობა ერთსა და იმავე მოდელზე იყო აღმოცენებული, ორივენი ერთსა და იმავე პალოზე იყვნენ გამობმულნი და, რაც არ უნდა ეწვალათ, რაც არ უნდა ეტრიალათ, საითაც არ უნდა გაეჩიჩულიყვნენ, ამ პალოს ვერ მოწყდებოდნენ და ერთმანეთს დიდ მანძილზე ვერ გასცდებოდნენ. აბელი რომ გაგიჟებულიყო და მოთხრობა დაეწერა, რაღა თქმა უნდა, ასეთ მიამიტურ სიბრიყვეს არ დაწერდა, ხოლო ავტობიოგრაფიული მოთხრობა რომ დაეწერა, საკუთარი თავის ასეთ იდიოტურ იდეალიზაციას არ მოჰყვებოდა. მაგრამ განსხვავება მხოლოდ რაოდენობრივი და, მაშასადამე, პირობითი იყო. განა აბელს ეყოფოდა ის ძალა, რომელსაც სახელი არა აქვს, რომ ყოველთვის შიშველი სიმართლე ეთქვა და არაფერი შეელამაზებია?

ამასობაში კაკომ კითხვა დაამთავრა, რვეული დახურა, ხელისგულები მაგიდას ისე დაეჯინა, როგორც დავაჯენთ ხოლმე, როცა წამოდგომას ვაპირებთ, და მოლოდინის თვალით მიაჩერდა სტუმარს. თვალები უელავდა, დაბერილი ლოყები დაწოლილებოდა, ცხვირის ნესტოები დაღლილი ცხენივით უთრთოდა, ტუჩები მოეკუმა, პირში შეეწოვა და ჩაეტრიალებია.

აბელი შეეცადა თავის ადგილას გადგომ რვეია წარმოედგინა და მიმხვდარიყო, ის რა პასუხს გასცემდა აღელვებულ ავტორს, მაგრამ ვერასაზრით ვერ წარმოიდგინა. ვინ იცის, იქნებ გედეონს უკვე მოესმინა კიდეც და პასუხიც გაეცა.

კაკომ დიდხანს ვერ გაუძლო დუმილს.

— რას იტყვი? — ხმა უთრთოდა და ამაოდ ცდილობდა მღელვარება დაეოკებინა.

აბელი წამოდგა.

— ეტყობა, მე და შენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს, მაგრამ, რომ ვთქვა, ჩემი თავი მომწონს-მეთქი, ტყუილი გამომივა.

კაკო ერთხანს ჩუმად იყო. თვალებზე შეეტყო, რომ სტუმრის ნათქვამზე ფიქრობდა და ცდილობდა დაედგინა, ეს მოწონება უფრო იყო თუ დაწუნება. ბოლოს ჰკითხა:

— მაინც როგორია?

— პროზა ჩემი სპეციალობა არ არის. გარაყანიძეს წაადითხე.

— დაბეჭდავს? — კაკო აშკარად ოპტიმისტურ პასუხს ელოდა.

— რა ვიცი. მე რომ რედაქტორი ვიყო, არ დავბეჭდავდი, მაგრამ გარაყანიძე რომ ვიყო, იქნებ დამებეჭდა კიდეც.

როდესაც კაკოს შავ ცოლს ეთხოვებოდა, შეატყო, რომ ქალი ქმრისა და სტუმრის გამომეტყველებისა და განწყობილების მიხედვით ცდილობდა

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმხვდარიყო, რა წარმატებით ჩაიარა ოპერაციამ.

კაკო ორჯონიკიძესთან სულიერი ერთიანობის მწარე გრძნობა დიდხანს არ გაჰყოლია. სამაგიეროდ სხვა რამ დასჩემდა: დანარჩენ ნაცნობებში დაუწყო ძებნა მსგავს სულიერ ნათესაობას. ყველას, ვისთანაც რაიმე ურთიერთობა ჰქონდა, ყურადღებით, ზოგჯერ რაღაცნაირი გარინდებით აკვირდებოდა, ცდილობდა დაედგინა ფსიქიკის პირველადი ბიძგები, სულიერი საწყისები, მიზნებისა და სურვილების მთავარი მამოძრავებელი ძალები, ეპოვა საერთო ფესვები და საკუთარი თავი და მოსაუბრე ერთგვარ ზიარ ჭურჭლად წარმოედგინა. უნდა ითქვას, ამ გზაზე დიდ წარმატებასაც მიაღწია. მალე დაადგინა, რომ თავისი არსით იგი არა მარტო კაკო ორჯონიკიძე იყო, არამედ სამსონიც, უკლებაც, ასლანიც, ვანო როსტიაშვილიც. თეიმურაზ კილაძეც, არიოსტო ხოფერიაც, რომან ადეიშვილიც... ეს ყველაფერი შემზარავი იყო, მაგრამ ყველაზე უფრო შემზარავი მაინც ის იყო, რომ გედეონ რევიას ვერ უპოვა ვერავითარი საერთო ფესვები. გედეონ რევია თითქოს იმ წრის გარეთ იდგა, რომელიც ქალაქს ჰქონდა შემოვლებული, და ამის გამო აბელს იგი ხან სძულდა, ხანაც მიუწვდომელ იდეალად წარმოედგინა. სიძულვილით დროდადრო ყველა ნაცნობი ხუსტი ციტყვა არ არის. ეს უფრო ცუდი განწყობილების წამიერი აფეთქება იყო, რომელსაც განსამუხტვავად კონკრეტული ადრესატი სჭირდებოდა. და როცა ამ უცნაური სიძულვილით ერთი სძულდა, თავს მეორეს აფარებდა. თუ სამსონი სძულდა, გედეონთან გარბოდა, თუ გედეონი სძულდა, სამსონს მიაკითხავდა, თუ მერი სძულდა, გული ასლანისკენ მიუწევდა...

ზოგჯერ ყველა ერთად სძულდა და ასეთ დროს, თუ აუცილებელი საქმე არაფერი ჰქონდა, სახლიდან არ გამოდიოდა და ზვების წიგნებში ეძებდა. ხანდახან ყველაფერი ეს — სიძულვილი, ეჭვიც, საკუთარი არაარობის ეფექტი თრგუნველი განცდაც — ისეთი ძალით შებოლვადა, რომ წიგნები ვეღარ შველოდა და მძაფრი სურვილი უჩნდებოდა თავისი ფიქრები ვინმესთვის გაეზიარებინა, მაგრამ ამ ქალაქში, სადაც ყველანი ზედაპირზე დასუნსულებდნენ და საკვების ძებნით იყვნენ გართულნი, ისეთი არავინ ეგულებოდა, ვისთანაც ამ ფიქრების გამხელა შეეძლებოდა. არავინ ეგულებოდა გედეონ რევიას გარდა. გედეონ რევია კი საშიში კაცი იყო. საშიში არა მარტო თავისი ცოტა გამაღიზიანებელი ირონიის გამო, არამედ (და უფრო მეტად) იმის გამო, რომ შენს ბუნდოვან ეჭვებსა და უსახელო შეშფოთებას, რომელიც, მართალია, მწვავე ტკივილს კი გაყენებდა, მაგრამ თან თითქოს გამდიდრებდა კიდეც, მარტივ მამრავლებად დაყოფდა და ისეთ პროზაულ სახელებს დაარქმევდა, რომ მათში არაფერი ფასეული აღარ რჩებოდა, შენი შიში და სიმძიმილი უკვე კომიკურ გაზვიადებად გეჩვენებოდა და ამის გამო სულში კიდევ უფრო მტკივნეული სიცარიელე ისადგურებდა. მიუხედავად ამისა, გედეონ რევია ერთადერთი კაცი იყო და ერთხელ, როცა აბელს ეჭვების ფიალა პირთამდე აევსო, თავისი აფორიაქება ისევ გედეონს გაუზიარა.

ზაფხულის თბილი საღამო იყო. ზემოთ, ქალაქის პარკში, მწვანე მერხზე ისხდნენ და ფერდობზე უწესრიგოდ მიმოფენილ სახლებსა და ქუჩებს გადაჰყურებდნენ. გედეონს თეთრი კიტელი ეცვა, თეთრი შარვალი და თეთრი ფეხსაცმლები. თავისი განუყრელი ჯოხი ფეხებშუა მოექცია და ზედ ჩამოდებულ ორივე ხელზე ნიკაპით დაყრდნობილიყო.

აბელი კარგა ხანს ემზადებოდა. ბოლოს, როცა, მისი აზრით, შესაფერისი მომენტი ოხოვა, ყოველი შემთხვევისთვის ერთი წინდახედულად ჩაიცინა და თქვა:

— ამას წინათ კაკო ორჯონიკიძემ თავისი მოთხრობა წამიკითხა.

მოხუცი არ შერხეულა. იჯდა თავის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის და მშვიდად გადასცქეროდა ქალაქს, სადაც ნელ-ნელა წვებოდა ბინდი. ბოლოს გაიღიმა. გაიღიმა ისე, თითქოს თავის ფიქრებს გაუღიმაო.

— მოუწონეთ?

— არა. მაგრამ თვითონვე ცდილობდა შეერბილებინა ჩემი ნათქვამი. ამიტომ შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, ვითომ მოვუწონე. — აქ ცოტა შეყოყმანდა, ერთი ცერად, ჭურდულად გაგეცა მოხუცს და დაუშალა: — მე კი ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს თავის თავი გადამიხსნა და შიგ ჩემი თავი დამანახვა.

გედეონმა ახლა კი ასწია თავი, მოტრიალდა, აბელს შეხედა და ერთხანს ყურადღებით უყურა.

— მადლობა მაინც თუ უთხარით?

— რისთვის?

— იმისთვის, რომ საკუთარი თავი გადაგიხსნათ და შიგ თქვენი თავი დაგანახვათ. უნდა გეთქვათ, აბელ, მადლობა. კაცი რომ ფარდას გადაიწევს და წინ სარკედ დაგიდგება, ამით მსხვერპლს იღებს და ჭრთამს თუ არა, მადლობას მაინც იმსახურებს.

— მაშ, მართალია, რომ მეც კაკო ორჯონიკიძე ვარ?

— რატომაც არა! ჩვენ ყველანი ერთმანეთისაგან შევდგებით და შეუმჩნეველად გადავდივართ ერთმანეთში. ამაში საკვირველი არაფერია. ვისაც ეს ხელს არ აძლევს, საკუთარი თავი უნდა უარყოს, რადგან თავისუფლება საკუთარი თავის უარყოფით იწყება. თვისებებზე უნდა თქვა უარი და, თუ ამის შემდეგ რაიმე დარჩა, იმას უნდა დაეპატრონო და მოუფრთხილდე. მაგრამ დარჩება რამე? აი, ეს არის საკითხავი.

აბელი ერთხანს ჩუმად იყო. მერე თქვა:

— ერთი ნიუტონი უნდა დაიბადოს ჩვენში, ან პლატონი. მაშინ შეიცვლება კლიმატი.

— პირიქით. ჯერ კლიმატი უნდა შეიცვალოს. ეპოქა, აბელ, ლიტონი სიტყვა არ არის. წეღან იულონ დიდიძემ ჩაიარა. დაინახეთ?

— იულონ დიდიძე ვინ არის?

— არ იცნობთ? განათლების შუქურაა. ქალაქში თუ რამე განათლებაა, სულ მისი წყალობაა. რაც გაუნათლებლობაა, ის მისი ბრალი არ არის. საინტერესო პიროვნებაა, აუცილებლად უნდა ნახოთ. პატარა კაცია, მოკლე, და ისეთი სახე აქვს, თითქოს გუნებაში ძნელ გაკვეთილს იზეპირებდეს. ჩამოიცილის უკან და გაჩვენებთ. რაც შეეხება ნიუტონსა და პლატონს, ჩვენ რომ პოეზია გვეკმარა და მაქსიმალიზმს არ გამოვკიდებოდით მინდორში... ხომ გითხარით! აგერ, მოპაკუნობს ჩვენი პატარა განმანათლებელი. — გედეონმა ჯოხი თოფივით მიუშვირა შორიდან მომავალ ტანმორჩილ, გამხდარ კაცს. მერე წამოდგა. — წამოდით, წინ შევეჩეხოთ, თორემ ისე ჩაგვივლის, ვითომ ვერ შეგვამჩნია.

განათლების შუქურა მაინც აპირებდა ისე ჩაევლო, ვითომ გედეონი ვერ შეამჩნია, მაგრამ გედეონმა გზა გადაუჭრა.

— ბატონ იულონს ვახლავართ, განათლების ხელმწიფეს!

ბატონ იულონს ვიწრო შუბლი ჰქონდა, ჯაგარა თმა, და მართლა ისეთი სახით მოდიოდა, გეგონებოდათ, გულში რაღაცას იმეორებსო. გედეონის შეძახილზე შეჩერდა და მოტრიალდა, ხოლო როცა გედეონმა „განათლების ხელმწიფე“ უწოდა, რაღაც უცნაურად გაიცინა, „ჰიიი“-ო წამოიკივლა, თითქოს მოპრუწული პირიდან წყლის წვრილი ჭავლი გამოსტყორცნა, და გედეონს ხელი ჩამოართვა.

— სასეირნოდაც მოიცალეთ, იულონ ბატონო?

— ეჰ! სეირნობას ვინ მაღირსებს! — პატარა კაცმა თავი მძიმედ გადაიქნია. — საქმე მქონდა პარკის დირექტორთან.

— განათლების ფრონტზე რა ვითარებაა? გადაიჭრა უკვე ყველა პრობლემა?

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

— იჭრება, ჩინებულად მიდის საქმე. შესანიშნავი კადრები გვყავს, პროფესიულად მომზადებულები, მომთხოვნები, დისციპლინირებულები და, რაც მთავარია, პატიოსნები.

— კი დაგემართოთ, — თქვა გედეონმა. — თორემ წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე, კინაღამ ეჭვი შემეპარა.

— სიზმარი? ჰიი! რა ნახეთ ასეთი?

— ჩვენი სკოლების დირექტორები ვნახე. ტყეში იყვნენ. ნაბდები წამოესხათ, ყაბალახები ეხურათ, პატრონტაშები შემოერტყათ, წელში აქეთ-იქით ორ-ორი დამბაჩა გაერჭოთ. ბალახში ისხდნენ. ზემოდან მთვარე ანათებდა. შუაში თვალმარგალიტი ეყარათ და ყაყანით ინაწილებდნენ.

— ჰიიი... — დაიწყო იულონ დიდიძემ, მაგრამ გედეონმა სიცილი შუა გზაზე შეაწყვეტინა:

— თქვენ მოშორებით იდექით და გზას გაჰყურებდით, რომ მდევარი არ წამოგპარვოდათ. ხელში გლობუსი გეჭირათ და ვაშლივით თლიდით.

— ჰიიი! — გაიცინა დიდიძემ. — ქარი შეგბარვიათ, ბატონო გედეონ. საბანი გადაგხდიათ. ჰიიი! აბა, კარგად ბრძანდებოდეთ. თქვენთან მუსაიფს რა სჯობს, თქვენსავით მოცლილი რომ ვიყო, — ამ სიტყვებზე ისევ ისეთი სახე მიიღო, თითქოს გულში გაკვეთილს იზეპირებსო, და წავიდა.

— ჩინებულად მიდის საქმე, აბელ, — ღიმილით თქვა გედეონმა. — შარშან, გამოცდების წინ ინტერვიუ მისცა გარაყანიძის გაზეთს და მაშინაც სულ ის იძახა, შესანიშნავი კადრები გვყავს, მომზადებული, მომთხოვნი და, რაც მთავარია, პატიოსანიო. უპატიოსნობა გაფურჩქვნის მწვერვალს მაშინ აღწევს, როცა პატიოსნება გმირობად ითვლება. თქვენ კი ნიუტონებსა და პლატონებს ითხოვთ. არა, აბელ. დღესღეობით ჩვენ არც ისე ზნემაღალი ერი ვართ, რომ გენიოსი ვშობოთ.

იმ წელიწადს, ახალი თეატრალური სეზონის დაწყებამდე, ზემოაღწერილი ეპიზოდების გარდა, კიდევ ის მოხდა მნიშვნელოვანი, რომ ასლან გორდაძემ ერთხელაც შეუსია „თავისი ბიჭები“ უკლებასეულ სახლს და, რაც პირველ შესევაზე დაიკლო, ახლა გაასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯავახაძე

●

სიცოცხლეში მოეფერეთ. თქვენს პოეტებს,
ცოლებო,
თორემ ცოლებს არ წყალობენ პარნასი და ოლიმპო.
ნუ კითხულობთ მეზობლების არქივსა და ანკეტას,
მაგათ მეტის იმედი აქვთ იქითაც და აქეთაც.
ბედისწერამ ვინც არ უნდა გაამილიონეროს,
თვალი ცისკენ არ გაგექცეთ,
არ მოუხმოთ ჰომეროსს.
ვინც მიაქცევს ყურადღებას მეტაფორულ მენიუს,
მოთმინების ანგელოზმა მეტი მოათმენიოს.
და თუ გაანებივროს და
გაამილიარდეროს,
სხვათაშორის გადახედეთ ნებიერთა გარდერობს.
ხილულსა და ხელშესახებს წლები ნელა წაშლიან,
მათი ოქრო ცისქვეშ ყრია,
თქვენი ოქრო ცაშია.
ელავს,
ბრწყინავს
აიმედებს დაეჭვებულ პურიტანს,
და ყველაზე უკეთესად მოჩანს წიწამურიდან.

●

ოსტატი ცდილობს, მოძებნოს
შეცდომა დიდოსტატის,
ვერტიკალურად ოცნებობს,
ვერტიკალურად დადის.
ჭკუას ასწავლის ბადიშებს,
ადგენს ღიმილის ნორმას,
ქელეხშიც სკამებს პატიჟებს,
ქორწილში სკამებს ნომრავს.
დანომრილების კუთხურებს
იგერიებს და ასწრებს:

ვერტიკალურად კითხულობს
ჰორიზონტალურ აზრებს.
არ ემზადება წინადღეს,
არაფრად აგდებს ამინდს,
არაწესიერ წილადებს
არ ეუბნება ამინს.
არ უყვარს პერიფერია,
უყვარს საკმევლის კმევა...
ხანდახან ჩემი მტერია,
ხანდახან თვითონ მე ვარ.

სარკეების სახელოსნო

ყველაფერი ათ-ათი და ყველაფერი ას-ასი,
გვითვალთვალებს ასი სარკე,
როგორც ასი ასასი.
ერთს აორებს,
ორს ასამებს ანუ ამესამედებს,
აწყვილებს და ალამაზებს თორმეტებს და ცამეტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე სწრაფად მრავლდებიან ფანჯრის ნატურმორტები,
გაორდები,
გაოცდები,
გაორმოცდაორდები.
თვალის დახამხამებაში გიპარავს და გინელებს,
აბევრებს და აიაფებს ცნობილ ორიგინალებს.
ერთხელაც რომ გამიღიმო,
ვერ დამძრახავ ხურდაზე:
გაგიათასორასებ და გაგიათასხუთასებ.
გეცინება,
შენც ჩემსავით ჩქარა დაიხარჯები,
იმდენი ხარ,
რომ წახვიდე,
ცოტა მაინც დარჩები.
ჩქარა,
თორემ წუთებივით გვაყოვნებენ წამები:
გაგეოცდასამიათასორასოცდასამები.
მოდი,
ნახე:
სარკის სარკის სარკის სარკის სარკეში
დგას თერთმეტი მარადონა,
როგორც ათი მარკესი.
მოდი,
თუკი გენატრება სევდა ტრავიატასი
ან ჰამლეტის სინანული —
ათი,
ასი,
ათასი.
თვალს ჩაგიკრავს,
ვისაც იცნობ,
ვისაც მოეფერები,
ბევრი, ბევრი, ბევრად ბევრი, ბევრზე ბევრი, ბევრები.
ასლებიდან გაგჭორავენ ათები და ასები...
ღმერთო, არ შემოიხედო,
თორემ დაგვემსგავსები.

●

გ. დოჩანაშვილს

სადღაც — მაინც — ცოტათი —
ოდნავ — თითქოს — იქნებ
ბედნიერი იქნები,
თუ თავს ერთხელ იქებ,
გაიგებ და შეიგნებ,
რას იგებ და იგნებ,
გზას გაიგნებ იქით და აქეთ
გამოიგნებ,
ღმერთსაც გააღმერთებ და წიგნსაც
გააწიგნებ.
ცოტას წაიხუმრებ და ცოტას
წაიცინებენ,
სახელოვან ჭორიკნებს ისევ
აჭორიკნებ,
ამასაც და იმასაც გააიმასიქნებ
სადღაც — მაინც — ცოტათი —
ოდნავ — თითქოს — იქნებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

წამოდგა და გაიარა,
    წყალი მოსვა დოქიდან,
კარადასთან მივიდა და
    გამოაღო კარადა,
მოძებნა და
    იპოვნა და
        გამოიღო თოკი და
დაფიქრდა და
ჩაფიქრდა და
    ისევ გაიარა და
სარკმელს თვალი შეავლო და
    საკეტს ხელი მოკიდა,
სკამი ფრთხილად გამოაძრო
    სკამის მოსასხამიდან,
დადგა სკამი,
შედგა სკამზე,
    ჭაღს მოაბა თოკი და
ჩამოიცვა კისერზე და
    წააქცია სკამი და...

ბებერი

ამბობს: მოვეფეროთ იას...
ამბობს: მოვეფაროთ იას...
სული ჩავაბაროთ იებს...
ჩუმად გავეპაროთ იებს...
დაბერდა და დაემსგავსა თავის თავის პაროდიას,
წერს თავისი ლექსების და პოემების პაროდიებს.

●

ბედი სად არ გვატარებს,
გვაფიქრებს და გვადარდებს,
თავი ვერ დავაღწიეთ ამ ჯადოსნურ კვადრატებს.
თავზე გვადგას ყოველთვის ოთხად ოთხი კედელი,
შუშაბანდებს ეხლება სული გამოკეტილი,
რადგან ყური კუბიკების ქებით გამოუჭედეს,
რადგან თვალი დაეძებს არარსებულ უჯრედებს.
არა,
აღარაფერი აღარ მინდა მაგათი,
ქოხს აგურით აშენებენ,
        ჩრდილებს ჭრიან მაკრატლით.
ჩემი მოჭადრაკებული სამეფო და სამზეო
პარაბოლას მპირდება, —
        ოღონდ მოდი სამზეო.
წრეში მაინც ჩამაყენეთ,
ვიდრე ღმერთი მაკურთხებს,
ვიდრე მიწყალობებენ ოთხი ფიცრის მართკუთხედს.

●

სხვა დრო დადგა,
არ ფასდება,
სათვალავში არ ითვლება
უმაღლესი ძაბვისა და რითმის გალოგარითმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან უსამართლო ომში გამარჯვებულ არითმიას
თვალი გარეთ გაურბის და
ყველაფერი გარეთ მიაქვს.
თავს იწონებს
ერთხელ კიდევ
მითები და მისტერია,
გენიალურ ტრაფარეტებს ცხარე ცრემლით მისტირიან.
სიტყვა მათი არ მძიმდება თაფლებით და შარბათებით,
მსუბუქია კვირაობით,
მსუბუქია შაბათობით.
მაგრამ ლუწი ლუწია და
არ იქნება გაკენტება,
შაბათ-კვირაც გაივლის და —
ორშაბათიც გათენდება.

მეოცე საუკუნის მოძალაძეს

ამბობ:
ჩერო მომენატრა კაკლების და თელებისო,
მთაში უდგათ ქოხებიო,
ვის — ერთი და ვის — ორი...
რაც მოგივა,
ჩემო კარგო,
დააბრალე ტელევიზორს.
მაინც როგორ შემოუშვი სახლში ტე-რე-ვიზორი?!

●

ისევ იქ დგას ბებია,
სადაც ალუბლებია.
ისე ჩუმად ჩურჩულებს,
ვეღარ დავდევ ჭუჭულებს,
ისე ჩუმად ჩურჩულებს,
ვეღარ ვპარავ ჩურჩხელებს,
ისე ჩუმად ჩურჩულებს,
ვეღარ ვამჩნევ ურჩხულებს,
ჩურჩულებს და ჩურჩულებს,
ჩურჩულებს და ჩურჩულებს...
ნეტა, გამაგებია,
რას ჩურჩულებს ბებია?

სამი უსათაურო ე. ე. კამინგსის მოტივებზე

1.
თითქოს
წისქვილის
დოლაბები
ფეხებზე ებას
ბედნიერ საათს,
ბედნიერ წამს,
ბედნიერ-ებას
ას მიზეზს ეძებს;
ათას საბაბს,
მილიონ მოტივს,
როდესაც ცივა,
როდესაც წვიმს,
როდესაც ბნელა,
მოდის,
მოოდის,
მოოოდის,
მოოოოდის
ნე-ლა,
ნ-ე-ლ-ნ-ე-ლ-ა,
ნ,ე.ლ,ა,ნ,ე,ლ,ა,
ნ.ე.ლ.ა.დ.ა.ნ.ე.ლ.ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2.

ოცნებობდნენ მეომრები, უხილავი ფრონტ:
რატომ? როგორ? როდის?

კაცი ჩაფხუტს ჩაჰყურებდა, დედაკაცი —როდინს:
რატომ?? როგორ?? როდის??

ეძებდნენ და ვერ იპოვნეს ბოლო სიბოროტ:
რატომ??? როგორ??? როდის???

კითხვა ესე განისვენებს ქვეშე ამა ლოდის:
რ?ა?ტ?ო?მ? რ?ო?გ?ო?რ? რ?ო?დ?ი?ს?

3.

მე უნდა ვიყო შენთან ყველაზე უფრო ახლოს,
რომ შენმა სიახლოვემ შენსავით ამამაღლოს.
მე უნდა ვიყო შენთან რაც შეიძლება ახლოს,
რომ შენმა ერთმა სიტყვამ ერთ სულში ჩაგვასახლოს.
მე უნდა ვიყო შენთან ახლოზე უფრო ახლოს,
რომ ვერვინ მოგეკაროს და ხელი ვერვინ გახლი
მე უნდა ვიყო შენთან ყველაზე უფრო ახლოს,
რომ ვერვინ შემეცილოს ამ ოქროს, ამ ბაჯაღლო
გამოვექეცი უკვე სახლსა და სამოსახლოს:
მეუნდავიყოშენთანყველაზეუფროახლოს!
მეუნდავიყოშენთანყველაზეუფროახლოს!
მეუნდავიყოშენთანყველაზეუფროახლოს!

ვიცანი, ღმერთო, სამყარო!

მოვიმარჯვე ნაღარა და
ჩამოვკიდე ხეზე ზარი,
მომისმინეთ:
მტკვარო,
განგო,
ნილოსო და მისისიპო:
ის-ის იყო,
ვიცანი და
დავიყვირე: ეს ეს არი
ეს-ეს არი,
გამექცა და
ველარ ვამბობ: ის ის ყო...

ალარა ვარ კათოლიკე

ალარა ვარ კათოლიკე,
თვალისჩინო
და თოლიგე,
ფერს ფერისგან ველარ ვარჩევ,
ისე გამადალტონიკე.
შევადარე მზე და მზე და
მოემატა სევდა სევდას,
რომის პაპის პაპისპაპა
მომელანდა ზედაზენთან.
სანუგეშოდ მე ცა მექცა,
შემაყვარა მესამ ეგ ცა,
ცა მიყვარს და მიწა მიყვარს—
რაღად მინდა მესამე გზა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

სამი ამბავი

ღამის სტუმარი

აკაკუნებენ...

უცნაურია, — ვინმე თუ გიხმობს, ჭიშკართან მოდგება და გიხმობს ისე, იქავე გეტყვის თავის სათქმელსა, იქავე მოგიყვენს, გაბრუნდება მერე იქიდანვე, რაღა თქმა უნდა; შეეპატიჟები, კაცნი ვართ და ჩვენი წესია, არ შემოგყვება, შეეპატიჟები თავაზიანადა, თავაზიან მადლობას მოგიგებს, კმაყოფილი დაგრჩება მეტადა, არ შემოუცდება ფეხი ეზოში თავაზიანი შეპატიჟებითა; თუ არ მოუშვები, კალთებს თუ დაახევ, მაშინ სხვა არის, — შემოუცდება, შემოვა, ცხადია, და მაშინ უთუოდ უნდა დაალოცო, რახან კალთები ჩამოახევ; თუ არა სცალიან, თუ არაა ხასიათზედა, ფეხს მაინც ვერ შემოადგმევინებ, კალთებიც რომ შემოაფხრიწო, ბევრიც რო უქო ღვინოი შენი, ქებაც გასულიყოს შენი ღვინისა, სხვისგანაც ქება რო გაეგონოს, — თუ არა სცალიან, თუ არაა ხასიათზედა.

კარს აკაკუნებენ...

ჭიშკარიც შემოუვლია, ვიღაცაა თუ ვიღაცაა არიან, ეზოც გადმოუვლია, კიბეცა, ივანიცა, კარს აკაკუნებენ...

უცნაურია, — საქმისთვის მოსული, მოვა უთუოდ მზის ჩასვლამდისა, დილით მოვა, უფრო დილითა, დილის შარი სჯობს, საღამოს ხერხსო, მოვა დილითა, ანთე ვერ შესძლო, მზეს მაინც მოუსწრებს, მზის ჩასვლას მოუსწრებს, მანამდე მოვა, და მერე თუნდაც შეაგვიანდეს, იგი ამისთვის აღარ ინალვლებსო, ნათქვამი როა, ისეა სწორედა, ოღონდ მზეს მოუსწროს, მზის ჩასვლას მოუსწრებს, საქმე თუ აქვს, რაღა თქმა უნდა, თვითონ თუ მოდის, მოუწვევლადა; მზის ჩასვლის მერე ჭირში მხმობელი თუ შემოირბენს, მართლაც შემოირბენს შუკიდან შუკებსა, შეეკანდება ყოველ ჭიშკართანა, შეეკანდება და შეუძახებს, არც დააცდის რო ხმა მიაწვდინონ, უხმობს და შეუძახებს: ამან თუ ამანაო, ესა თუ ეს დაგვიზარალდაო, ცრემლი დაგვაყარეთო, — შეუძახებს და ჩაიკროლებს, შენს პასუხს აღარც რო ელოდება; ხოლო კარგად თუ ვერც გაიგონე, სხვებსაც ჰო შესძახებს ეგვეს, — კეთილ ინებე და გაიგონე, ოღონდ მაინც თუ ვერ გაიგონე, გადი და იკითხე, თუმცა მიხვედრით ისევე მიხვდები, ხვალ დაკრძალვაა, მიწეული ხარ დაკრძალვაზედა,— იმ დროსაა რო გატყობინებენ, იმგვარადაა რო გატყობინებენ: შეღამებამდისა, მზის ჩასვლიდან შეღამებამდისა, შუაღამისას არც ეს იქნება.

ისევ აკაკუნებენ კარსა...

უცნაურია. — იყოს უცნაური, აკაკუნებენ და უნდა გაუღო, მტერიც რო იყოს, უნდა გაუღო, უნდა შემოუშვა, უნდა დაეხმარო, ალბათ რაღაც რო გასჭირებია, და, რახან რო გასჭირებია, მტერიც ჰო მტერი აღარ არის, — ადამიანია; ადამიანი ადამიანია, მტერი თუ არ არის, რაღა თქმა უნდა;

აკაკუნებენ, თითქოს უფრო მორიდებითა...

უცნაურია, თუ აყოვნებ, აკაკუნებენ უფრო მკვეთრადა, ჩვეულებრივ ეს ისე გახლავს, ვიდრე შესწყვეტდნენ, უმატებენ და უმატებენ, თუ მოამზღვარია, მტერი თუ გახლავს, სამტროდ მოსული, ასტეხს ბრახუნსაცა, კარსაც შემოგიმტვრევს; მტერს მტრულად დახვდები, რახან მტერია, კარს რომ შემოგიმტვრევს, მტრულად დახვდები, რაღა თქმა უნდა; ოღონდ აქ მაინც სხვა უნდა იყოს, რო აკაკუნებს მორიდებითა, უფრო და უფრო მორიდებითა, თითქოს ნანობს, რო დააკაკუნა, აფაცუნებსღა თითებსა კარზედა, წავა თითქოსაო, გაბრუნდება ფეხაკრეფითა, როგორც რო მოსულა ფეხაკრეფითა, ვითომც რო მოსულა და ვითომც არაო, მაგრამ მაინც ვინ უწყის, ვინაა, რად მოსულა, მართლაც ვინ უწყის რა გასჭირებია, ანთუ ვინ უწყის, შენ თუ რა გელის, რა შეუტყვია, რა უნდა გაუწყოს, მზეს რო დამალვია, დღეს რო დამალვია, რო არ უნდა რო სხვამაც გაიგონოს, რო აკაკუნებს ისე კარებსა, აკაკუნებს თუ აფაცუნებს, ანთუ, ვინ იცის, ძალაც აღარ შესწევს,— აი ცოტაცა და მუხლი მოეჭრება, აი ცოტაცა და ძირს დაეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები აქვს თითქოს ისეთიო, განა თუ ხელებს მოიშველიებს, — თვალები აქვს თითქოს ისეთიო.

— რატომ არ დაჯდები?... — იკითხავს ასე, გაკვირვებით იკითხავს, — მე უნდა გთხოვო?!

— გმადლობთ, არა მიჯირს რა...

— მე უნდა გთხოვო-მეთქი, — გაიმეორებს, ოღონდ არა თუ გაკვირვებითა, თითქოს ნიშნის მოგებითაო.

— ცხადია, არა...

— ბევრს არ შეგაწუხებ, — ღიმილის დარად მოექცევა სახეი, ღიმილი არაა, რაღაც ისეთია, ჯერ რო არავის, რო არ აუხსნია, აქ არც მოვყვები, არცთუ ისე იშვიათია, კიდევ სადმე რო არ გადავეყაროთ.

— რამდენიც გენებოს...

— რახან შემოგეჭერი, არა?... — აჰა, აი მოექცევა სახეი ისევე, ანთუ ჯერაც არ გადაეყარა ელფერი იგი ამოუხსნელი.

— თუნდაც ეგრე იყოს...

— კეთილი და პატიოსანი!... — დუმილის მერე გამოსტეხს ამ სიტყვებსა, — რახან მოვედი და ვაყაცურად მოვედი, პირდაპირ გეტყვი, ვაყაცურადვე: მოვედი, გაგაფრთხილო!

— გამაფრთხილო?!

— ჰო... რაც უნდა იყოს, ტოლებნი ვართ, ბავშვობა ერთად გაგვიტარებია, გვითამაშნია...

— გვიჩხუბნია.

— ბავშვობაში ეგეცა ხდება.

— მერე გრძელდება დიდობაშია...

— განა დიდობაშიც გვიჩხუბნია?!

— არა.... აქამდის არც შეეხვედრიკვართ ასე პირისპირა, აგერ მოხვედი და საჩხუბრად მოხვედი.

სახე ეღუშება, აიღებს ბუდესა სიგარეტებისა, აიღებს და დაადგმებს, ისევ აიღებს, ისევ დაადგმებს, შეპასუხება არ მოეწონება, ეტყობა, ცხოვრება რო ისე გაუვლია, არავის რო არ შეპასუხებია, ზემდგომთა, ცხადია, არავინ რო არ შეპასუხებია, ქვემდგომნი, ცხადია, — ასე გაუვლია და არ მოეწონება, არ მოეწონება, რაღა თქმა უნდა.

— გითხარი, უნდა გაგაფრთხილო-მეთქი, — შენიშნავს ცოტა ნიშნის-მოგებითა, სიგარეტები გამოუპნევა, აბრუნებს ბუდეში, ერთობა ამითა თუ დროს იგებს ამითა.

— გავიგონე...

— განა ეს ჩხუბია?!.

— ხერხია, ფანდია... მანევრია, სხვათა სიტყვა რო მოვიშველიოთ.

— რა მანევრია?! — აპილპილდება, შეკრთება თვითონვე, სურს, დინჯად იყოს, აპილპილება არ ეამება.

— რა მოგახსენო!.. ვთქვათ, ვცდები, გისმენ, სხვა რა ვქნა!..

— კეთილი, — იტყვის, თითქოს მშვიდად იტყვის, „ვცდებიო“ დაამშვიდებს ცოტაოდნავადა, — რახან რო მისმენ, ჯერ ამასა გკითხავ, ლალი თუ გახსოვს?..

— ლალი?.. ლალი და ვიოლა?...

— უთუოდ ერთადა, ორივე ერთადა, ცალ-ცალკე რო არც დაგახსომდებოდა.

— ორი განუყრელი მეგობარი და ორი მძვინვარე მტერი ერთიმეორისა: ლალი და ვიოლა, როგორ არ მახსოვს!.. ლალი და ვიოლა, ერთად რო მობრძანდნენ, ერთად რო დადგნენ, ერთად რო ჭამდნენ, ერთად რო სვამდნენ, ერთ ჭერქვეშ ეძინათ და ჰკილავდნენ ცალ-ცალკე, ცალ-ცალკე სჭორავდნენ ერთიმეორესა, როგორ არ მახსოვს!... ლალი და ვიოლა, ორი მასწავლებელი, ორადორი და „მთელი პედაგოგიური კოლექტივი“ მაშინდელი, ერთიცა დამლაგებელი, ერთიცა დარაჯი, საკლასო ოთახიცა ერთი, ორ-ორი კლასი რო სწავლობდა ერთადა, როგორ არ მახსოვს!... ლალი და ვიოლა!... ლალის გამგეც ერქვა და ვიოლა ”ამბობდა, თავის ტოლად არ მივაჩნიოვარო, და სძულდა ვიოლასა ლალი, რო არ მიაჩნდა თავის ტოლადა, და სძულდა ლალისა ვიოლაი, რო სძულდა ვიოლასა ლალი; ლალი ცოტა მაღალი გახლდა, ცოტა მოთეთრო პირისკანი ჰქონდა და ვიოლა ამბობდა, ჩემზე ლამაზი ჰგონია თავიო, და სძულდა ვიოლასა ლალი. რა-

ხან რო უფრო ლამაზი ეგონა თავი, და სძულდა ლალისა ვიოლაი, რო სძულდა ვიოლასა ლალი; ლალი უფრო უყვარდათ ბავშვებსა, მშობლებსაკ ლალი უფრო უყვარდათ და ვიოლა ამბობდა, პირფერიაო, კბილერიაო, სწავლილი არაფერს არ ასწავლისო, მხოლოდ ლიალიკით გაკვეს თავიო, და სძულდა ვიოლასა ლალი, როგორც რო პირფერი, კბილერი როგორცა, და სძულდა ლალისა ვიოლაი, რო სძულდა ვიოლასაა ლალი; ვიოლა უჩიოდა ლალისა ყველგანა, ყველასთან უჩიოდა, ვიოლა სძრახავდა ლალისა ყველგანა, ყველასთანა სძრახავდა; თავს იმართლებდა ლალი, ყველგან იმართლებდა თავსა. წამოსცდებოდა აუგიცა ვიოლასი, რაღა თქმა უნდა, წამოსცდებოდა, და ვიოლა ამბობდა, ჩემი ლანძღვაა მიზანი მაგისი, სხვა მიზანს ამქვეყნად ვერცა ჰპოებსო, და სძულდა ვიოლასა ლალი, სხვა მიზანი რო არ გააჩნდა, და სძულდა ლალისა ვიოლაი, რო სძულდა ვიოლასა ლალი; ლალის იმდენი დროც არა ჰქონდა, წიგნები უყვარდა ლალისა, ბევრსა კითხულობდა, ყველაფერს კითხულობდა, ხელში რაკ რო ჩაუვარდებოდა, უფრო რომანები წარიტაცებდა, სენტიმენტალური, რომანტიკული რომანები, წარიტაცებდა და მოეთხრობდა მერე ვიოლასა, დილით, ადრიან თუ გაეღვიძებოდათ, თუ არ დაეძინებოდათ გვიანობამდისა, მოეთხრობდა და გაჭქონდა ვიოლასა, როგორც რო ლალის თავგადასავალი, გაჭქონდა და ადასტურებდა, ჭორი არ გეგონოთ, თვითონვე გამაგონდო, თვითონვე მითხრა თავის პირითაო, და სძულდა ვიოლასა ლალი, რახან რო ლალის წიგნი უყვარდა, და სძულდა ლალისა ვიოლაი, რო სძულდა ვიოლასა ლალი; მაინც ერთად იდგნენ, მაინც ერთად იყვნენ, ვერ შეეთოლნენ მაინც ერთმანეთსა... ვიოლა და ლალი, ლალი და ვიოლა, როგორ არ მახსოვს!.. მე ისიც მახსოვს...

აქ ხელს აღმართავს ღამის სტუმარი, მეტი არ უნდა თუ ამდენიც არ უნდოდა. „წიგნის“ ხსენება მაინც გაახარებს, „წიგნთანვე“ აღმართავს ხელს. ერთი არ ეყოფა, აქ ორიცეს აღმართავს ერთადა:

— სენტიმენტალურიო?! — გამომწვევად იკითხავს, გამომცდელად იკითხავს.

— პო ეგრე... სათავგადასავლო...

— რელიგიური?.. — ისევე იკითხავს და მიაბჯენს თვალთა, თვალთა რისხვანთა.

— ვიოლას ჭორია...

— პა?!.

— მანდ გაუმართლა ვიოლასა.

— ლალიზე ვამბობ: სახარება არ ჩამოართვეს?..

— ჰო... და გაუმართლა...

— ბავშვებს უკითხავდა, — ამბობს სტუმარი გაოცებითა, ანთუ უფრო აღშფოთებითა.

— ვიოლას ჭორია, ცილისწამებაა ვიოლასი.

— რო დამტკიცდა?! — წყრება სტუმარი.

— არა მტკიცდება ყველაფერი, რასაც ამტკიცებენ.

— რასა ბრძანებთ!. — დამკინაობა ამოჰყვება ხმასა იმისასა.

— მხოლოდ გიპასუხებ, ცილისწამებაა ვიოლასი-მეთქი... წიგნები უყვარდა ლალისა-მეთქი, უფრო სენტიმენტალური, რომანტიკული, სათავგადასავლო წიგნები იტაცებდა...

— სახარება ჩამოართვეს-მეთქი, — იმეორებს დაბეჯითებითა, სტუმარი, ცხადია, სტუმარი იმეორებს.

— ჰო... ბოლოს ესეც ჩაუვარდა ხელში; და დრო იხელთა ვიოლამა, თავიდან მოიშორა ლალი, რო ვერც მოასწრო წაკითხვა სახარებისა, ისე მოიშორა; ლალი მოხსნეს, გაგამგეევეს ვიოლაი. და ლალის მაგივრად ისევ ლალი გამოუგზავნეს: ვიოლა და ლალი!... როგორ არ მახსოვს!.. სახელებმა გადაინაცვლა, ლალიც სხვა იყო, რაღა თქმა უნდა, ოღონდ შედეგი იგივე მოჰყვა: მეგობრობა მოჰყვა ისეთი, მტრობაც

ოთარ ჩხეიძე
სამი ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი მძინვარე მოჰყვა, ამჯერად ლალიმ უფრო იმარჯვა, ამჯერად ლალიმ უმეტესლა ვიოლასა, ვიოლა მოხსნეს, გაადგეგეს მერე ეს ლალი, როგორ არ მახსოვს!.. ვიოლა და ლალი!... გადაგმგეგეს მერე ეს ლალი და სხვა ვიოლა გამოუგზავნეს, ლალი და ვიოლა, როგორ არ მახსოვს!.. ჰა, ჰა ჰა... არაფერი არ იცვლებოდა, სახელებიც არ იცვლებოდა, ესაა რო მორიგეობდა, ინაცვლებდა და მორიგეობდა: ლალი და ვიოლა, ვიოლა და ლალი, ლალი და ვიოლა, ვიოლა და ლალი, სხვა ყველაფერი იგივე იყო, არაფერი არ იცვლებოდა, არც მეგობრობა არ იცვლებოდა, მუსანათობაც არ იცვლებოდა: ვიოლა და ლალი, ლალი და ვიოლა, ჰა, ჰა, ჰა... როგორ არ მახსოვს!..

ის არ აჰყვება, არც გაიცინებს, არც გაიღიმებს, მხოლოდ გაჰყურებს შუბლქვეშიდანა, ისე გაჰყურებს, აი და აჰაა, შუა სარმით წამოიღებსო:

— მაინც სახარება, — ასე წამოიღებს, მართლაც ასე შუა სარმითა, წამოიღებს და დასცემს მეეტებზედა, დასცემს და ადგება, წამოფრინდება, მცირედადაც რო არ შეაწუხებს, ცხადია, არა, ეს ხო ქართული ჭიდაობაა, ძიუდო ხო არაა, კლასიკური თუ თავისუფალი, ანთუ სხვა რაიმ ჯანდაბური ხო არაფერია, დასცემს მეეტებზე და წამოფრინდება, როგორც რო ვაქაცეთ შეეფერებათ, რაინდებს როგორც რო შეეფერებათ, — სახარება!... როგორ ჩაუვარდა ხელში ეს წიგნი?..

— გეცოდინება, ისე მეკითხები.

— ჰო... — მყისვე დაუდასტურებს, — ლალიმ აღიარა. მე შემეკითხნენ. მე დავარწმუნე, რო არ შეიძლებოდა, შენ ასეთი წიგნები გქონოდა, ძლიერ დავარწმუნე, მაინც დავარწმუნე.

— რა ძალა გადგა?!

— ჰა?!. — უკვირს ისე, რომ თვალები მართლაც გაუგანდება.

— რა ძალა გადგა-მეთქი...

— კარგისთვის კარგით ვის გადაუხდიაო, — ახლაღა ჩაიცინებს, — მაგრამ მე მაინც ბავშვობა მომაგონდა... ჩვენ ხო ერთად გვითამაშნია?..

— გვიჩხუბნია.

— ჰო... — ცოტა დაიფშხალება, — მახსოვს, მახსოვს... ცოტა მწარე ხელი გქონდა.

— შენ მიპარავ იცოდი, ახლაც უნებლიედ მივიხედები ხოლმე უკანა, მას შემდეგ დამჩემდა.

— უკან მიხედება არავის აწყენს, — გაიღიმებს და ჭუტავს ცალ თვალსა, თითქოს რო ბოლი ჩაუვარდა თვალშიო, — არც წინ გახედავ აწყენს არავისა.

— გმადლობ, ამისთვის თუ მობრძანდი...

— გეტყვი, — დასძენს თითქოსდა ნახევარი ხმითაო თუ ტუჩებითა ნახევარითაო, მეორე ნახევრით რო იპერს სიგარეტსა, ბოლიც რო ედება სახეზედა, გაცრეცილი ბოლი.

— რაც უნდა იყოს, დამეკარგა ის წიგნი, მწყინს, რო დამეკარგა; დიდედაჩემის ნაქონია, სასწავლებელში ეჩუქებინათ, წმიდა ნინოს სასწავლებელში. თვითონ მისახსოვრა... მწყინს... დამეკარგა.

ის თავს იქნევს უარის ნიშნადა, უამურადაც იქნევს თავსა:

— თითიც რო არ დამიკარებია, არც დამიხედია.

— მჯერა.

— არ მოვსულვარ არც ამისთვისა, დამერწმუნებინენ... — იტყვის მკვახედა, ამდენი ჩარეცა რო აღარ მოსწონს, რო გაუგრძელდა ასე, აქამდისა.

— მოხვედი, გამაფრთხილო...

— დიახ!.. — მოსჭრის მტკიცედა, მართლაც რო მტკიცედა, როგორც რო განეზრახა, — ამბობენ, სადღაც გამოგიყვანივარ... დამაცდე თუ შეიძლება!.. ამბობენ, რო ჰხატავ რაღაცებსა, შარჟებსა თუ კარიკატურებსა, სხვები ამბობენ, მე არ ვიცი, არცა ვკითხულობ, არც დავეძებ, კარიკატურის მომდევრები მე არ მომწონან; სად ჩამხატე თუ როგორ ჩამხატე, არც მოვიკითხავ, არც პასუხსა გთხოვ, სხვა რო ყოფილიყავ, არც მოგაკითხავდი, შენ მოგაკითხე, მოვედი მე თვითონა, ბავშვობაში რო გვითამაშია, იმის ხათრითა, გვითამაშია თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიჩხუბია, როგორც რო ბრძანებ, მაინც იმისი, იმისი ხათრითა, კაცურად მოვედი, პირდაპირ მოვედი, და გიცხადებ ასე პირდაპირა: რაც იყო, იყო, თუ ის მართალია, ოღონდ თავს თუ არ დამანებებ...

— დიდედაჩემის სახარებას ვიღა მოიკითხავს?!. მადლობა ღმერთსა!.. ახლა ბიბლიას აკადემია სცემს... ახლა ამისათვის აღარავისა სჯიან.

— სხვა რამისთვისა?!. — შესძახებს ისე გაავებული, რად გამაწყვეტინეო, გაავებული ისე, იმგვარადა და იმავე დროს წაქეზებულიცა, მოსწრებულად მოვუბერია.

— ვიოლა...

— რა ბრძანე?!

— ცილისწამებით მემუქრები...

— რა ახსნა გინდა, — ჩაიქირქილებს ღამის სტუმარი, მერე განმარტავს დამშვიდებითა, — ყველა თავის ღირსებას იცავს, იცავს როგორც რო მოუხერხდება, ყველა თავისი თავით ამაყობს, თავისი სიამაყე აქეზებს ყველასა; მე სხვანაირი რატომ ვიქნები, ვის რას დავუთმობ, თუნდაც ბავშვობაში...

— გვეჩხუბოს...

დაიფშხალება, აღარას იტყვის, რისხვას გამოჰხატავს იმა დაფშხალვითა, ბუდეს აიღებს სიგარეტებისა, ჩაფერფლილ ასანთის კოლოფსაც აიღებს, მოხვეტავს დაყრილ ღეროებსაცა, ასანთისასა, რაღა თქმა უნდა, სულს შეუბერავს ფერფლსა, ზეზე რო დავარდნია, სულს შეუბერავს, იმასაც გააქრობს, და გადის ისე ფეზაკრეფითა, როგორც შემოვიდა, გადის, ქვალი რო არ დარჩენია ისე, იმგვარადა გადის, გაჰქრება, დარჩება მხოლოდ სუნი მცირედი, მკრთალი თითქოსაო, არა მხოლოდ რო სიგარეტისა, რაღაც სხვა სუნი, მკრთალი თითქოსაო, ოღონდ უამური, უცნაური და უამური, ორპირი ქარიც რო ვერას დააკლებს, იდგება, დიდხანს იდგება.

ბნელა გარეთა, არა სჩანს წასული, არ ისმის ჩქამიცა. რაც უნდა დაძაბო ყურთასმენნი, არ ისმის მაინც, არც რო ქარიაო, არც რო სიოა, რო დაბრალო, ვითომც ქარმა ჩაიხვიაო, ვითომც სიომ ჩაიხვიაო; ბნელა გარეთა, დუმს ყველაფერი, ჩაძირული სოფელი ძილში, სიზმარში ჩაფლული, და თუ შენც წაგიღებს ძილი დროდადრო, კაკუნი მაინც გამოგაფხიზლებს, ანთუ არც რო არ მოგასვენებს, ანთუ არც რო არ დაგაძინებს, მოვა მაშინვე, ჩაგთვლემს თუ არა, მოვა და კარებს მოგიკაკუნებს; იცი, რო არ მოვა, აღარ მოვა, არც მოგიკაკუნებს, რაღა თქმა უნდა, არც სხვა არავინ მოაკაკუნებს, იცი და იდგები, იდგები მაინცა, იდგები და გააღებ კარსა, მერე მიჰხუთავ, მერე ისევ გესმის კაკუნი, ისევ გააღებ და მიჰხუთავ ისევა, კაკუნებს ისევა, ისევა კაკუნებს; უცნაურია, რადგან რო ასეა: თუ ვისმე საქმე აქვს, დღიურავე მოვა, მზიურავე მოვა, ჭიშკართან გიხმობს, გეტყვის იქავე და გაბრუნდება, არ შემოუცდება ფეხი შიგნითა, კალთებიც რო შემოახია, ღვინოც რო უქო, ბევრიც რო უქო ღვინოი შენი, გაბრუნდება, წავა მაშინვე, თუ ვისმე საქმე აქვს, თავისით თუ მოგადგა კარსა.

მოციქული

თვალი ისევ უჭრიდა დაღლარასა. თვალიც უჭრიდა და გულიც ერჩოდა, მკლავიც უჭრიდა. ყველაფერი უჭრიდა. ისე აღარა, რაღა თქმა უნდა.

თვალი რო უჭრიდა, ძირს ჭიანჭველა არ გამოეპარებოდა, მაღლა ფრინველი. შეეუღმფრენებზე თუ რაკეტულ ხმებზე აღარაფერი ითქმის, — ყურებზე ხელებს აიფარებდა ხოლმე.

ასოციაციურ მწერლობას თუ აგყვები, ახლა აქ უნდა მოვადევნო: ყუ-

ოთარ ჩხეიძე
ს

რებზე ხახვი არ დამაჭრაო. კომენტატორი ბოლოში გაიტანს: ქართული ხალხური ანდაზა გახლავთო. და მერე აჰხსნის თუ რას ნიშნავს. ანთუ რას აჰხსნის, — ყურებზე ხახვი ვისთვის დაუჭრიათ?!.

ისევ დაღლარას ამბავს გავყვები: თვალიც უჭრიდა და სმენაცა-მეთქი.

ბიჭიც არ გამოჰპარვია. ჩქამიც მოესმა. დიინახა კიდეცა. აცალა. თვითონვე იტკრინა. აისუსა. ფოთლების ფაჩუნით არ დავაფრთხოო. გული იჯეროსო. მერე ჩაახველა. ჩაახველა და ჩაახველა. მერე აღიღინდა, საყვარელმა რა მიყოსო, — სამოცი წლის წინათ რო ღიღინებდა. ვითომდა რაო: გაიქცესო, გამასწროსო, არც ისე დაფრთხეს, კისერი რო მოიტეხოსო. არავინ დამფრთხალა. შენც არ მომიკვდე!.. მერე აფაფხურდა: აბა, დამიდექო. შენც არ მომიკვდე!.. მერე წადგა თოხის ქნევითა. თოხნინდა.. წადგა მუქარითა, ვითომ და რაო, თავს გავუჩეხავ, ვისაც მოვასწრებო. შენც არ მომიკვდე. ბიჭი ტოტებზე გადამჯდარიყო არხეინადა. მშვიდად არჩევდა მწიფე გარგარსა. მშვიდადა. წყნარადა. აუკვირვლადა, ფრთხილადაცა, შემოუსვლელი არ გავიფუჭოო. არჩევდა და ჭამდა. წუწნიდა ნელა. ნელა. ატანდა გემოსა. გემოთი ტკბებოდა. გემო იცოდა და ტკბებოდა გემოთი. ღორმუცელა არ იქნებოდა. გემო ვინც იცის, ღორმუცელა არ იქნებაო. ესეც ანდაზას მიმგვანებია. ხალხურს არა ჰგავს. არადა, ბიჭი გარგარზე იჯდა, არჩევდა და გემოს ატანდა-მეთქი. გემოს ატანდა და შეჰლიმა დაღლარასა. მომწონსო, ანიშნა. კიდევაც აიწია. კიდევაც წაიწია. გაიწელა რაც რო შეეძლო, რო მისწვდომოდა უფრო დაბრაწულთა, მზისგულისათა, მზით გაშეძილთა.

თოხი დაუშვა დაღლარამა. თვითონაც მოეშვა. დაეყუდა თოხსა. და ერთი ნარკვევიც მახსენდება: — „მხრიდან ჩამოიღო ბარი. ზედ დაეყუდა...“ ილაპარაკა, ილაპარაკეს და მერე „ისევ გაიღო მხარზე თოხი და თავის გზას გაუდგა“. ახლა ეძებონ თუ საიდან მახსენდება. შენც არ მომიკვდე, თავს არ მოიკლავენ ჩვენი კრიტიკოსები, საიდან თუ რა არქივში, თუ ვინ ვისგანაა დავალებული, ამის კვლევითა, თავს არ მოიკლავენ; და ამასობაში არ დამავიწყდეს, თოხს რო დაეყუდა დაღლარაი.

— დაგირხიო?..

ჩამოსძახა ბიჭმა. უმასპინძლდებოდა კიდევაცა.

— ვისი ხარ, ბიჭო?..

ასძახა დაღლარამა. ვის დაჰკარგვიხარო, ესეც უნდა მოედევნებინა, მაგრამ ვერა ჰკადრა. ვისი ხარ ასე კეთილიო, ამ ხმაზე ასძახა.

— კოაჭაანთი!..

მიუგო ბიჭმა. ცოცხლადა და ეშხიანადა. ამაყადაცა. თანაც რო წვენი დასდიოდა ნიკაპზედა. გულზედაც დასდიოდა წვენი.

— ჰოოო...

ჩაახველა დაღლარამა. არ მიკვირსო, ისე ჩაახველა.

— ტოტი დაგიწიო?..

აღარ აცდიდა ბიჭი. ძალიან უნდოდა, პატივი ეცა. ძალიანა. არ ასვენებდა გული კეთილი.

— არ ჩამოტეხო!..

შეშინდა დაღლარაი.

— ნუ გეშინიან.

დაამშვიდა ბიჭმა.

— არ ჩამოტეხო-მეთქი!..

თოხი მოიღერა დაღლარამა. თოხი მოიღერა და არა ბარი. მახსოვს: თოხს დაეყუდა.

— არა-მეთქი...

და მაინც ფეხი გასწია ბიჭმა.

— არ გიდგათ გარგარი?!

მაინც შეუტია დაღლარამა. თან გაუკრიჭა, — რა ვუყოთ თუ კბილები აღარ მოუჩანდა, — არ შეშინდესო.

— ჩვენიო, დიდედამა, საკომპოტედ გვინდაო.

აუხსნა ბიჭმა.

— მერე და დაღლარას აწყენს კომპოტიო, რაო, დიდედამა?!.

ბიჭმა ვერაფერი მიუგო. აიხედა. დაიხედა. აარაცრაცა თავი. მერე დაეკიდა ტოტსა. მერე ისკუბა. მერე გავარდა კი-

სრისტეხითა. ვერაფერი რო ვერ მოასწრო დაღლარამა, ვერც დაცაცხანება რო ვერ მოასწრო, ვერც მუქარა რო ვერ მოასწრო, აბა ერთი კიდევ დაგინახო აქაო. ვერა, ვერაფერი მოასწრო. გავარდა და მოვარდა ბიჭი.

— შენმა მზემაო, დიდედამა, კომპოტი თუ არ დააყოლეო, ისე ვერ ჩაცეცხლამ არაყსაო.

მოურბენინა პასუხი ბიჭმა. სული მოითქვა.

— სიდომაა?..

წარბი მოღუშა დაღლარამა. თეთრი. თეთრი. გათხელებული წარბი. მოღუშა. მოჭუტა თვალიცა.

— სიდო დიდედამა.

დაუდასტურა ბიჭმა.

— ეგრე ენამწარე იყო გოგოობისასაც და ეგრე ენამწარედაც ჩაბარდება მამაზეციერსა.

თქვა დაღლარამა, თავისთვისა თქვა. აღარც რო თვალი მიუდევნებია ბიჭისათვისა, — საქმეს მიგხედოო.

ბიჭი გაჰქრა. გაჰქრა და მალე ისევ თავს წამოადგა.

— მე ჯერ არ ვაბირებო. შენ შენი იციო. მოკითხვასაც არ დაგბარებო. ნახვის ნატვრასაც არ დაგბარებო. შენ შენი იციო.

თავს წამოადგა და ამოიქაქანა ბიჭმა.

— ეშმაკს ვეძმობი და მაგაზე აღრე არ წავალ აქედანა.

თქვა ისე, თავი რო არ აუღია დაღლარასა. ეგრეცავე დაჰხვდა, ამისი პასუხიც რო მოურბენინა ბიჭმა.

— რაღას ეძმობი, რო აღარ არისო. ყველა გაეშმაკდა და ეშმაკი მოკვდაო.

— ეშმაკს რაღა მოჰკლავს, რახან ყველა გაეშმაკდაო.

ესეც უმალვე მოუტანა ბიჭმა.

და აიხედა დაღლარამა. წელშიც გაიმართა. პასუხი ვეღარ მოუხერხდა და იმიტომაცა. ბიჭსაც დააკვირდა, რას ჩამაცივდაო.

— ბიჭო!.. — გაწყალა დაღლარამა, — მე ხო არ გადმოვსულვარ თქვენს გარგარზედა?!.

— ეეხ, რა დრო იყოო, — დიდხანს არ აცდევინა ბიჭმა, — შენი და ჩემი რო, ერ ვიცოდითო, კალთებს რო ვახვევდითო ეშმაინთესაო, არა ჩემი იგემე, არა ჩემი იგემე, არა ჩემთან გადმოდი, არა ჩემთანაო, ეეხ, რა დრო იყოო.

— ეგება ახლაც დამეხია კალთები, რო აღარ მაცდით!..

თავი იმართლა დაღლარამა.

— რაღაც არ გეტყობაო. რამდენი ხანია ჩამოვედი და ერთხელაც არ გაგხსენებივარო.

შორიდანვე გამოსძახა ბიჭმა, რო გაიქცა და რო მორბოდა, ცხადია.

— რა იცის, ჩემს გულში ხო არა ზის?!

იფარა დაღლარამა.

— აიგლიო, ჩაიგლიო, ფეხი არ შემოგიცდებაო, თვალი არ წამოგიცდებაო, გული და თვალი ერთი არისო.

მიიღო პასუხი დაღლარამა.

— ერთი არის, ერთია.

დათანხმდა დაღლარაი.

— ერთი არისო.

მიიღო დასტური დაღლარამა.

— დამითმია. — ხელი ჩაიქნია დაღლარამა. — ქალი ქალია. ისევ მე უნდა დავთმო. ქალი რო არის, ქსლს ისიც ეყოფა. — ცოტა კიდევაც ჩაიცინა დაღლარამა. და ეტყობა, რო არ გამოსტოვა ბიჭმა, ეს ჩაცინებაც არ გამოსტოვა, რო მიუბრუნდა ამგვარი პასუხითა:

— კაცი ხო რაო. ზოგი კაცი კაცი არის, ზოგი კიდევ კაცუნაო.

— ზოგი...

წამოიწყო დაღლარამა.

— ზოგი ქალი ქალი არის, ზოგი კიდევ ბრაცუნაო. ვიცი. ნუ შეწუხდებიო.

დაბაბოლოვა ბიჭმა, რო აღ დაეცადა დაღლარასა, ანთუ დაღლარა რო არ აცდიდა. დაბაბოლოვა და ელოდა. მოსაწყენეტს იყო. ითქმოდა. გაფრინდებოდა.

— ზოგი დედაკაცი არის, ზოგი დედაკაცუნაო.

მაინც დაურთო თავისი დაღლარამა. მოიცაო. ესეც დაატანა. ვეღარც მოასწრო. ბიჭი აღარ ჩანდა.

თოხი დაადგო დაღლარამა. გზაზე

ოთარ ჩხეიძე
სამი ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა დაღლარაი. ბიჭს დაეგვიანდა. ბაღი-ბაღებზე სჭრიდა. გადაეკეტებოდა ღობე-ყორესა. მობრუნდებოდა. მოიტანდა პასუხსა. ამას აღარა ჭკნნდა პასუხი თუ პასუხის პასუხი. გავიდა. გაეცალა. ეძახოს. პასუხს მოფიქრება უნდოდა. ბიჭი არ აცდიდა. ქალი არ აცდიდა. ასეთიცა ბრძანდებოდა, ენაზე ეკერა პასუხი. მოფიქრება არ უნდოდა. ენაზე ეკერა. ასე ეკერა. მაშინაც ასე. ახალგაზრდა იყო, ასევე ეკერა. არ იცვლება. არაფერი იცვლება. რაცა ხარ, ისა ხარ. აკვანშიც ისა ხარ. კუბოში... კუბოში?.. მაშინაც თუ!.. ასევე, ალბათ ასევე ეკერება ენაზე პასუხი. კარგია პასუხი ენაზე. მოსწრებულია. ჭკუასაც ძალა არ დაადგება. ჭკუაც აღარ უნდა. რად უნდა. რად უნდა. პასუხი თუ ენაზე აკერია. ცხოვრება ხო პასუხია, — პასუხია. მეტი არაფერი. არაფერი, არაფერი, არაფერი მეტი. გეტყვიან. მიუგებ. მიუგებ, — კაცი ხარ. ვერ მიუგებ, — არა ხარ კაცი. ქალი მიუგებს. ენაზე აკერია. მაგრამ კაცი არ არის. ქალი ქალია. ენაზე აკერია და ქალია. ქალი ქალია. ქალი. პასუხია. ცხოვრება პასუხია. კაცი არ არის ქალი. ქალი პასუხია. როგორი რა გამოდის?.. ჯანდაბას!.. ალბათ თუ ეძებს. ბიჭი. ბიჭი არ აცდის. არა. ბიჭი არა. ბიჭი ბიჭებშია პასუხი. კაცებში ბიჭი არ არის პასუხი. კაცებში კაცია კაცი. ქალებში ქალია ქალი. ცხოვრება პასუხია. მიგებაა. მიუგებ, — ცხოვრობ. ვერა, და, — ვერა. ფიქრი გვიანია. ფიქრიც პასუხია. გვიანია. გვიანი. ცხოვრება სწრაფია. ცხოვრება პასუხია. პასუხი ენაზე აკერია. ცხოვრება ენაა. ცხოვრება სწრაფია. ცხოვრება ენაა. სწრაფია. სწრაფი. ფიქრი გვიანია. ჭკუა ფიქრია. ფიქრი ენაზე აკერია. არა. სიტყვა ენაზე აკერია. სიტყვა არაა ფიქრი. სიტყვა ცხოვრებაა. სიტყვა ენაა. ჰა?.. ენა სიტყვაზე აკერია. ჰა?.. რაო, როგორაო. ჯანდაბას!.. მოვიდოდა, როდის აქეთია, ეძებს. ეძებს. ენაზე სიტყვა არ დაადგება. ლამის გადმოსცდეს. ლამის დაეკარგოს!..

— აქეთა ვარ!..

გასძახის დაღლარაი.

— ეგეც უნდა დამებარებინაო. ლარ მოვასწარიო. ისე მირბისო. მორბისო.

მიაყრის ბიჭი. თითქოს დასცვენია და აუკრეფია. მტვერში ჩასცვენია თუ ლაფში ჩასცვენია. ეგრეეც მიაყრის მტვრიან-ლაფიანადაეა.

— დაუცდიდი და აჰკრეფდი ყველაფერსა და ისე მოხვიდოდი.

ჭკუას დაარიგებს დაღლარაი.

ამისი პასუხი აღარ მოაქვს ბიჭსა.

— გადმო. გადმოიარეო. ვიცი, რა მუცლის გვრემაცა გაქვსო. გადმოდიო.

ეს მოაქვს ბიჭსა. პასუხს აღარ უცდის. გული ამოვარდნასა აქვს. მირბის მაინცა. კისერს მოიტეხსო. დაღლარასა ჰგონია.

თვითონაც ურბენია და არ მოუტეხია კისერი. ახლა აღარ მირბის. მიდის დინჯად. რო ირბინა, — რას მოეწია?.. რო დადგა, — რა დაეწია?.. მიდის. მიდის. სიჩქარე, — ნაბიჯია. ნაბიჯის მეტი სიჩქარე არ არის. მონაგონია. მიდის. მიდის. შემოესმის ჯერ ბაგური როდინისა. ჰე, ჰე, ჰე!.. ტაფაზე ქათამი გადაჩაჩხული. შიშხინებს. შიშხინებს. ერთი როდინის ქვაც იმას დასწოლია. პური მაგიდაზე. მრგვალი პური. ქარხნის პური. დანაც იქვე გდია. არაყიცა. არა, არაყი არა გდია. დგას საარყითა. ჭიქა ჭიქაცა დგას. საარყე ჭიქა. პატარაა. მოეკუტავს თვალებსა დაღლარაი. გამოგიცვლიო. სიდო აიმედებს. არც რო თავი აუწევია. იცის. იცის. უბაგუნებს ისევ როდინსა. ნიორსა ნაყავს. ისე არ იშმევა ეს ქათმებიო. მაცივრისაკენ გაიქნევს თავსა. სიდო გაიქნევს. მაცივრის ქათმები. შინაური ქათამსაც მოასხამდნენ ნიორწყალსა. ის, ისე, მადისადა. ეს არ იშმევაო. უნივროდ არაო. ამბობს და უელავს კბილები. ჩაწიაწიკებული კბილები. სად უშოვნია. ჰო. შვილი კბილის ექიმი ჰყავს. დაღლარას არა. არც ჩაისხამს. ვერ ეგუება უცხოს ვერფერსა. ხელოვნურს ვერა, ვერ ეგუება. რა ნიორი უნდა. თვითონაა ნიორი. კბილები რას უშველის. არც უხდება მოღეჭილ სახესა, ქალისა. კიდევაც აუშნო-

ებს. ყველაფერი დროისაა. უკან ვერ გადასწევ ვერაფერსა. ახალგაზრდობას ახალგაზრდობა უხდება. მოხუცობას მოხუცობა უხდება. მოხუცი რო ცეკვას ისწავლის, საიქიოს გამოადგებაო. გამოადგება. ჩაწვიკეგებული ბებერები. გამოადგება. ახლა არაო. აუცხოებსო. სიტყვები ეცნაურებოდა. ეს აღარა, აღარ ეცნაურება. თითქოს რო მიიწვია სხვამა. სხვას დაწვია. თითქოსა თუ მართლა. იყოს თითქოსა. არაყი დგას მაგიდაზედა. უცხოა ესეცა. იუგოსლავური. ქალიც უცხოა. თმაც შეუღებია. ქმიკოსი არა ჰყავს მეორე შვილი. არც მესამე. ეგეც არაფერი. ქმიკოსი რად უნდა თმის შეღებასა. ერთი გამოიგონებს. ერთს გამოიგონებ. მერე აღარ უნდა ქმიკოსი. გაბუწკეია. ცოცხზედაც რო გადაჯდეს. გადაჯდეს. ცეცხლმოდებულ ცოცხზედა. დაღლარა ჩაიცინებს. ერთი რო იცინის სულელია. სიდო არ დაუთმობს. მართალი ხარო. უდასტურებს დაღლარაი. მაინც ჩაიცინებს. ვიყო სულელიო. კუდიანი ცოცხზედაო, ცეცხლმოდებულ ცოცხზედაო. ვიყო სულელიო. ქათამი შიშხინებს. უბაგუნებს. შიშხინებს. უბაგუნებს. შიშხინებს. უბაგუნებს. ეყოფა. ეყოფა. გაეწყალოს. ანთუ როდინშიე გაწყალდებოდა. უზბეკური თუა, ანთუ ვინ უწყის, რა ჯანდაბურია. აქაური ხო აღარაფერი გააჩნია. არაყი მაინც არაყია. დაისხმა. პირჯვარს გადაიწერს. დალევს. ყელი არ ჩამისველო. ჭიქას გამოუცვლის სიდოი. აღარ შეგფერისო. მაინც გამოუცვლის. გაწყენსო. შენ დარდი ნუ გაქვსო. შიშხინებს. აღარ უბაგუნებს. იწვის. იწვის. და რო არც იწვის!.. არ მოსწონს. სიდოს არ მოსწონს: იწვის, არც იწვისო. თვითონ ხო არ დაუსვამს კრუხი. თვითონაც არ მოსწონს. სადღაურიღაცაა. ამას წინათ ფრანგული ჩამოიტანეს, ის კარგი იყოო. ჰოლანდიური კარგი იყოო. რამდენი რამ უსწავლია სიდოსა. უსწავლია. გაქალაქელდა. სადღაც ვიღაცა უდიერად მოექცა მშობელსა. და აყვირდნენ. და ასტეხეს აურზაური. შეეშინდათ სიდოს შვილებსა. ჩვენც არაფერი დაგვბარალონო. რეს დედა. სოფლიდან აჰყარეს. ყვანეს. დაუბურგბურეს. და აქ დაიქცა. საქართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთია, ოღონდ ესაა. ლათინურია. ცვივა. ცვივა. ქართული არა. არა ცვივა. „ლუდიც არის!...“ სიდო ამბობს. „ჩეხური ლუდია. იმდენი ჩამოიტანეს!.. დარჩით“, „არ მინდა... ლუდი არ მინდა!..“ უარობს დაღლარაი. „მე თვითონ გამოვხდი, რო მინდოდეს“. უცხო არ უნდა. არაფერი უცხო არ უნდა. ოღონდ ეს არაყი... არაყი... სხვა არა იყოს რა, ფეხს ჰო არ დაუდგამს პურმარილზედა. რაცა აქვს, გულით მოუტანია. კბილებიც უელავს. თმები გა ბუწკული. თითქოს წითურიო. რა ფერის თმა ჰქონდა?.. ვიღას ეხსომება. ამისი ხნისა ქვა აღარა გორავსო. „ერთი რო იცინის... წეღანაც შეგახსენე“, „უარს არა ვარ, ვიყვე სულელი“. „რად გინდა მერე“?!. „რა ვიცი, ვიყვე“. ცოცხის ცხენი. ბოლი. ბოლი, რაკეტა. რაღა ცხენი. — რაკეტა. რაკეტა. თანამგზავრი. გაწეწილი წითური თმები. გაწეწილი. ლუდს გადმოუდგამს. „აქეთენ“, „აქონ“. ტაც!.. ტაც!.. ტაც!.. რანაირად იწვის. იწვის თუ არ იწვის. ევროპა მაცივარში. ქვეყანა მაცივარში. შიშხინებს. ტაცუნებს. წუის, წუის.

— ეყოფა?..

სიდო იკითხავს.

— შენ უკეთ იცი.

თავს იმდაბლებს დაღლარაი.

— ეყოფა.

მტკიცედ აცხადებს სიდოი.

— ჩემთვის ნუ სწუხარ.

უარობს დაღლარაი.

— არაფერს შეატან? .

ვითომ რო უკვირს სიდოსა.

— არაფერსა. ესეც ისე... ხილიანობაა.. წამალივით უნდა...

ვითომ რო თავს იმართლებს დაღლარაი.

— ისე ჰო პირთ უკან წაიღებ!..

არ უთმობს სიდოი.

— ჩვენი მაინც სხვაა.

თავს გამოიდებს დაღლარაი.

— სიმწარე სიმწარეა, რა სხვაა?!..

— ჰე, ჰე... შენ არ იცი...

და ორი სახარება შეგეწეოსო. მოადგენებს. გადაჰკრავს. ხელს გადადებს. ულვაშებზედა პურსაც მოიკცქნის. მოციკქნის. სიდო ტაფას ჩადგამს. ვარვარებს. ვარვარებს. აღარა შიშხინებს. აღარა ტკაცუნობს. აღარცა წუის. აღარც ივარვარებს. არ გაცივდესო. სამი სახარება შეგეწეოსო. არ გაცივდესო. ოთხი სახარება შეგეგეწეოსო. არ გაცივდესო. ხუთი სახარება შეგეგეწეოსო. ხუთი სახარება არ გამივონიაო. არ გაგიგონია და გაიგონეო. რამდენსაც გადავკრავ, სახარებაც იმდენი მახსოვსო. სიდო არ ეთანხმება. ნუ ეთანხმება. ახსოვს და. ახსოვს.

მერე მაყვალზე შეისწრებს ბიჭსა. დაღლარაი.

— ჩვენი საკომპოტედ გვინდაო?.. იკითხავს დაღლარაი.

— სამურაბედაო.

მოურბენინებს ბიჭი.

— პაპა დაღლარას აწყენს მურაბაი?..

ამასაც იკითხავს. მეტი არაფერი. არაფერი. იკითხავს და ისაა.

— არაყი ყელზე დაადგება, მაგისმა მზემაო.

მოცუნცულებს ბიჭი.

— ჰე, ჰე, ჰეი... ჩვენებური მერჩინა...

ყოყმანობს დაღლარაი. .

— არც რო რუმინულს წაიღებს პირთუკანაო...

მოახსენებს ბიჭი.

— ის სადღაური იყო?

ჩაფიქრდება დაღლარაი.

— გადმოიაროსო. გადმოიაროსო.

ეტყობა იმასაც დავიწყებია. დავიწყებოდეს. მიდის დაღლარაი. თავისი ნაბიჯითა. მძიმე ნაბიჯითა. რაც რო ირბინა, რას დაეწია. მიდის. იქროლს იმანა. კბილები ელვა. თმა ქარიშხალი. ჯოხის ცხენი. ცოცხის კუდითა. ბოლი. ბოლი. იქროლს. იქროლს. იქროლს. იქროლს. ჰე, ჰე, ჰეი... და მიდის თავისი ნაბიჯითა. სახარებაც ისევ ისე, იმდენი აცის, რამდენსაც გადაჰკრავს. თუმცაღა უელებს. მივა ალბათ ჩეშშარიტამდისა. თავისი ნაბიჯით მივა.

მსჯავრდებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

(პაპაჩემის ნაამბობიდანა)

ამ ამბავს პაპაჩემის ქაღალდებში წავაწყდი, წავაწყდი სხვათაა. ბევრს წავაწყდი. ერთს ახლა გიამბობთ:

ᲐᲓᲐᲛᲘ აღმოჩნდა პირველი მსჯავრდებული.

ადამი მასწავლებელი გახლდა.

ადამი სოფლის მასწავლებელი გახლდა, მთელი სოფლისა, დიდი ხანია რო აქ ასწავლიდა და ყველას რო გაევლო იმის ხელშია, პაპებსაცა და შვილებსაცა, შვილიშვილებსაცა და შვილიშვილიშვილებსაცა.

ადამი თავისი მოწაფეების ტოლი იყო, პირველად რო მასწავლებლობას მოეკიდა, და ახლაც ტოლი იყო თავისი მოწაფეებისა, ისინი რო ერთი ხნისანი გახლდნენ, სულ ერთი ხნისანი, ესეც იმათი ხნისადა რჩებოდა; სკოლის მერე იყო, რო იზრდებოდნენ და ბერდებოდნენ, ხოლო სკოლაში იყვნენ და იყვნენ ყოველთვის ბავშვები, მარად ბავშვები, ტანითა, სახითა, ჭკუა-გონებითა, იყვნენ და იყვნენ მიამიტნი და უეშმაკონი, უეშმაკონი თვით მომავალი ეშმაკებიცა, ბავშვობაში რო ყველაფერი მიამიტურია, ეშმაკობაც მიამიტურია.

ადამს არ გამოეპარებოდა ეშმაკობა ბავშვებისა, ოღონდ თვითონ მიამიტადა რჩებოდა.

ადამი ყველას ჭკუას არიგებდა.

ადამს ყველა ჭკუას ეკითხებოდა, თუნდაც არ ეკითხათ, მაინც არიგებდა, ისე შესჩვეოდა დამრიგებლობას, ჭკუის სწავლებას ისე შესჩვეოდა.

ადამი ყოველთვის სიკეთეს ასწავლიდა.

ადამი პატიოსნებას უმოძღვრებდა ყველას.

ადამს უჯერებდნენ.

ადამი ამაყობდა, რო უჯერებდნენ და ზოგჯერ ადვილად ვეღარ არჩევდა, უჯერებდნენ თუ აღარ უჯერებდნენ.

ადამს აღარ უჯერებდნენ ზოგჯერა, ოღონდ ესაა, ვერ შეჰკადრებდნენ, არა გვჯერაო, თავს უქნევდნენ და არ ეთანხმებოდნენ, აღუთქვამდნენ და არ აღესრულებდნენ, ანთუ ვერ შესძლებდნენ და ვერც აღესრულებდნენ, რაღა თქმა უნდა.

ადამი მიუტევებდა და კვლავაც ურჩევდა სასიკეთოსა, ერთგულებას ურჩევდა. მუყაითობას ურჩევდა, უშურველობას ურჩევდა, პატიოსნებას ურჩევდა, პატიოსნებას ურჩევდა, პირუთვნელობას ურჩევდა, პირდაპირობას ურჩევდა, დათმობას ურჩევდა. სადაც არა სჯობდა.

ადამი წინასწარმეტყველებდა; თუ არ დაუჯერებდნენ, აუხდებოდათ, წინ დაჰხვდებოდათ ნათქვამი მისი, ნანობდნენ და გვიანღა იყო, როგორც სინანული ყოველი.

ადამი ნიშნს არ მოუგებდა არავისა, ოღონდ მაინც მოაგონებდა: შეცდომის დავიწყება არ შეიძლება, მარცხის დავიწყება არ შეიძლება, რადგან შეცდომა მარადიულია, რადგან მარცხი მარადიულია, რადგან ცოდვაა საფუძველი ცხოვრებისა, ამბობდა ადამი.

ადამს უყვარდა თავისი ხალხი.

ადამს მოსწონდა თავისი სოფელი.

ადამს ახარებდა ერთპირობა თავისი ხალხისა.

ადამი წუხდა, თუ რაღაც ირღვეოდა, რაღაც იშლებოდა, რაღაც ირყეოდა, — სიმტკიცე თუ ირყეოდა სოფლისა. და ხშირადა წუხდა ადამი.

ადამს არ მოსწონდა, ზოგჯერ ყველას რაც რო მოსწონდა, სწორედაც რო ის არ მოსწონდა; ზოგჯერ არავინ რო არაფრად ჩააგდებდა, ამას არ მოსწონდა და ცეცხლი ეკიდებოდა, ზოგჯერა-მეთქი. ასე გაიყრებოდა სოფელი

და ადამი, თუმცა ზოგჯერა, მაინც ასე გაიყრებოდა, მაგრამ არ შეეძლო სოფელს მაინც უდამოდა, მაინც უყვარდა და ადამი სოფელსა, იმ ზოგჯერ უფრო მეტად უყვარდა.

ადამს არ მოეწონა, სასამართლო რო მოვიდა სოფელში.

ადამს რო ჩამოვეხსნათ თუნდ ერთი წუთითა, დაიწერება ამაზე გამოკვლევები, საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციები დაიწერება, ალბათ უამრავიც დაიწერება ამაზე თუ როგორ მოვიდა სასამართლო სოფელში. ადამი იქ არ მოიხსენიება, იქ დადგენილებები მოიხსენიება, თარიღები მოიხსენიება, დებულებები ჩამოყალიბდება, პრინციპები გადაირჩევა, ანთუ შეუპირდაპირდება ერთიმეორესა. ალბათ ასეა საპირო დისერტაციებში, საკანდიდატოშიც და სადოქტოროშიც. ადამი არ მოიხსენება, არ მოიხსენება თუ რა არ მოსწონდა ადამსა. ამას მე ვწერ, ხარისხებისათვის — არა, ცხადია, ადამის ხასიათის ამოსახსნელადა ვწერ, იმჟამინდელი ხასიათისა და განწყობილების, როცა რო სადღაც რო მოაფიქრდათ, მოაფიქრდათ და დაადგინეს, სახალხო სასამართლო ხალხთან უნდა იყოსო, დაადგინეს და სასამართლო მოვიდა სოფელში, — იმჟამინდელი ხასიათისა და განწყობილებისა.

ადამმა დაინახა თუ როგორ მოვიდა სასამართლო სოფელში; რაც რო დაინახა, არ უნდა შეფიქრიანებულიყო იმითა: ერთი ჩვეულებრივი კაცი მოვიდა გახუნებული სველი ჩანთითა, შიგ რო ერთი ფურცელი ედო, ერთი, ერთადერთი, თავისი რწმუნებისა; ერთი ჩვეულებრივი კაცი მოვიდა, უფრო, ჩია, ვიდრე გოლიათი, უფრო გულმისავალი, ვიდრე შემაზრზენი, უფრო ლმობიერი, ვიდრე მრისხანე თუ ულმობელი, ასე თვალდათვალა. თუმცა ადამს არ შეუხედია, დაინახა, მაგრამ არ შეუხედია და არც შეუნიშნავს, თუ რა ეცვა მოსამართლესა, თუ რა ემოსა, როგორი ჰქონდა ცხვირი თუ თვალები, ანთუ ლოყები, ანთუ ღიპი როგორ წამოზრდოდა თუ წამოზრდდა, რაღა თქმა უნდა, ეგება ჭიპი ხელზე მალს მიჰკროდა, — არ დაუნახავს, არ შეუნიშნია, რა ხნისა იქნებოდა. არცა თუ ისა, მარტო მობრძანდა თუ ვინმე ახლდა, არა, არც ისა, არც შეუნიშნავს და არც დაფიქრებულა, წარმოსთქვა ისევე, ეს კარგი არ არისო, წარმოსთქვა მკვეთრადა, მეახედ წარმოსთქვა, იშვიათად რო წარმოსთქვამდა ხოლმე.

ადამმა წარმოსთქვა და გაიხსნა დავთარიც სასამართლოსი.

ადამი ვერ მიხვდა, პირველი საქმე თვითონვე რო გაუჩინა სასამართლოსა.

ადამმა იმავე დღეს ისიცა თქვა, — ბიბლიოთეკა რო შეავიწროვეს და ერთი ოთახი სასამართლოს უბოძეს, — ეს უსამართლობააო. ესეცა თქვა ადამმა იმავე დღესა და იმავე დღესვე მიემატა იმის საქმესა.

ადამმა ეს ბავშვებთანაცა თქვა, გაკვეთილზე, კოლეგებთანა, სამასწავლებლოში, სალაყბოზეცა თქვა, რო შეფიქრიანებულიყო სოფელი, რო არავინა ლაყბობდა, და რო არ აჰყვა მაინც არავინა.

ადამმა მაინც არ დაიშალა თავისი.

ადამმა იქვე იწერასწარმეტყველა, ბიბლიოთეკას სულაც გამოპყრიან იქიდანაო. ჭკუაში დაუჯდა მოსამართლესა თუ გულში ედო ეს განზრახვა მანამდისაცა, სულ ერთია, რაღა თქმა უნდა, მალე აღასრულა, მიუჩინა სხვა სადგომი ბიბლიოთეკასა. ამან მიუჩინა თუ სხვებმა მიუჩინეს, თუ როგორც რა მოხდა, მთავარი მაინც აქ მხოლოდ ისაა, ადამის საქმეს რო მიემატა ესეცა აგრეთვე, ადამის ცოდვას რო მეთვალა, აგრეთვე და იმავე დღესვე.

ადამი მაინც არა ცხრებოდა.

ადამი ურჩევდა, არ წაკიდებოდნენ ერთმანეთსა, სოფელს ურჩევდა, რაღა თქმა უნდა.

ადამი ევედრებოდა, არ დაეწერათ საჩივარი ერთმანეთზედა, არსად შეეტანათ და არ გაეხადათ არავის სამსჯავროდა.

ადამი განუმარტავდა: ნუ ეგონება

ნურავისა, მართალი მე ვარ, მტყუანი ის არისო, ნუ ეგონება, ნუ ეგონება და ნუ ეწვევა მსაჯულსა, ნუ ეწვევა და ნურც მოიწვევს, რამეთუ მსაჯულისათვის ორივე მტყუანია, რადგან თვითონ უნდა იყოს მართალი.

ადამი შეაგონებდა: მსაჯული თვითონსა თვითეული თავისი თავისა. უმაღლესი სასჯელი სინდისის ქენჯნაა, ვინც შეურაცჰყო, იმისათვისაცა და ვინც რო შეურაცჰყვეს, იმისათვისაცა, რადგან მტყუანნი არცერთია და დამნაშავე ორივე ბრძანდება. სინდისის ქენჯნა სიწმინდეა სულისა და მიტევებაა სიკეთე იგი, რასაც რო არ მოჰყვება ზიანი, რასაც რო არ მოჰყვება სისხლი, რასაც რო წამება არ მოჰყვება. ადამიანი სიკვდილის შვილია ისედაც და სატანჯველად ისიც ეყოფა. სიკვდილი ბუნებისაა და გარდაუვალია. სხვა დანარჩენი ადამიანისაა, ანთუ სიავისაა სხვა დანარჩენი და უნდა სძლიოს სიავე ადამიანმა, სიავეს უნდა მოერიოს სოფელი, სიკეთით უნდა იცხოვროს სოფელმა. არა გაცხარდე იმა ზომისადა, საჩივარი წერო, არა გაცხარდე იმა ზომისადა, — შეაგონებდა ადამი.

ადამი მოუწოდებდა, გარდა რო თოხისა, სხვა კალმი არ აეღო სოფელსა. გარდა რო ბარისა, სხვა კალმი არ აეღო სოფელსა, გარდა რო გუთნისა, სხვა კალმი არ აეღო სოფელსა, გარდა სასხლავისა, გარდა საწამლისა, გარდა სანამყნისა, სხვა კალმი არ აეღო სოფელსა.

ადამი თვითონ ასწავლიდა წერასა და ეშინოდა წერას არ გადაჰყოლოდა სოფელი, წერას არ აეტანა სოფელი.

ადამმა იცოდა სიცხარე შურისძიების და უმოძღვრებდა მორიგებასა: თუ ცოლს წაეკიდო, ძმამ შეგარიგოს, თუ შვილს წაეკიდო, ცოლმა შეგარიგოს, თუ ძმას წაეკიდო, დამ შეგარიგოს, თუ წაეკიდო მეზობელსა, უხუცესმა შეგარიგოს მეზობლობაში, თუ წაეკიდო ბიძაშვილსა, ბრძენთა შეგარიგონ ბიძაშვილობაში, გარეთ არ გახვიდე, არა გაიტანო აუგი შენი. არა დაასმინო. არ აჰყვე რჩევასა გარეგანისა, უცხოთა და გარეგანისა. უმოძღვრებდა ადამი. ცოდვათა ცოდვაა შურისძიება მოყვასთა მმამართ უცხოთა წინაშე. თავმომწონეობა უცხოთა წინაშე ცოდვათა ცოდვაა, შურისძიებით თავმომწონეობა მტერობაა საკუთარი თავისა, ბრმა მტერობაა, რაც რო დაგაქცევს; სხვა რამ ჭირი რო ვერ დაგაქცევს, ვერარა ჭირი რო ვერ დაგაქცევს, ეს დაგაქცევს უსათუოდ. უმოძღვრებდა ადამი. არსად ჩაწერო სირცხვილი შენი. გული მოიოხე მხოლოდ სიტყვითა, სიტყვა ქარია და ქარს გაყოლილი. კალმი დაღია საუკუნეთა. უმოძღვრებდა ადამი.

ადამი ყბას არ მოიღლიდა: როგორც გიცხოვრია, იცხოვრე ისევე. ნურა მოგხიბლავს და ნურა გაგიტაცებს. არაფერია ახალი სოფლადა. ახალი მხოლოდ ბჭყვიალია და ბჭყვიალია მაცდური ყოველთა; ხოლო ძველია ყველაფერი. ძველის ძველია ყველაფერი: წავკიდებულართ თუ რო ლხინშია, ჭირში უთუოდ შევრიგებულართ; დღეობაში თუ ჩხუბი მოგვსვლია, ქელეხში ცრემლი გვიღვია იმდენი, სამყოფი რო ყოფილა მკვდრისადაცა, ჩვენი ცოდვისადაცა, ცოდვისადაცა წინაპარისა, თუ რო ვერ მოუსწვრია თვითონვე, მონანიება ვერ მოუსწვრია, უდროუდროოდ თუ გარდაცვლილა, თუ უანდერძნია, ჩემთვისაც ილოცეთო; ხაფხულში თუ შევჯავახებულვართ, შრომა-ისეთია, შევჯავახებულვართ, ზამთარში სუფრები გადაგვიბია, სუფრიდან სუფრაზე გადაგვიმღერია, დაგვისვენია და მოგვისვენია; სიცილითა მოგვგონებია თუ რამეზე შევჯავახებულვართ; ხსნილში დამთვრალნი, მარხვაში რო გამოვფიზლებულვართ, შეგვიგენია ამაოება რისხვისა ჩვენისა და მიგვიტევებია მოყვასთათვისა ჩვენისთვისა, ჩვენი თავისათვისაც მიგვიტევებია. ასე გვიცხოვრია და აქ გვიცხოვრია. ვიყვეთ და ვიცხოვროთ, ნუ აყოროთ ერთმანეთისა. ნურასად ნურას ჩავწერთ და ნურასად ჩავბეჭდავთ ნურაფერსა. ნურავის ნურაფერს გადავწყვეტინებთ, ნუ დავადე-

ბინებთ სასჯელსა წლობითა, როცა შეგვიძლიან მალე მოვიხადოთ, მალე, სულ მალე, რამეთუ ახლოსაა ლხინი ჭირთანა, ქორწილი ქელეხთანა, ხსნილი მარხვასთანა თუ მარხვა ხსნილთანა, ახლოსაა, სულ ახლოსაა, იქ შევცოდავთ და აქ მოვინანიებთ, იქვე, მაშინვე მოვინანიებთ.

ადამი ასწავლიდა: გიყვარდეს მოყვასი შენი და არა შეივრდომო მოსული, გარეგანი.

ადამი მიანიშნებდა: ერიდე ენასა ტკბილსა, ენასა მაცდურსა, ენასა აღმოქმედსა.

ადამი განუმარტავდა: ისაა ყველაფერი, რაც რო გაგაჩნია, და სხვა არა არის და არცა ყოფილ; და აღთქმა იმისაა, ისაა მხოლოდ რო, უნდა წაგგლიჯოს, რაც რო გაგაჩნია.

ადამი დაარიგებდა: თაყვანი ეც მოყვასსა შენსა და არ აიცრუო გული არას დიდებითა, არ აგეხვეს თვალი, არ განწირო, რათა არ განიწირო თავი შენი.

ადამი ჩასჩაჩინებდა: ილოცე შენთვისა და შენიანისთვისა, ნუ უკმეე საკმეველსა მოსულსა, გარეგანსა, ნუ უკმეე საკმეველსა, ნუ უკმეე საკმეველსა, ნუ უკმეე საკმეველსა.

ადამი დაიჟინებდა: ნუ უკმეე საკმეველსა, თუნდაც რო გულში ძვირი გედოს. გული გულია და გული ღრმაა, დახურულია გული, საკმეველია ახდილი და საკმეველია სასუფეველი მირონისა. ნუ უკმეე საკმეველსა გარეგანსა.

ადამისათვის მოსამართლეს ერქვა მოსული.

ადამისათვის მოსამართლეს ერქვა გარეგანი.

ადამისათვის სხვაც იყო მოსული, სხვებიც იყვნენ, სხვაც იყო გარეგანი, სხვებიც იყვნენ, ოღონდ ამას სახელად შეარქვა, საკუთარ სახელადა, ერთიცა და მეორეცა, მოსულიცა და გარეგანიცა.

ადამმა იცოდა თუ როგორ ემზადებოდა მოსული, თუნდაც გარეგანი, როგორ აჩქარებდა დურგლებსა თუ მლესავებსა, როგორ შემორკინა ფანჯრები, როგორ მოზიდა სეიფები, როგორ დაადო საიდუმლო საკეტები კარებსა თუ კარადებსა, ხოლო სეიფებს რო თან მოჰყვებოდა საიდუმლო საკეტები, ამას ხო შეხსენებაც არ უნდა; იცოდა, რო გამოიფინა წარწერები, ზოგი მოტანილი, დაბეჭდილი და დახატული, ზოგიც აქვე შესრულებული; კედლის გაზეთი ხელნაწერი გამოიკიდა, ანთუ უფრო კარგად რო ითქვას, გადაწერილიყო იგივენი, იგივე ლოზუნგები ერთიმეორის მიყოლებითა და მთავრდებოდა აღთქმითა, პირობითა, მოწოდებას შევასრულებთო.

ადამს კარგად მოეხსენებოდა ყოველივე ესა, არც შეედავებოდა ამაზე არავისა, არცა ხმამაღლა, სიტყვიერადა, არცა რო გულში, ფიქრიელადა. ეს ასეც იქნებოდა, რაღა თქმა უნდა.

ადამს აწუხებდა თავისი მრევლი, თავისი მოწაფენი თუ ნამოწაფარნი, მათი სიმტკიცე, მათი ნებისყოფა აფიქრებდა და მათვე ჩასჩაჩინებდა, რაღა თქმა უნდა: ბოროტი არ არის ამქვეყნად არაფერი, ავი არაფერი არ არის, თუ არ გაავდი, თუ არ გაბოროტდი; არ არის მაცდური თუ არ შეცდი; არ არის ცოდვა თუ არ შესცოდე; არ არის სიკეთე თუ არ ჰქმენ კეთილი; და ჰქმენ კეთილი, — სიავე უფრო მძიმეა, ცოდვა უფრო მძიმეა, ყველაფერი უფრო მძიმეა და ბნელი, მხოლოდ სიკეთეა მსუბუქი და მოეკიდე სიკეთესა, სიმძიმეს დაეჰხსენ, დაეჰხსენ სიმძიმესა, ბნელს დაეჰხსენი, იქმოდე ნათელსა და იყავნ ნათელი.

ადამი იმეორებდა და იმეორებდა: არა იპარო.

ადამი იმეორებდა გაუთავებლადა: არა იმრუშო.

ადამი იმეორებდა დღენიადაგა: არა კაც ჰკლა.

ადამს დამშვიდება არ ეწერა.

ადამს შიში არ ასვენებდა, თორემ უნდა დამშვიდებულიყო. კაცი არ მოუკლავთ, არც დაუჭრიათ არავინა, არც გაუჩეხიათ თავი ბარითა. მრუშობაც არ გამოცხადებულა.

ადამს ესეც ელანდებოდა, ხოლო

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მოპარვით რო იპარავდნენ, ეს ცხადი გახლდა და არც დაიმალებოდა. იპარავდნენ და იპარავდნენ. ვინც რო მოასწრებდა და, რო იპარავდა, ის ცალკე იდგა, ვინც ვერ მოასწრებდა თუ ღონე არ ერჩოდა, ის კიდევ ცალკე. იხლიჩებოდა სოფელი ასე, თვალსა და ხელს შუა იხლიჩებოდა. ვინც ვერ მოასწრებდა თუ ვერ მიუდგებოდა თუ ღონე არ შესწევდა, ივსებოდა ბოღმითა, ივსებოდა და ივსებოდა, საცაა რო გასკდებოდა, საცაა რო გადმოჰხეთქავდა.

ადამი იმუდარებოდა: არა დაასმინო.

ადამი ირისხებოდა: არა დაასმინო. არა გასცე.

ადამი იმუქრებოდა: არა დაასმინო. არა გასცე. არ უღალატო.

ადამს მოსვენება არ ეწერა.

ადამი ჰქადაგებდა და ჰქადაგებდა: არა იპარო. არა იპარო. არა იპარო. ჰქადაგებდა. გადაიღო ლოზუნგებიკა, გადაიღო და მოჰხატა ყვავილწუნულებითა, მოხატა და გამოაკრა სოფლის შემოსასვლელში ოთხივე მხრითა, ჩამონგრეულ სამრეკლოზედაცა ეკლესიისა, გამოაკრა სალაყბოზედაცა და თვითონვე უკითხავდა ხმამაღლადა, გამოთქმითა, მრავლისმეტყველადა: უდანაკარგოდა. უდანაკარგოდა. უდანაკარგოდა. კითხულობდა და უქნევდნენ თავსა, უკანტურებდნენ, ეთანხმებოდნენ და არ უჯერებდნენ, — აკი გითხარი, ზოგჯერ რო არ უჯერებდნენ-მეთქი, — არ უჯერებდნენ და იკარგებოდა მოსავალი. ერთმანეთისა არა, საკარიდამოსი არა. ეს ცოდვა იყო, სირცხვილი იყო, თავის მოჭრა იყო, ასე იყო და ასევე რჩებოდა. იკარგებოდა საერთო რო ერქვა, საზოგადოებრივი რო ერქვა. ეს არ იყო, არც ცოდვა იყო, არც სირცხვილი იყო, არც თავის მოჭრა იყო. და იკარგებოდა. იკარგებოდა და კვალი არა სჩანდა. არა სჩანდა და გამოჩნდებოდა. და ჰკანკალებდა ადამი, არა იპაროო, ივედრებოდა და ჰკანკადა. და ჩურჩულებდა ადამი, — არა დაასმინო, არა დაასმინო, არა დაასმინო, ჩურჩულებდა და ეაჯებოდა.

ადამიც გავდა მინდორში, ბავშვებიც გაეიყოლა. დროზე ავიღოთ, დროზე ვაბაროთ, ეგება გადარჩნენ და კისერი არავინ მოიტეხოსო.

ადამი ამას ბავშვებს არ ეუბნებოდა.

ადამი ამას თავისთვისა ფიქრობდა.

ადამმა გამოკითხვა მოხსნა იმ ხანებში, მხოლოდ უხსნიდა, უხსნიდა და უჩინჩინებდა.

ადამი წუხდა. ჩამოდიოდა მილიციელი და მხრებს იჩეჩდა, ნუთუ წასაყვანი არავინ არისო. ჩამოდიოდა ადვოკატთა კოლეგიის რწმუნებული და ბურდღუნებდა: აქაა გეგმა რო ვერა სრულდება, ყველგანა სრულდება, აქ ვერა სრულდება და გარღვევა გვაქვსო. საკითხს დავაყენებთო. ასე არ იქნებაო. და წუხდა ადამი. მოდიოდა მომართვანი, დადგენილებანი, მითითებანი: გარღვევა, დარღვევა. ნაკლი. სუსტი მუშაობის შედეგი. ავამაღლოთ. ბოლო მოვუღოთ. მოდიოდა და მოდიოდა. და სწუხდა ადამი. აგონდებოდა ძველი ნათქვამი, ამდენი მგელის ყმეული უამბოდ არ ჩაივლისო. და სწუხდა ადამი. და არ მოისვენებდა ადამი, ხმას არ ჩაიღებდა. მუხლს არ ჩაიდრეკდა.

ადამი მხნეობდა. რაღაც საოცარი ძალ-ღონე მოეკრიბა ამ სიბერეში.

ადამი ფიქრობდა, უკანასკნელი ძალ-ღონე არისო.

ადამი ეჭვობდა: უეცრად უმუხთლებდა ხმაი, ანთუ მუხლი უმუხთლებდა უეცრადა. ძირიც რო ერთია: მუხლი: მუხთალი: ერთია ძირი. ან ვიღაც უმუხთლებდა. ძირი ჰო ერთია. გატყდებოდა ერთი და მეორე მიპყვებოდა, მეორეს მესამე, მესამეს მეოთხე, მეოთხეს მეხუთე, ასე და ასე, მიპყვებოდა მთელი სოფელი. გადმოსკდებოდა ბოღმის საგუბარი. ჯიბრის საგუბარი გადმოსკდებოდა და წალეკავდნენ ერთიმეორესა, წალეკავდნენ და ნიღვარს გაატანდნენ, თვითონვე რო იქნებოდნენ ნალეწიცა და ნამსხვრევიცა, ხრეშიცა და შლამიცა, ნიღვარიც თვითონვე რო იქნებოდნენ და თანვე რო გაპყვებოდნენ თავიანთი სახლკარიანადა, ანთუ ტახტიან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკვნებიანადა, სახლ-კარი რო მაინც დარჩებოდათ აკა და, ვინ უწყის, ბარტყები მობრუნებულიყვნენ, თუ არ დაეპატრონებოდა ვინმე მანამდისა, თუ არა ცხადია, ხოლო თუ!... ცხადია, ცხადია, ესეც ცხადია. სულ ცოტა ნახევარი არ დადარჩებოდა. ნახევარი სოფელი. დანარჩენი თვითონვე გადაიხვეწებოდა. და თუ დარჩებოდნენ, ალბათ ფუ მოხუცნი, რო უდარაჯებდნენ ერთმანეთის სიკვდილსა, ანუ სიცოცხლესა ერთმანეთისა. ეს სულერთია, რაღა თქმა უნდა. ხოლო მანამდე მოიგონებდნენ ქამსა სიმშვიდისა, ქამსა ბობოჭრობისასაც მოიგონებდნენ და მოიგონებდნენ ადამსაცა, რასაკვირველია, რადგან ის იყო დასაწყისი უბედურებისა, ჯერ ის დასაჯეს და აირია მერე ყველაფერი. მერე დაიშალა სოფელი. მერე წერად დაჯდა სოფელი. დასმენად დაჯდა თუ წარსდგა დასმენად სოფელი. აირია და აირია. აირია და მოსკდა ნიაღვარადა. მოსცდა ნიაღვრადა და წალეკა თავი თვისი. წაიღო, წაიღო, სადღაც ზღვასა თუ ოკეანეში, მოუსავალში წაიღო, წაიღო. რო გააფრთხილებდა ადამი, თავს რო ადგა და ძლივს შეიოკებდა, ძლივს დააჯერებდა, თავს რო აღარ ადგა. აღარც დაუჯერეს, აღარც შეიკავეს თავი. რა მართალი იყო ადამი!.. მაინც რო ადამი ტუუოდა?.. რად ასწავლიდა წერა-კითხვასა? თუ ასწავლიდა ხო უნდა ეწერათ? მა რა ეწერათ თუ უნდა ეწერათ? რად არ ეწერათ ბოლმა თუ სდაღავდათ, შურისძიება თუ უღრღნიდათ გულსა? და მა რა ეწერათ თუ უნდა ეწერათ?!. რადა სწავლობდნენ თუ არ უნდა ეწერათ?!. რად ასწავლიდა?!. რად ასწავლიდა?!. მოიგონებდნენ და იტყოდნენ უმართებულოსა, უდარაჯებდნენ სიკვდილსა რო, თუ სიცოცხლეს რო უდარაჯებდნენ ღა, თვალები რო დაეწყლებოდათ, დაეძაღლებოდათ რო უპეები ლოდინში, ლოდინში, რაღა თქმა უნდა, ეგება ვინმე მაინც გამოჩნდეს, ეგება ვინმე დაგვიბრუნდესო. ვინმე მაინც დაბრუნდებოდა. ადამი აღარა, აღარა ადამი.

ადამი აღარა.

ადამი არა, აღარა, არა.

ადამი ამას აღარა ეჭვობდა, რო ვერ დაბრუნდებოდა, არა ეჭვობდა: რო ბრუნდებოდნენ მოხუცები, მოხუცობისას გადაკარგულები არა, ჭაბუკობისას გადაკარგულები ბრუნდებოდნენ მოხუცებადა თუ ბრუნდებოდნენ, რაღა თქმა უნდა. ბრუნდებოდნენ, რო მოენანიათ, რო დაელიათ სული თავიანთ მიწაზედა, მიეტევებინათ ერთმანეთისთვისა და სული დაელიათ.

ადამი ჰქადაგებდა: ახლავე მიუტევე, ახლავე უერთგულე, ახლა შეუთვისდი, რამეთუ დაიქცევ რო მოყვასსა შენსა, დაჰღუპავ თავსა შენსა. მერე გვიანღაა თითზე კბენანი, მონანიება გვიანღაა.

ადამს უკვირდა, რად ვერ გაეგოთ ასე ადვილი, ასე გასაგები, ასე სჭირო და აუცილებელი რამ.

ადამს უკვირდა და არც უკვირდა, აღარაფერი უკვირდა ადამსა.

ადამი მიჰხვდა, რო გამოაცლიდნენ სოფელსა.

ადამს სჯეროდა, ჯერ სახელს გაუტეხდნენ, ისე ვერ დასჯიდნენ, ისე ვერ გამოაცლიდნენ სოფელსა.

ადამი შიშობდა და შეეძლო რო აეყარა შიში, გადაერჩინა თავისი სახელი, პატიოსანი კაცის სახელი, რაც იყო და რაც უნდა ყოფილიყო, რაც უნდა ყოფილიყო და რაც იყო, ცხადია. არც რო ტრაბახობდა ამითი და არც რო არავის არაფერს აყვედრიდა. არც არავინ ეცილებოდა და შეეძლო გადაერჩინა, რაღა თქმა უნდა, თუ ჩაიკმენდდა ხმასა, თუ ჩაიდრეკდა მუხლსა, თუ მოერიდებოდა სალაყბოსა, თუ შეიკეტებოდა შინა, ხოლო თუ მაინც უნდა გამოსულიყო, არ გაიხედებოდა საკლასო ოთახის იქითა, ბავშვების რვეულებიდან არ აიღებდა თავსა, — შეეძლო, შეეძლო, ადვილად შეეძლო, არც დასძრახავდა არავინა, ცილისწამებასაც გადარჩებოდა. მაგრამ ეს ის პატიოსნება აღარ იქნებოდა, პატიოსნება იგი რო მოგიწოდებს სხვათა სახსნე-

ლადა, არ იქნებოდა, არ იქნებოდა, რაღა თქმა უნდა. და არ გამოიკეტა ადამი. არ დასცხრა ადამი. და შიშობდა ადამი, შიშობდა და აეკეცებდა თვალსა, აცა, საიდან მომივლიანო.

ადამი ელოდა.

ადამი ფრთხილობდა.

ადამს არ უნდოდა, ბრმად რო წაეგო თავი.

ადამს თვალი ეჭირა, ოღონდ მოხდა ისე მაინცა, ერთი პირობა რო შემთხვევით გადარჩა, — ანთუ შემთხვევითა, ანთუ ალღოთი, ანთუ განგებამ გადაარჩინა.

ადამს ერთხელ მოწყფე ეწვია. რო აწვიეს, ამას ვერ მიჰხვდა. ეწვია და ატამი მიართვა პატარა კალათითა, ლამაზი კალათითა, კალათინად მიართვა ატამი. ბავშვი ცოტას ჩამორჩებოდა. ადამი ბევრს უჩიჩინებდა. მაინც ჩამორჩებოდა ბავშვი. ადამმა მუქარა იცოდა, დაგტოვებო. ეს ერთი მუქარა იცოდა, რო არასოდეს აესრულებინა, არც რო არასოდეს აასრულებინებდა არავინა. ეს ისედაც მოგეხსენება, დასაბუთება საჭირო არ არის. არის?.. არა მგონიa!.. ადამი მაინც იმუქრებოდა, დაჯერებით იმუქრებოდა, ვითომც ეს არის და ნებას დართავენ, ვითომც ეს არის და გადავლენ წესებსა სავალდებულო სწავლებისაო. და შეიძლებოდა ვიღაცას რო შეშინებოდა, ვიღაცას მაინც მიფერება მოენდომებინა, მიერთმია პირველი ატამი, უცხო რამ ჯიშის, უშესანიშნავესი ატამი მიერთმია, გული რო დაეცხრო ვინ უწყის როგორ განრისხებული მასწავლებლისთვისა და თვითონაც დაეცხრო შიში, — მშობელზე ვამბობ, — შიში მშობლისა, მაინც რო ფრთხილობს, რაც უნდა იყოს. სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. შეიძლებოდა. თორემ ადამი არ განრისხდებოდა, შესჩვეოდა და არ განრისხდებოდა. შესჩვეოდა და იმდენიც იცოდა: ყველა ვერ ისწავლის, ყველას არც უნდა ასწავლო, ყველას არ უნდა გაუხეთქო თავი მეცნიერებათა საფუძვლებით, რადგან ყველას რო არ შეუძლიან და არც საჭიროა, ცხოვრებისა რო მხოლოდ მეცნიერება არაა, ცხოვრება რო დოვლათია და დოვლათს უნდა შემქმნელი თავისი, ძალ-ღონე უნდა დოვლათსა, ხელები უნდა დოვლათსა, კაცის ხელები, და თავიც უნდა დოვლათსა, ოღონდ სისულელით გამოტეხილი არა, არა, არა, სუფთა თავი უნდა. იცოდა და არც განრისხდებოდა თუ ჩამორჩებოდა ბავშვი. იმუქრებოდა მაინცა, ეს იყო მაინც რო იმუქრებოდა. და მიეფერნენ ალბათ შიშითა, მაინც შიშითა, მაინც სიფრთხილითა. ოღონდ ატამი უკეთესი, ბევრად უკეთესი, ადამს მოეწია, და, რო გამოსცალა კალათი, და, რო წამოვარდა რაღაც შეხვეული, ის შეხვეული თუ გამოხვეული ისევ ჩააბრუნა კალათშია, თავისი მოუკრიფა, გაუვსო, გაატანა, მე თქვენსას შევექცევი და თქვენ ამით ჩაიგემრიელეთ პირი‌ო. ბევრს ეხვეწა ბავშვი, კალათი გისახსოვრეს, ლამაზი კალათია, თქვენთან უნდა დარჩესო, მაგრამ არაო, არ იყაბუა ადამმა, გაატანა და გაისტუმრა. ასე გადარჩა, ასე შემთხვევითა და გაუგებრადა. თორემ მილიციელი რო ჩამოვიდა იმ დილითა, დაიცადეო, ბარემ წაიყვანო, უთხრეს. ადვოკატთა კოლეგიის რწმუნებულიც რო ჩამობრძანდა, დაიცადეო, სთხოვეს იმასაცა, ბარემ ადგილზევე გაესაუბრეო. ოპერაცია ჩაიშალა, ჩაიფუშა, ჩაფლავდა. ბავშს დაუცაცხანეს და ეს იყო. მერე ატამს შეექცნენ, მოსწონდათ და ბურღუნებდნენ, ამყნოს ასეთი ატამი, ბავშვებს ასწავლოს და იყვეს თავისთვისა, მოსვენებით იყოს, ცხვირს რადა სჩრის, სადაც არ ეკითხება, მოუკრეფავში რას გადადისო. კაცმა რო თქვას, მართალსა ბრძანებდნენ. ოღონდ კალათი რო გამოსცალეს, ძირამდის რო დავიდნენ და ის რაღაც შენახვეი სეიფში შეგდეს, მართალს ალარა ბრძანებდნენ, კაცმა რო თქვას. სად იყო მართალი, სიკეთე სად იყო, ვეღარ გაიგებდი, იყო და არ იყო,

ოთარ ჩხეიძე
სამი ამბავი

ანთუ არ იყო და იყო. ასე შებრუნებით რო დაიწყოს ზღაპარი: არა იყო რა და იყო... ნეტავი რანაირი რა იქნება? რაც უნდა იყოს, გადარჩა ადამი.

ადამი გადარჩა ის ერთი პირობა, როგორღაც გადარჩა, ანთუ შემთხვევითა, ანთუ ალღოთი, ანთუ განგება გადაეფარა, თავი გასწირა და გადაეფარა.

ადამი გადარჩა მეორედაცა.

ადამი მაშინაც ვერაფერს მიხვდა.

ადამს მაშინაც რაღაცამ უშველა.

ადამს ალბათ იმან უშველა, შინ რო არ იყო, ალბათ იმანა. ის იყო, რო ბრუნდებოდა, და, რო შეასწრო თვალი: ოლოლომ შეასწრო ერთი ფეხითა. ადამის ეზოში შევარდა გოგოი. ადამი მეისვე უკან გაბრუნდა, არც აუღია, არც დაუღია, არ დაფიქრებულა ერთი სიტყვითა, ესაა, შედრკა მოულოდნელადა, თითქოს წინ გველი აეყალყაო, შედრკა და შეტრიალდა, გაბრუნდა უკანა. გაბრუნდა და გაეშურა, მშობლებთან გაეშურა ოლოლოსი. ის ალარ დაუნახავს, ეზოში რო შევარდა, მერე შინაც რო შეუვარდა ოლოლოი, მაშინ შეუვარდა და კაბაკ გადაიძრო, — აიკრა ხელი და აიძრო, გადაიძრო. გადაიძრო და შეეცურდა საწოლში, შეეცურდა, შესრიალდა და იზმორებოდა საოცარ ლანდებში, მოლოდინში იზმორებოდა. ოლოლო საცოდავი. ოლოლო წყანარი. ჭკვიანი ოლოლო. ჩუმი, ჩუმი, აუმღერეველი, მოულოდნელად რო შეიშალა და შეიშლებოდა მერე დროდადროაც, სიყვარულს თუ ვინმე ახსენებდა. ისე არაფერი ეტყობოდა, არაფერი. ისიც ის იყო, რაც ყველა იყო. მხოლოდ სიყვარულს ვეღარ უძლებდა. მზად იყო კლდეზე გადავარდნილიყო, მზად იყო ცაში აფრენილიყო, სიყვარულისთვისა, სიყვარულისთვისა. და არავინ ახსენებდა სიყვარულს იმასთანა. და არა უჭირდა რა, მაშინ არა უჭირდა რა, არც რო კლდეზე გადაიჩეხებოდა, არც რო აფრინდებოდა ლაქვარდებში, გადაჩეხვაზე უარესი რო იქნებოდა. და თუ შეუჩნდნენ, თუ ჩაგონეს, — ალბათ ადამი თუ ჩააგონეს, ალბათა და. უსათუოდა, რადგან თვითონ ვერ ფიქრებდა, ჩაგონეს და მიუსიეს, მიუგდეს ადამსა. ოლოლო საცოდავი. საწყალი ოლოლო. ლამაზი ოლოლო. უბედური ოლოლო, უბედური. და ადამმაც რო შეასწრო თვალი, რო არც აცივა და არც აცხელა, და რო მიეჭრა ოლოლოს მშობლებსა, შეჰყვარა ისე, ლამის გული ამოუვარდა, არიქა უშველეთ, არიქა, ჩქარა, კისრისტეხით გაიქეცითო. მშობლებმა ოლოლო თბილისს გააქანეს. მილიციელი გაბრუნდა ხელცარიელი. საგანგებოდ რო დაებარებინათ. დარჩა ხახამშრალი ადგოკატთა კოლეგიის რწმუნებულიცა, აგრეთვე საგანგებოდ რო დაებარებინათ, დარჩა ხახამშრალი და ბურდღუნებდა. მილიციელი არა ბურდღუნებდა. სადგურის ფარდულში თითო კათხა ლუდი დალიეს. ლუდი თბილი გამოდგა, გამოაპურჭყეს და ავიდნენ ვაგონში. ჯერ ოლოლო გაატარეს, მერე დედამისი, მერე მამამისი, მერეღა ავიდნენ.

ადამი მესამედ ვეღარ გადარჩა.

ადამს შემთხვევამ ვეღარ უშველა, ალღომაც ვერა, განგებამაც ვეღარ გასწირა თავი.

ადამი მიუხვდა ამჯერადა.

ადამმა იღონა, რაც რო შეეძლო, მაინც ვერ გადარჩა, ეტყობა იმდენიც ალარ შეეძლო, საცა განგებას ალარ შეეძლო.

ადამს არ ეძინა. ღამე იყო ბნელი, კუნაპეტი, ჩაკუპრული ღამე იყო.

ადამს არ ეძინა. ღამე იყო ბნელი, კუნაპეტი ჩაკუპრული ღამე იყო და იყო ჩუმი, ჩუმი, ყუმი, უძრავი. მიტომაც თუ არ გამოეპარა ჩქმი, ფრთხილი, ფრთხილი, ქურდული. თუმცა არ გაუქურდავთ ადამი იმ ღამესა, — ხორბალი მიუტანეს, გადაკერილი ტომარა მიუტანეს, სავსე ხორბლითა, ახალი ხორბლითა. ხორბალი ახალი, ტომარასაც ბეჭედი ედო, ცხადია და რაღა თქმა უნდა. მიუტანეს და მიუყუდეს მარნის კარზედა. უჯობდათ, შეეტანათ ბარემღა მარანში. ვეღარ გაბედეს. აჭრი-

ალდებოდა კარი მარნისა, რო ჭრიალებდა კარი მარნისა, ყველს მარნისა და ყოველთვის რო ჭრიალებდა. ღამე იყო ბნელი, კუნაპეტი, ჩაკუპრული ღამე იყო. ადამმა მაინც მიაგნო ტომარასა. ადამი მიხედა. ადამმა ტომარა წამოიკიდა. ადამმა ტომარა მიაყუდა სასამართლოს კარსა. სასამართლოს კარი არა ჭრიალებდა. არც იღებოდა სასამართლოს კარი. არც გააღებდა ადამი სულ ერთია. მიაყუდა და გამობრუნდა მოსამართლეზე ეჭვი ვერ მიიტანეს. ასწია ხელები მოსამართლემა, თითები გაფარჩხა, აიღეთ ჩემი ანაბეჭდიო. აუარებელი თითის ანაბეჭდი აღმოჩნდა ტომარაზედა: ვინც ავსებდა და ვისაც მიჰქონდა ჩასაბარებლადა, ვინცა სცლიდა და ვისაც მოჰქონდა ცარიელი, ვინც ავსებდა და ვისაც მიჰქონდა ჩასაბარებლადა, ვინცა სცლიდა და ვისაც მოჰქონდა ცარიელი, ვინც ავსებდა... და ასე, გაუთავებლადა, და სწორედაც რო გაუთავებლადა, იმათ ვერაფერს დაებრალებდნენ. მოსამართლისა მაინც არ აღმოჩნდა. მოსამართლესაც ვერაფერს დაებრალებდნენ. ადამისა აღმოჩნდა. ადამსაც ვერაფერს დაებრალებდნენ, მაგრამ აღმოჩნდა ანაბეჭდები მისი თითებისა და გამომძიებელი კვდებოდა სიცილითა, ადამი რო მოუთხრობდა თუ როგორ აღმოჩნდა. ადამს მოწმემ არა ჰყავდა. ადამს მოწმემ არა ჰყავდა და მოსამართლეცა კვდებოდა სიცილითა. განა თუ წყნარდებოდა, — რა სათქმელია, იპაჭებოდა. იფხრიწებოდა და კვდებოდა სიცილითა. საქმეც წინ ედო, ის პირველი საქმე, და ეკითხებოდა თუ რა არ არის კარგიო. ადამი უხსნიდა, ცილისწამება რო არ არის კარგი. მოსამართლე ქირქილებდა, პირდაპირ პასუხს თავს არიდებო. ქირქილებდა და განაგრძობდა დაკითხვასა: ის როგორღა იყო, ბიბლიოთეკა რო გადავიტანეთ უკეთეს ბინაში და გაიძახოდი, უსამართლოობაა, უსამართლობაო, როგორ იყო და როგორ მოგიგია, რა განზრახვა გამოძრაგებდაო. ადამი უხსნიდა, ბიბლიოთეკის აყრა რო არ შეიძლება თვისი სადგომიდანა, ბიბლიოთეკა რო ჩვეულა და ბიბლიოთეკის აყრა, რო მოშლაა ჩვევისა. მოსამართლე ქირქილებდა, პირდაპირ პასუხს თავს არიდებო. ქირქილებდა და მისდევდა საქმესა, მოაგონებდა და მოაგონებდა, სიტყვასიტყვით მოაგონებდა და იღუშებოდა თანდათანობითა, იქუშებოდა, იქუფრებოდა. ცაც არაფერია ღვარცოფის წინა, ისე, იმგვარად იქუფრებოდა.

ადამმა ვერ იმართლა თავი.

ადამს მიუსაჯეს.

ადამი მოაშორეს სოფელსა.

ადამს აუხდა, რასაც რო შიშობდა.

ადამის სოფელი შეესია ერთიმეორესა.

ადამი მიიგეწყეს და სასამართლო საქმეს ვეღარ ასდიოდა. ერთი მილიციელი აღარა კმაროდა. აღარც ერთი ადვოკატი კმაროდა. სადგურის ფარდულში აღარა სვამდნენ თბილ-თბილ ლუდსა და აღარ იპურჭყებოდნენ იქვე. ვინ წაიყვანეს, ვინ დაფრთხა. მოხუცებიღა დარჩნენ სოფელში. დარჩნენ და დარაჯობდნენ სიკვდილსა თუ სიცოცხლესა, რო ვერ გაერჩია ადამსა, ვერც რო შინა, ვეღარცა იქა, სადაც რო მიბრძანეს. მიიგეწყეს ადამი, ადამმა არა, არ მიიგეწყა.

ადამმა მაინც ვეღარ გაიგო, რა მოხდა თუ რა შეიცვალა. ვეღარ გაიგო თუ როგორ გადასწყვიტეს, თუ ვინ გადასწყვიტა, როგორ დაადგინეს თუ ვინ უბრძანა რო შემოეკრიბათ ის პატარა სასამართლოები, ერთ მსხვილ, ერთძალოვან, ერთუფლებამოსილ და ყოვლად უფლებამოსილ სასამართლოდ გაეერთიანებინათ, როცა ტრანსპორტი განვითარებულიყო, მიმოსვლა რო აღარა ჭირდა და სახალხო სასამართლო ისევ ხალხთან იქნებოდა მჭიდრო კავშირში. ვეღარ გაიგო. ადამი არაფერი, გაიგო თუ არ გაიგო, ესეც არაფერი. სამაგიეროდ დაიწერებოდა დისერტაციები: საკანდიდატოცა, სადოქ-

ოთარ ჩხეიძე
ს

ტოროცა, მეტიცა და მეტიცა. შეფასებებოდა როლი. დამაკმაყოფილებლად შეფასდებოდა. შეიძლება თარიღებზე ედავათ. მაგრამ იმასაც დაამტკიცებდნენ მაინც რაღაცაზე იდავებდნენ დაცვის დროსა. დისერტანტი თავს გამოიდებდა მერე ერთბაშად დაეთანხმებოდა, მოწიწებით წაჰხრიდა ქედსა, თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო. საბჭო ხმას მისცემდა. ეს ყველაფერი ასე იქნებოდა დიდხანსა და დიდხანსა უნივერსიტეტსა თუ ინტიტუტებში, ფილიალებსა თუ გაერთიანებებში, ხოლო სოფელში ბიბლიოთეკა დაუბრუნდებოდა თავის ბინასა, — დაუბრუნდებოდაო და დაუბრუნდა.

ადამი ვერა, ვეღარ დაბრუნდა...

ადამს დროდადრო მოიგონებდნენ ხოლმე.

ადამს დროდადრო მოიგონებდნენ და ნანობდნენ, წუხდნენ, ვინც რო დაბრუნდნენ, ბიბლიოთეკაში რო მოიკრიბებოდნენ, რო ფურცლავდნენ ჟურნალებსა, ატრიალებდნენ რო ხელში გაზეთებსა. მოიგონებდნენ და ჩაეჭქმიტებოდათ გული. სხვა არაფერს მოიგონებდნენ, არაფერსა, არა, არაფერსა მოსამართლე რო კვლავ ჩამოსულიყო, იგივეს ჩაიდენდნენ, ადამსაც გასწირავდნენ, ისევ ისევე, შეეესეოდნენ ისევ ერთმანეთსა, ისევ ისევე და ისევ ისევა. ჭკუა არ ეყოფა სოფელსა, თუმცა სოფელი ბრძენი არისო. ბრძენიც არის და ჭკუაც აღარა ჰყოფნის, როგორღაცა ხდება თუ დროდადრო ხდებაო. ადამი მაინც ენანებოდათ.

ადამისთანა კაცი, ერთი კაცი, ერთ სოფლადა ღირს. ასე თქვეს. აღარც ჟურნალები შრიალებდა, აღარც გაზეთებს ატრიალებდნენ ხელში. გარეთ თოვლი იდო, დიდი თოვლი იდო, ზამთარი უკვე გაწოლილიყო, ზამთრის ღამე უკვე გაწოლილიყო.

ადამს უნდა გაფრთხილებოდით, მეცა ვთქვი.

ადამი თვითონ უნდა გაფრთხილებულიყო, ჩვენთვისაც კარგი იქნებოდა, თავის თავისათვისაც. არ დამითმეს.

ადამი ერთი იყო. მეც არ დავუთმე.

ადამი ერთი იყო და სოფლადა ღირდა. მაინც არ დამითმეს.

ადამი მაინც ერთია, რაც უნდა იყოს, სოფელი ბევრია. ვითომ ავუხსენი.

ადამი რო ერთია და სოფელი ბევრი, სოფელიც უმწეოა თუ ერთიც აღარა ჰყავს. არ დამეთანხმნენ. მეც აღარ ავხირებივარ. მეც ვიცოდი უმწეობა ბევრისა, მცირედის უმწეობაც ვიცოდი. სიძლიერეც ვიცოდი ბევრისა, მცირედის სიძლიერეც ვიცოდი. გარეთ თოვლი იდო. ცა ჭახჭახებდა. ყინვას გვიქადდა. ვაზი თუ გაუძლებდა, იმასღა შიშობდნენ, ადამის დარდი აღარა ჰქონდათ.

ადამი მასწავლებელი გახლდა.

ადამი აღმოჩნდა პირველი მსჯავრდებული.

ადამზე მელაპარაკებოდნენ თავიდანვე, აქ რო ჩამოვედი. თავიდანვეც ეს ამბავი ჩავიწერე. მერე გამებნა ქაღალდებში, ესაა წავაწყდი და გიგზავნი. და ამიერიდან: „ჩემი სოფლის ეტიუდებში“ გამოჩნდება ახალი თემები, ანთუ ძველი თემები: თუ რა იყო ჩემი სოფელი, თუ რა ხალხი ჰყავდა, თუ როგორ გამოვლო თავისი დღე და წუთისოფელი.

ფრაზები

გამოჩნდა კოშკი კლდეზე ნაგები, —
თეთრი ნისლი და მთვარის საყურე...
თამარ დედოფლის დასტანაგები, —
ეს ვარსკვლავები ისე დაგყურებს...

სულს სივრცეებში ვეღარ უნათებს —
ყაყაჩოების შავი ხალები...
ასე ხედავენ ამ ძველ სურათებს,
ასე ხატავენ შენი თვალები...

თითქო ბოშების მღერის თაბორი...
თითქო შამილის ხვდება მიურიდს...
ისევ მწველია შენი ამბორი
და სიყვარული ყოველდღიური...

ნაპირდანაპირ ჭალებს არღუნის
მოჰყვება ნისლი თვირთვილიანი...

ამოვარდება როგორც ლაღუმი
ნისლში შატილი გვირგვინიანი...

ასე ხატავენ, ასე ხედავენ,
შენი თვალები: — მთების ბურანებს...
ქარები ღრუბელს მოიხვეტავენ, —
და მთებს ნაბდებად მოახურავენ...

ეგ ნისლისფერი გშვენის ბექთარი, —
მკერდი ზვიადად დაჯანღებული...
რა გული გასძღების მკერდში
მფეთქავი.
ამ გოლიათებს დაჯახებული...

გადმოანათებს ზეცას შუქებად
თამარ დედოფლის დასტანაგები...
სჯობს მოკვდეს კაცი,—თუ ჩაუქრება
ცეცხლის კოშკები გულზე ნაგები...

იდილიებიდან

ზიხარ და ხატავ სურათებს სოფლის:—
დაფრინავს ყვავის და ქედნის გუნდი,—
ცხონებად ქერის ხმიადი გყოფნის,
ცხოვრებად გყოფნის ღირღიტი
გუთნის..

●

ლექსო, გამოსცხვი ოხერო,
წუთისოფელის ამქარო, —
მაგრამ ვერც ყანის მომხვნელო,
ველარც მწყემსო და სარქალო...

სულო, ხესავით გამხმარო,
დღეო, ვერ გათენებულო. —
ნახანჯლარო და ნახმლარო,
გულო, ვერ გამთელებულო...

ქვეყნად ვერ მომკიდრებულო,
ბეჩავო, დევის დედაო, —

გზად მოდის კაცი და თეთრი თმებით
იცნობ, შენია ის მეზობელი, —
მოჰყვება ქალი, მას სუსტი მხრებით
ამღერებული მოაქვს სოფელი...
თხის ბალახობენ იქვე ულები, —
ცაა ლურჯი და მზეა ულევი...

დევო, კლდემოკიდებულო, —
კოპალას ლახტი გხვდებაო...

გულის ცეცხლო და ღადარო,
მზეო, მნათობო ცისაო....
შე უღრუბლოში ავდარო, —
ღრუბელში შუქო მზისაო...

ველარც რო ყანის მომხვნელო, —
ველარც მწყემსო და სარქალო...
ლექსო, გამოსცხვი ოხერო, —
წუთისოფელის ამქარო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სვამდნენ, ღრეობდნენ
ღამისმთევლები, —
ქუხდა ნამღერი და ნაფიქრალი...
ლიქოკისჭალის თეთრი ტყემლები
და ბარისახოს მთვარე მიმქრალი...
არაგვის ჭალებს სდევდა ფოთოლი,
მხალი ჩადუნა და მზის ღვარები...
და ქუდნისლაზე ღრუბლის
კოტორი, —
მაღრანში იდგა ჭრელას ყანები...
იყო დუქანი, იყო ამქარი, —
მეფურნის გოგო,—როგორც ნალები...
სკოლის ბალღების მთელი ლაშქარი,—
და ბაღათერას ვაშლის ბალები...
ახლა ის დროშა გადატეხილა
და დამსხვრეული ყრია ფიქალი...
მიდის მაისის თეთრი ხეხილი
და ბარისახოს მთვარე მიმქრალი...

ციკლიდან „ტოლხას ლეძსები“

●

ტოლხამ თქვა შეთეკაურმა, —
ხმალს არ შევიბამ სხვისასა,
მოყვასის მტრობას არ ვიზამ,
პირს არ ვაკოცებ მტრისასა,
ვეფხვის გზას ვეფხურ გავივლი,
მგლურად გავივლი — მგლისასა...
სხვას, — ვინ რას გვკითხავს
ქვეყნისას, —
ვინ გვარჩევინებს ვისასა...

სჯობს თითო ჩავახრიალოთ,
მწვადიც ავხლიჩოთ ბერხენის: —

●

ტოლხამ თქვა: — კაცი იგია ქველი,
ვინც არა მარტო მოიღო ნახვად,
არამედ კიდეც აღმართა ძელი, —
და გულის — ეს ქნა, — რჩევის
თანახმად..

●

ტოლხამ თქვა: — ასე ვიცანი
საწუთრო, სამზეობელი:
ერთისთვის — გრძელი კვნესაა,
სხვისთვის წამწამის მსწრობელი...
კაცს არ შეშვენის ტირილი —
და ლხინში სმა უმღერელი...

თორემ ერთფერად, ერთი გზით.
გლეხნიც მიდიან, — მეფენიც...
როცაა, იქითკენაა,
ჩვენი ნაგაზიც მყეფელი,
სანამ ვართ, — უნდა დავკრიფოთ,
ჩვენს წილად — დასაკრეფელი...

ტოლხა ვარ შეთეკაური,
პურის მადლსა და მზისასა, —
ვეფხვის გზას, ვეფხურ გავივლი, —
მგლურად გავივლი მგლისასა...

ვინც რომ არაფერს მოელის
ჩვენგნით, —
არც საწუთროსგან არაფერს
ითხოვს...
მას უდიდესი ეკუთვნის ძეგლი, —
რაღა თქმა უნდა, ეს მე რომ
მკითხონ...

თავისას იზამს სოფელი
და ბედის წერამწერელი...
გაავრთფერებს დღე-ღამეს
ცისა და ქვეყნის მპყრობელი...
ასეა, ასე ვიცანი,
სამზეო, — საწუთრობელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც მოვა..

ადრე ნუ დამიღონდები —
სხვა დღეებიც მოვლენ,
ზოგჯერ წამიც მთელ ცხოვრებას
გადაწონის ხოლმე.

ვიცი, ზოგჯერ ფეხს აიდგამს
სევდა, დარდი, გლოვა...
მაგრამ შენი სიყვარული
შენთან მაინც მოვა.

ჩემს გავშვობას

ვის შეატოვე
მოხდენილი
ის მერცხლის ფრთები
ამ სიცხადეში
მოქცეულო
გულუბრყვილობავ...

ნაუცბათევი
გაცინება
როგორც თოვლისა —
გაიბრწყინე და
მერე ისე
გაუჩინარდი.

გავშვობის ზღაპარი

გულს აფრინდება
იგი დრო შვებად, —
როცა არ ვცნობდი
ზღვარსა და ზღუდეს...
მერე კი...
მერე თავნება წლებმა
ჩამომიშალეს
ზღაპრების ბუდე.

არ ვიცი,
სიყრმე
ოცნების კონცხთან
დამრჩა თუ სადღაც
გაფრინდა რაშით...
იქნებ, სივრცეებს
ცრემლივით მოწყდა,
ან ვარსკვლავივით
დაიწვა ცაში?!

გალადა გალმა მიწაზე

რომ დავფიქრდები შენზე,
სევდის ცრემლები მაწვიმს,
თვალს ვერ გაცილებ გალმა
ჩემი სხეულის ნაწილს.
ამ გახსენებით ახლა,
სული საოცრად მეწვის,
ვინ აატირა ეგზომ
ჩემი ვაზი და ლერწი.

ვიცი, უჩემოდ ვიცი,
როგორ შფოთავ და ვერ ძლებ,
ვინ დაეუფლა ასე
იმ ჩემს ტაძრებს და ძეგლებს.
წლები მიჰქრის და მაინც
ჩემს სიყვარულში სახლობ,
მე ამ უთბილეს გულთან
სულ მეყოლები ახლოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეტავ

ვხედავ, წრიალებ მუდამ
ღელვის გარეშე ვერ ძლებ,
მიწაზე ხარ თუ ცაში
ეძებ, რალაცას ეძებ.

ეს უსასრულო ფიქრი
გძრავს და იმედით გავსებს,
ნეტავ, ვიცოდე ვის რას
დაპირებიხარ ასე?!

ისევ ფიქრი ხარ

ეს იყო თურმე
მოახლოება —
წინ გადადგმული
ერთი ნაბიჯი,
მე კი მეგონა,
ხორცი შეგასხი
ამოგიყვანე
ფიქრის სიღრმიდან.

დიახ, მეგონა
და სხვა სიმაღლის
უცებ დაპყრობის
ჟინმა იელვა, —
მაგრამ ო, არა
ისევ ფიქრი ხარ
და ნაბიჯ-ნაბიჯ
გიახლოვდები.

შენ რასაც ჩემობ...

დაეძებ იოლ
გზებსა და ჩეროს,
არ ძალგიძს შეგძრას
გარჯამ და ოფლმა.

შენ რასაც მღერი
და რასაც ჩემობ,
როგორ ჰგავს ახლა
სხვის სახლში ყოფნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი მაღულარია

ვიღას შეაფაროს მიწამ თავი

მოთხრობა

8

მას შემდეგ, რაც ღამე მთელ ქვეყანას დაეპატრონა, მდუმარებამაც ღამის სითალხე შეიძინა და ზღვის ტალღების ცემა ისე ისმოდა შორიდან, თითქოს ბნელში მარტოდმარტო დარჩენილი არსება ჩუმად, თავისთვის კვნესოდა. კიბის ქვეშ შეყუჟული ძაღლი მძიმედ სუნთქავდა. ნიავს სუსხი ემატებოდა და მან ერთხელ კიდევ ინანა, რომ გათენებისთანავე არ გაეცალა აქაურობას, არ დაუსხლტა ხელიდან გრძელ, უტყვ, ზოზინა წუთებს, რომელთაც სუსხისა და უკვე ხანდაზმული, საკმაოდ გაცვეთილი მოგონებების მეტი არაფერი მოჰქონდათ. ძნელი აღმოჩნდა მეხსიერების მოტყუება, იმ წვრილმანების უგულებელყოფა, ოდესღაც მოლოდინი მსუბუქ სამოსელში რომ იხვევდა, მაგრამ როცა მათი განმეორება არავითარ შინაგან ძრწოლას აღარ იწვევდა, როცა ნაცოდვილარი წარსული ბანალურ სინამდვილეში იძირებოდა, მაშინ მათი დაეწყება ისევე აუცილებელი იყო, როგორც მკვდრის დამარხვა.

ბერიკაცი რომ ბუხრის წინ იჯდა და თვლემდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, რადგან სინათლის ორი გრძელი ზოლი ჩვეულებრივ მოუცელელ ფანჩატურთან ებჯინებოდა მიწას. წუხელ, როცა ბერიკაცი დაწვა, მან მისი სავარძელი დაისაკუთრა და ღამე ბუხრის წინ გათია. მოკრუნჩხულსა და უხერხულად თავგადაგდებულს კუნთები დაუბუჟდა, კისერი გაუკავდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მთელი მისი სხეული ბაწრით იყო შეკრული და შებოჭილი, ხოლო სადღაც შორს, თოვლით დაფარული ტრამალების მიღმა, მარადიული ყინვებისა და უცისკიდურო სიბრტყეების საუფლოში მის წინ, სწორედ იმ ადგილას, სადაც ხელისგულივით სწორი, დათოვლილი მინდორი ჩაწდა, უზარმაზარი ბზარი გაჩნდა, თანდათან გაფართოვდა, გაღრმავდა და პირდაღებულ უფსკრულად იქცა, რომელსაც ვერც გვერდს აუვლი და ვერც გადაახტები, ვერც ამოავსებ და ვერც გადებ რამეს ზედ, რადგან ირგვლივ არაფერი ჩანს — არც ბუჩქი, არც ხე, არც ბოძი და არც ცოცხალი არსება. მხოლოდ თოვლით დაფარული ტრამალებია გადაშლილი კიდით კიდემდე და ძლიერი ქარი, ზურგში რომ გიბერავს, გაბრმავებს, თოვლის კორიანტელში გახვევს, ძალით მიგათრევს, მიგაქანებს უფსკრულისაკენ და იმის საშუალებასაც კი არ გაძლევს, უკუაგდო აზრი, რომ ვეღარასოდეს ამობობღდები იქიდან, ვეღარასოდეს გამოდევნი სხეულიდან სიცივის უსაშინლეს შეგრძნებას, ვერავის მიაწვდენ ხმას და სანუგეშოდ მხოლოდ ის გრჩება, რომ ამ უზარმა-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 6.

ზარ საყინულეში არ გაიხრწნება, არ აყოროდები, არ შეერევი მიწას და შლამს.

ბუხარაში ცეცხლი ჩამქრალიყო, ნესტიან კედლებს სიობო შეეწოვათ და ძვალ-რბილში ისე გაჯდომოდა სიცივე, როგორც ბერიკაცის სულს არაამქვეყნიური კაშანი. ამ სიცივეს თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სუსხი ახლდა თან, რამაც რაღაც ისეთი მოაგონა, რასაც აქაურობასთან საერთო არაფერი ჰქონდა და რაც იმ სახით, როგორც მეხსიერებას შემორჩა, არასოდეს განმეორდებოდა, მაგრამ როგორც არ უნდა აქციო წარსულს ზურგი, მეხსიერებიდან მაინც ჭირს ყველაფრის პირწმინდად ამოძირკვა და თუ სიფხიზლეში არა, ძილში მაინც გაუყვები ზოგჯერ იმ უკან მოტოვებულ გზებს, უმტეს შემოხვევაში ნაცრისფერ ცის კიდურს რომ ებჯინება.

დილით, სანამ იგი ზღვის წყლით ხელ-პირს დაიბანდა და გათოშილ, გახევებულ სხეულს ჩვეულებრივ მოქნილობას დაუბრუნებდა, ბერიკაცს ბუხარში ცეცხლი დაენთო, მუდი გაეფიცხებინა, ჭყინტი ყელი დაეკრა, შინ გამოყვანილი შაშხი აეშიშხინებინა და მთელი ბოთლი ჭაჭის არაყი გამოეტანა, რასაც ფიჩხზე ნაკლებად არ ეკიდებოდა ცეცხლი. როცა იგი ოთახში შევიდა, ბერიკაცს სუფრა უკვე გაეშალა და საკუთარ სავარძელში მოკალთებული, მოთმინებით ელოდა სტუმარს. იმწამს მასზე უფრო მხნე, მართალი და თავისუფალი კაცი ქვეყანაზე არ მოიძეოდა. თვალ-ში საცემი თავისუფლება ბერიკაცმა მარტოობით მოიპოვა და ახლა ისე ცხოვრობდა, როგორც სურდა, იმდენის უფლებას აძლევდა თავს, რამდენის უნარიც შესწევდა. ახალგაღვიძებული, თმა და წვერ დავარცხნილი უშფოთველად იჯდა სავარძელში და არც მიხრწნილი ჩანდა და არც ათასი სენით შეპყრობილი, მოღონიერებული, აზრმოკრებილი ბუხარში ცეცხლს უკეთებდა, სიტყვას სიდარბაისლეს ანიჭებდა და არავის აძლევდა საკუთარ სხეულსა და სულში ხელის ფათურის უფლებას. შეიძლება ამიტომაც არ ისურვა ქალაქში გადასახლება, შეიძლება წინასწარვე იცოდა, რომ ქალაქში მის ნებას არავინ დაჰყვებოდა, პირიქით, შეუჩნდებოდნენ, სულს შეუწუხებდნენ, დაარწმუნებდნენ, რომ მძიმე ავადმყოფია და ენდომებოდა თუ არა, მაინც საავადმყოფოში დაწვენდნენ, სადაც სხვების ტანჯვა-წამებისა და სულის ხუთვის მოწმე უნდა გამხდარიყო, მყრალი ჰაერი ესუნთქა, მნახველები მიეღო, ყველასათვის ის ეთქვა, რასაც მისგან მოელოდნენ, იმ სიტყვებით გაეცილებინა მახლობლებიც და შორებლებიც, გულს რომ არ ეკარება, მაგრამ ყველაზე დამამცირებელი და აუტანელი პროცედურები მაინც იმ დღიდან დაიწყებოდა, როცა მის სხეულს ჯიჯგნას დაუწყებდნენ: სისხლს აუღებდნენ, შარდსა და განავალს გაუსინჯავდნენ, გააშუქებდნენ, სურათებს გადაუღებდნენ, ათას სენს აღმოუჩენდნენ, აბებსა და ნემსებს დაუნიშნავდნენ, თეძოს თავებს დაულურჯებდნენ და დაუჩირქებდნენ, თავიანთ შეცდომებსა და ხელმარცხიანობას მის უჯიათობას დააბრალებდნენ და სიმართლეს მაინც არ ეტყოდნენ. აუმეტდნენ ფიფას, ხაჭოს, მოთუშულ ხილს, დაალევინებდნენ მაწოს, ხილის წვენს, გამოხდილ წყალს, ყველაფერს გაწურულს, უმარილოს, უწამაგოს და ერთხელაც კი არ მისცემდნენ იმის უფლებას, რომ ღვინო მოეწრუპა, წყაროს ან ჭის წყალი დალია. ასეთ სიცოცხლეს მისთვის არავითარი ფასი არ ექნებოდა და ამიტომაც არ სცილდებოდა საკუთარ კარ-მიდამოს. აქ შეეძლო თავის ნებაზე ეჭამა და ესვა, ეკეთებინა ის, რისი თავიც ჰქონდა და არავისთვის დაენახვებინა, რომ მის სხეულში სიკვდილი იყო ჩასახლებული, არავისთვის მიეცა იმაზე მეტის უფლება, რისი უფლებაც სტუმარს ან გარეშე კაცს აქვს და მარტოობასა და უილჯობას საკუთარი ძალ-ღონით გამკლავებოდა. გამოცდილებით იცოდა, რომ მის ირგვლივ რაიმეს შეცვლა, გადასხვაფერე-

ბა, მისგანაც მოითხოვდა შეცვლას, გადასხვაფერებას, რის ძალაც მას უკვე აღარ შესწევდა და ამიტომ არც რევდა არავის საკუთარ ცხოვრებაში, არავის თხოვდა მოვლას და შემწეობას. ექიმი არც სახლში მოუწევევია არასოდეს და არც თვითონ სწვევია, წამალს ახლოს არ იკარებდა, სამკურნალოდ მზის სხივებს, ზღვის სუფთა ჰაერს და წლობით გამომუშავებულ ჩვევებს იყენებდა. ამიტომ იმ დილით თავისთვისაც იმდენივე არაყი დაისხა, რამდენიც სტუმარს დაუსხა, ღმერთი ახსენა, სულმოუთქმელად გადაკარა და გაფიცხებული მჭადისა და ყველის ნაჭერი შეატანა.

— ჩემიანებს თუ იცნობ ვინმეს? — ჰკითხა ბერიკაცმა, როცა სისხლის აჩქარება და სიმხნეევის მოძალება იგრძნო.

— თქვენს ძმისშვილს, ვისი ხათრითაც ამ ათიოდე წლის წინათ აქ ორი თვე გამაჩერეთ და თქვენს უმცროს ქალიშვილს.

— ახლა თუ ხვდები მათ?

— თქვენს ძმისშვილს იშვიათად, თქვენი ქალიშვილი კი, რაც აქედან წავიდა, აღარ მინახავს.

— არც არის ღირსი, — ჩაილაპარაკა ბერიკაცმა უფრო თავისთვის, ვიდრე მის გასაგონად და რკინის ჯოხით ცეცხლი გააღვივა.

— სად არის, რას აკეთებს, როგორ ცხოვრობს? — ჰკითხა მან ბერიკაცს, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელს ამ თემაზე საუბარი არ სიამოვნებდა.

— არ ვიცი, არ მაინტერესებს. ვიღაცამ ამბავი ჩამოიტანა, გათხოვდა და გასუქდაო.

— აქ თუ ჩამოდის?

— ახლა აქ აღარავინ ჩამოდის, მათი აზრით, ჩემზე უკმეხი, უხიაგი და უსულგული ბერიკაცი ქვეყანაზე არ დაიარება.

ბერიკაცი რომ მოტეხილიყო, მომთხოვნელობაზე, პირად ღირსებებზე და მესაკუთრეობაზე ხელი აეღო, მასთან ურთიერთობა მის შვილებსა და შვილიშვილებს არ გაუჭირდებოდათ, მაგრამ მან არა მარტო შეუპოვარი ხასიათი და ურყევი მრწამსი შეინარჩუნა, არამედ შრომის უნარიც და დამოუკიდებლობაც და თავისთავად აღმოჩნდა იმ ადამიანთა რიცხვში, ვინც სიკვდილს სხვის დაუსწრებლად უნდა გაუსწოროს თვალი.

ბერიკაცმა არაყი თავისთვის აღარ დაისხა, მას კი ჭიქა ისევ პირთამდე გაუვსო და ისეთი თვალით შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, კაცი, რომელიც სასმელს არ ეკარება, რა კაციაო. ჭაჭის არაყმა იგი არა მარტო გაათბო და მოაღონიერა, არამედ ღმეული ზმანებებიც დაავიწყა და უჩვეულო მადაზე მოიყვანა. გაფიცხებული მჭადი და შინაური შაში ესიამოვნა, გემრიელი ეჩვენა ბერიკაცის მიერ დამყავებული პრასიც. ახლა ისინი უბრად კი არ ისხდნენ ერთმანეთის პირდაპირ, მარტო ცეცხლს კი არ შეჰყურებდნენ, არამედ პურს ჭამდნენ, საუბრობდნენ, ერთი სიტყვით, თავისთვის ქეიფობდნენ და ამ ქეიფში მათ გარეშოც ეხმარებოდა. ბუხარი სასიამოვნოდ, დამამშვიდებლად გუგუნებდა, გაუწმენდავი ფანჯრებიდან სულ უფრო მეტი და მეტი სინათლე იჭრებოდა ოთახში, წუხანდელ უამინდობას ნათელი დღე ცვლიდა და იგი სულ უფრო მეტად იმსჭვალებოდა სოფლის სურნელებითა და სულისკვეთებით, აგონდებოდა ის დღეები, როცა შინიდან უთენია გადიოდა, ზღვის პირას დახეტიალობდა, თოლიების კივილს ყურს უგდებდა, ფეხს ისველებდა, შემდეგ ნავში ჯდებოდა, ზღვაში გადიოდა და იქიდან უცქერდა, როგორ მთლიანდებოდა და რბილდებოდა პატარა უბეებად დაყოფილი ნაპირი, როგორ ერეკებოდა ქარი ღრუბლებს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და როცა წითელი კრამიტით, ყავრით ან თეთრი შიფერით დახურული სახლების საკვამურებიდან ამომავალი კვამლი აღმოსავლეთის ქარს ზღვაში შემოჰქონდა, კვამლის ოდნავ საგრძნობი სუნიც კი

სიცოცხლის იმდენ ნიშანსვეტსა და ცხოველმყოფელობას შეიცავდა, რომ მოლოდინის გაურკვევლობასა და სუსხმორეულ ცხოვრებას იმედით ასაზრდოებდა.

— როცა კაკი ღვინოს არ სვამს, უფრო ბებერი, უფრო მოტეხილი ჩანს, — უთხრა ბერიკაცმა და ღვინით სავსე მუცლიანი ჭიქა დაცალა.

— გაქვთ კიდევ?

— იმდენია, ქელეხსაც გადამიხდის. ბოლო დროს არაფერს არ ვუვლიდი ისე, როგორც ვინახსა და მარანს.

— აკი გამოგადგათ კიდეც.

— როცა გიჭირს, როცა ძალ-ღონე გაკლდება, მხოლოდ იმას ინარჩუნებ ხოლმედ, რაც გამოგადგება.

— თქვენიანებმა თუ იციან ეს?

— რატომ უნდა იცოდნენ. რაც თავი მახსოვს, ყველაფერს სხვებს ვურიგებდი, სანაცვლოდ არავის არაფერს ვთხოვდი, მაგრამ მაინც ავი, გაუტანელი და თავკერძა კაკი აღმოვჩნდი.

— ბრალდაუდებლად ამქვეყნიდან ჯერ არავინ წასულა, — უთხრა მან ბერიკაცს, კარგად ყოფნა უსურვა და არაყი გადაჰკრა.

— მართალია, მაგრამ ზოგს იმდენს აჰკიდებენ და თან უმართებულოდაც, რომ თუ რამე არ იღონე, თუ შენ თავს შენვე არ მოუარე, გაგსრესს.

— ამიტომ ირჩიეთ მარტოობა?

— მარტოობას კაკი კიდევ უფრო მძიმედ განიცდის მაშინ, როცა მშობლიურ მიწას მოსწყდება, სანამ ძალა მქონდა, აქ სამე არ გამომლევია, ამიტომ არც არაფერს ვნანობ და არც უკან მოხედვა მაშინებს. მხოლოდ ესაა, ამ ბოლო დროს საკუთარ თავს ვეღარ ვცნობ და ზოგჯერ ეღვთოთ ვიღლები.

ადოე ადგომამ, სტუმრის გამასპინძლებამ, ჯაჭის არაყის სიფიცხემ და უცხო კაცთან საუბარმა ბერიკაცი მართლაც დაღალა, საკუთარ თავთან დარჩენა მოანატრა. თვალმილულული, სავარძლის ზურგს მიყრდნობილი, ქვეყანას გაემიჯნა და მხოლოდ იმას უსმენდა, რაც მის სხეულში, მის სულში ხდებოდა. მის სულში კი ყველა მაცოცხლებელი ყლორტი თუ გამმარი ალი ფაფალ-ძარცული მაინც იყო და ამიტომ ბერიკაცს ოთახში შემოჭრილი სინათლე აღიზიანებდა. სინათლე კი მძლავრად იჭრებოდა ფანჯრებიდან. ოთახის ყველა კუთხე-კუნჭულს ისაკუთრებდა, წუხანდელ ნაფიქრალსა და ნამწუხარევს აცამტვერებდა, ბერიკაცს ირგვლივ ერტყმოდა, ყველა ნივთისა და სიბერტყისაგან ანცალკევებდა, ფონს უქმნიდა, იდუმალებით მოსავდა და მის უძრავ, ხანდაზმულობისაგან გამახვილებულ, ზუსტი კონტურებით გამოკვეთილ სახის ნაკვთებს ქანდაკების სიდიადეს ანიჭებდა.

ბერიკაციისათვის რომ სიმშვიდე არ დაერღვია, ფეზზე წამოდგა, ფანჯრასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. სველ მიწას ორთქლი ასდიოდა, კაშკაშა დღის სინათლეზე გაძარცულ ხეთა ტოტები კიდევ უფრო შავი ჩანდა. გაპარტახებულ კარ-მიდამოს გაპარტახების ახალი ნიშნები შემატებოდა, რაც მარტო მოუფლელი მიწის გატყიურებაში კი არ მჟღავნდებოდა, არამედ იმ სახის კიდევ რამდენიმე ნიშანდობლიობის დაკარგვაში, როგორიც ამ ეზოს ოდესღაც ჰქონდა. ამას დეკორატიული ხეების შეუსხეპაობაც ადასტურებდა. ერთმანეთის გვერდით აღანძული კვიპაროსების სიმწვანეში სიმწვანის უარმყოფელი ფერი ბუნებრივად ჩაქსოვილიყო და ხეთა კენწეროები დროდადრო ისე ტოკავდნენ, თითქოს ის ტოტები, ქვემოთ რომ შეახბათ, მოუშუშებელ ჭრილობასავით შემორჩენოდათ ტანზე, მაგრამ ამას არ იმჩნევდნენ, რადგან სწამდათ საკუთარი დანიშნულებისა და იმისაც, რომ არსებობაში რაღაც აზრი დევს. წელან, როცა ბერიკაცი იმაზე შორს შეეჭიო ცხოვრებაში, რის შესაძლებლობასაც სიძაბუნე აძლევდა, ერთი წამით საოცრად გალმობიერდა და ასეთი რამ უთხრა: ცხოვრება უკვე კარგა ხანია მოვკვამე, ჩემს არსებობას არავითარი აზრი არა აქვს, დღეს თუ ხვალ ტანჯვით ამომთხდება სული, მაგრამ მაინც მიეჭირს ამ ოხერი ცხოვრების დთმო-

ბაო. და ეს იმიტომ კი არ თქვა, რომ ნუგეშს ეძებდა, არამედ კაცურად, თავის მოუტყუებლად. მართლაც უჭირდა ბერიაკაცს სიცოცხლის დათმობა, მარტოობიდან კიდეც უფრო დიდი მარტოობის საუფლოში გადასახლება, სადაც სიბნელის მეტი არაფერი ეგულებოდა და ამავე დროს არც იმის ძალა შესწევდა, ქმედითი ცხოვრება დაეპირისპირებინა კარზე მომდგარი სიკვდილისათვის, რითიმე მაინც შეევსო ცარიელი დღეები, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება უკანასკნელიც კი ყოფილიყო და ეს უმოქმედობა, ბუხრის წინ უსაქმოდ ჯდომა და ლოდინი ღრმა მწუხარებით ავსებდა, რის დამალვასაც იგი ზოგჯერ ვერც კი ახერხებდა.

●

მზის სხივები, ხარბად რომ იწოვდნენ მიწის სინესტეს, ყოველ ბუჩქს, ყოველ უძრავ საგანს ძირამდე აშიშვლებდნენ, ერთმანეთისაგან მიჯნავდნენ, ფერ-ხოროცით ავსებდნენ და სინათლეს და სითბოს მოწყურებული მცენარეებიც მოჩვენებითი არსებობის ნაცვლად, არსებობის ჭეშმარიტ ნიშნებს იძენდნენ, უტყუარი ფერებით იმოსებოდნენ, წარმავლობას უპირისპირდებოდნენ და გულზე ხელებდაკრეფილნი კი არ ელოდნენ სიკვდილს, მთელ სამყაროსთან ერთად სუნთქავდნენ.

9.

ზღვისპირა, საკურორტო ქალაქში ყოველთვის დგას რაღაცნაირი სპეციფიკური, ზღვის სიმლაშისა, სველი ბაგრებისა და ნაირ-ნაირი ყვავილების ერთმანეთში ირეული სუნი, რაც მეხსიერებაში იმწამსვე აცოცხლებს ამ ქალაქში გატარებულ დღეებსა და კვირებს, მაგრამ ის დღეები და კვირეები ვეღარ ეტევიან ადრინდელ ჩარჩოებში, ვერ უკავშირდებიან ერთმანეთს ისე, როგორც ადრე იყვნენ დაკავშირებულნი და სიცხადით გარემოცული ბუნდოვანებით ეხვევიან. სწორედ ასეთი ბუნდოვანება იყო ჩაბუდებული მარადმწვანე ხეების ქუჩაზე დაფენილ ჩრდილებში, რომელთაც ისინი ფეხით თელავდნენ და შემოდგომის თბილი დღის სითბოს ისე იმარაგებდნენ, როგორც აქლემი წყალს. ქალაქი მსუბუქად, ყრუ ხმაურით ირევდა სტუმრებს გამომშრალ უბეში, უძრავსა და მოძრავს ერთ კვანძად კრავდა და თავისი ზუსტი კონტურებითა და გახუნებული ფერებით მედგრად უპირისპირდებოდა ყველაფერს, რაც მის გაკამტვერებას ცდილობდა. გაკამტვერებული კი მრავალჯერ ყოფილა, სახეც და სახელიც ბევრჯერ შეუცვლია, მტერიც დაუსამარებია და თვითონაც დასამარებული, მაგრამ ნანგრევებიდან ბარბაცით წამომდგარა, პირჯვარი გადაუსახავს და ხელახლა შესდგომია ჭრილობების მოშუშებასა და საკუთარი თავის შეკოწიწებას. ნაჭრილობევი ახლაც აჩნდა ტანზე, ძველი ციხე-სიმაგრე ჩამტვრეული კბილივით იდგა ზღვაში შეჭრილი კლდის ქიმზე და ჭონგურებმორღვეული შუასაუკუნეობრივი ქედმაღლობით გასცქეროდა სივრცეს. ციხის გარდა, ქალაქის მიერ დასაკუთრებულ მიწა-წყალზე სხვა ნაგებობებიც იდგა: ტაძრები, სასახლეები, სასტუმროები, დუქნები და ახლა ყოველივე ამას წერაქვებითა და აკვალანგებით შეიარაღებული ექსპედიციები მიწის ქვეშ და ზღვის ფსკერზე ეძებდნენ, ეძებდნენ მის ადრინდელ სახეს, მაგრამ მას იმდენი სახე ჰქონდა და ისე ხშირად იცვლიდა პერანგს, რომ თვითონაც კი აღარ ახსოვდა, როგორ გამოიყურებოდა ამა თუ იმ დროს და როგორი ფერი ედო ორიოდე საუკუნის წინ. თუმცა მის წიაღში იმდენი სურნელოვანი, მარადმწვანე, უბერებელი ხე და მცენარე იზრდებოდა, რომ უფერული არასოდეს იქნებოდა. არც ახლა აკლდა ფერი და ხორცი, ჩრდილი და სინათლე, მთა და ბარი. ხეობებით დასერილი ტყიანი მთები თანაბრად ეშვებოდნენ ზღვისაკენ და როცა ქალაქამდე აღწევდნენ, მოასფალტებულ ქუჩებად იღვრებოდნენ. ასლა ისინი ერთ-ერთ ასეთ ქუჩას მიჰყვებოდნენ ნავსად-

---

ბივი ბაღულარია
ვიღაც შეაფარეს მიწამ თავი

გურისაკენ, რომლის მოოკრული, ზეაწვდილი სვეტი შორიდან მოჩანდა.

მანამდე მათ მაღაზიებში შეიარეს, მან მკედი და ანკესები იყიდა, ქალიშვილმა მზის სათვალე, შემდეგ კინოში შეევიდნენ დღის სეანსზე, ადამეამობის დროინდელი უცხოური ფილმი ნახეს, ახლა კი გამწვანებულ ქუჩაზე მიაბიჯებდნენ ნავსადგურისაკენ და არც ერთს არ ემჩნეოდა სახეზე იმ დაძაბულობის კვალი, ქალაქში რომ ჩამოიტანეს. ქალიშვილი ქალაქმა ყოფიერების პირველ წყაროს, მიწას მოსწყვიტა, იგი კი საკუთარ თავს და მეზსიერების მიერ გამრეცდებულ, უსახურ მოჩვენებებს, რომელთა უგვანობა ზოგჯერ ისე აჩლუნგებდა, რომ სანამ გონს მოვიდოდა, ნიეარაშემოცლილი ლოკოკინასავით იკლაკნებოდა ლოგიწში. იმ დილით გვიან კაიღვიძა. ფანჯრიდან შემოჭრილმა დღის სინათლემ მზერას უფრო გამოსტაცა სკამზე გადაკიდებული ტანსაცმელი და ნესტით გაღღენთილი, დაჭმუჭნილი ფარდა, ვიდრე სიბნელეს. სიბნელე მის გაღვიძებამდე უკუქცეულიყო და მას ისეი გრძნობა შეეკმნა, თითქოს საკუთარი ჩრდილიდან გამოძვრა და ცხადად დაინახა ღამის ნამუსრევი და ბურუსში გახვეული მიწის ნაგლეჯი, რომლის ძოლიპულ ფერდობზე სინამდვილეს უკვე მოეკიდებინა ფეხი და ჩრტების ჭიკჭიკით გამხნევებული მთა-ბარს იპყრობდა. ამასობაში საწოლიდან გაკრებილიყენენ შემთბარი, გაბუნდოვანებული მოჩვენებები, შესაძჩნევად გაფართოებულიყო ცივ, შიშველ კედელზე მის აქ ჩამოსვლამდე გაჩენილი ბრუდე ბზარი, ოდნავ წინ წამოჩოჩებულიყო ძველი, სარტყლებმოჩუქურთმებული ტანსაცმლის კარადა. რომელიც თავის სამდვილ ფერს ხოლოდ მაშინ იბრუნებდა, როცა მზე მოადგებოდა. მანამდე კი ჩამუქებული იდგა კუთხეში და კარის ყოველ გამოღებაზე ისე ჭრიალებდა, თითქოს ეანგმოკიდებული ანჯამები ჭრელობასავით ეხსნებოდა, ოთახი არც შემოდგომაზე თბებოდა და არც ზამთარში. კვეშაგებული გამზეურების შემდეგაც კი ინარჩუნებდა სინესტეს და როცა წვებოდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ჭის ფსკერზე იძირებოდა, ხოლო დილით, როცა ფანჯარაში მზის სსივი შემოიჭრებოდა და მის საწოლს გაანათებდა, უსაშველოდ დაჭმუჭნილი ზეწრის ნოჭები მაგრად დაგრეხილ ღვედებად ეჩვენებოდა, რომელთა ტყვეობიდან გაჭირვებით ითავისუფლებდა თავს.

სანამ წამოდგებოდა, საწოლზე წამოჯდა, ფარდა გადასწია და ფანჯრიდან გაიხედა. მზის სხივებს საბოლოოდ გაეფანტა ღამის ნარჩენები და რიგად აღძართული ალვის ხეების შეფვთილებულ ფოთლებს ახლა ნარინჯის ფერი კი არ ედოთ, არამედ ოქროსფრად გადაღებილიყვნენ. უტიფრად გაშიშვლებული ვარდები საკუთარი სურნელებით თვრებოდნენ. შუა ეზოში, დაცვარულ მოლზე ქალიშვილი მარტოდმარტო იდგა, სახე მზისათვის მიეფიცხებინა და ისე იღიმებოდა, თითქოს სისხლძარღვები დილის სიგრილითა და მთაზე წამომდგარი მზის ცხოველმყოფელი სხივებით ევსებოდა. ზღვიდან მონაბერი ნიავი, კაბის კალთებს რომ უფრიალებდა, მწვანე ღობეს აწყდებოდა და გამუქებულ ფოთლებს აშრიალებდა. ქალიშვილი მზეს ეკეკლუცებოდა, წამწამებს აფაფულებდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა, მხრებზე დაყრილი, გრძელი, ახლად დავარცხნილი თმა უბზინავდა, ნაირფრად ელებებოდა და ისე უღელავდა, როგორც სავსე, ამბინებებული მკერდი. რომელიც მანამდე არ დაცხრებოდა, სანამ სიყვარულს არ იგემებდა ან უსიყვარულოდ არ დაჯკნებოდა. თუმცა მისი ტან-ფეხის პატრონს დასაჯნობად არავინ გაიმეტებდა, არც თვითონ ჩანდა ისეთი, რომ ცხოვრებისათვის თავ: დაეჩაგვრინებინა. ნუგეშს თუ გარეთ არა, საკუთარ თავში მაინც იპოვიდა, სიმედო ბილიკა მანამდე გაჰყვებოდა, სანამ ამას საჭიროდ მიიჩნევდა და ბოლოს ისეთი კაცის ზურგს ამოეფარებოდა, ვისთვისაც მარტო ცოლი კი არ იქნებოდა, არამედ საკუთრებაც, მაგრამ ისეთი საკუთრება, ვის ნებასაც სიკვდილამდე ემორჩილება მესაკუთრე.

ახლა კი მოშიებული და იმ ცხოვრებისაგან თავდახსნილი, რომლის მიღება არ სურდა და აღარც შეეძლო, ქუჩაში გამოფენილ ხალხს აკვირდებოდა. თავისთვის რაღაცას იმახსოვრებდა თუ ითვალისწინებდა და ცდილობდა ქალაქის რიტმისათვის ფეი აეწყო. სულიერი სიმშვიდე მოეპოვებინა. აქ არავინ გამოედევნებოდა, არავინ მოსთხოვდა პასუხს, სად მიდიოდა და რისთვის. ირგვლივ იმდენი ხალხი ირეოდა, იმდენ ენაზე ლაპარაკობდნენ, იმდენი სარბენი და საზრუნავი ჰქონდათ ჯგუფ-ჯგუფად. წყვილ-წყვილად თუ ცალ-ცალკე მოარული, რომ მისთვის არავის ეცალა. აქედან გემებს ჩრდილოეთისა, სამხრეთისა და დასავლეთისაკენ მიჰყავდათ ცობილმოყვარეობით შეპყრობილი, უნახავის ნახვით დაინტერესებული ხალხი და ეს სირბილი, ფუსფუსი, რაღაცის სწრაფად ყიდვა ან გაყიდვა ქალაქს სიცოცხლეს მატებდა, წყალსა და ხმელეთს ერთმანეთთან აკავშირებდა და სხვადასხვაფრად შეღებილ ძველ სახლებს, რომელთაც სიღებავი ტანზე შემოსდომოდათ, სიდარბაისლეს ანიჭებდა. ქალიშვილი მის ოფელსა და ამ პროვინციულ ქალაქს შორისაც კი დიდ განსხვავებას ხედავდა, ქუჩაში ხალხის სიმრავლე უკეთესი ცხოვრების, მეტი თავისუფლების საწინდრად მიაჩნდა, რასაც შეგნებულად აცლიდა ყოველგვარ რეალურ სამოაულს და საკუთარ წარმოსახვაში არაფერს არ ებრძოდა ისე, როგორც მოპოვებულის გაუფასურებას, დამკვიდრებული ცხოვრების შებღალვასა და გამრუდებას.

მათ ქუჩა ჩაათავეს, ნავსადგურის წინ გაწლილ მოედანზე გავიდნენ და დამსვენებლების თუ ტურისტების გადასაყვანად ახლო-ახლო ჩამწკრივებულ ავტობუსებს გვერდი აუარეს. მოედანს ჩრდილი დაპატრონებოდა, ტუფის ქვით მოპირკეთებულ ნავსადგურს პერანგი ბახუნებოდა, ასფალტზე მოგოგმანე მტრედები სიმსუქნისაგან დამძიმებულიყვნენ. ის ლეგენდები, ამ ქალაქის აყვავებასთან და დაცემასთან რომ იყო დაკავშირებული, გამიწიერებულიყვნენ. მოზიაკაში ჩაბუდებულიყო. მხარზე ფოტო ან კინოაპარატგადაკიდებული ტურისტები თუ ერთი დღით შეჩერებული მგზავრები ქვის ნაცრისფერ კიბეებზე ჩამომსხდარიყვნენ და დაღლილობისაგან ისე გასავათებულიყვნენ, თითქოს ის-ის იყო ღრმა მაღაროდან ამოვიდნენ, სადაც მთელი დღე ქანცგაწყვეტამდე მუშაობდნენ. თუმცა ისიც მუშაობა იყო, რასაც ისინი აკეთებდნენ. მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ქალაქში დარბოდნენ და იღებდნენ ძეგლებს, ხედებს, დეკორატიულ ბაღებს, ძველ შენობებს, საინტერესო პერსონაჟებს და, ღმერთმა იცის, კიდევ რას. რა ხანგრძლივიც არ უნდა იყოს ''ვებულება, ტურისტს მაინც ხანმოკლე ეჩვენება და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ნახოს, მეტი გადაიღოს, მეტი შთაბეჭდილება წაიღოს თან. შინ დაბრუნებული რაღაცას ხომ უნდა მოაყვეს, რაღაც უჩვენოს, რაღაც აჩუქოს სხვებს, ხოლო თუ სხვებისათვის ვერაფერს გაიმეტებს, თავის თავს ხომ უნდა შეახსენოს ხანდახან აქა და აქ ვიყავი და ესა და ეს ვნახეო. სხვაგვარად რა ბჯრი აქვს მოგზაურობას ან ''ვებულებას, რა უნდა აკეთოს უცხო ქვეყანაში საკუთარი თავის ამარა დარჩენილმა კაცმა უშთაბეჭდილებოდ და უაპარატოდ. სწორედ ეს ეწერათ სახეზე იმათ, ვინც გემის გასვლისა თუ ავტობუსის მოსვლის მოლოდინში ქვის კიბეებზე ჩამომჯდარ-წამოწოლილიყვნენ. ძნელი იყო პროგრესის მიერ გაიაფებული ნივთებით აღჭურვა და კიდევ უფრო ძნელი ამ პროგრესის საკუთარ თავში ტარება.

— სად მივდივართ? — ჰკითხა ქალიშვილმა, როცა მოედანი გადასერეს, შენობას ბოლომდე დაუყვნენ და მეორე სართულზე ამავალ კიბეს მიადგნენ.

— რესტორანში.

ქალიშვილი მისდაუნებურად შეყოვ-

ნდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყოყმანი რომ დაეძლია, რაღაცნაირად არაბუნებრივად გაიღიმა და იგი მიხვდა, რომ ქალიშვილი პირველად შედიოდა მამაკაცთან ერთად რესტორანში, რაც მისთვის კიდევ ერთი შემბორკავი ხუნდის მოშორებას ნიშნავდა.

●

ჩრდილები შეტოკდნენ, აიმღვრნენ და ერთ დიდ ჩრდილში გაითქვიფენ, თვალს მოეფარა ხეები, ყვავილები, ფერები, დარჩა მხოლოდ ნავსადგურის განუმეორებელი თავისებურება და წარსულის ტყვეობიდან ნაწილობრივ თავდახსნილი ქალაქი, რომელიც მის მიერვე დასაკუთრებული ცისკიდურის გარღვევას და ზღვაში გასვლას ცდილობდა, სადაც მტვერს ჩამოიფერთხდა, განიბანებოდა, ქარებით დაკაწრული პირისახეს მოიშუშებდა, გამოკოხტაკვდებოდა და საკუთარ მეხსიერებას მიეწდომებოდა, რომლის ფსკერი ისევე ღრმა და მოსილული იყო, როგორც მის ყინ ბარათხმული ზღვა. მითი ყოფიერდებოდა, პირველყოფილ აზრსა და ფასს იძენდა, ტრაგიკულ გარდუვალობას იმედით ასაზრდოებდა და მაცდუნებელ წიაღში ითრევდა.

10.

ჯერ კიდევ არ ციოდა ისე, რომ მაგიდები ღია აივნიდან დახურულ დარბაზში შეეტანათ და ამან ეოტათი გაახარა, რადგან უხეირო სურათებით მორთული კედლებისა და მოკეცული სახეების ცქერას გაშლილი სივრცისათვის თვალის შეელება ერჩია. რესტორანს ხალხი მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ მოაწყდებოდა, ახლა კი ერთი მაგიდა მოაჯირთანაც კი აღმოჩნდა თავისუფალი და მან სწორედ იქითკენ გასწია. მაგიდა ოთხი ადამიანისათვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ ჯერჯერობით, სანამ რესტორანში ხალვათობა იგრძნობოდა, მყუდროებას არავინ დაურღვევდათ და ამიტომ ქალიშვილს გვერდით კი არ მიუჯდა, არამედ მის პირდაპირ დაჯდა. თოლიები ნავსადგურში კიდევ უფროა[illegible] მრავლებულიყვნენ, ერთმანეთში ეშეტირიგოდ ირეოდნენ და ზოგი მთავრინი ისარივითაც კი მოიკრებოდა მოაჯირთან, რომ გადაგდებული პურის ნაჭერი პირშივე დაეკირა. მათი გნიასიცა და კივილისაგან ყურთასმენა არ იყო, მაგრამ მალე ისინი აქაურობას გაეცლებოდნენ და დასაბუდებლად მოეშზადებოდნენ. თუმცა ეს გნიასი მას ნაკლებად აღიზიანებდა, ვიდრე საღერღელშლილი ბრბოს ყაყანი.

ნავსადგურში რამდენიმე დიდი, სამგზავრო გემი იდგა, მათ შორის ორი ეუნოური. ბაგირებით დამბული გემები დაცარიელებულ, ჩამკვდარ საზლებს ჰგავდნენ, რადგან ტურისტები ქალაქში გაკრეფილიყვნენ და გემბანზე მხოლოდ ორიოდე მეზღვაური დაბოდიალდა. მოტორიანი ნავები და კატარღები მაუნაგი ვირთხებივით დაძრწოდნენ აქეთ-იქით. მათ მიერ აქფაებული წყალი ღია ჭრილობას ჰგავდა, რომელიც ნელ-ნელა იკრავდა პირს და ყოველივე ამას ზემოდან ესხურებოდა მზის მოციმციმე სხივები. რაც არა მარტო კონტურებს ანიჭებდა სიცხადეს, არამედ მოვრეე ფერსაც წშენდდა და ამსუბუქებდა.

ოფიციანტი რომ დროზე არ მოვიდოდა, ეს მან წინასწარ იცოდა. ამიტომ სიგარეტს მოუკიდა და ქალიშვილს თვალი შეავლო. მისი ახლის კანი თანდათან კარგავდა იმ თვალით დაუნახავ ჩრდილს, სევდას რომ ჰკვავდა და მაცდუნებელი მწყაზრობით იმოსებოდა. სევდა მას შინდან გამოჰყვა და იმით იყო გამოწვეული, რომ ეშინოდა ხელის მოცარვის, ტკივილის, მარცხის, რაც არაბუნებრივ, მიუღებელ ამბად მიაჩნდა, მაგრამ ყველაფერი ეს გარდუვალი იყო და პირველივე, სულ უმნიშვნელო მარცხიც კი არა მარტო გულს ატკენდა, არამედ ხასიათსა და ბუნებასაც შეუცვლიდა. აქედან, ამ ქალაქიდანაც კი სხვა სულისკვეთებით, სხვა განწყობით დაბრუნდებოდა შინ და ზუსტად ისეთი, როგორიც იმ დილას იყო, აღარასოდეს იქნებოდა.

მაგრამ ჯერჯერობით ქალიშვილს არა

მარტო რესტორანში ჯდომა მოსწონდა, არამედ ისიც, მისმა ცხოვრების წესმა რომ მკვეთრად იცვალა გეზი და ახლა უფლება ჰქონდა, თუ სამუდამოდ არა, მცირე ხნით მაინც მინდობოდა იმ კაცს, ვინც მისი დაპურება, მფარველობა და გართობა იკისრა. ის, რაც ირგვლივ ერტყა, მხოლოდ სანახაობრივი თვალსაზრისით აინტერესებდა, რადგან არც გაშინაურებას აპირებდა აქ და არც იმ ზღვრებიდან გასვლას, თვითონ რომ დაუდგინა საკუთარ თავს.

— რას შეჭამ? — ჰკითხა მან ქალიშვილს.

— იმასვე, რასაც შენ.

— იქნებ გენატრება რამე?

— რომ გენატრებოდეს, ჯერ მისი გემო უნდა იცოდე.

მას გაეღიმა. ქალიშვილს იმდენი უშუალობა კი ჰქონდა, რომ არც სხვა გაეწვალებინა და არც საკუთარი თავი, მაგრამ ჯერჯერობით ხელში არაფერი ეჭირა, არ სჭირდებოდა თვალთმაქცობა, ყოყმანი, რაღაცაზე დათანხმება და რაღაცაზე უარის თქმა. სანამ უცხო გარეგოს შეეჩვეოდა, სანამ ხელის ფათურით მიიკვლევდა გზას იქითკენ, საითაც ისწრაფოდა, ერჩია მისთვის ყველას ისეთივე თვალით ეცქირა, როგორც თვითონ უყურებდა საკუთარ თავს.

მოაჯირს მიღმა, სადაც ყოველი საგანი, ყოველი ნაგებობა ცხადად იყო გამოკვეთილი, მზის სხივები ისე ირეკლებოდნენ, თითქოს საკუთარ ანარეკლში ცდილობდნენ ჩაბუდებას, ხოლო ნაცრისფერი ჯებირი, რომელიც ნავსადგურს სამი მხრიდან ზღუდავდა, ექვსკუთხა კოშკურით ცისკენ იმზირებოდა და ამჯერად გზას კი არ უნათებდა უცხო ქვეყნებიდან მომავალ ხომალდებს, არამედ მახვილი ჩრდილით ეგებებოდა, საკუთარ უბეს იგრილებდა და საჭირო ფონს თვითონვე იქმნიდა. კოშკურა იმგვარიგე ქვით იყო მოპირკეთებული, როგორითაც ნავსადგური და იგი რომ ვინმეს ღონიერად დაეტრიალებინა, მისი მახვილი წახნაგები ბევრი ისეთი რამის ასალესად გამოდგებოდა, რაც ამ ქალაქში და თვით ამ ნავსადგურშიც შეჩნევად დაბლადგვებულიყო.

— გემით თუ გიმგზავრია როდისმე? — ჰკითხა მან ქალიშვილს.

— არა.

— არც ცხენზე მჯდარხარ?

— ცხენზე კი ვმჯდარვარ, მაგრამ მას შემდეგ იმდენი დრო გავიდა, რომ ახლა სიზმარივით მახსოვს.

— რა ერქვა თქვენს ცხენს?

— ღმერთო, გამახსენე!

— ლამაზი იყო?

— არ ვიცი, მე მგონი, წაბლისფერი იყო და შუბლზე თეთრი ნიშანი ჰქონდა.

მაგიდას მოადგა ჩასუქებული, თმადახუჭუჭებული ქერა ქალი, რომელსაც ადმინისტრატორის გამომეტყველება უფრო ჰქონდა, ვიდრე ოფიციანტის და ისე იკითხა, რას მირთმევთო, თითქოს ამ დაწესებულებაში იძულებით ამუშავებდნენ. ვაჟისა და ქალის მიერ მაგიდის დაკავება ოფიციანტს მაინცდამაინც ხელს არ აძლევდა, ამ სუფრაზე არც ბევრი ღვინო დაიღეოდა და არც სანოვაგე დახვავდებოდა. ისინი საქეიფოდ არ იყვნენ აქ მოსული, ისადილებდნენ, ცოტას ისაუბრებდნენ და აქაურობას გაეცლებოდნენ. ოფიციანტს თავისი ანგარიშები ჰქონდა და ამიტომ მისთვის არც მენიუ მოუთხოვია და არც ზედმეტი კითხვებით გაუწვალებია. მან გამოცდილებით იცოდა, რას ამზადებდნენ ჩვეულებრივ ასეთ რესტორნებში და მხოლოდ ის მოითხოვა, რისთვისაც პირის დაკარება შეიძლებოდა, სასმელიც ისე შეუკვეთა, რომ ქალიშვილისათვის აღარ უკითხავს, რას დალევდა და რას არა.

ზღვის სილუეტჯე — თანდათან რომ მაღლა იწევდა, უხარისხო მარმარილოთი მოპირკეთებულ სვეტებზე ლურჯადვე ირეკლებოდა და გამჭვირვალე ფარდასავით ირხეოდა — სივრცეს საგრძნობლად ზღუდავდა, ზღვის ამოუხსნელ ნიშნებს აბუნდოვანებდა და მას უეცრად ამ ფარდის ხელით გადაწევა მოუნდა, მაგრამ

სანამ იგი ფარდის არარსებულ ბოლოს ეძებდა, მზის სხივი დარბაზის დახურული კარის სქელ მინაზე აირეკლა და ისარივით ეცა თვალში.

— რა ჰქენი, ამოიგდე გულიდან ის, ვის დასავიწყებლადაც სოფელში ჩამოხვედი? — ჰკითხა ქალიშვილმა და იგი მიხვდა, ქალიშვილი ამდენს ვერ გაუბედავდა, რესტორანში რომ არ დაეპატიჟებინა, მიხვდა იმასაც, ეს კითხვა რომ სხვათა შორის არ იყო დასმული და ამტომ პირდაპირი პასუხის გაცემა არც უფიქრია.

— არა მგონია, სოფელი კაცს ვინმეს ან რაიმეს დავიწყებაში ეხმარებოდეს.

— ეს არც მე მგონია, მაგრამ ასე ტყუილუბრალოდ კაცი სოფელში არ ჩამოდის.

— მე აქ ტყუილად არა ვარ ჩამოსული .

— აბა, რას აკეთებ?

— ვარ ჩემთვის.

— რას ქვია შენთვის?

— იმას, რაც ვთქვი.

— სწორედ ეგ შენთვის ყოფნა იწვევს ეჭვს.

— ვის ეჭვს?

— თუნდაც ჩემსას.

— ეჭვს კაცი ყოველთვის იწვევს, სანამ ამქვეყნად დაბოგინებს, — უპასუხა მან და ისე მიაჩერდა თოლიების მოფარფატე გუნდს, თითქოს მათ გარდა არავინ იცოდა, რა იყო ამქვეყნად ნამდვილი და რა არა.

— მაინც რაში ხარ დაეჭვებული? — ჰკითხა ქალიშვილს მცირე ხნის შემდეგ.

— მე მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს, ნუთუ იქ, სადაც აქამდე ცხოვრობდი, არავინ დაგრჩა ისეთი, რომ მოგძებნოს და მოგიკითხოს?

— რა მჭირს მოსაძებნი?

— შეიძლება არაფერი, მაგრამ სოფელში რაღაცნაირი უპატრონო ჩანხარ.

იმ უცხოური გემის გემბანზე, მათთან რომ უფრო ახლოს იდგა, შილიფად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი გამოვიდა, იდაყვებით მოაჯირს დაეყრდნო და მზის სხივებით გაშუქებულ ზღვის წყალს დახედა. მისი ოქროსფრად შეღებილი თმა შლილი თმა მსუბუქად ირხეოდა, ოფლიანი სიბრტყე, ქალს რომ ფონს უქმნიდა, კიდევ უფრო ამახვილებდა მისი მოგრძო სახის მზით დამშვენარ ნაკვთებს. ქალს ირგვლივ უცხო, ჯერაც მოუხილველი სამყარო ერტყა, მაგრამ საკუთარი თავისაკენ უფრო იყო შექცეული, ვიდრე უცხო გარემოსაკენ, მარჯვენა ხელით რაღაცას ჭმუჭნიდა, წყლის ფერისცვალებას აკვირდებოდა და მზერაზეც კი ეტყობოდა, რომ მისთვის არც გემით მოგზაურობა იყო უცხო, არც ბეტონის ჯებირებით შემოზღუდული ნავსადგურის ძალგამოცლილი ტალღების ტყლაშუნი და არც ამ ცხოვრების სიამტკბილობა. შორიდან ძნელი იყო იმ ნაოჭის დანახვა, გულაცრუება და სუსხმორეული ცხოვრება რომ აჩენს, მაგრამ შეიძლება მასაც აწვალებდა უგუნური სურვილები, ვერ ეტეოდა საკუთარ კანში და როცა თავს ვერაფერი მოუხერხა, ჩემოდანი ჩაალაგა, ქუჩაში გამოვიდა, მანქანა დაიქირავა და რადგან არ იცოდა, სად წასულიყო, ტურისტულ ბიუროში ამ გემის საგზური იყიდა. იმ დღიდან ქვეყნიერებას კიდევ ერთხელ დაუყვა დასავლეთიდან აღმოსავლეთით, კიდევ ერთხელ აჰყვა საყოველთაო თვითცდუნებას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, გემიც ცხოვრების ისეთივე კომფორტაბელური და მოსაწყენი კუნჭული აღმოჩნდა, როგორსაც გამოექცა და ახლა ან არ აინტერესებდა, ანდა იმის თავიც კი არ ჰქონდა, რომ ქალაქში გასულიყო და თუ ვერაფერით ისიამოვნებდა, თვალს მაინც დაალევინებდა წყალს. ეტყობა, უკვე ყელში ჰქონდა ამოსული ზღვებზე უაზროდ ხეტიალი და რადგან ამ ხნის მანძილზე არც მითი იქცა სინამდვილედ და არც სინამდვილე მითად, იგი ცოტათი შეურაცხყოფილადაც კი გრძნობდა თავს და ალბათ თანამგზავრებთან ქუჩა-ქუჩა წანწალის ისეთ საკუთარ უგუნებობასთან მარტო დარჩენა არჩია.

— როგორ გგონია, უპატრონობა კა რგია თუ ცუდი? — ჰკითხა მან ქალიშ-

ვილს და ღიმილისაგან თავი შეიკავა.

— ჯერ არ გამიგონია, ვინმეს ეთქვას, უპატრონობა სასურველი და სახარბიელო იყოს.

— ცხოვრებაში რა არ ხდება, ვთქვათ და, კაცი უპატრონოდ დარჩა, მაშინ?

— სხვა პატრონი უნდა იშოვოს.

— თუ ვერ ახერხებს?

— მაშინ იმ კაცს ან რაღაც ჭირს, ანდა ცხოვრებისათვის თავი ვერ გაურთმევია.

იგი დიდი ხანია გადაეჩვია საკუთარი თავის გაცემას და ამიტომ არც უფიქრია, ქალიშვილისათვის გული გადაეშალა, თავსგადახდარი ამბები ეამბნა, თანაგრძნობა გამოეწვია, იმდენად აეფორიაქებინა მისი გული და გონება, რომ შემდეგ სანანებლად გასდომოდა. მას მხოლოდ მოსწონდა ეს მოხდენილი, ხელუხლებელი, ენერგიული და ასაფრენად გამზადებული გოგო, მოსწონდა მისი სიარული, თმის, თვალებისა და კანის ფერი, ის ურჩობა, თავმომწონე ქალიშვილებს რომ ახასიათებთ. შეიძლება ქვეცნობიერად იმასაც გრძნობდა, თუ უნდოდა ცხოვრებასთან წილნაყარი ყოფილიყო, არ ჩამჭკნარიყო და ჩაქვესკნელებულიყო საკუთარი სულის უძირო ჭაობში, უნდა დაწაფებოდა იმაკ, რაც ღვთისა და ბუნების გაჩენილია და მისგან მამაკაცურ შემართებას, თავდავიწყებას, ჭოჭმანზე ხელის აღებას მოითხოვდა. მაგრამ მან იცოდა, ვისთანაც ჭმნნდა საქმე და არაფერი იქნებოდა იმაზე დიდი ღორობა, ქალიშვილისათვის რომ რამე ეკადრებინა და მერე ცოლად არ შეერთო. იმ გარემოში, სადაც ქალიშვილი ცხოვრობდა, ქალწულობა და პატიოსნება ტოლფასოვანი ცნებები იყო.

ოფიციანტმა გორგოლაჭებიანი მაგიდა მოაგორა, სუფრა გააწყო და შამპანურის ბოთლი გახსნა. ამასობაში წყალზე გაწოლილი ჩრდილები დაგრძელდნენ, დინებამ ნავსადგურში საიდანღაც ახლად ჩამოცვენილი ოქროს ფოთლები შემოიტანა, გასასერნებელი კატარღის რადიოკვანძში მაგნიტოფონი ჩართეს და შორიდან აჩქარებულ რიტმს აყოლილი, გამყივანი ხმა მოისმა. იგი ქალიშვილზე ათი წლით უფროსი იყო. ხოლო ათი წელი მეტისმეტად დიდი დროა იმისათვის, საკუთარ თავზე აზრი შეიცვალო, იმედი იქონიო, რომ რაღაც გადასხვაფერდება, თავისთავად დალაგდება და მოწესრიგდება. ამიტომაც უჭირდა საკუთარი გონებისა და სულის მარწუხებისაგან თავის დახსნა, გალაღება, მეხსიერების მიმოჯდომაბინელი ზედაპირის ახალი ნიშნებით აჭერელება. მის ყურადღებას უფრო გარე სამყაროში მომხდარი ცვლილებები და საგანთა ფერისცვალება იქცევდა. მზის სხივები, პირველად რომ დარბაზის დახურული კარის სქელ მინაზე აირეკლნენ, თანდათან გაფართოვდნენ, კედელზე გადაბობღდნენ, დიდ ლაქად იქცნენ და ასე ცოცვა-ცოცვით მიაღწიეს იმ ბზარამდე, კედელს რომ დიდი ხნის წინათ გასჩენოდა და ახლა მტვრით იყო ამოვსებული.

— თუ ყოველთვის არა, ზოგჯერ სიმაა მაინც სასიამოვნო, შენი ადგილსამყოფელი რომ არავინ იცის, — უთხრა მან ქალიშვილს და ჯერ შემწვარი თევზი და ტყემალი მიაწოდა, შემდეგ კი ღვინო დაუსხა.

— როგორ შეიძლება სასიამოვნო იყოს ის, რომ არავის ენატრები, არავის სჭირდები, არავინ ითვლი დღეებს შენთან შეხვედრამდე, — უპასუხა ქალიშვილმა, სანამ კერძს პირს დააკარებდა.

— განა ადამიანი ყოველთვის იმის გვერდითაა, ვისაც სჭირდება?

— აბა, სად უნდა იყოს?

— შენ სჭირდები ამქვეყნად ერთ ადამიანს, ძალიან სჭირდები, მაგრამ მის გვერდით დარჩენას არ აპირებ.

— მამას გულისხმობ?

— ძნელად, კაცს ისე სჭირდებოდეს ვინმე ახლა, როგორც მამაშენს სჭირდება.

— ვიცი, მაგრამ რა ვქნა? ჩავჭკნე სოფელში, იაეთ რამეს შევწერო თავი, რაც დრამოჭმული და დღემოსწრაფებული?

ბიბი ჭაღლულაძია

ვილას შეაფარეს მიწამ თავი

ქალიშვილს სხვა გამოსავალი მართლაც არ ჰქონდა და ვერც ვერავინ გაიგუტყუნებდა, რომ არ უნდოდა ახალგაზრდობა, მთელი თავისი სულიერი და ფიზიკური ძალ-ღონე იმისათვის შეეწირა, რაც ყველგასული და უიმედო იყო. მათი ოჯახის ნგრევა მაშინ დაიწყო, როცა საფუძველი გამოეცალა რაღაც იეთს, რაც მამაპაპეულ სახლ-კარზე უფრო მნიშვნელოვანია და ახლა, ამ ოჯახის ნაბოლარა შვილს როგორც არ უნდა გამოედო თავი, გადარჩენით მაინც ვერაფერს გადაარჩენდა, საკუთარ ცხოვრებას კი სამუდამოდ გაიმრუდებდა და აღარც იქით იქნებოდა და აღარც აქეთ. ქალაქში იმიტომ კი არ მიეჩქარებოდა, რომ სხვაგვარად არ გაეძლებოდა, არა, მისთვის ეს არ იყო სულში ღრმად ფესვგამდგარი შინაგანი მოთხოვნილება. იგი ახლოლდ იმ ყოფას გაურბოდა, რომელიც მისთვის ნატვრისა და ლოდინის მეტს არაფერს იმეტებდა და არც იმედი იყო იმისა, რომ ოდესმე გაიმეტებდა.

მიუხედავად გარეგნული ჭაოსურობისა, თოლიების ნავარდში მაინც იგრძნობოდა წონასწორ გაანგარიშებული სიზუსტე და შინაგანი დინამიურობა, ფრთის ყოველი მოქნევა სახიერი და უნაკლო იყო, სიფრთხილეს ჩვეული თვალების გამომეტყველება უაღრესად სერიოზული. შეიძლება ამიტომაც არ უჭირდათ ერთმანეთისათვის გვერდის ავლა იმ სამოქმედოდ შეზღუდულ სივრცეში, თვითონ რომ გამოიმწყვდიეს საკუთარი თავი. მათი ხმა არა მარტო ყოველდღიური მოუსვენრობის ჩამაფრით იყო განმსჭვალული, არამედ ვაჟკაცური შეძახილ-შეკივლებითაც, რაც იმდენად ბუნებრივად ეღერდა, რომ იქაურობას აცოცხლებდა და ახალისებდა.

— მალე ორი თვე იქნება, რაც ჩვენთან ცხოვრობ. რატომ აქამდე არ შემოთავაზე ქალაქში წამოყოლა? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— აქამდე შემთხვევა არ მომცემია.

— არ მკადრულობდი?

— როგორ გეკადრება!

— მე კი ასე მეგონა და საკუთარი თავი მეცოდებოდა.

— რის გამო?

— იმის გამო, რომ...

ქალიშვილს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა და თეფშს ჩააჩერდა.

— ყველაზე მეტად რა გაკლია გულს? — ჰკითხა მან მცირე ხნის შემდეგ.

— მართალი გითხრა?

— თუ მენდობი, მითხარი.

— ის, რომ გვერდით არავინ მყავს.

— გიცდია კი, გყოლოდა?

— აქამდე ამის გამბედაობა არ მყოფნიდა. შენ გგონია, აი, ახლა, აქ რომ ვზიავარ, თავისუფლად ვგრძნობ თავს?

— რა გბოჭავს?

— ბევრი რამ, მაგრამ ყველაზე უფრო ის, რომ მთელი დღე ერთად ვართ და ხანდახან მაინც ისე მექცევი, თითქოს უცხო ვიყო.

მას არ გაკვირვებია, ქალიშვილმა რომ ამ სიტყვებში საყვედური ჩაექსოვა. იგი იმას ამბობდა და აკეთებდა, რასაც მისგან ქალური ბუნება მოითხოვდა, რადგამ თუ აქ ვინმეს თავი უნდა გაეცა, უპირველეს ყოვლისა იმას, ვინც ინიციატივა გამოიჩინა და რესტორანში დაპატიჟა. სხვაგვარად არავითარი აზრი არ ჰქოდა ერთმანეთის პირისპირ ჯდომას და საუბარს, უხალისოდ და უმიზნოდ ჰურის ჭამას, მთელი დღის უქმად, უშინაარსოდ გატარებას. ცხოვრება ისედაც მძიმე სათრევია და ამ ჭაპაწყვეტაში ადამიანები ერთმანეთისაგან გაგებასა და თანაგრძნობას მოითხოვენ. მაგრამ მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა მის მიერ გამოჩენილი ინიციატივა რომ მათი შემდგომი ურთიერთობის წინაპირობად ქცეულიყო, შერყეულიყო რაღაც იესი, რის გაწონასწორებასაც შემდეგ შეგუების დიდი უნარი დასჭირდებოდა. ამ მხრივ კი მისი პოზიცია გაცილებით უფრო სუსტი იყო, ვიდრე ქალიშვილისა. ქალიშვილს თმენის მეტი უნარიც ჰქონდა და შეგუებისაც. ამიტომ უმეტეს შემთხვევაში მართალი იქნებოდა, ხოლო მის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავითვე სულმოკლეობად მონათლავდნენ და სწორედ იმას გთელავდნენ, რაც გასათლად არც სოფელში ჩამოსვლამდე ემეტებოდა.

მან შამპანური მოსცა და ზღვას გახედა. ჯებირს მიღმა, იქ, სადაც აქოჩრილი ტალღები ერთმანეთს მოსდევდნენ, იალქნიანი ნავი ქარს დაუპირისპირდა, თეთრი აფრა გამოიბერა და კვერცხის ფორმა მიიღო, კვერცხისა, ანუ ჰემისფეროსი, რომელშიც ჩანასახი მწიფდება და დასაბამს ღებულობა ყველაფერი, რაც უნდა იშვას, განვითარდეს და მოკვდეს.

ძველ ხალხებს ყველაზე მეტად სწორედ კვერცხის ფორმის სრულყოფა და მასში მოთავსებული სიცოცხლის სუბსტანცია აკვირვებდა. მათ ისიც იცოდნენ-რომ კვერცხი არარაისაგან, ქაოსისაგან ვერ წარმოიქმნებოდა, იგი ცოცხალ არსებას უნდა დაედო და ასეთ არსებად საიდანღაც, სამყაროს ვრცელი სივრცეებიდან მოფრენილი ფრინველი წარმოიდგინეს. უცხო ფრინველი კერცხს ზღვიდან ამობურცულ ბორცვზე დებდა, რადგან ზღვაა უზარმაზარი საშო ყოველივე ცოცხალისა და როცა ნაყოფი მომწიფდებოდა, კვერცხის ჰემისფეროები გადაიხსნებოდა, გამოიჩეკებოდა მზის ღმერთი დემიურგი, ხოლო შუაზე გადახსნილი კვერცხის ჰემისფეროები ზესკნელად და ქვესკნელად გადაიქცეოდა. სამყაროს ამგვარი მოდელი არაფერ დამთრგუნველს არ შეიცავდა, მაგრამ დემიურგი, ერთ დროს რომ კვერცხიდან გამოიჩეკა და ახლა კვერცხის გულის ფერი იყო, ზღვაში ჩასასვლელად ემზადებოდა, საკუთარ საფლავს თვითონ ითხრიდა. შეიძლება ეს შემოდგომის ბრალი უფრო იყო. ვიდრე თმმულებათა სახიერი ჩრდილებისა, რაც თანაბრად ეფინებოდა ზღვასა და ხმელს, მაგრამ ისა, ვინც მის წინ იჯდა, ყოველივე ამას დრომოჭმულ ზღაპრად თვლიდა და ვინმეს რომ ეთქვა, შენი ბუნება მთიურით უფროა გამსჭვალული, ვიდრე თანამედროვე სულიერი მოთხოვნილებებითო, არ დაიჯერებდა.

— ამ ქალაქში ადრეც ყოფილხარ? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— ვყოფილვარ.

— ამ რესტორანშიც?

— ამ რესტორანშიც.

— მარტო?

— მარტოც და სხვასთან ერთადაც.

— ვინ იყო ის სხვა?

— ვიღაც ისეთი, ვისთან შეხვედრასაც არავითარი აზრი არ ჰქონდა.

— ასეთი შეხვედრებიც არსებობს?

— რამდენიც გნებავს.

ქალიშვილი ისე მოიბუზა, თითქოს ზღვიდან ცივმა ნიავმა დაუბერა. მის სახეზე ისევ გამოჩნდა ის თვალით დაუნახავი ჩრდილი, სევდას რომ ჰგავდა.

— ჩვენი შეხვედრაც ასეთია?

ქალიშვილი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და უნდოდა თუ არა, ამჯერად მაინც უნდა ეთქვა რაღაც ისეთი, რაც მათ აქ ყოფნას ცოტათი მაინც გაამართლებდა, შექმნდა ილუზიას, თითქოს გუშინდელს აქეთ მართლაც შეიცვალა რაღაც და ქალაქში გამოსეირნებამ ისინი სულელურ მდგომარეობაში კი არ ჩააყენა, არამედ ულიმღამო ყოველდღიურობას მოწყვეტა და დაახლოვა. რაღაცით ხომ უნდა აღნიშნულიყო ის ამბავი, რომ იგი ქალი იყო, მისთვის რაღაცას იმეტებდა და თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც იხარჯებოდა.

— ჩვენ ხომ შემთხვევით არ გაგვიცვნია ერთმანეთი, კარგა ხანია ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ და იმდენად გვაინტერესებს ერთმანეთის ბედი, რომ ეჭვსაც კი ვიწვევთ, — უთხრა მან ქალიშვილს და გესლი რომ შეერიოლებინა, ალერსიანად გაულიმა.

— ნუთუ იმისათვის შემომიყვანე აქ, რომ დაცინო და აბუჩად ამიგდო?

იგი მიხვდა, რომ სახიფათო ზღვარს უახლოვდებოდა და ერთ უადგილო სიტყვას, მცირედ გულარძნილობასაც კი შეეძლო ყველაფერი დაეწყვრილმანებინა, გაებუნდოვანებინა, ბოღმით აევსო.

ბივი მაღულარია
ვილს შეაფარეს მიწამ თავი

არადა, არც იმის უფლება ჰქონდა, რომ დაეიმედებინა, ეთქვა რაღაც ისეთი, რაც შეიძლება ამჯერად საჭიროც კი იყო, მაგრამ სულ მალე სიცრუედ და დანაშაულად იქცეოდა.

— ჩვენ ისე ვიქცევით, თითქოს შინიდან რაღაცის გასარკვევად გამოვიპარეთო, — უთხრა მან ქალიშვილს და ნაკლული ჭიქა შეუვსო. — თუმცა ორივემ კარგად ვიცით, რომ შორს შეტოპვის უფლება არა გვაქვს და ამიტომ სჯობია იმით დავკმაყოფილდეთ, რაც ჩვენთვის დღევანდელმა დღემ გაიმეტა.

— მერედა, რა გაიმეტა?

— თუნდაც ის, რომ მშვიდად ვსხედვართ და თვალს არავის ვარიდებთ.

— დღევანდელი დღისაგან მე მეტს მოველოდი, — უთხრა ქალიშვილმა ისე თამამად, რომ იგი შეცბა კიდეც.

— მაინც რას?

— ხერიანად თვითონაც არ ვიცი.

მას გაახსენდა დილა, გაახსენდა, როგორ იდგა ცვრიან მოლზე მარტოდმარტო ქალიშვილი, როგორ იღიმებოდა მზისაკენ პირშეკცეული, როგორ ულელავდა გაშლილი, მარებზე დაფენილი თმა, როგორ თანაუგრძნობდა მის გულისხმევას ახალგაღვიძებული დღე და იგი მიხვდა, რომ სწორედ იმ წუთებში გამორჩა რაღაც მხედველობიდან და გამორჩა იმიტომ, რომ არც ეს დილა მიიჩნია საერთო დილად და არც ის ალმაფრენა გაიზიარა, ქალიშვილს რომ ეფინა სახეზე. იმ წუთებში მისთვის მთავარი იყო ხელიდან დასხლტომოდა ბზარს უკან ჩასაფრებულ უსახურობას, ისე გაეცოცხლებინა ახალგათენებული დღე, როგორც წყალი აცოცხლებს ნაპირზე გამორიყულ თევზს. მზია ამოსცლა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გათენებას, დღე მხოლოდ მაშინ დაიწყებოდა, როცა იგი მკერივ მიწაზე ფეხს დაადგამდა და ცხადად შეიგრძნობდა იმ მრავალფეროვნებას, მის ირგვლივ რომ დაიწყებდა დენას მდორედ.

— იცი, ცხოვრობდა ამქვეყნად ერთ, განათლებული პატრიარქი, ერთ-ერთი იმთგანი, ქრისტიანობას რომ ქადაგებით ამკვიდრებდა და არა მახვილით და ამ პატრიარქმა ერთ მთავარს მისწერა, ვინც სილამაზეს ჭვრეტს და დაუფარავად ეძებს, ვერაფრით ვერ ასცდება ამ სილამაზიდან მომდინარე საფრთხესო, — უთხრა მან ქალიშვილს, როცა მსუბუქად დაძაბული ტალღები მათ ქვეშოთ კედელს მოეტყლაშუნა. ტალღების უთავბოლო მსვრევა ზღვის სიღრმეში ჩაბუდებულ მდუმარებას მალავდა და მან იგრძნო, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდა და ღობე-ყორეს ედებოდა.

— მერე დაუჯერა მთავარმა?

— ამაზე ეამთაალმწერელი დუმს.

— შენ რომ მთავარი ყოფილიყავი, დაუჯერებდი?

— არ ვიცი, ალბათ არა.

— რატომ?

— ხშირად კაცს სხვისი კი არა, საკუთარი თავისა არ გჯერა.

— ის მაინც თუ გჯერა, რომ მე აქ შენს წინ ვზიავრ?

— ეს რომ არ მჯეროდეს, არც პატრიარქის სიტყვები გამახსენდებოდა.

ოფიციანტმა შემწვარი წიწილა და ნირონწყალი მოიტანა. კედელი, რომელსაც ზღვის ტალღები ეტყლაშუნებოდა, ყრუდ, არათანაბრად და სურდოიანივით სუნთქავდა. მზის სხივები ისე გაწვნენ წყლის ზედაპირზე, თითქოს ძირში გადაიმტვრნენ. ზღვიდან ნიავმა დაუბერა და სქელი ჰაერით შეკრული სივრცე გაწია. გემბანზე აღარ იდგა ოქროსფრად თმაშეღებილი, შილიფად ჩაცმული ქალი. სამაგიეროდ გამოჩნდნენ ქალაქიდან ერთ დიდ დარბაზში დააპურებდნენ და ცეკვების ან კინოფილმების დაწყებამდე დაასვენებდნენ. ამასობაში კი მზე ზღვაში ჩაესვენებოდა, ინთებოდა ნათურები, ლამპიონები, შუქნიშნები, წყლის ზედაპირზე უძრავი ჩრდილები გაწვებოდა, აშრიალდებოდა სიბნელე, აკვნესდებოდა ზღვა და ყველაფერი ეს ისე აირეოდა, გადაიკვეთებ-გადაიხლართებოდა და გადაიღლებოდა, რომ აღარც ნამდვილი იქნებოდა და აღარც წარმოსახული.

ქალიშვილმა ნიკაპი ხელს დააყრდნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზღვას გახედა. მის მზერაში მოლოდინი, რაღაცნაირი გაფაქიზებული სევდა და დაგუბებული სურვილია თუ ოცნების კვალი იგრძნობოდა. საკუთარ ფიქრებთან დარჩენილს ჩამავალი მზის სხივები სახეზე ელამუნებოდა. შუქრრდილებს ამკვეთრებდა და მის ისედაც სწორ ნაკვთებს უჩვეულო სინატიფეს ანიჭებდა. ეტყობა, მეცრე ხნით მას დაავიწყდა კიდეც, სად იყო, რისთვის იჯდა აქ და ქალიშვილის ამგვარი გამმარტოება, მწუხრდაკრული ბუნების წიაღში გაჭრა, ერთგვარ უხერხულობასაც კი იწვევდა. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რას ფიქრობდა ზღვისკენ პირშექცეული ქალიშვილი, როგორ აფასებდა მის საქციელს, რას უწუნებდა და რას აპრნევდა ისეთი, უცებ რომ ხედება ადამიანი თვალში. მხოლოდ იმიტომ დუმდა, საკუთარ უპირატესობას რომ გრძნობდა, თუ აქ ჯდომა აღარ აინტერესებდა და მზის უკანასკნელი სხივებით დაობილებულ გარეშოს ერწყმოდა. შეიძლება გარინდული ქალიშვილი სრულიად არ ფიქრობდა იმას, რასაც იგი აწერდა, მაგრამ ასე განმარტოებული უფრო ძლერი და დამოუკიდებელი ჩანდა.

მართალია, ქალიშვილი იქაურობაა განერიდა, მწუხრდაკრული ბუნების წიაღში გაიჭრა. მაგრამ სხვა ყველაფერი ისევ ისე დარჩა, როგორც თვალმა თავიდანვე აღიქვა და თუ რაიმე იცვლებოდა, იცვლებოდა, ისე, რომ შეფასებას არ თხოვნოდა. ზღვა, საიდანაც გრილი ნიავი უბერავდა, მისთვის უცხო, ძტრულად გაწყობილი სტიქია არასოდეს ყოფილა. ბავშვობიდანვე იცნობდა მის ბუნებას, მიმოქცევას, მოუსვენრობას და თუ ახლა წყლის პირას არ იჯდა და ქვიშია სახლება არ აშენებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ის დრო წარსულს ჩაბარდა, აღარ აინტერესებდა, რა ამოტივტივდებოდა მეხსიერების ზედაპირზე და რა არა. შორს დაინახავდა რაღეს თუ ახლოს. ის დრო, ზღვა რომ იზიდავდა, აკვირვებდა, აშინებდა და ათამამებდა, ისე ღლიდა, რომ ზშირად უფროსების ხელში ატატებული მიჰყავდათ სახლში. ბარის მდინარეკავით მდორე გახდა, ულაზ ცრიელი კუნძულებით დაიზერგა, ეს სიცხადეც კი დაკარგა, თვალი რომ ეთაცებდა და მოგვიანებით ერთმანეთ შეაჭმა, მოულოდნელად მოგვარნილმა მძიმე ტალღამ იმდენი რამე წაშალა და გადარეცხა, ისე დაამშრა ზღვას, რომ აღარ ეგონა. კიდევ თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ცხოვრებაში რა არ ხდება და დიდი ხნია შემდეგ მან კვლავ მოინახულა ზღვა, მოინახულა ისე, როგორც ცოცხალი არსება, რომელსაც ერთ დროს ახლოა იცნობდა. ეთამაშებოდა და კვლავ იგრძნო მისი ცივი, გაჩქეირვალე ტალღებია შეხება, მისი ციცოცხლესუნაროობა, მიაი უკვდავება, რაც მარტო გარეშეს ხმებს კი არ აციცხლებდა, არამედ შინაგნით დაგუბებულსაც და კვლავ იწყებდა დროის უკუქცევა.

ქალიშვილს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მის არსებაში გაიღვიძა წინაპრების სევდისმომგვრელმა ინიციალებმ, დიდი ხანია დადახალისება და უსწორო დროიდან დადგენილი ანზღვრების გაღალავა რომ ენატრებოდა, ენატრებოდა სივრცე, აპარები, ეჩქარებოდა ღვთით ბოძებული ძალ-ღონის დახარჯვა, რაც გან ცხოვრება სულის ხელმეორედ მოპრუნების საშუალებას იშვიათად აძლევდა. ამიტომაც ცდებოდა ხშირად და სხვებსაც აცდუნებდა, ამიტომაც კარ უდებდა გულა იმას, რასაც ბრძოლა განსჯა, შორმსჯრეტელობა, შესაძლებლობათა გათვალისწინება ჰქვია. ცხენზე ამხედრებული, იარაღსხმული გარე-გარე იყურებოდა და საკუთარ ნაკუჭში რომ არ ამომხრჩვალიყო, სულში მატლები რომ არ გასჩენოდა, თუ მომხდარა და გადამთიელს არ იგერიებდა, თუ მორს გალაშქრების საშუალება არ ჰქონდა, მეზობელს ესხმოდა თავს. და სისხლის დაღვრის შემდეგ სიკვდილთან უფრო იყო შეთქმული და შეამხანაგებული, ვიდრე სიცოცხლესთან.

უეცრად ქალიშვილმა თავი მოიბრუნა და ისე შეხედა, თითქოს ერთფეროვანი

ინგრცის ცქერა მოსწყინდა და ადამიანის ხმა მოენატრაო. მის მზერაში ადრინდელი რიდი და მოკრძალება იგრძნობოდა და იგი მიხვდა, რომ მიუხედავად გამოუცდელობისა, ქალიშვილი ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მაინც გვარიანად ერკვეოდა მამაკაცის ხასიათსა და ბუნებაში.

— როცა ზღვას ისე გაჰყურებენ, როგორც შენ გაჰყურებდი ახლახან, ბარგის ჩალაგებისა და სადღაც გამგზავრების სურვილი უჩნდებათ, — უთხრა მან ქალიშვილს და ოდნავ რომ გაეპალისებინა, დასძინა: — ოღონდ ესაა, ერთხანს თავს უპატრონოდ გრძნობენ და თვითცდუნებას ეძლევიან.

— რას გულისხმობ თვითცდუნებაში?

— ამ შემთხვევაში იმას, მარტოობა რომ თავისუფლება ჰგონიათ.

— ხერხიანად ,ჯერ ისიც კი არ ვიცი, რას ქვია მარტოობა, და რას თავისუფლება, მაგრამ ბარგის ჩალაგებისა და გამგზავრების სურვილი მაშინაც კი მებადება, როცა არაფერზე არ ვფიქრობ.

— აი, ამ ჯერს თუ გაჰყვებოდი საზღვარგარეთ?

— რა მიხდა საზღვარგარეთ?

— ქვეყანას ნახავდი, გახალისდებოდი.

— სად ძალია გასახალისებლად. ჯერ თავს უნდა მივხედო და რაღაც გზას დავადგე.

— სად იღებს სათავეს ის გზა, რომელსაც უნდა დაადგე?

— იქ, საიდანაც შენ გამოიქეცი.

— რატომ მაინცდამაინც იქ?

— იქ ცხოვრობენ ისინი, ვინც ხელი უნდა შემიწყოს.

— ამ ზაფხულს რატომ არ შეგიწყვეს?

— კი შემიწყვეს, მაგრამ მე ვერ ვივარგე. სწორედ მაშინ გამომეღავნდა, რომ რაღაცა მბოჭავს, უპერხულობაში მაგდებს.

— იქნებ მე ვერ შევაშჩნიე და აქ რომ მოვდიოდით, ფეხი უკან გრჩებოდა?

— არა, შენ ცოტათი შეგეჩვიე, შენს გვერდით თავს უფრო თავისუფლად ვგრძნობ.

ქალიშვილს იმდენად სითამამე არ ანერლდა, რამდენადაც შინაგანი თავისუფლება, უშიშრად მკაცრი ზნე-ჩვეულების ბუნებრივი უშუალობით შერბილება, ვერ ბედავდა ცხოვრებისაგან იმდენივე მოეთხოვა, რამდენსაც დამოუკიდებელი, თავისუფალი ადამიანი თხოულობს; ეშინოდა შეცდომის, გაიცქვინა, უსატრონოდ დარჩენის. ამავე დროს გრძნობდა, რომ სხვებზე ნაკლები არაფრით არ იყო, ხოლო თავისუფლება, შემბოჭავი ხუნდებისაგან განთავისუფლება კიდევ უფრო მიმზიდველსა და სანატერესოს გახდიდა. თუ შეეცდებოდა, საკუთარ შეცდომაზე თვითონვე აგებდა პასუხს და მითქმა-მოთქმას არავითარ ანგარიშს არ გაუწევდა. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ყველაფერი ხელის ერთი მოსმით უკუეგდო, გაეწვიტა კავშირი წარსულთან, განთავისუფლებულიყო მამისა და ნათესავების ზედამხედველობისაგან, ან უმაღლეს სასწავლებელში მოწყობილიყო, ანდა ლუკმა-პური შრომით ეშოვა. ყოველივე ეს კი რისკთან და ზნეობრივ სფეროში რაღაც-რაღაცების გადაადგილებასთან იყო დაკავშირებული. ქალიშვილი სწორედ ახლა იდგა მკაცრი არჩევანის წინაშე. კომფლიქტი მასა და იმ გარემოს შორის, რომელიც ბოჭავდა, უკიდურესობამდე გამწვავდა და იგი მიხვდა, რომ დღევანდელი გამოსეირნება, ქალიშვილის რესტორანში დაპატიჟება და მიკიბულ-მოკიბული საუბარი კიდევ უფრო დაჩქარებდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.

— ხომ არ დაიღალე, ხომ არ გავუდგეთ გზას შინისაკენ? — ჰკითხა მან ქალიშვილს, რომლის თვალები მზის ჩასვლასთან ერთად შესამჩნევად იცვლიდა ფერს.

— რა დამრჩენია შინ?

— აწი აქაურობას ქეიფის მოყვარული ხალხი მოაწყდება, დაიწყება ღრეობა, დაუკრავს ორკესტრი, დაიწყებენ ცეკვაა

— დაიწყონ მერე...

— შეიძლება ვინმემ შენც გაგიწვიოს საცეკვაოდ.

— რატომ უნდა გამიწვიოს?

— თუნდაც იმიტომ, რომ ჩემზე საგრძნობლად ახალგაზრდა ხარ.

— მე ცეკვა არ ვიცი.

— შეზარხოშებული ახალგაზრდები ამას დიდად არ დაგიდევენ.

— დაღამებამდე მაინც დავრჩეთ, — სთხოვა ქალიშვილმა.

მზე ბეტონის ჯებირის მიღმა ჩაესვენა და წყლის ზედაპირზე არეკლილი მოწითალო შუქი იმწამსვე ჩაქრა. ჰაერი დამძიმდა, გრილი და ნესტიანი გახდა. მწუხრი ისე ეფინებოდა ნავსადგურს, გემებს, კატარღებს, ყველაფერს, რამაც ფერი დაკარგა და განაცრისფერდა, როგორც ციდან ჩამოღვენთილი შავი ლაქა, ყველა ხვრელსა და ბზარს რომ ავსებდა. ღამე შორიდან, ზღვის სიღრმეებიდან მოედინებოდა, თანდათან იპყრობდა შემწუხრებულ სივრცეს და იმდენი კაეშანი მოჰქონდა თან, რომ მისი დატევა არათუ პატარა, ზღვაში შეჭრილ კონცხს, მთელ დედამიწასაც კი გაუჭირდებოდა. ვიწროვდებოდა ხილულაა და უხილავს შორის დარჩენილი ზღვარი, იფიტებოდა უხსოვარი დროიდან შემორჩენილი მითი და როცა სივრცის დაყოფა-დანაწილება შეუძლებელი გახდა, ელექტროშუქი ჩართეს. წყლის ზედაპირი დაისერა, თოლიები ნავსადგურიდან გაიკრიფნენ, ერთი წამით ყველაფერი დადუმდა. გაირინდა და მხოლოდ მომდევნო წამებმა იკარნეს იმ შემაშფოთებელი გარინდების გაფანტვა, დღისა და ღამის გასაყარზე რომ ეუფლება სულიერსა და უსულოს.

ეუცარი გარინდება იმდენად ძლიერი იყო, რომ მან მხოლოდ მაშინ ჩააქრო მხრჩოლავი სიგარეტი, როცა თითების წვა იგრძნო. მათ მაგიდას წყვილმა ჩაუარა, ქალ-ვაჟი ერთი წამით შეყოვნდა, მაგრამ შემდეგ გზა განაგრძეს და დახურულ დარბაზს მიაშურეს. მზის ჩასვლის შემდეგ ამ ქალაქში უეცრად იცოდა აცივება, ზღვის სიღრმიდან ცივი ნიავი უბერავდა და ღია აივანზე ჯდომა არც ისე სასიამოვნო იყო.

— რატომ ხდება, რომ დღისით ლაპარაკი უფრო ადვილია, ვიდრე ამ დროს?

— ჰკითხა ქალიშვილმა და გარემოსაცქერი თვის რომ რეალობა დაებრუნებინა. წიწილის ფრთა მოწიწკნა.

— ალბათ იმიტომ, რომ ღამის იდუმალებას ყველა სულიერი უფრთხის.

— ღამე ზღვასაც კი უფრო მძაფრი სუნი აქვს, — განაგრძო ქალიშვილმა.

— ახლა ყველაფერს ქვიშიან ნაპირზე ჯდომა სჯობია.

— რატომ?

— ამ დროს ზღვა მღერის.

— ზღვის სიმღერა არასოდეს გამიგონია.

— ეს არ ეკადრება ზღვის პირას გაზრდილს.

— ზღვას და ზღვის სიმღერას მე ხმელეთი და მაგნიტოფონზე ჩაწერილი სიმღერები მირჩევნია.

— ალბათ იმიტომ, რომ უფრო საიმედო და გასაგებია.

— შეიძლება.

— როცა შინ არ ხარ, არ გენატრება ზღვა?

— შინ სწორედ ის მაკლია, რაც მენატრება.

— სისხლსავსე ცხოვრება?

— სისხლსავსეს ვინ თხოულობს, სულ არაფერს ცხოვრების ნაგლეჯიც კი სჯობია.

— ამისათვის აუცილებელი არაა გადახვეწა, ნაგლეჯს ამ მხარეშიც იპოვი სადმე.

— აქაური ნაგლეჯს ბოსლისა და ოფლის სუნი უდის.

იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქალიშვილისათვის მართლაც არაგითარი ფასი და ღირებულება არ ჰქონდა იმას, რაც გარედან მოსულისათვის ერთგვარ მითოლოგიურ ბურუსშია გახვეული და ჰგონია, რომ ამ ბურუსში დანთქმას დაკარგული ინდივიდუალობის აღდგენა და განმტკიცება მოჰყვება. სინამდვილეში კი ცხოვრება აქაც განივთებული და ნიღაბჩამოგლეჯილი იყო და ქალიშვილს არაფრით არ შეეძლო სხვაგვარად მიდგომოდა მას, თუ არა პრაქტიკუ-

ლი თვალსაზრისით. ამიო გარჯის, საცოდავ არსებად გადაქცევას, მას ისევ დიდი უთანგმორნობისათვის პატარა ბეღნიერების წყალეკა ერჩია და ამ გზიდან არაფრის გულისათვის არ გადაუხვევდა, ფუნდაც ამისათვის მამის საბოლოოდ მიტოვება, გულიდან ამოგდება დასჭირებოდა. და ეს მოხდებოდა ორა ამიტომ, რომ ქალიშვილი უკიდურესი ეგოისტი, მკაცრი და დაუნდობელი იყო. ორა. მხოლოდ იმის გამო, რომ სიბერესთან, წარმავლობასთან, უპერსპექტივობასთან პირისპირ მარტო დარჩენილს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

რესტორანში ხალხმა დაიწყო დინა და თან მოაქონდა ჩვეულ გარემოსმოწყვეტილი ადამიანის თავაშვებულობა, მეშჩანური მორალისაგან თავდახსნის სურვილი, სპეციფიკური სუნი, ჟინმორეული, სუნამონაპკურები ადამიანის კანი რომ გამოსცემს. მათ მახლოდაღ, ქალიშვილის ზურგს უკან მდგარ მაგიდასთან ორი მამაკაცი და ერთი ქალი იჯდა. მამაკაცები ამ ერთ ქალს ეარშიყებოდნენ, სასმელს ანალებდნენ და ამ არშიყობაში იყო რაღაც ბანალური, გაცვეთილი, ნაძალადევი, რასაც კიდევ უფრო აუხამსებდა ორაზროვანი სიტყვები და ყურში ჩაჩურჩულება. ერთი მათგანი უფრო თამამად, უფრო ურცხვად იქცეოდა და იგი მიხვდა, რომ მთელ დანახარჯს ეს ვაჟბატონი გადაიხდიდა, ქალი და მამაკაცი კი მისი სტუმრები იყვნენ. მასპინძელს სახეზე და ქცევაზე ეტყობოდა, რომ ფულის შოვნა მოგვიანებით დაიწყო, ცოტათი გამოიტეკა, გადიდკაცდა და ახლა ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბნელი გზებით ნაშოვნი ფულით ყველაფერი იყიდება. განსაკუთრებით იმ გარემოში, სადაც ძვირად არაფერი ფასობდა. ამ ქალაქში იგი ფულის დასაზარჯად უფრო იყო ჩამოსული, ვიდრე დასასვენებლად. ამაა ქალიც გრძნობდა და თანდათან მისკენ იხრებოდა, მის განწყობილებას უბამდა მხარს, მასიური ოქროს ბეჭედი, მამაკაცს რომ არათითზე ჰქონდა წამოცმული, ხელის ყოველ აქნევაზე გამომწვევად ბრწყინავდა და ინტერესს ანაძღერებდა. ამ სიბინძურეზე საგან რომ თავი დაეცვა, მან ისევ ქალიშვილს შეხედა, გაუღიმა და შეეცადა გაეფანტა ის მდუმარება, გამჭვირვალე ფარდასავით რომ ჩამოწოლილიყო მათ შორის.

— აქ არ უნდა შემომეყვანე, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაღაცით გაგაკვარე, გაგაჭუჭყიანე, — უთხრა მან ქალიშვილს, რომელიც სისუფთავითა და გამოუცდელობით მართლაც გამოირჩეოდა ყველასაგან.

— მე არაფერი მომცხებია, — უპასუხა ქალიშვილმა ისე, თითქოს რაღაც აჩუქეს და ახლა უკანვე თხოვდნენ.

— ალბათ იმიტომ, რომ ზღვიდან გრილი, სუფთა ნიავი უბერავს.

ქალიშვილს გაეღიმა, ცარიელი ჭიქა გაუწოდა, დაელოდა, სანამ გაიცლებოდა და მხლოდ ამის შემდეგ უთხრა:

— მინდა ეს სალამო დამამახსოვრდეს, ამ ღვინოს იმიტომ ვსვამ, რომ მოსაგონარი მჭირდეს რამე.

— ასეთი სალამოები ბევრი გელის წინ.

— პირველი მაინს სულ სხვაა.

— მე კი მეგონა, იმედგაცრუებული ბრუნდებოდი შინ.

— რომ შემეძლოს, სულ არ დავბრუნდებოდი.

შეიძლება გუშინ სალამოს ქალიშვილი იმიტომ დათანხმდა გამოჰყოლოდა ქალაქში, რომ ყოველი სადღაც გამგზავრება თავისთავად გულისხმობს: შინ არ დაბრუნებას. ასეთი რამ მასაც ხშირად გამოუცდია, უგულისხმია კიდეც როგორც საკუთარი თავი, ასევე სხვებიც. მაგრამ „შინ“ რაღაც ისეთია, იმდენად მყარი და მოუცილებელია, რომ უმისოდ ადამიანს არსებობა არ შეუძლია. ქალიშვილის სიტყვები, მისი სიყმაწვილე, ქალურობა, მსხვერპლად ქცევის სურვილი და ის კიეშნი, სახლიდან რომ გამოჰყვა, ათბობდა, ამხნევებდა, აფორიაქებდა, ისეთ ბასიათზე აყენებდა, რომ შეეძლო ყველაფრისათვის მიეფურთხებინა. სოფელში ჩაუსვლელად გამგზავრებუ-

ლიყო აქედან და ეს ეპატრონის მაძიებელი გოგოც თან წაეყვანა. მაგრამ რა ნნით და როდემდის. დრო ხომ მათ არ დაელოდებოდა, ერთ ადგილას ხომ არ გაჩერდებოდა? ხოლო რაც უფრო გაჯიუტდებოდნენ, მით უფრო მკაცრად მოთხოვდათ ცხოვრება: იქონიეთ თქვენი „შინ“, სხვაგვარად ცხოვრება ამქვეყნად არ ხერხდება, შეუძლებელიაო და ისინიც იძულებული იქნებოდნენ ან ერთმანეთს დაშორებოდნენ, ანდა ოჯახი შეექმნათ და ჰქონოდათ თავიანთი „შინ“. ერთი ასეთი „შინ“ მას თან გამოჰყვა და ფეხებში ებლანდებოდა, სახეს იცვლიდა, ზოგჯერ ისეთ ადგილას წამოეწეოდა, სულ რომ არ მოელოდა, გზას ეღობავდა, ამცირებდა, სულს უყოლებდა და მიერუებულ, ჩამკვდარ სოფელშიც კი უმწარებდა სიცოცხლეს, არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ ზღვისა და მისი სანაპიროების ცქერით დამტკბარიყო. მართალია, ახლა ის, ვინც მის წინ იჯდა, ყველაფერზე თანახმა იყო, დროებით რას არ მოითმენდა, რას არ აიტანდა. მაგრამ თვითონ არ იყო მზად ასეთი უეცარი გადაწყვეტილების მისაღებად. ორი საღამო, ორადორი ინტიმური შეხვედრა სრულიად არ კმაროდა იმისათვის, რომ გრძნობათა რთული, წინააღმდეგობით სავსე გზა გაეკვლია და ძლიერ იმპულსად ქცეულიყო. გარდა ამისა, იმ გარეშეში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ასეთი რამ ნაადრევი იყო, რადგან იკიცხებოდა, იდევნებოდა ყველაფერი, რაც ოჯახის ფარგლებში არ ეტეოდა და ასეთ ცხოვრებას დიდხანს ქალიშვილი კი არა, გამოცდილი ქალები ვერ უძლებდნენ.

— არის ამქვეყნად რაღაც ისეთი, რისი მიტოვებაც ან უფრო სწორად უგულებელყოფა არაფრით არ შეიძლება, უგულებელუოფ და შენს სიცოცხლეს სიცოცხლე აღარ ერქმევა, — უთხრა მან ქალიშვილს გესლიანი ღიმილით. გესლი მხოლოდ მაშინ შეეზლია მის სიტყვებს, როცა მიხვდა, რომ ამ ახალმოჩრდილულ გოგოს თავი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებინა.

ქალიშვილმა ისე შეხედა, თითქოს მის წინ გაკერპებული წარმართი იყოს, რომლის მორჯულება არაფრით არ ხერხდებოდა.

— ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა.

ერთი წუთით გადაწყვიტა ყველაფერი ამოეღერღა, არც საკუთარი თავი დაენდო და არც ქალიშვილი, ეთქვა, რაც ენაზე მოადგებოდა, ეთქვა მკაცრად, შედგის გაუთვალისწინებელად, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და კიდევ ერთხელ იგრძნო, რაც უფრო დაუახლოვდებოდა ქალიშვილს, რაც უფრო მიეტანებოდა აკრძალულ ხილს, მით უფრო მეტი უთანხმობა ჩამოვარდებოდა მათ შორის. ჯერჯერობით ისინი არ არსებობდნენ იმათთვის, ვინც მათი ბედით და ზნეობრივი სახით იყვნენ დაინტერესებულნი. ჯერ პასუხის მოთხოვნის უფლება არავის ჰქონდა, მაგრამ როგორც კი მათი ურთიერთობა ცოტათი მაინც გამოიკვეთებოდა, ატყდებოდა ისეთი აურზაური, მითქმა-მოთქმა, გაწევ-გამოწევა, რომ არა მარტო ყველას და ყველაფერს შეაძულებდნენ, იმ ზღვრამდეც კი მიიყვანდნენ, რომლის იქით ადამიანს საკუთარი თავიც ეუცხოება.

რეპატრონაში ხალხი თანდათან მატულობდა და როცა იგი მიხვდა, მათ მიერ დასაკუთრებული კუნძულის სიმყუდროვეს საფრთხე შეექმნა, ოფიციანტი იხმო.

— დრო შინისაკენ გავუდგეთ ჯაჯა, თორემ მამაშენი იფიქრებს, ქალიშვილი მომტაცაო,— იხუმრა მან და როგორც კი ოფიციანტს ანგარიში გაუსწორა, ფეხზე წამოდგა. წამოდგა ქალიშვილიც. მაგიდა ისე სწრაფად დაიკავეს, რომ დამლაგებელს ალაგებაც კი არ აცალეს. ერთი წამით ქალიშვილის თვალებში რაღაც საყვედურის მაგვარმა იელვა. ეს საყვედური მას საპეზე შეესხურა და მანამდე ვერ მოიშორა, სანამ გარეთ არ გამოვიდნენ. ნავსადგურის წინ გადაშლილი მოედანი თხელ ბურუსში გახვეულიყო. მარჯვნივ, იმ ადგილას, სადაც

ფოთლებგაყვითლებული ჭადრის ხეები ალანძღულიყვნენ, გრძელი, წითელი ავტობუსი ოდგა. მათ სწორედ ეარ ავტობუსი აწყობდათ, რადგან ნაგსადგურიდან რკინიგზის სადგურამდე მიდიოდა. სიცივემ იმატა, სუსხი ტანსაცმელში ატანდა. ქალიშვილმა მხრები შეარხია და თმა გაიჩეწრა. ღაწვებზე წამწამების ჩრდილი ეფინა. მართალია, ჯერჯერობით ქალიშვილი მის მიმართ მტრულად არ იყო განწყობილი, მაგრამ ხინჯი მაინც ჩარჩენოდა გულში და ეს ხინჯი თანდათან გაიზრდებოდა, ფესვს გაიდგამდა, გამწარდებოდა და ქალიშვილი მისგან მხოლოდ მაშინ განთავისუფლდებოდა, როცა უგულებელყოფას გამომწვევი უგულებელყოფით უპასუხებდა.

მთელი ღამე ქარი უბერავდა, ზღვა ღმუოდა, გონება ვერაფერს ვერ უხერხებდა ნეიტანი ჰაერით დამბალ, უთავბოლო ზმანებებს, რომლებიც მოჩვენებითობისა და უმეწობისა გამო ფერს ვერ იძენდნენ, სწორედ იმას უთმობდნენ სიბნელეს, რაც ხორცშესასხმელი იყო, ხოლო როცა თხელი ნაჭერი ფარდასავით შეირხეოდა და ქალიშვილის თბილი, მკკრივი სხეულის რომელიმე ნაკვთს გააშიშვლებდა, იგი თავის თავა ალარ ეკუთვნოდა და ნელ-ნელა იძირებოდა თბილ, რბილ და იდუმალებით მოცულ უსათუოს ქსოვილში, ერთსა და იმავე დროს ცხოველმყოფელიც რომაა და ხრწნადიც. ათასწლოვან ტკივილსაც რომ იტევს და წუთიერ ნეტარებასაც და რომელიც მხოლოდ ზმანებებში თავისუფლდება იმ ჩვრებისაგან, სიცოცხლეში რომ ვერაფრით ვერ მოუცილებია, იმ ზნე-ჩვეულებებისაგან, ზველით რომ ვერავის ვერაფერს ზველის, წვალებით კი ყველას აწვალებს და იწყებოდა რაღაც ისეთი, რისი ხელიდან გაშვებაც არაფრით არ გინდა, მაგრამ ხორცშესმული მოჩვენებების ექსპრესია სულ რამდენიმე წამს გრძელდებოდა და შემდეგ ისე ირღვეოდა, როგორც ქვიშით ნაგები სახლები. ფერები ხუნდებოდა, ჭუჭყიანდებოდა. ნესტით გაჟღენთილ სიბნელეში რაღაც ფაჩუნობდა, შრიალებდა, ის სუნი, ამ სახლში რომ ოდითგანვე იყო დამკვიდრებული, მძაფრდებოდა, ყრუ სიბრტყეები არაფერს არ იკარებდნენ ისეთს, რაც სხვისა და სინათლეს იყო დანატრებული. თუ რამე მჭიდროოვნდებოდა და ინასკვებოდა, მხოლოდ გაბუნდოვანებული მეხსიერების წყალობით და როცა ქარის წივილი და ზღვის ღმეილი ერთმანეთს ერწყმოდა და ერთ უზარმაზარ ბგერად იკვრებოდა, შემოდგომის მშფოთვარე ღამე ამ ცოდვილ მიწაზე უხსოვარი დროიდან დამკვიდრებული სახლის საძირკველს ძირს უთხრიდა და განადგურებით ემუქრებოდა.

11

ცამ ისე შეიკრა პირი, რომ დანითაც ვერავინ გაუხსნიდა. კიბის ქვეშ დაგროვილი ნესტი, სიბნელე და მდუმარება თანდათან ზევით იწევდა, მკკრივდებოდა, საგნობრიობას იძენდა, ბებერი ძაღლი ისე მძიმედ სუნთქავდა, თითქოს სულის მობრუნება უჭირდა, სახლი რაღაცას ვეღარ იტევდა, წუხდა, ბორგავდა, და ეს წუხილი და ბორგვა უსიამო გრძნობას იწვევდა. უსიამო იყო არა მარტო ღამის პირისპირ ყდომა, არამედ ისიც, რომ დრო ნაგვემი ძაღლივით მიიზლაზნებოდა.

განათებული ფანჯრებიდან გამომავალ ორ ნათელ ზოლს, ირიბად რომ ეშვებოდნენ ბალაზზე, დახუჭული ქუთუთოების თრთოლვაც გამოჰქონდათ გარეთ და მას უეცრად ისეთი გრძნობა შეექმნა, თითქოს საგნადქცეულ ნესტს, სიბნელესა და სიჩუმეს სურდათ სახლისათვის კიბე გამოეცალათ და ისეც უპატრონო სახლი უკიბოდაც დაეტოვებინათ. ხოლო ის, ვინც კიბის ერთ-ერთ საფეხურზე იჯდა და რაღაცას ელოდა, მათთვის ალარ არსებობდა, იმდენად უცხო იყო, რომ აქაურობის დაძპყრობლადაც კი არ გამოდგებოდა. ამიტომ სჯობდა, საერთოდ არ შემოედგა ფეხი ეზოში, არ აეფორიაქებინა ბერიკაკი, არ შეელახა მისი თავმოყვარეობა იმდენად, რომ მასპინძლობა ეკისრა, არაყი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეკრა, ენა გაეხსნა, გული გადაეშალა იმისათვის, ვინც არც სისხლით ნათესავი იყო მისი და არც მოკეთე, ვინც მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად შემოეხეტა ეუშინ საღამოს ეზოში და თვითონაც არ იცოდა, რისთვის დარჩა აქამდე.

მას მართლა უნდოდა წამომდგარიყო და ძაღლისათვის დაეხედა, რომლის მძიმე სუნთქვა აღარ ისმოდა, მაგრამ დაეზარა. რომ წამომდგარიყო და ეზოში ჩასულიყო, უკან აღარ დაბრუნდებოდა, ისე გავიდოდა ეზოდან, ბერიაკაცს არც კი დაემშვიდობებოდა. ბერიაკაცი კი ამ დროს მარტოდმარტო იჯდა სავარძელში, ქვეშ ცხვრის ტყაპუჭი ეგო და ცხადად გრძნობდა საკუთარ უმწეობას თვალშეუდგამი უსასარულობის წინაშე და გარდუვალობისა და შეუცნობლობის უხილავ მარწუხებს შორის ისრისებოდა.

შეიძლება ბერიაკაცმა იმ დილით იმიტომ გამოიდო თავი, რომ უნდოდა კვლავ აღმდგარიყო ვიღაცის თვალში, კვლავ მოეპოვებინა ძველი ნდობა და პატივისცემა, სიამაყით გაეწონასწორებინა უძლურება, გამოსულიყო იმ ბუნაგიდან, მარტო კაცი რომ იკეტება ნებაყოფლობით, ისევ დამჯდარიყო სუფრის თავში, ისევ ეუფროსა და ეპატრიარქა, დაებრუნებინა ის დრო, როცა მისი სიტყვა კანონი იყო, გამოცდილება — სიბრძნე, პურისჭამა — რიტუალი, ცხოვრების წესი — მამაპაპური, სინდის-ნაბუსანი, ღვთით ნაკურთხი. თავიდ დროზე მან სწორედ ის აირჩია, რასაც ყველა კაცური კაცი ირჩევს — შრომა, მიწასთან და წყალთან ბრძოლა, ოჯახის მოვლა-პატრონობა და წუთისოფელი ისე გალია, რომ არავისთან დაუჩივლია, არავის ხარჯზე არ შეუმსუბუქებია ტვირთი. ასე ამოწურა მთელი ცხოვრება და ახლა, როცა საკუთარ არსებობაში ეჭვიც კი ეპარებოდა, როცა მისთვის აღარც სისარული არსებობდა და აღარც მწუხარება, როცა ნადგურდებოდა ყველაფერი, რაც მისი და მისი წინაპრების სისხლითა და ოფლით იყო მორწყული, რატომ უნდა დანებებოდა ცხოვრებას ლაჩრულად, რატომ არ უნდა დაენახვებინა თუნდაც უცაბედ ვიღაცისათვის, რომ ის ფასეულობანი, რასაც პატივს სცემდა, დღესაც პატივსაცემი იყო და ცხოვრების ის წესი, მამა-პაპათაგან რომ მიღო მემკვიდრეობით, ცხოვრებას არანაკლებ სანტერესოსა და სისხლსავსეს ხდიდა. ვიდრე დღევანდელი.

რიტუალისათვის ბერიაკაცს არც იმ დილით უღალატია. ჯერ პირჯვარი გადაისახა და მხოლოდ ამის შემდეგ გატეხა ჯადი. მცირე ხნით იგი მართლაც მოღონიერდა, გაახალგაზრდადდა, ოჯახის ბურჯი და გულუხვი მასპინძელი გახდა. მას ჯერ კიდევ შეეძლო რაღაცის გაცემა, სტუმრის დაპურება, წეს-ადათების დაცვა და სუფრის გაძღოლა. ღირსებით ავსებდა ისიც, რომ საკუთარ სახლში იჯდა, საკუთარ ჭირნახულს მიირთმევდა, საკუთარი ხელით გამოხდილ არაყს სვამდა და არავის ხელის შემყურე არ იყო, არავისი არაფერი ემართა.

— როგორი არაყია? — ჰკითხა ბერიაკაცმა და გათეთრებული ულვაშები სახელოთი მოიწმინდა.

— დიდებული.

— ასეთ არაყს ამ სოფელში ჩემს მეტი ვერავინ ხდის, მაგრამ ცოტაღა დამრჩა, წელს ვერც ღვინო დავაყენე და ვეღარც არაყი გამოვხადე.

მან იმ დილითვე შენიშნა, რომ ყურძენი ხეზე შემჭკნარიყო და ის მტევნები, ქარს და წვიმას რომ გადაურჩნენ, შავად ჩაბუდებულ ფრინველებივით მოჩანდნენ გაძარცულ ტოტებს შორის.

— მომკრეფიც ვერავინ იშოვეთ?

— უგანამრჯელოდ ახლა არავინ არავის ეხმარება, მე კი იმდენი ფული არა მაქვს, რომ ყველა ძაღლსა და მამაძაღლს ღიმურად ვუხადო. თანაც, თუ თავზე არ დაადექი, მოგაბეზეოებენ, გაგძარცვავენ. მთელ სოფელში ერთი კაცური კაცი არ დარჩა. ეს ოხერი მუხლი მოღალატაც, თორემ ზოგიერთებს დღესაც ჩამოვიტოვებდი უკან.

გივი მაღლაკელია
ვიღაც შეაფარეს მიწამ თავი

მან ბერიაკს მზერა მოარიდა და ფანჯარაში გაიხედა. კვიპაროსების ზეაღმართული ტოტები კიდევ უფრო მჭიდროდ შემოჭეროდნენ ტანს და ისე შეეფუფთათ, თითქოს ქარისა და წვიმისაგან მხოლოდ მას სჭირდებოდა დაცვა.

— მუხლი რომ ღალატს დაგიწყებს, ცხოვრება აღარ ღირს, მაგრამ ჩემი ხელით ვერ მოვიკალი ეს ბეხრეკი თავი. სხვებს როგორიც შეუძლიათ ახლობლებს შეეკედლონ, გაბავშვდნენ, გაუკაცურდნენ, შეეპასა და შვილიშვილებს ძიძად დაეფდგნენ, მე კი არ შემიძლია, ვერც სიბერეს ვეგუები და ვერც მარცხს — თქვა ბერიკაცმა და ფანჯრას მაწაც მიაპყრო თვალი, მაგრამ მისი მზერა მტვრიან მინებს არ გასცდენია.

— თქვენსათანა მხნე მოხუცი იშვიათად მინახავს, — უთხრა მან ბერიკაცს.

— მე სიკერპეს მიკიჟინებენ და არა სიძხნეევს.

— ვინ?

— ისინი, ვისაც აღარ ვჭირდები, ვისაც ჰგონია, ცას გამოვეკიდე და მათაც ვაწვალებ და საკუთარ თავსაც. ამიტომ არც ვთხოვ არავის არაფერს. ვაგდიავარ ჩემთვის და ვაჯახირებ ამ უმადურ წუთისოფელს.

ბერიკაცი გრძნობდა, რომ სტუმარი ყურადღებით უსმენდა, პატივისცემით იყო მის მიმართ განწყობილი და გულში ალბათ ფიქრობდა, პატივისცემას მისი ასაკი, გამოცდილება, უცვლელი ბუნება და უკან მოტოვებული დრო-ჟამი იწვევდა, მაგრამ ცდებოდა. სტუმარს მხოლოდ ის აოცებდა, მარტობას მიუჩვეველმა კაცმა ათი წლის მარტობას რომ გაუძლო, ამ ხნის განმავლობაში რომ არ გაავდა და გაბორტდა. ეტყობა, მის სისხლში საუკუნეები იყო ჩაბუდებული, წინაპართა ცოდვა-მადლი ღრმად ჰქონდა შესისხლხორცებული და ამიტომ მისი სამშობლო, ქვეყანა, სამყარო მიწის ის პატარა ნაგლეჯი იყო, მის საკუთრებად რომ ითვლებოდა და სხვაგვარად ცხოვრება არ შეეძლო, სხვაგან არ იქნებოდა ის კაცი, რაც აქ იყო. შეიძლება ამას თვითონაც გრძნობდა და ამიტომ არ იცვლიდა ფეხს ადგილიდან. ხოლო რითაც ბერიკაცი თავი მოჰქონდა — მისი ხანდაზმულობა, გამოცდილება, სიბრძნე, ცხოვრების მამაპაპური წესი — მხოლოდ შემწყნარებლურ ღიმილს იწვევდა, რადგან მისი არც რჩევა სჭირდებოდა ვინმეს და არც ჭკუის დარიგება. ყველაფერი გადასინჯული და გადაფასებული იყო, ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. ცოდნა იმას კი არ ჰქვია, რაც გამოცდილებით შეიძინე, არამედ იმას, რაც სპეციალურ სასწავლებელში შეისწავლე. ცხოვრება მის კარ-მიდამოს ისე უვლიდა გვერდს ირგვლივ, როგორც მივარდნილ, მივიწყებულ კუნძულს და მისი ავტორიტეტი თვით მას თუ გამოადგებოდა რამეში, თორემ სხვებს ან გააღიზიანებდა, ანდა გააცინებდა. მაგრამ დროსთან უთანხმოება, საყოველთაოდ აღიარებულის უგულებელყოფა, იმ სახის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, როგორიც ჰქონდა და უნდოდა სიკვდილამდე ჰქონოდა, მის კაცურ კაცობას, მის ღირსებას თუ მატებდა რამეს, თორემ არაფერს აკლებდა.

— ეჰ, ხანდაზმულობასთან და სიკვდილთან საერთო არაფერი აქვს იმას, რითაც თქვენ თავი მოგაქვთ, რასაც ცოდნასა და განათლებას ეძახით. სიკვდილი მხოლოდ იმისია, ვინც კვდება და ზუსტად ისეთია, როგორიც მომაკვდავი სიცოცხლეში იყო. ამიტომ არავის არა აქვს უფლება სიკვდილის ზღურბლთან მისულს რაიმე დაამადლოს და უკიჟინოს, — უთხრა ბერიკაცმა ისე, თითქოს ფიქრსა და განსჯას მიუხვდა, მაგრამ უეცრად მოხუცი იმაშიც დარწმუნდა, რომ ხანგრძლივი მარტობის შემდეგ საერთო ენას უცხო კაცთან კი არა, საკუთარ თავთანაც კი ვერ გამონახავდა და უგუნებობა დაეტყო.

სიბერემ თავისი გაიტანა. ბერიკაცი მოღალა, მოქანცა, ისევ იმ ბუნაგში გამოკეტა, საიდანაც გამოლასლასდა და კიდევ ერთხელ დაანახა, რომ გზა, რომე-

ლიც სიმწრით გამოიარა, ახლა მხოლოდ სასაფლაოსაკენ მიდიოდა და მეტი არ-საით.

— დღეს რა დღეა? — ჰკითხა ბერიკაცმა, როცა გული ოდნავ მოიბრუნა და ამჯერად მხოლოდ მას გაუვსო ჯიქა.

— შაბათი.

— მთებზე თოვლი თუ მოჩანს?

— ამ დილით მოჩანდა.

— ზღვა როგორია?

— უჩვეულოდ წყნარი.

— აბა, მოუცლია სულთამხუთავს ჩემთვის და ეგ არის, — თქვა ბერიკაცმა ისე ნაღვლიანად, თითქოს დრომ მისი ვარაუდი არ გაამართლა.

— რაზე ატყობთ, რომ მოიცალა?

— ეჰ, შვილო, როცა სულთამხუთავი კაცისთვის მოიცლის, ამას მხოლოდ ის გრძნობა, ვისთვისაც მოიცალა, — თქვა ბერიკაცმა, სავარძლის ზურგს მიეყრდნო და თვალები მიღუნა.

იმ დილით ზღვა მართლაც უჩვეულოდ წყნარი იყო და სიჩუმეს მხოლოდ ბუხარში შეშის ტკაცუნი არღვევდა. გარე სამყაროსაგან მათ ოთახის კედლები ანცალკევებდა, ერთმანეთისაგან კი ასაკი და ის, რომ მას შეეძლო წამომდგარიყო და გზას დასდგომოდა, ბერიკაცს კი ერთი გზის გარდა ყველა მოჭრილი ჰქონდა. უნდოდა თუ არა, ბუხრის წინ უნდა მჯდარიყო და საკუთარ ულთან გაერაა დალოდებოდა. ამასობაში კი შეიძლება განვლილი ცხოვრების შორეული კუთხეებიდან ნაცნობი სახეები გამოხმიანებოდნენ, მკვდარი დრო გაეცოცხლებინათ, ენუგეშებინათ ან დაეტუქსათ, შეექოთ ან შეერცხვინათ, აეფორიაქებინათ ან დამშვიდებინათ, შეეძლება ზოგიერთ მათგანს ისეთი რამეც კი შეეხსენებინა, რის მოგონება და ხელახლად განცდა ახლა მას არაფრი არ უნდოდა, მაგრამ მეხსიერება ძნელი მოსაკუთეველია და სანამ პირში სული ციდგას, საკუთარ თავს ვერავინ გამოგგლეჯს ხელიდან.

ბერიკაცი, რომელსაც საკუთარი თავი უფრო აწვალებდა, ვიდრე გარე სამყარო, ხორცდამრეტილ ასკეტივით იჯდა სავარძელში, სწორედ ისეთი ფერ-ედო, როგორიც მიხრწნილებაში ადევთ მოხუცებს და მისი დუმილი გაცილებით უფრო ბევრს ამბობდა, ვიდრე ის ძუნწი სიტყვები, არაყმა რომ ამოაღერღინა გაჭირვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ კი ამ დროს ნათელი დღე იდგა, ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ყველაფერი მყარი და უცვლელი ჩანდა და მან შინ დარჩენას და მთელმარე ბერიკაცის ცქერას, გარე-გარე ხეტიალი ამჯობინა.

●

მთების თეთრი საბურველი, ახალგარეცხილ ზეწარივით რომ ქოქოლითებდა მზის სხივებს ირიბად ირეკლავდა, მთის შუა წელამდე ეშვებოდა, მწვანე ზოლს ებჯინებოდა, იხერგებოდა და ისე დაჰყურებდა ზღვას ზემოდან, თითქოს მისი აილუფჯე აკრთობდა, აბრმავებდა. მთაზე თოვლი თუ მოჩანსო, ჰკითხა იმ დილით ბერიკაცმა და თვალები მიღუნა. დანაოჭებული ქუთუთოები ალბათ ახლაც ცივი თოვლივით აწვა მის დაღლილ თვალებს, მაგრამ ტუჩებს მაინც აცმაცუნებდა, აცმაცუნებდა ისე ნელა, თითქოს ვიღაცას ულოცავდა, ედავებოდა, ებრძოდა, ხოლო ის, ვისი შშინც ჰქონდა, ვინც განწირულის უკანასკნელ ამოსუნთქვას ელოდა, იქვე მახლობლად ჩასაფრებულიყო, ბნელი კალთა მოეფრიალებინა და დროის მიერ გაცვეთილი სახის ნაკვთები გამახვილებოდა. ამ დროს სახის ნაკვთები ბერიკაცსაც უმახვილდება, ნოჭები უმკაცრდება, უეცრად გახელილ თვალებში საყვედური უგუბდება და ეს საყვედური მტკრიანი ფანჯრებიდან ეზოში იღვრება და მთელ სოფელს ეფინება.

12

იმ დილით, როცა მამა-შვილი ისე წაეკიდა, რომ მათი შერიგება შეუძლებელი აღმოჩნდა, მან თავი მოიმძინარა. მისი ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევა თუ დაიჭერდა რამეს, თორემ შეჩერებით ვერაფერს შეაჩერებდა და ამიტომ თვალდახუჭული უმენდა, რა მწარედ კბენდნენ ერთმანეთს, როგორ ეწევდნენ თანდათან ხმას, როგორ აფართოებდნენ იმ უფსკრულს, მათ შორის რომ იყო გათხრილი, ამჯერად არც ერთს არ აინტერესებდა, ვინ რას ამბობდა, ვინ ტტუანი, ვინ რას კარგავდა, ვინ რას იძენდა, ვინ ინანებდა და ვინ არა. ბერიკაცს ის აკოფებდა, რომ მისი ნაშიერი, მისი ცხვირმოუხოცავი გოგო ამდენს უბედავდა, ქალიშვილს კი ის, რომ მამაშვილური სიყვარულის სახელით დამონებას და გაუბედურებას უპირებდნენ. ეს იყო დრომოჭმულისა და დასამკვიდრებლად მოწყურებულის უშელავათო ბრძოლა, რაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვეტილიყო და ამიტომ ორივემ გადაბიჯა იმ ზღვარს, ადამიანთა ურთიერთობას რომ შესაძლებელს ხდის.

ჯერ ერთი კვირაც არ იყო გასული იმ დღიდან, რაც ისინი ქალაქიდან დაბრუნნენ, მაგრამ რაღაც რომ მზადდებოდა, მამა-შვილი რომ აფხორილი ბებერ მამალივით და ზრდადასრულებულ ცხოვრებას მოწყურებული ვარიასავით უვლიდა ერთმანეთს ირგვლივ, იქუფრებოდნენ და იძაბებოდნენ, ეს მან მეორე დღესვე შენიშნა. შეიძლება ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქალაქიდან დაბრუნების შემდეგ მას ხეირიანად ორიოდე სიტყვაც კი არ უთქვამს ქალიშვილისათვის. საუბარს ქალიშვილიც გაურბოდა და ასე უბრად ცხოვრობდნენ ერთ ჭერ ქვეშ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ქალიშვილი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, მას რაღაც არ მისცეს, თამაშში არა აჰყვნენ, ზურგი არ გაუმაგრეს, ის კი არა და, მისი გულუბრყვილობით ისარგებლეს და მოატყუეს, მანამდე გააცემინეს თავი, სანამ მის საჭიროება დადგებოდა, აეეთი რამ კი თუ ღალატი არა, უსინდისობა მაინცაა, ყოველ ურთიერთობას თავისი იდუმალება, თავისი კანონები აქვს და ამიტომ ადამიანი, მით უმეტეს ქალიშვილი, არ უნდა დაამცირო, არ უნდა ჩაიაყენო ისეთ მდგომარეობაში, ბოლოს ბოლოს ერთ დაეკაკუნოს და საქმე ბოდიშად გაიხადოს. გულისწყრომას ქალიშვილი მანამდე არ დაიოკებდა, სანამ ბოდიშს არ მოუხდიდნენ, არ დაუყვავებდნენ, არ ეტყოდნენ, ამის მიზეზი ესა და ეს იყო და აღარასოდეს განმეორდებაო. ბოდიშის მოხდას იგი როგორმე მოახერხებდა, თანაც ოსტატურადაც, მაგრამ არ უნდოდა იმ კედლის მორღვევა, შიგნით რომ აღიმართა, არ ემეტებოდა საკუთარი ხელ-ფეხი ბორკ�ებიაათვის, ხოლო, რაც მთავარია, არ ენდობოდა იმ სამყაროს, სადაც ქალიშვილი საფუძვლიანად აპირებდა მოკალათებას.

იმ დღეებში მასა და ბერიკაცს შორისაც ჩამოწვა ყრუ კედელი. ერთმანეთა თვალს არიდებდნენ, ენაზე მომდგარ სიტყვას უკანვე აბრუნებდნენ, თუ რამე იყო გასაკეთებელი, უხმოდ მუშაობდნენ და უხმოდ სადილობდნენ. ქალრაშხალი ახლოდგებოდა და როცა ბერიკაცი დასასვენებლად წამოწვებოდა, იგი ნავში ჯდებოდა და ზღვაში გადაიოდა. ზღვა არა მარტო ხმელეთს აშორებდა, არამედ იმ მძიმე ჰაერს და უთანხმოებასაც, სახლში რომ დაგუბებულიყო და ეჭვე და უნდობლობას იწვევდა. ბერიკაცი გრძნობდა, რომ მთამა იმდღეიდელმა ქალაქში გასეირნებამ რაღაც აამღვრია, გაამძაფრა, სწორედ ის დაიჩქარა, რისიც ეშინოდა, მაგრამ ამის გამო მისთვის საყვედური არ უთქვამს. ის, რაც ბერიკაცს აწუხებდა, არც არაფერს უარყოფდა და არც არაფერს ამართლებდა, მხოლოდ სიცხადეს იჩემებდა, ეჭვს იწვევდა და ამ ეჭვსაც საეჭვოდ ხდიდა. ყოველდღიურობას გესლი და სუსხი ემატებოდა, ცხოვრებას — უნდობლობა და უთავბოლობა. ბერიკაცი მძიმედ დაამიჯებდა, თავაუღებლად მუშაობდა და წინასწარ გრძნობდა, რომ მისი სახლი, მთელი მისი კარ-მიდამო დაცარიელდებოდა; ამ სიცარიელეში მარტობა დაიაადგურებდა, რასაც უნდა შეჩვეოდა, შეგუებოდა, ხოლო ზოგჯერ გამოლაპარაკებოდა კიდეც, რადგან პუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ჭამის დროს სხვა მეინახე არ ეყოლებოდა. მაგრამ ღირდა კი მიწის ამ პატარა ნაგლეჯისათვის თავის ასე გაწამება? იქნებ სჯობდა ყველფრისათვის მიეფფურთხებინა, სხვების ნებას დაჰყოლოდა, ხელი აეღო შრომაზე და ბრძოლაზე და ეცხოვრა, წყნარად, შეუმჩნეველად, უსიხარულოდ. ყველაზე მეტად ბერიკაცს სწორედ ეს ყოყმანი აღიზიანებდა, არ იცოდა, რა აერჩია, სხვების მეთვალყურების ქვეშ მშვიდად ცხოვრება თუ ზურგი ექცია ყველასათვის, შეგუებოდა მარტოობას და შეენარჩუნებინა კაცური ღირსება და სიამაყე.

ბერიკაცი რომ ადგომისთანავე გასულიყო სახლიდან, შეიძლება მამა-შვილი ასე მწარედ არ წაჭკიდებოდა ერთმანეთს, მაგრამ, ეტყობა, რაღაცამ დააყოვნა და ერთმა უადგილო შენიშვნამ ან გესლიანმა სიტყვამ წყენა და გულისწყრომა გამოიწვია. რამდენიმე წუთის შემდეგ კი სუსხიანი ნიავი თანდათან ამობოქრებულ ქარიშხალად გადაიქცა და მას სწორედ ამ ქარიშხალის მძვინვარებამ დაუფრთხო ძილი. ბერიკაცს დაბალი, მკაცრი, ნაჯაფი კაცის ხმა ჰქონდა, ქალიშვილს გაუბზარავი და იმდენად დაძაბული, რომ გრძელი ბგერების წარმოთქმას ვერ უძლებდა და ტყდებოდა. გონიერება არც ერთს მოეკითხებოდა და არც მეორეს, ყოველი სიტყვა მათრახივით მოქნეული და მწარე იყო, ყოველი ბრალდება — მკაცრი და კატეგორიული. ასე მხოლოდ მოსისხარი მტრები ექცევიან ერთმანეთს და უეცრად ისეთი ხმა გაისმა, თითქოს მსხვილი ჯოხი გადატეხესო. ბერიკაცმა ქალიშვილს სილა გააწნა და წონასწორობიდან გამოსული კაცის ხმით უყვირა:

— სადაც გინდა, იქ წაეთრიე, დღეიდან შენი ფეხი არ ვნახო ამ სახლში!

ქალიშვილმა ჯერ მწარედ შეჰკივლა, შემდეგ ისე აქვითინდა, როგორც უდანაშაულოდ დასჯილი ბავშვი, მაგრამ ბოლოს ისევ ბოღმა მოაწვა ყელში და მამას ისტერიული ხმით შეუტია.

— ასეთი სასტიკი და უმოწყალო იყავი ყოველთვის. დედაჩემი შენ ჩაიყვანე საფლავში, მაგრამ მე თავს არ დაგაჩაგრავ ვრინებ. რა უნდა მოხდეს ისეთი, ეს დღე რომ სანანებლად არ გაგიხადო!

ქალიშვილი თავის საწოლ ოთახში გავარდა, ძველებური კარადის კარი ჭრიალით გამოაღო, ჩემოდანი გადმოიღო და თან ტიროდა და თან ჩემოდანს ალაგებდა. ბერიკაცი კი სასტუმრო ოთახში ბოლთას სცემდა, მძიმედ სუნთქავდა და ავად ილრინებოდა. ტანსაცმლის შერჩევამ და ჩალაგებამ ქალიშვილი ოდნავ დააშოშმინა, მისი ზლუქუნი აღარ ისმოდა, ბერიკაცი კი სიარულს განაგრძობდა, საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, სკამებს ეედებოდა. ბოლოს კარი ღონივრად გამოაღო, აივანზე გავარდა და კიბეზე დაეშვა. მან ფარდა გადასწია და გარეთ გაიხედა. ბერიკაცი ისე მიაბიჯებდა, თითქოს უმძიმეს ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ სიმხნევე მაინც არ დაუკარგავს, ბედს არ დამორჩილებია, არ დადგომია იმ გზას, ადამიანებს რომ ათაყვანებს და აუკაცურებს. ამ დროს ქალიშვილმა ჩემოდანი ხმაურით დაკეტა და მას ისეთი გრძნობა შეექმნა, თითქოს აღელვებულ ზღვაში ორი ნავის უგუნურ შეჯახებას შეესწრო, რის შედეგადაც მამა-შვილმა ისე დაასახიჩრა ერთმანეთი, რომ ერთ ჭერ ქვეშ აღარ ეცხოვრებდათ, ერთ სუფრასთან ვეღარ დასხდებოდნენ, ერთ ბუხართან ვეღარ გათბებოდნენ. აწი თითოეულს თავისი გზით უნდა ევლო, თან ეტარებინა ის გულისტკივილი, ერთმანეთის დასახიჩრებამ რომ გამოიწვია. ბერიკაცი სილურჯისაგან ჩაშავებულ ზღვისაკენ მიაბიჯებდა, ქალიშვილი კი მეორე ჩემოდანს თუ ჩანთას ალაგებდა. ცხოვრებას თავისი გაჭქონდა, ბებერი ცაცხვი შემხმარ ფოთლებს აბნევდა, ახალგაღვიძებული დღე ხარკს ითხოვდა და იმაზე უარესი არაფრით არ იყო, როგორიც ყოველდღიურადაა.

ამასობაში ქალიშვილმა არა მარტო ჩემოდნები ჩაალაგა, არამედ ჩაცმაც მოასწრო, რადგან მას მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების მკვეთრი ბაკაბუკი მოესმა.

გივი გალუსარია
ვიდას ზეაშარის მიწამ თავი

ამ ბაკაბუკში ჯერ კიდევ იგრძნობოდა ის რისხვა, გულში რომ ჰქონდა ქალიშვილს ჩარჩენილი, მაგრამ ამიერიდან მის გადაწყვეტილებას ვერც გონს მოსვლა შეარყევდა და დააყოვნებდა. რადგან ამბობდა, რადგან მამა-შვილობას და ხანდაზმულობას ანგარიში არ გაუწია, აწი უკან არაფრის გულისათვის არ დაიხევდა, ალარ შემობრუნდებოდა იმ ყოფისაკენ, დრომოჭმულად და დახავსებულად რომ მიჩანდა. ახლა მას მარტლაც ეძლეოდა შესაძლებლობა სოფლიდან გამგზავრებულიყო და უკან ალარ დაბრუნებულიყო. იგი მიეშურებოდა იმ სამყაროსკენ, სადაც მითუს სიმბოლოები და პირობითი ნიშნები ცვლის, სადაც მამის ავტორიტეტს ალარავინ უწევს ანგარიშს, სადაც გაუფასურებული ბარგის თრევა სისულელედ მიიჩნიათ, სადაც ყველაფერი ქარხნული წესით დამზადებული, შეფუთული ეგძლევა და შეგუების უნარის მეტს არაფერს გთხოვს, სადაც იმათ, ვისაც თავიდან არ გაუმართლდა, დროებით ხელი მოეცარა, კვლავ ეძლევა შესაძლებლობა აინაზღაუროს ის, რაც ბედმა და შემთხვევამ დააკლო.

ცივი, ნესტიანი ჰაერის მსუსხავი ბუსუსებისაგან იგი მანამდე ვერ განთავისუფლდებოდა, სანამ ტანზე არ ჩაიცვამდა, ეზოში არ ჩავიდოდა და მზეს არ შეეფიცხებოდა, მაგრამ წამოდგომა უჭირდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მამა-შვილმა იგი გაინაპირა, ოჯახის კედლებს მიღმა გასვა, ყრუდ და ბრმად მიიჩნია და ახლა არ უნდოდა ეს უსიტყვო შეთანხმება დაერღვია, ბუნაგიდან გამომძვრალიყო, სახეზე გაკვირვება აესახა და ქალიშვილისათვის ეკითხა, რა მოხდაო. არა და, ქალიშვილი ელოდა, ჩაცმულ-დახურული წინ და უკან დადიოდა ოთახში, მოუთმენლობისაგან ტუჩებს იკვნეტდა, ერთიორჯერ კარსაც კი მოადგა და მას რაღაც ჩუმი კაკუნის მაგვარი მოეკრა. შეიძლება ქალიშვილს იმის იმედი ჰქონდა, რომ მასთან ერთად გაემგზავრებოდა აქედან, ან იქნებ მხოლოდ გამომშვიდობება უნდოდა, მაგრამ მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა მანამდე მიეტოვებინა აქაურობა, სანამ არ დაითხოვდნენ. გამომშვიდობებას კი ცრემლის ღვრა, უსამართლობაზე ჩივილი, საკუთარი თავის შეცოდება და ვიღაცის რაღაცაში დადანაშაულება მოჰყვებოდა, შეიქმნებოდა ისეთი სიტუაცია, მოულოდნელს რომ ვერ უწოდებ. ასეთ დროს კი, რა გულცივობაც არ უნდა გამოჩინო კაცმა, დანაშაულის გრძნობას მაინც თავისი გააქვს და არაფრით არ ხერხდება, ატირებულ ქალს ნუგეში არ შეაშველო, არ დაუთმო, არ დაჰპირდე დახმარებასა და მფარველობას. სხვაგვარად მოქცევა ყოველთვის არაბუნებრივი, ღირსებაამყრელია და ამიტომ ტანზე ჩაცმას და ქალიშვილთან გასვლას ისევ თავის მომძინარება არჩია.

მზემ ნისლი გამოარღვია და მოწმენდილ ცაზე აცურებულმა ფერრები გაამდიდრა, გაამსუყა. ქალიშვილი ერთხანს კიდევ დადიოდა ოთახში წინ და უკან და ნაცნობ ნივთებს ზედაც არ უყურებდა, რადგან მისთვის ისინი ალარ არსებობდნენ. მას სხვა გარემო, სხვა ავეჯი, სხვა ნივთები ენატრებოდა, ისეთი ბინა, სადაც თეთრი საღებავები, ლაქი, ბრწყვიალა მინა და ლითონი ბრწყინავს, სადაც მეტი სინათლე, სისუფთავე და სითბოა. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ მოსაპოვებელი იყო და ამიტომ უნდა ეჩქარა, უკან მოუხედავად მიეტოვებინა აქაურობა და გზას გასდგომოდა. ქალიშვილს, ეტყობა, მართლაც მობეზრდა ლოდინი, ჩემოდანსა და ჩანთას ხელი დაავლო, აივანზე გავიდა და კიბე ჩაირბინა. მან ამჯერადაც დადასწია ფარეა და გარეთ გიხეადა. ქალიშვილს მართლაც არ მოუხედავს უკან, მიდიოდა სწრაფად, ამაყად, იმ ადამიანის მტკიცე გადაწყვეტილებით, ვინც უკუნგადო ყველა და ყველაფერი, რაც მის სიამაყეს თრგუნავდა, ვინც იცის, სად მიდის, რისთვის, რას ელის ამ ცხოვრებისაგან და მისთვის მხოლოდ მაშინ გახდა ცხადი, რომ ქალიშვილმა მარტო ჩემოდანი და ჩანთა კი არ წაიღო სახლიდან, არამედ ამ ოჯახის მთელი იმედი, სიხარული და სიმდიდრე, როცა ეზოდან გავიდა და გზას დაად-

ISSN 1512-1135
ISSN-PRINT 1512-1135

გადაიქროლა ქარიშხალმა, გაითიშა დრო და სისხლი, დაიწმინდა მეხსიერების ამღვრეული მორევი, დავიწყებას მიეცა დასავიწყებელი, კვლავ დაუპირისპირდა ერთმანეთს სიცოცხლის ხანმოკლეობა და სიკვდილის მარადიულობა, კვლავ შექმნა ცხოვრებამ ფონი, გაუცხოვდა გასაუცხოებელი, გადასხვაფერდა ყოფა და გარემო, გამკაცრდა და გათვალთმაქცდა წუთისოფელი, ამოიქოლა კიდევ ერთი სარკმელი, გახუნდა კიდევ ერთი ფოტოსურათი, გახმა ბებერი ცაცხვი, ჩაახშო ზღვის ღმუილმა შორეული გამოძახილი, გააერთიანა დღე და ღამე ნაღველმა და ერთფეროვნებამ, გააშიშვლა ახრი დუმილმა და მარტობამ, დაიწრიტა ცხოვრება სიხარულისაგან და როცა ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი, როცა ჩვეული გარემო და ნაცნობი ნივთები ბერიკაცს დაემსგავსა, როცა მისმა ხორცმა ისევე დაიწყო ცვეთა და დაძველება, როგორც მისი ტანსაცმელი ცვდებოდა და ძველდებოდა, მაშინ ბერიკაცის გაკერპებულმა გონებამ ღრუბელივით შეიწოვა ის სულისკვეთება, რითაც მისმა წინაპრებმა საუკუნეების მანძილზე ქართველი კაცის ხასიათი ჩამოაყალიბეს.

13

უეცრად ყველაფერი ისე მიყუჩდა, თითქოს დროს ხმა ჩაუწყდა, სიკვდილი თავისი ბნელი ბუნაგიდან გამოძვრა და სახლში დაიდო ბინა. სახლში ბერიკაცის მეტი არავინ იყო და მოღილინ-მოქანცული უკვე კარგა ხანია თვლემდა, ან იქნება კვდებოდა, კვდებოდა ისევე მარტოდმარტო, როგორც ბოლო ათი წელიწადი იცხოვრა. ბერიკაცი მთელი დღე ელოდა დიადი დუმილისა და უშფოთველობის წამს და მისი წინათგრძნობა გამართლდა, სულთამხთავმა მოაკითხა. შეიძლება სიკვდილი ჯერ კიბის ქვეშ შეძვრა, ბებერ ძღლს ამოხადა სული, შემდეგ კი კიბეს ამოჰყვა, გვერდი აუარა და მთელი სახლი დაისაკუთრა, მარტო სახლი კი არა, ეზოც და კარ-მიდამოც. აკი მოესმა კიდეც რაღაც შრიალის მაგვარი, მაგრამ მან ეს შრიალი ზღვის ტალღების გამოძახილად მიიჩნია. თუმცა უკეთესი რა უნდა მოეტანა იმ უკუნეთს, ზღვის ნაპირს რომ მოსდგომოდა, გაასკეცებულიყო და მარილაკ სიკვდილივით ჩაუქმურებულიყო. სინათლის ორი გრძელი ზოლი ვერაფერს აკლებდა ბნელს, პირიქით, თვითონვე ფრთხებოდნენ, იქაურობას მწუხარებითა და უაზრობით ავსებდნენ და ღამის იდუმალებას შემზარავს ხდიდნენ. ბერიკაცი რომ ცოცხალი აღარ იყო, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ მის ხასიათს იცნობდა და არ ეგონა ასე უსმოდ, უბრძოლველად თუ დანებდებოდა სიკვდილს. ეტყობა, ბერიკაცმა მთელი თავისი ძალ-ღონე ბოლომდე ამოწურა, წასასრთმევი და წასაღლეტი არაფერი დაუტოვა. მომხდურს და ამტომ არ აყვირდა, არ ამბოხდა, აღარც საკუთარი თავი გააწვალა და აღარც სულთამხუთავი. მისი სიკვდილი ისედაც მრავლისმთქმელი და სახიერი იყო. მოკვდა ბუხრის წინ, საკუთარი ხელით მობლანდულ სავარძელში, ჯერ კიდევ აულაგებელ სუფრასთან, მოკვდა ისე, რომ ცნობიერება ალბათ უკანასკნელ წუთამდე არ დაუკარგავს.

ოთახში სინათლე ახლაც ისე უწყინრად ენთო, როგორც ყოველ ღამე, მაგრამ ჩაქრა და ჩაიფერფლა ბერიკაცის სიცოცხლე და ეს მის გარდა არავინ იცოდა ამქვეყნად. ღამეს შეფარებული ხის ტოტები ჩუმად კვნესოდნენ, სივრცეს დანატრებულნი გათენებასა და ფერისცვალებას ელოდნენ.

მან სანთებელი გააჩხაკუნა და საათს დახედა. რვა სრულდებოდა. არც ისე გვიან იყო, რომ სოფლიდან ვერ გაეღწია და მატარებლისათვის ვერ მიესწრო. აქ მას აღარაფერი ესაქმებოდა, ყველაფერი, რაც ირგვლივ ერტყა, ერთბაშად მოკვდა და ზღვიდან მონადენ ნისლში დაინთქა. ბერიკაცი უკვე იმ სამყაროს ეკუთვნოდა, რომლის არც წარმოდგენა შეეძლო და არც გააზრება. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ მოკვდა კაცი, მოკვდა საკუთარ სახლში, მოკვდა მარტოდმარტო და ასეთ სიკვდილს მას არც სისხლით

ნთესავები აპატიებდნენ და არც მეზობლები. დაშავებით ბერიკაცს აწი ვერავინ ვერაფერს დაუშავებდა, მაგრამ საყვედურს თუ ხმამაღლა არა, უხმოდ მაინც გაუზიარებდნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით ისინი, ვინც უკვე პატივმოყვარეობის მძიმე სენით იყო შეპყრობილი, გაიზნაურებისაკენ ისწრაფოდა და საკუთარი წინაპრის ჩამომავლობა, სიკვდილამდე იმ მიწის ჩიჩქნა, რომელმაც ისინი გამოკვება, სამარცხვინო და სძრახის საქმედ მიაჩნდა. თუმცა ნთესავები და მეზობლები არც ერთმანეთს დაინდობდნენ: „კი, უხასითო და უცნაური კაცი იყო დალოცვილი, ახლოს არ გვეკარებოდა, არაფერს გვთხოვდა, უქმ დღეებსაც კი შრომაში ატარებდა, ერთი ჭიქა ღვინო რა არის, იმასაც კი არ დალევდა ჩვენთან, უსაქმურებად და ქალაჩუნებად გვთვლიდა, ბოლოს სულ შეიცვალა, განდეგილივით ჩაიკეტა სახლში, მაგრამ თქვენ, ვისაც მისი სისხლი გიდგათ ძარღვებში, თქვენ სად იყავით აქამდე, რატომ მიატოვეთ ასე უპატრონოდ, რატომ მოანატრეთ ადამიანური სიტყვა და თანაგრძნობა. ახლა ამ მიყრუებულ სოფელში რომ ჩამოცვივდით და ერთი ვაიუშველებელი ატეხეთ, არ გერჩივნათ დროზე მიგეხედათ ცხონებულისათვის, ცრემლი გაგვტანებინათ, სხვების გასაგონად მაინც შეგეცხადებინათ!“

მეზობლების გულში დაგროვილი შუღლი და ბოღმა შადრევანივით იფეთქებდა, მაგრამ ვალში არც ჭირისუფლები დარჩებოდნენ: „ფუი, შეგირცხვათ მეზობლობა, აქვე ეყარეთ და ერთ გაკერპებულ ბერიკაცს ვერ მიხედეთ. ვთქვათ და, ჩვენ ამოგვიძოლა, მოგვიკვეთა, მაგრამ თქვენთვის ხომ არაფერი დაუშავებია. სანამ ჯანზე იყო, გეხმარებოდათ, გამოცდილებას გიზიარებდათ, მხარში გედგათ. ნუთუ იმის ღირსი აღარ იყო, რომ აკადემიფოსათვის წყალი მიგეწოდებინათ და ლოგინში ჩაგეწვინათ? თუ ასე დაგლახავდით და გაწუპატკდით, ჩვენთვის მაინც შეგეტყობინებინათ!“ ეს ურთიერთბრალდება და საყვედურები ბერიკაცს ისე ჩაპყვებოდა სიფლავში, როგორც ის ბალახი, მის სამარეზე რომ იზრდებოდა გათხრამდე.

სანამ წამოდგებოდა, ისეთი გაბრაზება შეექმნა, თითქოს ყინულზე იჯდა და არა კიბის საფეხურზე. პირველი ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდა, ფეხი ისე არ დაემორჩილა, როგორც მოელოდა. რომელიღაც ძარღვი გაითოშა და სანამ არ გათბებოდა, ფუნქციას ვერ დაიბრუნებდა. ფანჯრიდან არაფერი ჩანდა. კარის გაღებამ ირგვლივ გამეფებული დუმილი დაარღვია. ბუხარი ჩამქრალიყო, მაგრამ ოთახში მაინც ბევრად უფრო თბილოდა, ვიდრე გარეთ. შიშველი ნათურა იმფრად ღებავდა ყველაფერს, როგორ ფერსაც გამოსცემდა — ცივსა და ყვითლად აჭრილს. ნაცნობი ჩრდილები მწუხარე ღამეს შესაფერის ფონს უქმნიდნენ, მასავით ძაძით იმოსებოდნენ. ბერიკაცი სავარძელში ჩაცურებულიყო, თავი გვერდზე გადავარდნოდა, თეთრი, პატრიარქალური წვერი ცალ მხარეს შეკეცოდა, ხელები მოსწყვეტოდა, წარბებს შუა ღრმა, მიუკარებელი ნაოჭი შერჩენოდა. სავარძელში ჩაცურებულ ბერიკაცს საზურგეზე მიყრდნობილი ნიკაპი პირის გაღების საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ თვალები ღია დარჩენოდა. ამ თვალებიდან სიკვდილი და იმ საუფლოა სიცარიელე იმზირებოდა, რომელშიც გადასახლდა.

ცოტათი რომ შემთბარიყო, მან აუოლაგებელი სუფრიდან ჭიქა აიღო, პირამდე გაავსო, ბერიკაცის სული ღმერთს შეავედრა, სულმოუთქმელად გადაჰკრა და მხოლოდ ამის შემდეგ დაუხუჭა მიცვალებულს თვალები. დახუჭული თვალებიდან სიკვდილი და სიცარიელე აღარ იყურებოდა, მაგრამ მაინც ვერაფერმა ამოავსო ის ცივი და ბნელი უფსკრული, ცოცხლებსა და მკვდრებს შორის რომაა გათხრილი. სანამ კარს გაიხურავდა, ჭიებით დაჭმული კამოდის უჯრები გამოაღო, ერთ-ერთ მათგანში ძველი წერილები იპოვა, მისამართები ამოიწერა — ბერიკაცის ყველა ნაშიერი ერთბაშად ხომ არ გამოიცვლიდა ბინას, ვინმე მაინც ხომ მიიღებდა დეპეშას — და ისე გავიდა სახლიდან, როგორც სიკვდილის მზაკვრული განზრახვის თანამონაწილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიონზე ხუთი ხიდია

აფხაზ პოეტს ნელი თარბას

მწვანეყვავილას სიმწვანე
ჩემზე ნაკლებად არ გიყვარს.
გელათში თავს ხრი მიწამდე
ტაძარზე ცერით ამიყვან.

ზღვისპირას ტახტი გიდგია,
ჩემი მზითა და ჩეროთი.
რიონზე ხუთი ხიდია,
რომლითაც გინდა შემოდი.

მოყვარეს პირში უძრახე

ისე როგორ ჩამივლის,
ღიმილი არ დასცდეს,
დასაკლავი კრავივით
ერთ ნაბიჯზე გამცემს.

პირში ქება?
ვინ გითხრათ,
სულ არ მომდის აზრად,
კაცმა რომ თქვას,
ღირს კითხვად,
ვინ გვაქებს, ვინ გვლანძღავს.

მხვდება, თვალებს ვარიდებ,
„სიყვარულით დამწვავს".
ზურგს უკან კი მაგინებს,
მისი სული წაწყდა.

მიმართვა მზეს...

ქვეყნის მნათობად მოსულო,
სხივებს რომ უხვად აფენ...
შენ რომელ ღმერთზე ლოცულობ,
რომელ ხატს უნთებ სანთელს!

მიასვენებდნენ დედას

ხმა — „რამდენი მომტირალი ჰყავს,
რა ლამაზი გასვენებაა".

ოთხ ვაჟკაცს მხრებით
მიჰქონდა კუბო,
რძლები მოთქვამდნენ
ცხარე ცრემლებით

სულ არ ყოფილა
ცხოვრება უნდო,
პირჯვარს იწერდა
ნათლისმცემელი.

გაყრილი სული
ცისკენ აღზევდა,
ჩამქრალ თვალებში
იწვა წყვდიადი,

სიკვდილშიც არის
სილამაზე და
სიკვდილშიც არის
რაღაც დიადი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაუვლია, გაფრენილა
წლები, როგორც რაშები
ბუტე, ბუტე, გაგებუტე,
აღარ გეთამაშები.

ტყეს კუნელი მოეძალა,
მოფრენილან შაშვები,
შენ არ ჩანხარ რახანია,
რად არ მეთამაშები.

მოვენატრეთ ბებერ ჭადარს,
რად არ მოხვალ, რასა შვრები,
ძველებურად, ჩვენებურად
რად არ მეთამაშები.

კარს ზამთარი წამომადგა,
დროა თავქვე დაშვების...
ბუტე, ბუტე, გაგებუტე!
ვერც მე გეთამაშები!

რაისა შენგელია

მიმითვალე მსხვერპლად

ჩემო სიხარულო,
ჩემო სიყვარულო,
ოცნებაო წმინდავ —
სიზმრად გადასულო,
შენი ეშხით ვტკბები,
შენი ეშხით ვკვდები
და ვცოცხლდები ისევ
მე „ლილეოს“ ხმებით,
სული დამიფიცავს —
შენთვის შეწირული,
ყურად იღე ჩემგან
მოკრძალებით თქმული:

მამულოო ჩემო,
სიზმრად გადასულო,
სიცოცხლეო ჩემო,
ჩემო სიყვარულო...
ო, რა სწრაფად ვლიან
წლები, წლები, წლები...
შენ როდესაც გსურდეს,
შენ როს დაგჭირდები,
როცა გინდა მაშინ...
ნუ დამტოვებ კენტად,
შენს დიდ სამსხვერპლოზე
მიმითვალე მსხვერპლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხან ქეთელაური

ნათლია

მოთხრობა

ვისაც შვებულება ერთხელ მაინც თავის მშობლიურ სოფელში გაუტარებია, იცის, ეს რა ხათაბალაც არის. მთელი წლის შრომით, სამსახურებრივი გაწამაწიითა და ნერვიულობით თავმობეზრებული მიეშურები სოფლისკენ, რომ ოდნავ მაინც სული მოითქვა, ასე ვთქვათ, განიტვირთო, გაშორდე ქალაქის ხმაურს, განმარტოვდე, დროებით დაივიწყო საქმეც, მოვალეობაც, მიეცე სრულ განცხრომას სიყრმისდროინდელ ადგილებში და დაკარგული ძალა და ენერგიაც აღიდგინო.

მაგრამ ვინ მოგაცალა საამისოდ? დღე ერთია და — მაწევარი ათასი: ერთი ძეობას იხდის, მეორე ბიჭს აკორწინებს, მესამეს ქალიშვილი გაუთხოვებია და დღეს სწორედ მძახლებს ელის, მეხუთე და მეათე მსოლოდ შენთვის, შენი პატივისცემისათვის აწყობს სუფრას და უარს ყასიდადაც არ გათქმევინებს:

— აბა-ბა-ბა, არ გამაგონო! როგორ, წელიწადია, სოფელში არ ყოფილხარ და... ჩვენებური ლხინი მაინც არ მოგენატრა? ადე, ადე!

ჰოდა, რომელ ერთს ეტყვი უარს?

მაგრამ მე ესეც არ მაკმარეს. როცა ყველას სტუმრობა მოვითავე და მეგონა, ახლა კი დავისვენებ-მეთქი, სწორედ იმ ღამეს, სამზე თუ ოთხის ნახევარზე, ჩემი სოფლის მთელი თავკაცობა გაჩიროღდნებული ავტობუსით მომადგა.

— ჰე-ჰეი, მასპინძელო!

ხმაზე პეტრე ბრიგადირი ვიცანი და ლოგინში გავტვრინდი, ეგეც ჩამომეხსნან და წავიდნენ-მეთქი, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, — პეტრეს სხვებიც აჰყვნენ:

— გამოდი, ნუ იმალები!

— სადა ხარ? ხალხი კარზე მოგადგა და...

— ჰაი, შე უჯიშოვ!

— პურაძვირო!

— სტუმარშიშაუყვანელო!..

ვხედავდი, სხვა საშველი არ იყო, გადავიცვი და ეზოში გამოვედი. ხალხით სავსე „ტურისტის" მარკის კომფორტული ავტობუსი ზედ ჰიშკარზე მოეყენებინათ. ვინღა არ ჩანდა შიგ — ორივე თავმჯდომარე — საბჭოსიც და კოლმეურნეობისაც, ბრიგადირები, ბუღალტერმოანგარიშები, ექიმ-ექთნები და მასწავლებლები, ერთი სიტყვით, სოფლის მთელი ნაღები, მათი ცოლები, ქმრები, შვილები. სალონის ყაფაზებზე დახორავებით ელაგა სანოვაგით გატტნილი სხვადასხვა ფერისა და სიდიდის ჩანთები, ნაკრაულები, კაურებზე ბადურები ეკიდა, ხოლო გასასვლელი და უკანა კარის საფეხურები ღვინის ბოცებითა და ბორჯომისა და ლიმონათის ყუთებით იყო ჩახერგილი.

— რა ამბავია, ხალხო, ქორწილია თუ რა არის?

— ქორწილია, მაშ, ქორწილი...

— ქორწილიც არის და მაყრობაც. სომხის გოგოები უნდა მოვიტაცოთ, შავთვალა ახჩიკები.

ქორწილია და მზადობა,

ნეტავი მოიცა მდადობა...

წაიმღერა ვიღაცამ ავტობუსში. მერე კაცები ძირს ჩამოვიდნენ, თან ხელს თითო რადაც ჩამოაყოლეს: ერთი პაწაწინა ყანწით სადილო წინწანაქარს მაწვდის, სხვა ხაჭაპურის ნაჭერს, ქათმის ბარკალს ან ხილს მთავაზობს, სოლო ყველა ერთად სახლისკენ მიბიიგებს:

— აბა ჰე, ჩქარა, ნუღა გვაგვიანებ, დრო ისედაც არ გვყოფნის!

— კი მაგრამ, რაზე მიჩქარებთ რომ არ ვიცი?

— ქორწილიაბ-მეთქი, არ გესმის?

მართლაც არაფერი მესმოდა. გაოგნებულ-გადახიხეებული მხრებს ვიჩეჩავდი და ხან ერთს ვაშტერდებოდი, ხან მეორეს.

ერევანში მივდივართ, — მითხრა ბოლოს კოლმეურნეობის ბუღალტერმა, — ექსკურსიაზე მივდივართ. ჰოდა...

— მიდიხართ და წადით, გზამშვიდობისა! მერე მე რა?

ბუღალტერმა არყით აჭრილი თვალები ცბიერად მოჭუტა და გვერდიდან ირიბად გადმომხედა:

— განა შენ კი ჩვენი არა ხარ?

რა არ ვცადე და რა ხერხს არ მივმართე, დროის უქონლობასაც გადავწვდი — თვე გადის და დედას ჯერაც არაფერში მივხმარებივარ-მეთქი, არც გადაღლილობა დამვიწყებია, ბოლოს უფლებაც კი მოვიმიზეზე, მაგრამ სულ ამაოდ — ყველაფერზე მყარი და დასაბუთებული პასუხი დამახვედრეს:

— დედაშენს ჩვენ ვუშველით. განა რა იმდენი საქმე აქვს, რომ... ან რა ბევრი დრო იქ წასვლა-წამოსვლას უნდა? ჩავალთ და მეორე დღეს უკანვე გამოვბრუნდებით. ორი დღე იქით იქნება თუ აქეთ, დიდი ბედენა არ არის. სამაგიეროდ, გზას გავივლით, ვნახავთ უცხო გარემოს, ხალხს, ბუნებას, თვალს წყალს დავალევინებთ, გულს გავახარებთ და... დასვენებაც ეგ არის. ფული და საგზალი კი იმდენი მოგვაქვს, რომ ბარემ მეოცე ერევანს ვამყოფინებთ.

მოკლედ, დამიყოლიეს. ის შინ სახმარი ტანსაცმელიც თითქმის თავისი ხელით გამხადეს და საგარეო ჩამაცმევეს.

●

როგორც ვთქვი, ავტობუსში ტევა არ იყო. რამდენიმე კაცი სკამებშეა გახიდულ ფიცრებზეც იჯდა, ყველა შესაფერ ხასიათზე იყო — ღიღინებდნენ, პაექრობდნენ, აქილიკებდნენ ერთმანეთს, იცინოდნენ და ხარხარებდნენ. ერთი მე ვიჯექი დაღვრემილი და ცხვირჩამოშვებული, დანა პირს არ მიხსნიდა. რა მეერევნება და მეექსკურსიაავება, — ვფიქრობდი გულმოსული, — ხელნაწერი დასამთავრებელი, კარტოფილი ამოსაღები, თივა და შეშა მოსატანი. დედაჩემს, ამას გარდაც, უამრავი წვრილმანი საქმე აქვს... მაგრამ წითელ ხიდს რომ გავცდით, მაშავერა-ბამბაკის ვიწრო ხეობაში შევედით, მზეც ამოვიდა და გუნება თანდათან მეც გამომიკეთდა.

გაზაფხულის წყალდიდობა დიდი ხნის ჩავლილი იყო, მაშავერა უკვე კალაპოტში იჯდა, მაგრამ მთის ჩქარი მდინარე მაინც ძალუმად მოქუხდა, კუთხოვან ლოდებზე ბროლისფერ ზღიფებად იმსხვრეოდა და ვიწრო ჯალას გრილი ნამცვრევით ავსებდა. გზა მიხვეულ-მოხვეული, მაგრამ გლუ და ხალვათი მივვიდიოდა, ავტობუსი მსუბუქად ირწეოდა, სანახაობა და თვალსაწიერი წამისწამს იცვლებოდა და მგზავრსაც მეტი არაფერი უნდა. გუნება-განწყობას მწვანედ შექოჩრილი ფერდობებისა და ზედ წამოჩრდახული სოფლების ცქერაც ახალისებდა. სოფლებსა და ქალაქებში დროდადრო კიდეც ვჩერდებოდით, ჩვენი გადამეტებული ხორხოცით ადგილობრივი ხალხისაგან საკმაოდ თვალშესაცემად გამოვირჩეოდით, ზოგჯერ ჯარბ სითამამესაც ვიჩენდით, მაგრამ ამას არავინ გვიძრახავდა, არც ვისმეს სწყინდა, პირიქით, თვალგაშერა სომხის გოგო-

ბი გამამხნევებლადაც კი გვიღიმოდნენ, ხოლო შავგრემანი ჯმუხი ბიუები ხელის აწევით გვხვდებოდნენ და გვაცილებდნენ.

ასე გავიარეთ მთელი გზა ერევნამდე. ერევანში სასტუმრო და რესტორანი დავიბეგეთ და პირდაპირ ეჩჩიაძინისკენ გავსწეიეთ. დავთვალიერეთ სომხური კულტურის უნიკალური კერა, რომლის უმდიდრესი წმინდა ეროვნული საგანძური თავისი სინატიფით, მაღალი ოსტატობით, იშვიათობით, მთლიანობითა და თვითმყოფადობით ყოველის მხილველ და ყოველს მკონე კაცსაც კი განაცვიფრებს. ნანახითა და განცდილით უზომოდ კმაყოფილები დავბრუნდით ქალაქში და დაბეგებულ სასტუმრო „სევანში“ დავბინავდით. ცოტა დავისვენეთ, დავიბანეთ, მოვწესრიგდით. ყველფერს რომ მოვრჩით, ღვინის ბოცები და სანოვაგის ჩანთები დავითითოოთ და რესტორანში ჩავედით.

მასპინძლებს ჩვენი მაგიდები უკვე გაეწყოთ — თითე მაგიდა დარბაზის მარცხენა კედლის გასწვრივ გაემწკრივებინათ, ფერადფუნჯიანი სუფრები გადაეფარებინათ და ჭურჭელი და დანა-ჩანგლიც სათალავით ჩამოერიგებინათ. ზედმეტი სილამაზისათვის სუფრაზე ბროლის ღარაკებით ცოცხალი ყვავილს თაიგულებიც იდგა, რომელთა მკრთალი, ფერადი ჩრდილები ფაიფურის ოქროცურვილ ვარაყზე იღვრებოდა.

ერთი ასეთივე გრძელი სუფრა მარჯვენა კედლის ძირობაზეც გაეწყოთ. ჩვენ რომ შევედით, მეინახენი უკვე პირველ სასმისებს ავსებდნენ. როგორც მერე გავიგეთ, ესენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მშობლიურ დედაქალაქში ჩამოსული სომხები იყენენ და სწავლის დამთავრების ორმოცდაათი წლისთავს იხდიდნენ.

მალე ჩვენც დავლაგდით, ღვინო და ცივი საუზმე საკუთარი გვქონდა, ხაშლამა, იშხანი, მწვადი და მწვანილეულები მასპინძლებმა შემოგვიმატეს. სომხური ლავაშებიც მოგვიტანეს. თანდათან კენტი მაგიდებიც შეივსო და ესტრადაზე ჯაზ-ორკესტრიც გამოჩნდა.

ნელ-ნელა შევთვერით, შევზარხოშდით.

გემოვნებით მოხატული ფართო დარბაზი, ფერადნაყშიანი ფარდების შარიშური, ბროლის ჭაღების მოალერსე ციმციმი, ნამნაპკურები ვარდისა და იასამნის დამათრობელი სურნელი და წაზნაგოვანი ბროლის მოიისფრო ანარეკლი, სიუზვე, სიფაქიზე, მუსიკა, ადამიანთა თბილად მოღიმარი სახეები და მასპინძლების ძალდაუტანებელი თავაზიანობა ერთმანეთს მეტისმეტად ჰარმონიულად ერწყმოდა, ჯარბ ალზეიმო განწყობილებას ქმნიდა და ჭიფის ეშზზე გვაყენებდა. თავს არც თვითონ ვიზოგავდით.

ჩვენს სუფრას მე ვთამადობდი. შუა სმაში რომ შევედით, მწდეებს სირჩები შევავსებინე და სომხური მიწის სადღეგრძელო წარმოვთქვი — იმ მიწისა, სადაც ახლა ვიყავით და რომელსაც დღესაც უხვად ჰნნია სომეხ-ქართველთა გმირული ბრძოლისა და ისტორიის ნაკვალევი.

უცბად მეზობელი სუფრიდან მათი თამადა წამოდგა, ხელში ღვინით სავსე ჯამი აიღო და ჩვენკენ შემობრუნდა.

— მე ზურაბიშვილი არა ვარ, ზურაბიანი გახლავართ, მაგრამ ქართველებისა და საქართველოს სიყვარულში ვერც ერთი ზურაბიშვილი ვერ მაჯობებს, — დაიწყო სუფთა ქართულით და თანამეინახეთ, ჩვენი თამადობით, ქართველი ხალხისა და საქართველოს სადღეგრძელო შესთავაზა. ბევრი კარგი რამ თქვა, ბევრი ლამაზი სიტყვა შეგვაწია და სადღეგრძელო ასე დაასრულა:

— ჩვენ, სომხებს ყველა ხალხი ერთნაირად გვიყვარს, ყველას დიდ პატივსა ვცემთ, თუნდაც თავს შემოვევლებით, მაგრამ ცხოვრება და არსებობა მხოლოდ ქართველებთან, მათ გვერდით შეგვიძლია. ასეა და, რა ვქნათ! აი თუნდაც მე, სხვა ხალხში საჩქმოს იმდენს ვერაფერს ვხედავ, არ დავმალავ და, საიმათოს

კერც თავის თავში რასმეს ვპოულობ. ქართველებთან კი სულ სხვა. ქართველებს და სომხებს ერთიმეორისა უთქმელადაც გვესმის, ერთმანეთის საჭიროება ძველ-რბილში გვაქვს გამჯდარი და... ღმერთმა მარად გვიცოცხლოს ქართველი ხალხი, გვიცოცხლოს ჩვენდაგე სასიკეთოდ, თუ ნურც ჩვენი, სომხების სიცოცხლე და დღეგრძელობა მოაკლოს.

— ამინ! — ერთხმად წარმოთქვა ყველამ და სასმისები სულმოუთქმელად გამოცალეს.

თამადა ვიყავი და, ცხადია, სამადლობელო და საპასუხო სადღერგძელო მე უნდა მეთქვა. სადღეგრძელოში, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, პატარა ისტორიული ექსკურსია გავაკეთე, — რომ ჩვენ ქართველები და სომხები ოდითგანვე გვერდგვერდ ვიყავით, ჭირშიც და ლხენშიც მხარი მხარს გვქონდა მომბმული, რომ ერთად ვებრძოდით ათასი ჯურის მომხდურს, ხელიხელჩაკიდებული მივაბიჯებდით ისტორიის ძნელად სავალ გზაზე, ვქმნიდით დიდ, თვითმყოფად კულტურას, შენ-ჩემობა არ ვიცოდით და სიკეთესა და მონაპოვარში ერთმანეთს ალალ და უსაყვედურო წილს ვუდებდით. ერთი სიტყვით, ძმები ვიყავით, ძმები ვართ და კვლავაც ვიქნებით-მეთქი. ძნელებდობის ჟამს სომეხთაგან ქართველთათვის ბევრი გმირული თავგანწირვის მაგალითიც გავიხსენე და საბოლოოდ ნახევრად ხუმრობით დავუმატე:

— ქართველებს და სომხებს ამქვეყნად ხალხი ვერ შეგვედრება. ჩვენნა ვართ, რაცა ვართ. გენაცვალე-ცავატანემ! თუ ვისმეს სადმე ხმა ამოეღება, ჩვენ იქ ათჯერ და ოცჯერ მეტი გვეთქმის. სხვას არა თუ შევნატრით რასმეს, პირიქით, ბევრი რამ თვითონ გვიწყალობებია კაცობრიობისათვის, შემდეგშიც ალბათ ასე ვიზამთ. მოკლედ რომ ვთქვათ, საქმეარიც თავისი გვაქვს და საძრახიც, მაგრამ მთლიან სრულყოფილებამდე მაინც ვერ მიგვიღწევია, ერთი რამ გვიშლის ხელს...

— სახელდობრ, რა? — გამომძახა ზურაბიანმა და სხვებმაც ყურები ცქვიტეს.

— სახელდობრ ის, რომ ქართველებმა ბრძენი ხალხი ვართ და ჭკუა გვაკლია, სომხები ჭკვიანი ხალხი ხართ და სიბრძნე გაკლიათ. აი ეს ორი რამეც რომ შეგაერთოთ, — ჩვენი სიბრძნე და თქვენი ჭკუა ერთმანეთს შევუფყოთ, შეგუთანხმოთ, შეგუთანაბრით, ჩვენი ბადალი დედამიწის ზურგზე მართლაც აღარავინ იქნება.

სადღეგრძელო ყველას ძალიან მოეწონა, განსაკუთრებით ეს ბოლო ნათქვამი. ქართულის მცოდნეებმა არმცოდნეებსაც უთარგმნეს და ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი. მთელი სუფრა ფეხზე წამოდგა, ტაშს მიკრავდნენ, ერთმანეთზე გადაჭდობილ ხელებს მაღლა სწევდნენ და ჰაეროვან კოცნას მიგზავნიდნენ.

— ჭიშტე, ჭიშმარიტე! — სწორია, მართალია. — ჭკუა და სიბრძნე!..

— ჩვენი და თქვენი!..

— ჭიშტ ვორ ლავ ასვაწე! — მართლაც კარგი ნათქვამია.

— მაშინ მართლაც ვეღარავინ გვაჯობებს.

— იცოცხლე, გაიხარე — აპრეს, არახანას.

— შნორაკალუცუნ! — მადლობა... დიდი მადლობა!

ქართული წესის თანახმად, სადღეგრძელოს მცირე ნობათიც დავფრთე და ზურაბიანის სუფრას რქაწოლილად სავსე ოცჩარეკინანი ბოცა გავუგზავნე. ვალში არც სომხები დარჩენ, დახლიდარი მოიხმეს და ბუფეტიდან მთელი ყუთი „ერევანი“ გამოატანინეს.

— რაც მართალია, მართალია, ჩვენი ღვინო თქვენსას ვერ შეედრება, — სიცილით განმარტა ზურაბიანმა—სამაგიეროდ, კონიაკში გჯობივართ, ოღონდ ამას საგზაოდ გატანთ, შინ რომ ჩახვალთ, მაშინ გახსენით და საქართველოს სადღეგრძელო სომხური კონიაკით დალიეთ...

— შევსვამთ.

— ჰოო, შესვით.

ქეიფი სულ უფრო გახურდა. საერთო

საუბარი, სიცილი და ურთიერთგადაძახილი გახშირდა, ერიამულმა იმატა. მემუსიკენი უმეტესწილად სომხურ-ქართულ ჰანგებს უკრავდნენ, მაგრამ სხვებისათვისაც რომ გასაგები ყოფილიყო და გული არავის დასწყვეტოდა, შესატყვის სიმღერებს რუსულადაც მღეროდნენ. ამან დარბაზი თითქოს გააერთიანა და ლხინი საერთო გახადა. თანდათან კენტი სუფრებიც აგავსენნ. ჩვენს გვერდით ტერისტების ნარევი ჯგუფი იყო, ცოტა იქით, დარბაზის შუაში, ექსკურსიაზე ჩამოსულ რუსებსა და უკრაინელებს მოეყარათ თავი, მათ მახლობლად ახოვანი ლიტველი ჭაბუკები და ტანლატანა ქალიშვილები შემოსხდომოდნენ მაგიდებს. უკრაინელმა გოგონებმა თავიანთ ენაზე „თბილისო“ და „ერეშუნი“ იმღერეს. დარბაზმა მომღერლები ტაშით დაჯილდოვა, მე კი შამპანურები და სომხური ყურძენი „ვოსკიეაზი“ გავუგზავნე. ოთხი მწვადი და ოთხი „ერეკვანი“ ლიტველებსაც გავუგზავნე. მერე რუსმა ქალიშვილებმა მეფუსიკეთ ქალთა ტანგო დააკვრევინეს და საცეკვაოდ გაგვიწვიეს. შამპანურები და თითო მოზრდილი კოლოფი შოკოლადი მთათა მივართვი. ქართველი ვიყავი და აბა პირს ხომ არ შევირცხვენდი! მაგრამ მიზეზი მარტო ეს არ იყო, თავს როგორღაც მეტისმეტად შინაურულად ვგრძნობდი, ახლობლებით გარშემორტყმული თითქოს საკუთარ ჭერქვეშ ვიჯექი. მეჩვენებოდა, რომ ყველა მიყვარდა, მეც ყველას ვუყვარდი, ირგვლივ ყველაფერი მომწონდა — ხალხის ერთსულოვნება, ერთობლივი სადღეგრძელოები, სირჩების გადასვლ-გადმოსვლა — ყველაფერი იყო უზომოდ ლამაზი, ლაღი, საზეიმო... და მიხაროდა, რაღაც ძალიან მიხაროდა და მინდოდა ეს უეცრად დაძრული სისარული მეც რაღაცით გამომეხატა.

შუაღამე რა ხანია გადავიდა, დარბაზი ჩამოიბურა. ფენა-ფენად გაწოლილი სიგარეტის კვამლი და ოხშივარი ჭერზე მთვრალივით ირწევა და იატაკსაც თავის ნებაზე აჭანავებს. ხალხმა ნელ-ნელა გასვლა იწყო, ვემშვიდობებით ერთმანეთს, ვეხვევით, ვკოცნით და ერთიმეორეს სიყვარულსა და მეგობრობას ვაფიცებით. აგე, საზეიმოდ შეკრებილი სომხებიც აიშალნენ, მე და ზურაბიანმა ბოლო სასმისები მივაჯახუნეთ, საყვარლშინდოში სომეხ-ქართველთა ძმობაც ერთხელ კიდევ გავიხსენეთ და ერთმანეთი მართლა ძმურად გადავკოცნეთ.

ხალხი დარბაზში სულ უფრო კლებულობს, მემუსიკეთაც ჩამოხსნეს სიმები და ინსტრუმენტების ალაგებას შეუდგნენ. ჩემი სუფრაც განახევრდა. არ მახსოვს, ვინ როდის გავიდა, მახსოვს მხოლოდ, რომ ჯერ ისევ ფეხს ვითრევდი.

ბოლოს ვიღაცებთან ხელიხელგადაბეული რესტორნიდან ბარბაცითა და ღიღინ-ღიღინით გამოვედი.

●

ნაბახუსევზე პაპიროსის მოწევა მაქვს ჩვეად და დილას, გამეღვიძა თუ არა, მაშინვე სიგარეტი მოვიძიე, მაგრამ აღარ აღმომაჩნდა. ჯიბეები მოვიჩხრიკე, რომ სართულის მორიგი

— რა ვქნა? რა ვიღონო? რით დავაღწიოთ თავი გასაჭირს?

ვითომ რა უჭირდა, რომ ვინმესაგან ფული მესესხა? რა იყო აქ საჩოთირო? თითოსთვის ხუთი მანეთიც რომ გამომერთმია, ყველაფრად მეყოფოდა. ვინ მეტყოდა უარს? დავბრუნდებოდით და გადავუხდიდი. მაგრამ ჩვენმა ჩვეულმა ცრუ ამპარტავნობამ ნება არ მომცა, ჩემი გასაჭირი სხვათათვის გამემხილა, გამეგებინებინა. მერე და, რას იტყვიან? — ვფიქრობდი შიშით, — იქნება გულში კიდეც დამცინონ და პირს უკან გამაქილიკონ: თუ მეტი არ ჰქონდა, რაღა თავს იდებდა და იჭაკებოდაო?

— არა, არა! ისევ სხვა რაღაც უნდა ვიღონო, სხვა გზა მოვნახო, სხვა სახსარი.

სახსარი კი მხოლოდ ის იყო, რომ რაღაც უნდა გამეყიდა, გზის ფული მეშოვა და იქაურობას საჩქაროდ გავცლოდი. საათის გარდა, სხვა ისეთი საველდახელო არაფერი მქონდა, მაგრამ ეს ისე უნდა გამეკეთებინა — ჩუმად. შეუმჩნევლად, რომ ამხანაგებს არაფერი შეეტყოთ და უარეს სირცხვილში არ ჩავვარდნილიყავი.

ეს-ეც მარჯვედ მომიხერხდა. ნასაუზმევს ყველანი ქალაქში საყიდლებზე მიმოიფანტნენ. ამით ვისარგებლე, ამხანაგების უჩუმრად აყსლტი და სასტუმროში დავბრუნდი. ადმინისტრატორს პასპორტი გამოვართვი, ამხანაგებს ამბავი დავუტოვე, ცუდად გავხდი და თბილისში ვბრუნდები-მეთქი, და ავტობუსით პირდაპირ ბაზრისაკენ გავქანდი.

შესასვლელში იმ დარჩენილი ერთი სამშაურიანი „ბრიმა“ ვიყიდე და ბაზარს ავუარ-ჩავუარე. კვირა დღე იყო და ვიცოდი, ბაზარში სადმე „საძველმანოც“ იქნებოდა. მართლაც, დახლებს ქვემოთ, გაშლილ ადგილზე თავმოყრილი ხალხი დავინახე. ახლოს მივედი. ხალხში უმეტესობა ხანდაზმული კაცები იყო—ძველი ვაჭრის ტიპები, მაგრამ ჩემი ხნისები და უფრო ახალგაზრდებიც საკმაოდ ერიოვნენ. ვის უცხოური გობელენი ჰქონდა მკლავზე გადაკიდული, ვის დეკორატიული ნაჭარგი ან ძველმოდური ვერცხლისა და ბრინჯაოს იშვიათი ნივთები ეჭირათ — ნაჩუქურთმევი შანდლები, ლამპები, ჯაღები, მცირე ზომის ლარნაკები, საშაქრე-სამფრაბე-საკარაქეები და ყურშატიანი სალვინე თასები. მანდილოსნები უფრო შინნაქსოვი მატყლის ქაკეტებს, ჯემპრებსა და თავსაფრებს დატარებდნენ. მოედნს ხალხი თანდათან ემატებოდა. ერთნი ყიდდნენ, მეორენი ყიდულობდნენ. მაჯიდან საათი მოვიხსენი, ხელში გაძოსაჩენად დავიჭირე და ხალხში გავერე.

ეს საათი შვებულებამდე სამი კვირით ადრე ვიყიდე. „პალიორტის“ ფირმის დიდი, მასიური საათი იყო, სამაჯურიანად სამოცდათხუთმეტი მანეთი დამიჯდა და კარგიც გამომადგა. სხვა დროს იქნებ ორმაგ ფასადაც ვერ გამემეტებინა, მაგრამ ახლა სხვა გზა არ მქონდა — ოღონდ ჩქარა გამეყიდა, საგზაო ფული მეშოვა და ნახეგარ და მესამედ ფასზეც ყაბულს ვიყავი.

ასეც ვაფასებდი — ოცი, ოცდახუთი მანეთი, მეტი არ მინდა-მეთქი, მაგრამ მყიდველი არავინ ჩანდა. მხოლოდ ფასს იკითხავდნენ, მერე საათს გასინჯავდნენ, უკანვე დამიბრუნებდნენ და მხრების ორჭოფული აჩეჩვით უჩუმრად გატრიალდებოდნენ.

დრო კი არ იცდიდა. უკვე საათზე მეტი გავიდა. ჯავრით ლამის გული გამეხეთქოდა: ცალკერძ მატარებელზე მაგვიანდებოდა, ცალკერძ იმის შიში მქონდა, ბაზარში ჩვენთაგანი არავინ შემოსულიყო და ამ საჩოთირო ყოფაში არ ვენახე, თვალგაცეცებით ვიყურებოდი აქეთ-იქით და ჩემი წუხანდელი რაინდობისა ახლა თვითონვე მრცხვენოდა.

რა მინდოდა, რა მრჯიდა? ვინ გავაკვირვე?

მუშტარი კი მოდიოდა და მიდიოდა. აი, ორნი კიდევ მოვიდნენ, შუახნის დარბაისელი, ინტელიგენტი კაცები ჩანან — ჩაცმითაც, შესახედობითაც. იქნებ ამათ მაინც იყიდონ?

სანამ ფასს მკითხავდნენ, ჯერ საათი

ჩამომართვეს — ესეც კარგად მენიშნა; ჯერ ნივოის ავ-კარგის გაგება სურთ, მაშასადამე, ნაღდი ყიდველები არიან, მართლაც, საგულდაგულოდ გასინჯეს; შემოხედეს აქედან, იქიდან, რამდენჯერმე ხელშიც შეატრიალ-შემოატრიალეს, ციფერბლატს დააკვირდნენ და, რაღა თქმა უნდა, ყურზეც მიიდეს.

— ინჩ კასეს?! — ჰკითხა ერთმა.

— ლავ ყამაცუიც[2].

— ურემენ, ანრინ?[3]

— არ, ჩეს ფოშმანი[4].

სიტყვები არ მესმოდა, მაგრამ მოწონება სახეზე ორივეს აშკარად შევატყვე. ამით დაიმედებულმა, როცა ფასი მკითხეს, აჩქარებით და თითქმის რიხითაც კი ვუთხარი:

— ოცი მანეთი!

— რაო?! ოცია?—თვალები გაუფართოვდა ორივეს. ჯერ მე დამაშტერდნენ, მერე ერთმანეთს შეხედეს და საათი ხელში ცივად ჩამიდეს.

ეძვირათ-მეთქი, ვიფიქრე და უფრო ავჩქარდი:

— დაგიკლებთ, ბატონო, თხუთმეტ მანეთად წაიღეთ.

მეორეს ჩუმად რაღაც გადაულაპარაკა, პირველმა ხელი უკმაყოფილოდ გაიქნია და წყენით უთხრა:

აი მართ, ანჰარმარა, ქსან მანეთ მენაკ ბრასლეტ არეინ[5].

ნათქვამი ვერც ახლა გავიგე. მუშტრის დაკარგვამ ბოლმა გამიორკეცა. თანაც მეგონა, თხუთმეტ მანეთსაც ძვირობენ-მეთქი და გაჯავრებულმა წასულებს ზურგიდან უკმეხად მივაძახე:

— ნეტა რაღა ჯანდაბა გინდათ? ახალთახალ საათს თითქმის მუქთად გაძლევთ... დაგიფიქრეთ თუ რა არი!

იქვე, ჩვენს გვერდით, რამდენიმე კაცი დახლზე სასწორებს და ყველის გუდებს ალაგებდა. ერთი მათგანი, როგორც შევატყვე, ჩვენს საუბარს ჭარბი ყურადღებით ისმენდა, ჩანდა, ჩემი ბოლო ნათქვამიც გაიგონა, რადგან, როცა კაცები წავიდნენ, დახლს ქვემოდან შემოუარა და პირდაპირ ჩემთან მოვიდა.

— აბა ერთი აჩვენე, რა არის, როგორია? — მითხრა დამტკვრეული ქართულით და საათი ჩამომართვა.

ორმოც წელს მიტანებული, საშუალო სიმაღლის ქერა კაცი იყო. გლეხურად ეცვა — იაფფასიანი, ლეგა ფერის შარვალ-კურტაკი, შავ-თეთრით ნაქსოვი მატყლის ჯვმპრი და ქუსლგაცვეთილი ქირზის ჩექმები. წამოზრდილი თმა-წვერი უშნოდ გაბურძგნოდა, სახეც ულამაზო ჰქონდა — ბრტყელი და ყვრიმალებიანი, მაგრამ ღრმა, თაფლისფერი თვალების გონივრული მზერა სახის უხეშ ნაკვთებს ერთგვარად არბილებდა.

— მთლად ახალი ყოფილა, — თქვა კაცმა და შემომხედა.

— კი, ახალია. თვეც არ არის, რაც მაჯაზე მიკეთია.

— კარგად მუშაობს?

— უკეთესი რომ არ იქნება. წამი რა არის, წამი...

— აბა რატომ ეგრე იაფად ყიდის?

ახლა ამისი ახსნა-განმარტებაღა მაკლდა! კინაღამ ხმამაღლა ვიყვირე, მომწყდი-მეთქი თავიდან, მაგრამ მის თვალებში იმდენი სითბო და თანაგრძნობა ჩანდა, რომ უხეში პასუხი ვერ შევკადრე, და რაც წუხელ თავს გადამხდა, დაუფარავად მოვუყევი.

— ჰოდა, აი ვყიდი... რომ ბილეთის ფული ავიღო და თბილისამდე ჩავიდე.

— ქართველი არის?

— კი.

თაფლისფერ თვალებში შეკავებული ღიმი გაუკრთა:

— ჰოო... იმიტომ ეგრე.

ნათქვამი კარგად ვერ გავიგე, ცოტა დაცინვასავით მომესმა და წყენით შევხედე:

— რა, იმიტომ ეგრე?

სულხან ქეთელაური
ნათლია

— ვახ, როგორ რა?, — კაცმა უკვე დაუფარავად და გულკეთილად გაიცინა, — ფული რომ დახარჯა, ის არ ეყო, ახლა კიდევ ზარალი არ ნახოს!

— აბა, რა ვქნა?

წამით ჩაფიქრდა და მკითხა:

— რამდენი სულ საჭირო ვიქნები?

— ასე, ოცი, ოცდახუთი მანეთი.

— აი, ძმაო, რა, გითხრამ, — მითხრა უკვე სრულიად სერიოზულად და ერთგვარი ტუქსვითაც, — ეგ საათი ჯიბეში ჩადე და ბილეთის ფული მე მოგიტანს, აქ, ახლო, ძმა და რძალი ცხოვრობ... მე აგე ჯერ გაყიდული არაფერი არ არის, თორემ... ჰოდა, ათი წუთში მივა, მოვა.

დახლთან მივიდა, სადაც თავისი საგაჭრო ელაგა, ამხანაგებს რაღაც უთხრა და ჩქარი ნაბიჯით გასასვლელისაკენ გაემართა.

„აბა სწორედ, უცნო კაცი მე აქ ფულს მომიტანს, ისიც სომეხი, — გავიფიქრე გუნებაში და ჩემი საქმე განვაგრძე, — მაქილიკებს, მატყუებს“.

არ გასულა თხუთმეტი წუთი, რომ კაცი მართლაც დაბრუნდა.

— ვახ, შენ ისევ საათი ყიდის? — მომაძახა შორიდანვე, — ხომ უთხარი, ჯიბეში ჩადე-მეთქი? ჰოდა, ჩადე. — კურტაკის ჯიბიდან სამი ცალი თუმნიანი ამოიღო, — აჰა, ინ, იყიდე ბილეთი და... ჰაიდა, წადი.

ისე დავიბენი, რომ უცბად მადლობის თქმაც ვერ მოვახერხე — ჩემი წეღანდელი უნდობლობისა შემრცხვა. უხერხულად ვატრიალებდი ფულს ხელში და თავდახრილი გაუბედავად ვბუტბუტებდი:

— ამდენი მაინც... რა საჭირო იყო, ნახევარიც მეყოფოდა.

— ფული საჭირო არა ხარ? აბა რა ხარ საჭირო? გზა... იქნებ რა მოხდება.

— მაშ, მისამართი მითხარი და ჩემიც ჩაიწერე. ხომ უნდა იცოდე, ფულს ვის აძლევ.

— კაცი აძლევ, რა, კაცი მივცე. შენი სახელი, მისამართი რათ უნდა? ან ჩემი შენ რათ უნდა?

— ვალი ხომ უნდა გადაგისადო? ჩავალ თბილისში და მისამართზე გამოგგზავნი. გზავნი.

— არ უნდა, — მითხრა დაბეჯითებით და ხელი როგორღაც დარდიმანდულად გაიქნია, — ეგ ისე, ფეშქეშ! წადი, ხელი ნახე.

კიდევ უფრო შემრცხვა, წინ გადავუდექი და ფული უკანვე გავუწოდე:

— არა... ასე არ მინდა. იცოდე, არ ავიიღ.

რაკი ასე გადაჭრით ვიუარე, აღარც თვითონ გაჯიუტებულა — მაშინ აი, რა, მითხრა მცირე ფიქრის შემდეგ — ერთი ძმა კიდევ თბილისშიც არის, პუჭურა ძმა. იმისი მისამართი მივცემ. — უბიდან შეგაკეცილი სასკოლო რვეული ამოიღო, ფურცელს ცალი კუთხე წაახია და ბატიფეხური რუსულით ძმის მისამართი ჩამიწერა: „დიდუბე, ამირანის ქუჩა, №17, სურენ კაზანჯიანცი“.

მხურვალე მადლობით გამოვემშვიდობე ჩემს კეთილისმყოფელს და რკინიგზის სადგურისაკენ წავედი. გაოგნებული მივაბიჯებდი სალხმრავალ ქუჩაში, თუმნიანებს ხელში ვემუშნდი და კიდევ ვერ დამეჯერებინა, თუ ეს მართლა მოხდა, როგორღაც მეტისმეტად უბრალოდ, მოულოდნელად და ძალდაუტანებლად მოხდა. ჰმ, ვინაობა და სადაურობაც კი არ მკითხა, მერე და, რის იმედით? გასწვდება კი ჩემი სინდისი მის კიკაცობას? იქნებ ვიღაც ცრუ და სალახანა ვარ და ეს დიდსულოვნება, მოყვასისადმი უვალო თანადგომა ვერ გავუგო, ვერ დავუფასო? აქ მთავარი ის კი არ არის, დიდი იყო თუ მცირე მისგან გაღებული ძღვენი, ნობათი თუ საბოძვარი — სათქმელი თვითონ ფაქტია: განა რა ვალი ჰქონდა, რომ უცხოს, უცნობის გასაჭირზე ასე თავი გამოიდო და მისი გულისთვის სხვაც კი შეეწუხებინა? არაფერი. მაგრამ ჩანს, ყველა კაცს თავისი გაჩენის, სიცოცხლისა და ამქვეყნად არსებობის საკუთარი ნიჩრი და ზომასადარი ჰქონია. ტყუილად კი არა ამბობს ჩვენი უკვდავი რუსთაველი: კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდისო.

თბილისში გვიან ღამით ჩამოვედი. ნაბახუსევი, ნამგზავრი და უძინარი, რაღა თქმა უნდა, დაღლილიც ვიყავი. მაგრამ გათენდა თუ არა დილა, ჯიბეში ფული ჩავიდე და დიდუბეში კაზანჯიანცების მოსანახავად წავედი.

დიდბანს ძებნა არ დამჭირვებია, მისამართმა ერთმანეთზე უსწორმასწოროდ მიხორხლილ ბარაკებთან მიმიყვანა. კაზანჯიანცების ბინასაც მალე მივაგენი. ქმარი შინ არ დამხვდა — სამუშაოზე წასულიყო. კარი ცოლმა გამიღო. ასე ოცი, ოცდასამი წლის შავთვალწარბა, პირმოწითური სომხის გოგო კარის ჭრილში სურათივით ჩამოდგა და შავი თვალები მოლოდინით მომაშტერა. ყვავილებიანი ღილის ხალათი ეცვა, ხელში იატაკის საწმენდი ჯოხი ეჭირა. მოკლედ ვუთხარი, რაც თავა გადამხდა და სესხად აღებული ფული გადავეცი.

ქალს ანუში ერქვა. უზომოდ გაახარა მაზლის საქციელმა. ასევე გაასარა ჩემმა დროულმა მისვლამაც და უმალ შინ შემიწვია. არ მინდოდა უცხო ოჯახში ცარიელი ხელით შესვლა — მეუხერხულებოდა, მაგრამ არაფრით არ მომეშვა:

— აჰ, არავითარ შემთხვევაში! ოჯახში პირველად მოხვედით, მობრძანდით და... სურენი რომ გაიგებს, რას იტყვის?

და პაწაწინა წინკარიდან უფრო პაწაწინა ოთახში შემიძღვა.

უკანა ფანჯრის ძირას შავტუხა, თმახუჭუჭა, გათქვირებული და ნახევრად ტიტლიანა ბავშვები დაბობღავდნენ. სამნი იყვნენ — ორი გოგო და ერთი ბიჭი. უმფროს-უმცროსობისა ბევრი არაფერი ემჩნეოდათ, მითელილ-მოთელილ სათამაშოებს დაათრევდნენ და ერთმანეთს დათვის ბელებივით ებღალძუნებოდნენ. დამინახეს თუ არა, სათამაშოებს თავი ანებეს, გაღიმებულები ჩემკენ წამობაჯბაჯდნენ და მუხლებზე ამომეტოტნენ.

ოთახს გვერდით ტიხრებიც ფიცარსა ჰქონდა. ძალიან ვიწროდ იყვნენ, მაგრამ სადა ავეჯის მოხდენილი განლაგება, სიფაქიზე და კედლებზე გაკიდულ-გაფენილი საოჯახო ფოტოსურათების სიმრავლე ოჯახურ სიყვარულსა და ბავშვებზე მეტყველებდა, ხოლო ბავშვების სითამამე იმას მოწმობდა, რომ ამ ოჯახში სტუმარი იშვიათი მოგელენა არ იყო.

ანუშმა ბავშვები ძველ ადგილზე დაბრუნა. მე ოთახის შუაში მდგარ ოვალურ მაგიდასთან მიმიწვია, წინ ქაშანურის მოხატული ჭინჭილით ჭაჭის არაყი დამიდგა, კარადიდან პური, ქათმის ხორცი, კანფეტი და რაღაც-რაღაცეები გადმოალაგა და სახელდახელო სუფრა გამიწყო. წოწოლიკა ბროლის ჭიქაც თავიაი ხელით შემიგსო.

— აბა, დალიეთ, კარგი არაყია, მოგეწონებათ... და მიირთვით, ისიამოვნეთ.

არაყი მართლაც მომეწონა, ნამდვილი კახური ცინცხალი ჭაჭა იყო — ძველრბილში ნაპერწკალივით დამიარა და ნაბახუსევი უცბად გამომაფხიზლა. კიდევ უფრო მომეწონა დიასახლისის — სრულიად ახალგაზრდა, თითქმის ბავშვი ქალის ესოდენ გულთბილი, დარბაისლური დახვედრა. ანუში ქათმის ნაპურებს, სიოლს, არაყს მიმარჯვებდა, — აჰ, ჩემი ქმარი რომ შინ იყოს... სურენი იყოს... — გაიძახოდა ჩქარ-ჩქარა და სულ ერთთავად ცმუკავდა, ბოდიშობდა, მოუსვენრობდა, თითქოს რაღაც აწუხებდა, რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ გაებედა. და. და მართლაც, ხელი უცბად ბავშვებისაკენ გაიშვირა და სახეალეწილმა დარცხვენით მითხრა:

— ესენი სამივენი მოსანათლი გვყავნან, ამ შემოდგომას ვაპირებთ... ჰოდა, თუ თქვენი სურვილიც იქნება... გვიკადრებთ...

იმწუთას დაახლოებით მეც ასეთსავე რაღაცას ვფიქრობდი. მომწონდა ამ უბრალო ოჯახის სიმყუდროვე, პატარა დიასახლისის უშუალობა და გულით მეწადა, რომ ჩვენი გაცნობა ამ ერთი შეხვედრით არ დამთავრებულიყო, რომ უფრო გაღრმავებულიყო, გაფართოე-

ბულიყო და ნათესაობაში, ახლობლობაში გადაზრდილიყო. ანუშმა სწორედ დროზე იაზრა, თითქოს ფიქრს მიმიხვდა. — პირიქით, თვითონ თქვენ თუ მიკადრებთ-მეთქი, — ვუთხარი ანუშს და თანხმობის ნიშნად ხელი გავუწოდე, — ოღონდ იცოდეთ, — დავძინე ხუმრობით, — ამოავითვე იცოდეთ, მე ყველას ქართულ სახელებს დავარქმევ.

— კი, ბატონო, როგორც გნებავთ, — ხუმრობითვე მიპასუხა ანუშმაც, — ჩვენთვის ქართული უცხო არაფერი არ არის, ყველაფერი მისაღებია.

— მაგრამ ხასიათითაც რომ ქართველს დაემგვანონ? ამბობენ, ნათლულს ცალი გვერდი ნათლიისა დაჰყვებაო.

ანუშმა ბავშვურად გადაიკისკისა:

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! ქართველებიც იქნებიან და სომხებიც, მაგას რა სჯობია?

ანუშის ხათრით და დაჟინებით ჭინჭილა ბოლომდე გამოვცალე. მომავალი ნათლულები გადავკოცნე, ნათლიდედას ხელი ჩამოვართვი, თან ბეჯითად შევპირდი, რომ შემოდგომამდე რამდენჯერმე კიდევ ვეწვეოდი, სურენა ვნახავდი, შინაც მივიწვევდი და ჩემს ოჯახობას გავაცნობდი.

— რასაკვირველია, — დამეთანხმა ანუში — ნათლობამდე ოჯახები ერთმანეთს ხომ უნდა ვიცნობდეთ.

მაგრამ მოხდა ისე — რა თქმა უნდა, ჩემი დაუდევრობით — რომ შემოდგომამდე დიდუბეში გასვლა ვეღარ მოვახერხე. აი დღეს, აი ხვალ, ამ შაბათს, იმ კვირას და ამ ხვალ-ხვალეობაში ზაფხულიც მიიწურა, ხოლო [illegible] ცა გავედი, ძველ მისამართზე აღარც ბარაკები დამხვდა და არც კაზანჯიანცების ბინა — ის ტოლით გადახურული ხე-ფიცრის ხუხულები პირწმინდად აეხვეტათ და მათ ადგილზე რვა სართულიანი სახლის საძირკველი გაეჭრათ.

აი მაშინ კი დავფაცურდი. აბა აქეთ ვეცი, იქით ვეცი, სახლმმართველობაშიც ვიკითხე, სამისამართოშიც ვაშებნინე, მაგრამ სულ ამაოდ: ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, კაზანჯიანცების ასავალ-დასავალს ვეღარსად მივაკვლიე.

მილიონიან ქალაქში კაცის უმისამართოდ და ჰაიჰარად პოვნა არც ისეთი ადვილია.

ასე დავკარგე ის ლამაზი ოჯახი. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ის შავტუხა გოგო-ბიჭები ახლა უკვე საცოლ-საქმრე ვაჟკაცი და ქალიშვილები იქნებიან. შეიძლება, დაოჯახდნენ კიდეც და ფეხი ცხოვრების საკუთარ გზაზე შედგეს. მე კი ახლაც ისეთივე ბღუნია ბავშვები მგონია, ისევ ნახევრად ტიტლიკანები და დათვის ბელებივით ერთმანეთზე ახორხლილები მიდგანან თვალწინ, ახლაც ჩემ ნათლულებად ვთვლი და არც ძებნაზე ამიღია ხელი, ვინ იცის, იქნებ მათაც აიკვე ვახსოვარ, ისინიც თავისიანად მთვლიან და თავადაც ჩემნაირივე მოლოდინით დამეძებენ, მაგრამ არ ვიცი და ალბათ არც იმათ იციან, როდის ვიპოვით ერთიმეორეს, სად? ან ვიპოვით კი საერთოდ, თუ ბოლომდე ერთმანეთის მაძებარნი დავრჩებით?

უილიამ ბლეიკი

ამ ლექსების თარგმანს ვუძღვნი ბატონ ვახტანგ ჭელიძეს, რომელმაც 25 წლის წინათ პირველ ნომერ „ცისკარში“ აადგმევინა ფეხი ჩემს თარგმანებს.

თამარ ერისთავი

ვეფხვი

ვეფხვო, ცეცხლის ფიცხო მზერავ,
ღამის ტევრს რომ მზისებრ
ზვერავ, —
რომელ ხელთა, რომელ თვალთა
ოსტატობამ გამოგკვართა.

ზესკნელს, ქვესკნელს, ცათა ერდოს,
სადაც შენი ცეცხლი ენთო,
ვინ შებედა ყველას ერთად,
ვისმა ხელმა მოგიხელთა.

ვინ და როგორ შეაგრიხა
გულის კუნთი გულის ტიხარს,
და გული რომ გეძრა მძაფრად
ვინ გაუძლო იმ დიდ ზაფრას.

რომელ ქურის მწველი ალით
აწრთო შენი ტვინის რვალი,
რომელ გრდემლზე გამოკვერა
მაგ მძვინვარე თვალთა ბღვერა;

მერე, როცა მშვიდი ღამე
ვარსკვლავთ ცრემლით მიმონამეს,
გაელიმა: — ოდეს ციდან
თვის ნახელავს თვალი ჰკიდა.

ვეფხვო, ცეცხლის ფიცხო მზერავ,
ღამის ტევრს რომ მზისებრ ზვერავ,
ნუთუ შეგქმნა შენც იმ ღმერთმა,
ვისმა ხელმაც კრავი შექმნა?!

შემოდგომას

ო, შემოდგომავ, დაზურგულო მწიფე ნაყოფით
და ყურძნის სისხლში ამოთხვრილო, ჯერ ნუ ჩაივლი,
მო, დაივანე ჩემს სახურავქვეშ, ააყოლე
შენი ტკბილი ხმა ჩემს ნედლ სალამურს, და წლის
ასულნი
ააცეკვე შენი სიმღერით; მოდი, ყვავილთა
და ნაყოფთა ვნებიანი სიმღერა სჭქე.

„მკვრივი კოკორი გადაუხსნის თავის მშვენებას ელვარე
მზეს და, ჟრჟოლად დაუვლის სიყვარული მცენარის
ძარღვებს;
ფეთქავს კოკორი, დილის შუბლზე შემოწმახნული; მერე
ვი
მორცხვი საღამოის ანთებულ ღაწვზე დაიყვავილებს.
აქოჩრილ ზაფხულს წამოუვლის სიმღერის ყინი;
იმღერებს
ვნებით და ფრთისებრ ტრუბლებს ზეცის წალკოტში
შეაფრთხიალებს.

ნაყოფთა ტკბილი სურნელებით იკვებებიან ჰაერის
სულნი. და სიხარული ბაღიდან ბაღში გადასაფრენად
ფრთებს ისხამს ხოლმე; ან ზის ტოტზე და თავისთვის
მღერის...“
— ასე მღეროდა შემოდგომა, წამოდგა მერე, სარტყელი
წელზე შემოისალტა და გადაევლო პირქუშ გორაკებს;
ოქროს ტვირთი კი მოიხსნა და ჩვენ დაგვიტოვა.

ანგელოსი

მესიზმრა სიზმარი, — უცნაური
იგავი: —
ვითომ ქალწული დედოფალი
ვიყავი,
მფარვიდა ანგელოსი სათნო და
კეთილი
და მქონდა ნაღველი გულში
ჩაკვეთილი.

ვტიროდი დღითაც და ღამითაც
ვტიროდი,
და ცრემლს მიმშრალებდა ის
ფრთების გრილოთი;
დღედაღამ ვტიროდი, ვტიროდი
მარადის
და ანგელოსისგან სიხარულს
ვფარავდი.

მფარველმა აკეცა ფრთები და
გარდმიქრა,
და მაშინ იფეთქა ციისკარმა
ვარდისფრად;
მე ცრემლი შევიშრე და შიში
ურგები
შევჭურვე ათასი ფარით და
შუბებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნდა, მოვიდა მფარველი
შორიდან,
შეჭურვილ ვიყავი, ამაოდ მოვიდა:
იყო სიჭაბუკე უკვალოდ გამქრალი
და თავზე გულდაგულ მათოვდა
ზამთარი.

●

ვნახე საყდარი ოქროსი,
შიგ შესვლა ვერვინ გაბედა,
გარეთ იდგნენ და ცრემლს
ღვრიდნენ,
თაყვანსა სცემდნენ გარედან.

კართან მიხოხდა ასპიტი,
თეთრ სვეტზე შემოეგლისა,
ანგელრია ოქროს ანგელამ,
კარი მოგლიჯა ეკვდრისა;

ლალ-მარგალიტით მოჭედილ
იატაკს ცოცვით ასცილდა,
აცურდა საკურთხეველზე
აყელყელავდა ბარძიმთან

და შხამი გადაარწყია,..
სიწმინდის მადლი მორეცხა;
მე საღორისკენ წავედი, —
ვარჩიე ყოფნა ღორებთან.

●

სიხარულს ხარბად ვინც ეტანება
მზის ქვეშ ვერ ჰპოვოს მან
ნეტარება;
მას, ვინც გაფრენილ სიხარულს
ჰკოცნის,
მარადისობის მზე უნთებს კოცონს.

●

რამეთუ სიმდიდრენი ამა ქვეყნისანი
მეფეთა ჯილდო და ეშმაკის ძღვენია,
ღმერთს რომ მადლს ვწირავდი საუნჯის ფლობისთვის,
თაყვანს ეშმას ვცემდი, თურმე და... მრცხვენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალფ ელისონი

ის ყველგანაა, ყველაფერია

მოთხრობა

**რა უცნაური ქვეყანაა! ვერ გამიგია, რა იყო უფრო საშარცხვინო და ალმაშფოთებელი — კადილაკის დაწვა სენატორის სახლის წინ ლაშაზ კორდზე, გააფორეტეული სიტყვა, ეცესლის წამკიდებელმა რომ წარმოთქვა იმ დროს, როდესაც საუცხოო მანქანა ალმოდებული იწვოდა, თუ ბრბოს ისტერიული რეაქცია მსხვერპლის გამო. ერთი რამ კი ვიცი — არც სურვილი და არც უნარი გამაჩნია, ეს ინციდენტი რომ მონსენიორ ვანეკს ავუხსნა. ან შეეძლებ კი ინის ახსნას, რისი გაგებაც მეეე მიგირს? ჯანდაბას ცნობისმოყვარე ფრანგი! ყოველივე ამაში ბარბდაა რაღაც მოულოდნელი და ჭკოსური, გარდა ამისა, არ მინდა შემაცყოს, რომ დავიბენი, როდესაც ჩემს ქვეყანაში ასეთ მოვლენას პირისპირ შევხვდი. ეს პირადი, პროფესიული და ეროვნული ღირსების საკმეი. აქ კიდევ ეს მონსენიორი ვანეკი, ყოველი მოვლენის ზუსტად განსაზღვრა რომ სურს. მისთვის სულ ერთია, სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული სფეროს განეკუთვნება მოვლენა, მუდამ ცდილობს დაიყვანოს იგი ფორმულამდე, რთულ ფორმულებამდე, ქაღალდზე რომ ჩამწკრივდებიან და მკაფიოდ აღიბეჭდებიან პრესპაპიერ მაგარი, ლუსი ზედაპირის ცენტრში. როგორ შეიძლება მას ავუხსნა მანქანის დაწვა ისე, როგორც პრესან? ეს ამბავი საზოგადოებას ამცნო? ანდა როგორ შეიძლება ავუხსნა, რატომ დაიყვანეს ეს ფაქტი გაზეთებსა უმნიშვნელო ამბამდე და მოკლედ აღნიშნეს, რომ რომელიღაც გადარეულმა ჯაზისტმა დაწვა თავისი საუცხოო მანქანა სენატორის კორდზე, ხოლო მის მიერ წარმოთქმულ სიტყვასა და ბრბოს რეაქციაზე სულ არაფერი უთქვამთ? უნდა ვაღიარო ჩემდა სამარცხვინოდ, იძულებულია ვიქნებოდი მეთქვა ფრანგისთვის, რომ ჩვენ, ეუროპალისტებმა, პრესის მსახურებმა, შეუღამაზებელი ინფორმაციისთვის მებრძოლებმა, ფაქტის მაუწყებლებმა, რომლებიც მოვითხოვთ, რომ ახალი ამბები ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს, თვითონ მივჩქმალეთ ეს შემთხვევა და უმნიშვნელო ინციდენტამდე დავიყვანეთ არა რედაქტორის მოთხოვნით, არამედ რაღაც ინსტინქტის კარნახით. ან თუ არ მივჩქმალეთ, შევეცადეთ მაინც მიგვეჩქმალა. მაგრამ რამდენიც არ ვეცადეთ, ამ შემთხვევამ ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მაინც მოახდინა და ახლაც გვახსოვს. მასზე მითქმა-მოთქმა სულ უფრო და უფრო ვრცელდება და თითქმის ყველგან აღწევს — კერძო სახლებში, საუბრებში და ჩვენს ფარულ ფიქრებშიც; ხმა ვრცელდება, ფორმას იცვლის, მიიწევს უფრო შორს და, რაც უარესია, ღრმად იჭრება მეხსიერებაში, მუდმივად გვახსენებს თავს, მოუხდავად ჩვენი ცდებისა, არ ვიფიქროთ მასზე. ჩვენ კი, ეუურნალისტები, არ დაგავიწყდეთ, ბევრის მნახველნი ვართ.

ახა მომისმენეთ: იმ საღამოს რამდენიმე კაცი შევიკარით ვახშმად და სალაპარაკოდ. ასეთი შეხვედრა კვირაში ერთხელ ჩვეულებად გვაქვს. ხან ერთმანეთს ინფორმაციას ვუზიარებთ, ხან ვმსჯელობთ იმ ახალ ამბებზე, რომელთა გამოქვეყნება არ მიგვაჩნია ხელსაყრელად. ხან, როგორც ამჟამად, ვიროთობით საუბრით რომელიმე ცნობილი პიროვნების ან რაიმე შემთხვევის გარშემო, ჩვენს რეპორტაჟებში მწრალად და სათანადო ფორმალობით რომ ავსახავთ.

იმ საღამოს მხიარულ გუნებაზე ვიყავით, დაწაწყობაში მაინც ასე ჩანდა. გვაბარებდა, რომ სენატორის მიერ გაღიზიანებულ ხართაგან ერთმა მაინც უკმაუბა ჩქენთან, თუმცა ძვირად კი დაუჯდა. მაგრამ ჩვენს ხუმრობაში რაღაც ბუნდოვანი ღელვა გამოსჭვიოდა. ამის მიზეზი გადარეული ჯაზისტი იყო. მართლაც, ამ ჯაზეკის გარდა, აღელვების მიზეზი სხვა არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო. რისგან უნდა წარმომდგარიყო ეს შინაგანი მოუსვენრობა, როდესაც ახე მუუდრიდ ვიყავით მოკალათებული კლუბის გარეშიდან ფარულ დარბაზში, სადაც ვერცხელი და ბროლი ელვარებდა, ძვირფასი ხე ბზინავდა, ჭიქებში ყინულის ნატეხები სახიამოვნად წკარუნობდნენ და უდარეული საუბრით თავს ვირთობდით. დარბაზის კედლებზე ნაცნობი სურათებია: მომჩიბველელი უშუალობით სავსე სურათები ამერიკელი პიონერების ცხოვრებიდან: დიდი ტყეების ნაკაფებზე, პორტრეტები კლუ-

ბის ღირსეული დამაარსებლებისა. ეს ყველაფერი ხელს უწყობს საკუთარ თავში რწმენის განმტკიცებას. თვით სემიც კი, ჩვენი გულჩათხრობილი, კარგა ხნის ნაცნობი ზანგი ოფიციანტი, თითქოს ამ ჩვეულო რიტუალის ნაწილს წარმოადგენს. და თუ ვერ იტყვი, რომ კლუბი გადასარევი ადგილია, აქ სიმეუფლრივი ხომ მაინც არის; სასმელი და საკმეველი საუცხოოა, ხოლო ყოველთვის ბუნებრივი და დამამშვიდებელი ატმოსფერო ცივილიზაციის საუკეთესო მონაპოვართა მონაწილედ გზდის.

მაგრამ იმ საღამოს ყოველ ჩვენგანს რაღაც უცნაური გრძნობა დაეფლებოდა და მას შემდეგ, რაც ნასადილეს სემის შავმა ხელებმა მერიერეტ ჩამოტარა სასმელები, დაიწყო საფერფლეები და ბაუჩინარდა, ვიგინზმა, ეკონომიკური მეცნიერების მეცოლემ, პირველმა ახსნა ჩვენი ფარული მოუხვენრობის მიზეზი.

— რა აზრისა ხართ ბოხმარების ახლად მოგონილ ბერზზე? — იკითხა მან, და მაშინ მოულოდნელად ყველაფერი კომიკური ხასიათ წარმოგვიდგა. ყველას ხმამაღლა გაგვეცინა, მაგრამ უფრო ჩვენივე თავზე. ვიდრე მის სიტყვებზე; გაგვეცინა იმ დასკვნაზე, ყოველი ჩვენგანის ღრმად ჩამალული ფიქრებიდან უეცრად რომ ამოსკიტებედა.

— ცირკი იყო, — თქვა ტოპსონმა, — ნამდვილი ცირკი.

— ნეტავ საიდან გაჩნდა ეს ბიჭი? — იკითხა ვილსონმა.

— ჩატანუგიდან, გრიგალივით მოვარდა ჯეფ დევისის ზოსიდან, — განმარტა ტოპსონმა. — ხომ გაგიგე, თვითონვე თქვა.

— მე არ დავსწრებივარ, — იუარა ვიგინზმა, — მაგრამ როცა ამის თაობაზე ლაპარაკი ჩამოვარდა, გავიფიქრე: ტორსტეინ ვებლენ[1], შენი თეორია ითმაგად მართლდება.

„თუ მეტად არა", — გავიფიქრე მე, — ვიგინზ, შენ ყოველთვის ამბობდი, რომ ვებლენი კომედიანტია ეკონომიკაშია. ახლა კი ჩემთვის გასაგები ხდება.

— სწორია! ის იყო სატირიკოსი, იუმორისტი ეკონომიკურ თეორიაში, — თქვა ვიგინზმა, — და ამის დასამტკიცებლად ის შავკანიანი ბიჭიც ცარიელი, ვებლენის წიგნების ილუსტრაციად რომ გადაიქცა.

— დოქტორი ვებლენი სიხარულისაგან გაგიჟდებოდა, — თქვა ლარკინმა.

— გინახავთ კაცი, თავები ხელით საკაროდ რომ წვავდეს საკუთარ მანქანას? იგი ისეთივე დამთხვეულია, როგორც დედური ოკლახომელი ინდიელები, რომელთაც სახანძრო ფურგონი ან ახალი კატაფალკი ლიმუზინს ურჩევნიათ, — თქვა ვიგინზმა.

— ჰო, — დაეთანხმა ტომპსონი, — მაგრამ ის სულ სხვა ამბავია. ეს ბიჭი კი ნამდვილად თავის ბეკუაზე არ იყო.

— ეგ სენატორს ჰკითხეთ, — დახმინა ვილსონმა, — დარწმუნებული ვარ, თუ ადამიანის სულში არის რაიმე სასტიკი და ბოროტი, სენატორს ოსტატურად შეუძლია ამის გამოაშკარავება.

— საინტერესოა, როგორ მოიქცეოდან დამზღვევი კომპანიები, — თქვა ლარკინმა. — ალბათ გაცოფდებიან.

— თავი მომეკვრინ, თუ ახლა ისინი ხელახლა არ წერდნენ სადაზღვევო პოლისებს.

— მაგრამ სენატორზე მეტად არავინ იქნება გაცოფებული. ალბათ ახლა თავს იტეხს, როგორ შეცვალოს კანონი.

— შეიძლება მისი გამტყუნება მას შემდეგ, რაც ამ ბიჭმა სცადა მშრალზე დაცხვა?

— ჰოო, წარმოიდგინეთ, — წამოიძახა მაკგაუნმა, — მოხუცი სენატორი ხორცს წვავს თავისი სტუმრებისათვის, და უცეცხ საიდანღაც ეს შავდრუნჭა ჩნდება ცეცხლის შესაკეთებლად.

— ვინ იცის ზუსტად, როგორ მიიღო ეს ამბავი სენატორმა, — დავუმატე მე. — იქნებ ახლა თავის კაბინეტში ზის და გიეივით ხარხარებს.

— იმდენი ხალხი წამოადგა ანკესზე, რომ არც უნდა გაუკვირდეს, ერთ-ერთმანი თუ უკანაა.

— სენატორი კარგი მსახიობია, — ვთქვი მე, — ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი ალელვებს.

— სკელკანიანი არამზადაა, — დამეთანხმა ლარკინი. — სკელკანიანი არამზადაა და თან მასხარა.

— მაგრამ იმ ბიჭმა აჯობა მასხარობაში. მაინც საით მიდის ეს ჭკვიანა? შეერთებული შტატების სენატორი თავს უფლებას აძლევს კონგრესის ტრიბუნიდან შეიტანოს წინადადება, რომ კადილაკის სახელწოდება შეიცვალოს „ზანგების ლანდოთი" მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე მრავალ ზანგს აქვს კადილაკი. წარმოგიდგენიათ?! და თითქოს ეს არ კმარა, ამაზე ჯერ მარტო ლაპარაკია, და უკვე ვიღაცა ზანგს მიმკავს ძვირფასი კადილაკი და საპასუხოდ სენატორის სახლის წინ ცეცხლს უკიდებს! მაინც საით მივდივართ? სენატორი მასხარაა, ზანგიც მასხარაა. ეს მასხარების ჭკვიანაა. ეი, საით მივდივართ, უფრო სწორად, მივედით. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მასხარათა შეერთებულ შტატებში!

— არც ახეა საქმე, არავითარი მასხრობა არ ყოფილა. მე ვგულისხმობ მანქანას. ის ბიჭი სულაც არ მასხრობდა. პირიქით, ძალიან სერიოზულად იქცეოდა.

— იცით, ყველაზე უფრო რამ გამაკვირვა? — თქვა ვილსონმა. — იმან, რომ ეს ბიჭიც, კი

[1] ტორსტეინ ვებლენი (1857-1929) —ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი (თ. ც.).

მზად იყო პასუხის გასაცემად. მან ალბათ გადაწყვიტა ყველფერი ეღონა, რათა სენატორისათვის სამაგიერო გადაეხადა, და ყველა მის მიერ მოგონილი ზერხნიან სწორედ ეს აირჩია. — სენატორის ალგალის რომ ეკუოფილიყავი, ამაზე დავფიქრდებოდი.

— რა გაკვთ მხედველობაში?

— მხედველობაში ისა მაქვს, რომ სხვამ შეიძლება სხვაგვარად გადაწყვიტოს მასთან მოლაპარაკება. სამართლე რომ ვთქვა, მაკარს, სენატორმა დღემდე როგორ არ მიიყვანა ვინმე ამ ზომამდე.

ვილსონს ხმა ჩაუწყდა. ფიქრებში წავიდა. ამ დროს უეცარმა, ჯერ ჩამოუყალიბებელმა აზრმა გამოიელვა. ვილსონმა თვალი მოაცალა მაგიდას, წარბი შეკრა.

— ახა, მითხარით, — იკითხა მან: — პოლიტიკიერი მკვლელი-ზანგი გვყოფია როდისმე?

განცვიფრებისაგან პირდაღებული ვუყურებდი. მეჩვენებოდა, რომ ვიღაცამ გამოუთქმელი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ჩემი აზრი მიიწოდა მას. ხუთწუთი შემეკრა. გავიხადე. ვილსონის უკან ოთახის მოპირდაპირე კუთხეში ვხედავდი გულზე ხელდაკრეფილ სემს. იქვე მაგიდაზე იდგა რამდენიმე ხური ყინულოვანი წყლითა და დიდი თეთრი ფიალა ცივი კაოკაის რომბეთით. სემი კარისკენ იყურებოდა. მაგიდაზე შორის მოხდენილად მიდიოდა ქალიშვილი. თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილს, წითური თმა მხრებზე ხვეულად ეფინა, ხელში დიდი ლურჯი ჩანთა ეჭირა.[1] მე გავიფიქრე: ვაუმარჯოს კოლუმბიას! ღმერთმა ხელი მოუმართოს!.. უცებ მოესმა ტომპსონის ხმა.

— შენ გინდა თქვა, შეერთებულ შტატებში?

— ჰო, — თქვა ვილსონმა. — გვაკვდა თუ არა?

— რაში მოგადოქრდა? — კკითხე მე.

— ვერ გეტყვი, უცებ მომივიდა აზრად, მაგრამ დღევანდელის შემდეგ დროა კაცმა ამგვარ ამბებზე იფიქროს.

მაკგიუნმა ხელი თითები ერთმანეთს გადაკვდო და ჭიქაზე ჩამოაცურა.

— ვილსონი ფიქრობს, ჯენტლმენებო, რომ კადილაკის დამწყვილ შავდრუნჩას შეუძლია ამაზე უარესიც მოიმოქმედოს. ასეთი შავდრუნჩა ამერიკულ ფუფლაც დაწვავს.

ჩვენ გაგვიღიმა. როცა მაკგიუნი ზანგებზე იწყებდა ლაპარაკს, ყოველთვის ცნობისმოყვარეობით ვუსმენდით, მაგრამ აჩკერად გვერჩივნენ, რომ იგი სამხრეთელი არ ყოფილიყო. მაკგიუნი მუდამ ზანგებზე ფიქრით იყო შეპყრობილი. ყოველთვის ლაპარაკობდა მათ ქცევაზე. რომელიც, მისი აზრით, მიუღებელი იყო კარგად ორგანიზებულ საზოგადოებაში. ახლა, როდესაც ვიგრძენი, რომ იგი ზანგების ხასიათსა და ნაკლოვანებებზე, საუბრისთვის იყო გაწბერნილი, გამეხარდა. ალბა სემი მოშორებით იდგა. მაკგიუნმა მოსცა ღვინო, ამოიოხრა და გაიღიმა.

— გეთანხმებით, ვილსონ, ეს თავისთავად გამომდინარეობს შავდრუნჩათა ჩვეულებებიდან. ტვინის დიდი ქსელები არ დაკმაყოფილა იმის გაგებაზედ, თუ რატომ ჩაიდნა ეს შავდრუნჩამ: იგი გიედებოდა, ჭკუა ღალატობდა, იმ წუთას ხეზე იჯდა და კაკალს ისროდა თავისი უახლოესი წინაპრებისთვის.

ვილსონი ისევ იმმუხნებოდა და რატომღაც მაგონებდა კაცს, რომელიც თავს ძალას ატანს, რათა მძიმე სიზმარი გაიხსენოს. მაკგიუნის იუმორიც ჩემთვის გაუგებარი იყო.

— სრულიად სერიოზულად გეკითხებით, — განაგრძო ვილსონმა: — ყოფილა ჩვენთან როდისმე ზანგი პოლიტიკური მკვლელი?

— ამაზეც მიფიქრია, — თქვა ლარკინმა. — იყვნენ მაკ კინლი, რუზველტი, სერმაკი, ჰიუ ლონგი... მაგრამ ამათში ზანგი არც ერთი არ ყოფილა.

— ზანგი პოლიტიკური მკვლელი! თქვენ ხომ არ დათვერით უკვე? — იკითხა მაკგიუნმა.

— ალბათ, რამდენიმე ოფნიშვნელო პოლიტიკური მკვლელობა იყო კიდევაც, — თქვა ტომპსონმა. — შესაძლებელია, დროადგრო პატარა-პატარა ქალაქებში პოლიტიკურ ფიგურას კლავდნენ კიდევაც. ანდა, გახსოვთ ის ლუზიანელი ტიპი, შეცდომით ზანგის საწოლში რომ აღმოჩნდა და თავი მოაკლეეინა? მაგრამ ეს პოლიტიკურ მკვლელობად არ ჩაითვლება. ბუნებრივია, მეც მივაბერტეი ნაძირალას.

— თქვენ გეკითხებთ, მთვრალები ხომ არა ხართ ყველანი? — გაიმეორა მაკგიუნმა.

— თუ კარგად დაუფიქრდები, — განაგრძო ტომპსონმა — გაუგებარია, როდის ფიქრობენ ისინი ამნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე. სამხრეთში ხომ ჯერ კიდევ ყველას არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. აქ კი, ჩრდილოეთში, იმდენად ცოტანი მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომ გაგიკვირდება იმის მიზეზიდან, თუ რა შეიძლება უტრიალებდეთ თავში. ჩვენ მათ ცუდად ვიცნობთ, მიუხედავად ჩვენი მდიდარი სტატისტიკისა. ზანგებს არასაკმარისად აქვთ განვითარებული სოციალური ფორმები, რომელთა საშუალებით ჩვენ მათ უკეთესად გავიცნობდით.

— ფორმები? — თქვა მაკგიუნმა. — რა ფორმები უნდა ჰქონდეს ბამბის მკრეფავ შავდრუნჩას? თქვენ, იანკეს, რატომ არ ეგსმით, რომ ყველფერი, რასაც კეთებს შავდრუნჩა, — პოლიტიკაა? ძალიან მაკვირვებ, ტომპსონ. სამხრეთში დიბადე და გიზარდე, სამხრეთელს კი ეკვლება ხამი რამ იცოდეს — ისტორია, პოლიტიკა და შავდრუნჩები. განსაკუთრებით კი შავდრუნჩების პოლიტიკურ საქმიანობაში ერკვეოდეს.

[1] თეთრი, წითელი და ლურჯი ფერები იწყვევენ ვეტერნში ასოციაციას აშშ-ის დროშასთან (თ. ც.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაკგაუნ, გაჩუმდი, — თქვა ტომპსონმა. — მე სავსებით სერიოზულად ვლაპარაკობ.

— არა, სერ, უკიცრავად, — გაიწუეტინა მაკგაუნმა. — მე ვარ სერიოზული, თქვენ კი ენაგრძელი იანქები ხართ. ჭინტლმენებო, ერთი წუთით მომაპაპარით ყურადღება? — მოგაპარით ყურადღება? — გაიკვრცა ვილკინზმა.

— ეშმაკმა წაგიღოს, მადალფარდოვნების გარეშე ლაპარაკი არ შეგიძლია? მიდი, დაიწყე!

— ულრმესი მადლობა, ჭინტლმენებო. გადაეწუვიტე ავიხსნით ერთხელ და სამუდამოდ ის, რომ უველაფერი, რასაც შავდრუნჩა აკეთებს, — პოლიტიკაა. არ მინდოდა ასე ადრე მელაპარაკა ესოდენ გამომაფხიზლებელ საგანზე, მაგრამ ზოგიერთი ჩვენგანი ისე სამარცხვინოდ ნაადრევად თვრება...

— შენ უველაფერს გულისხმობ, არა? — იკითხა ვილკინზმა.

— უველაფერს ვგულისხმობ, — თქვა მაკგაუნმა, — და განსაკუთრებით კი ისეთ ამბებს, თქვენს, იანქები, გვერდს რომ უკლია, ვითომდა უმნიშვნელო რამე იყოს... დავიწყოთ თუნდაც ამით. მომიმხმინეთ: თუ სალამითი წაიწყდებით შავდრუნჩას ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მოულოდნელია მისი ნახვა — ეს პოლიტიკაა, რადგან მან კარგად იცის, რომ ამ მიხი ადგილი არაა. თუ იგი შეეჯახება თეთრკანიანს ქვაფენილზე ან კიბეზე — ესეც პოლიტიკაა, რადგან შავდრუნჩები, როგორც ეი ერთად მოიყრიან თავს, უმალ თეთრკანიანების წინააღმდეგ ან „შეჯახებათა კამპანიებში" მართავენ. ცდილობენ ჩამოგადგნენ ქვაფენილიდან და ნეკენები ჩაგიმტვრიონ, თითქოს შემთხვევით. მერე კი გებოდიშებიან. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ესეც პოლიტიკაა.

თვალი ადევნეთ შავდრუნჩას პირისახეს. თუ მან თვალები გადმოკარკლა, ტუჩები გამოაზიკა და ცდილობს თავი არისტოკრატად მოგაჩვენოთ, თვალს ნუ მოაცილებთ! თუ ლაპარაკობს ჩრდილოეთში ზასვლაზე — ესეც პოლიტიკაა, რადგან დანამდვილებით ვიცით, რომ შავდრუნჩები ჩრდილოეთისკენ მიისწრაფვიან, რათა განაბორციელონ თავიანთი ძველი გეგმები და ხელში ჩაიგდონ შეერთებული შტატების მთავრობა. თუ შავდრუნჩა ხმამაღლა ლაპარაკობს ჯუჩაზე ან საუბრის დროს გეუბნებათ, რომ განზრახულია აქვს თავისი ლაწირაკი ჩრდილოეთის კოლეჯში გაგზავნოს ან სუფრა ტრაქტორი იყიდოს — ესეც პოლიტიკაა. განსაკუთრებით თვალი ადევნეთ შავდრუნჩას, რომელსაც ბულდოზერის ყიდვა უნდა. ეს სახიფათო პოლიტიკური მოქმედებაა. ასეთი შავდრუნჩის სამხრეთის ტრადიციების აღმოფხვრას ცდილობს — სურს რიგრიგობით ან უველა ერთად დაასამაროს. ის უარესია სამოკლაჟო ომისდროინდელ მოხეტიალე ავანტიურისტების მოელ ბრბოზე და იმ შვიდ შიმშილიან წელზე, როდესაც ცხენრაძელებმა ბამბის მოელი მოსავალი მოსტეს. ოფიციანტო! — დაუძახა მან სუმს, — კიდევ თითო ჭიქა! — მერე ჩვენ მოგვიბრუნდა: — ნამდვილად გამოთაყვანდები, როცა ცდილობ რამდენიმე იანკის განათლებას.

ვხედავდი, სუმი გვიახლოვდებოდა. და მოიუვნერობა ვიგრძენი, რომ ანე ადგზენბუელს, მაკგაუნს მისთვის არაფერი უწესებინებინა. ბოლოს და ბოლოს, ოცდათაითან წლებში ვისწავლე ამ ხალხის მგრძნობიარობისთვის ანგარიშის გაწევა და სტერეოტიპებისა და კლიშეებისათვის გვერდის აქცევა. ჩვენში პაპარა ეროვნებების მიმართ რომ ზზარობენი ხოლმე. რა საჭიროა უბედურებს დასცინო, მათი თანდასწრებით მაინც. სუმი, შეიძლება, ხვდებოდა კიდევ, რაზე ლაპარაკობდით, მაგრამ სახეზე არაფერი ემჩნეოდა.

— როგორაა საქმეები, სუმ? — ჰკითხა მაკგაუნმა.

— მშვენივრად, მისტერ მაკგაუნ, — უპასუხა სუმმა, მაგრამ შეათვალიერა და დაუშატა: — ინებებთ რაიმეს, ჭინტლმენებო?

სუმმა შეკვეთა მიიღო და დაგვტოვა.

— კიდევ ერთი რამ, — განაგრძო მაკგაუნმა. — თუ თვალს მოჰკრავთ შავდრუნჩას, სანოვაგეს ან ტანისამოსს რომ ყიდულობს იქ, სადაც მას შესვლა ეკრძალება, ან, კიდევ უარესი, თუ იგი სავაჭროდ სხვა ქალაქში მიემგზავრება — იცოდეთ, ეს შავდრუნჩების პოლიტიკაა ეკონომიკის ნიღბის ქვეშ დამალული. ეს ისეთი რაგაა, რასაც თქვენ, ვიგინჭ, უნდა დაუფიქრდეთ.

თუ შავდრუნჩას თოფი ან რეკოლვერი აქვს, ესეც პოლიტიკაა. თუ აკიწყდება თეთრკანიანს ბატონობით მიმართოს, თუ თეთრკანიანის ლექსიკოს ხმარობს, მაჭანაზ ძალიან ნელა ან ძალიან ჩქარა დაჰყავს, ან თუ ვხედავთ მას თვალებგადმოკარკლულს უცხოურ მანქანაში — უველაფერი ეს პოლიტიკური მნიშვნელობისაა, და ეს არასოდეს არ უნდა დაივიწყოთ.

მაკგაუნი გაჩუმდა. სუმმა, ხელში სინზე დაწყობილი ჭიქებით ოთახი გადმოიარა, ჭიქები მაგიდაზე დადგა და გაკრა.

— რაღას უცდი, განაგრძე, მიდი, გაგვანათლე. — თქვა ტომპსონმა, — მერე კი მართლა სერიოზულად ვიმსჯელოთ.

მაკგაუნს თვალები წამოენთო.

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ თუ გგონია, რომ ყოველივე ამას მნიშვნელოობა არა აქვს, შეიცნობენ ისტორია, განვაგრძობ: თუ შავდრუნჩა თავისი დედაკაცისათვის სარეცხის მაჭანაზს ყიდულობს, უყურადღებოდ ნუ დატოვებ, ის უკვე საშიშია! ხოლო თუ იგი ყიდულობს სარეცხის საშრობსა და ჯუჯულის სარეცხ მაჭანაზს, უნდა ციხეში ჩავსვათ ამერიკული ცხოვრების ტრადიციების დარღვევისათვის. იცინით, თუ გსურთ, მაგრამ ასეთი

ამბები პოლიტიკაა და სხვა არაფერი. ხარეცნი მანქანის მჭიდე შავდრუნჭა დედაკაცზე უფრო მეტად პოლიტიკური აშკეკუნდა ცოტა ვინმე თუ იქნება. ნუ იცინით ამაზე, იანკენო, უნდა ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ტექნიკური რევოლუცია რევოლუციური იყო, და თუ ეს არ იცით, შავდრუნჭამ კარგად იცის და ყოველთვის ცდილობს იფიქროს, თუ როგორ გახადოს ის კიდევ უფრო რევოლუციური. და ადევნეთ თვალყური ზანგებს, ვისაც სახლში ორი ტელევიზორი აქვს, რადგან ეს მათ პატივმოყვარეობას ზრდის და სწრაფად მიმაყვის ისინი პოლიტიკისაკენ.

თუ საშუალებას აძლევთ შავდრუნჭას დიდხანს უყუროს, როგორ კლავენ ინდიელები თეთრკანიანებს, ეს გაიცინებთ უფრო საშინაოა. ამით იგი გაფუქდება და ცოტა ხანში იმის მოსწრეკი გახდებით, თუ როგორ შეიტყობს იგი ნელ-ნელა ყველა ჯურის ნერგების, ნასერგებისა და მაუმაუების შესახებ, რაც სრულებით არაა პოლიტიკურად სასურველი. მაშინ უკვე ომას აღარ ეკნება მნიშვნელობა, რომ ინდიელები ყოველთვის მარცხდებიან, რადგან შავდრუნჭას გულის სიღრმეში თავის საბოლოო გამარჯვებისა სჯერა. ბოლოს და ბოლოს, შავდრუნჭაც [illegible] ინდ სამხრეთელია.

და კიდევ ერთ რას გეტყვით: თუ ზანგი დედაკაცები თავის ბავშვიანი კულულებს წნილად იღებავენ, შეიძლება სახაცილოდ მოგეჩვენონთ, მე კი ვიცი, რომ ასეთი შავდრუნჭები აშკარად პოლიტიკურები არიან. ბოლო, მერე მხრივ, თუ შეწყვეტენ ომის გაგრძრობას, როგორც ამას ძველი სამხრეთელი ტრადიციით აკეთებენ აკამდე. შეიჭრიან მოკლედ ან გაშლილად ატარებენ, როგორც ოფიციალი დედაკაცები. აქ უკვე თქვენ წინ ადგიდოსტრიკი წარმოშობის ბავკანიანთა ბრბო წარმოგიდგებათ, რომლებიც განუკურნებელი სენით არიან დაავადებულნი. ამ შავდრუნჭათა ფორტებიდან პოლიტიკა მოეთრგაზე. აქ უკვე ედგარ გუფეის გარეშეა ვერაფერს გახდებით.

განსაკუთრებით თვალი ადევნეთ, რომელ ბაღშეიტს კითხულობს შავდრუნჭა. თუ იგი „ეუოლსტრატის ჟურნალს" ან „ნიუ-იორკ ტაიმსს" იწერს, დაკაცერდით, ინტერესებს თუ არა მას ბირეული ხაკმეები, რადგან ასეთი შავდრუნჭა ძალაუფლებისაკენ ისწრაფვის და მალე არჩევნებზე ბმის მიცემაც მოუნდება და კიდევ უფრო მეტიც — ოფიციალური თანამდებობის ხელშეი ჩაგდებაც.

— გახაგებია, — თქვა ვიგინზმა, — ყველაზე მეტად ეს გიწვავს კუჭს. ხომ მართალი ვარ?

მაკგაუნმა თავი გაკრნა.

— არა, ვერ ვიტყვი... თუმცა გეთანხმები, რომ ორ შავდრუნჭადან — ფულისმკეთებლისა და არჩევნებში მონაწილედან — უკანასკნელმა უფრო დიდი უხეფურება შეიძლება მოიტანოს. შავდრუნჭა მილიონერი — თუ ამ აზრს შეეგებუნით — ხაკმაოდ უსაზენელია. თუ ჯერ კიდევ ძალაშია ძველი ანდაზა, რომ არაფერი მილიონერის ფულებზე უფრო ბხდელი, ზეადელებზ ითქვას, რომ შავდრუნჭა მილიონერის ფული ითასჯერ უფრო ბხდელია და მოკრძალებული. ამიტომ ეს ზეგეზინდეთ შავდრუნჭა მილიონერისა: ეს ჩვეულებრივი შავდრუნჭაა, ვისაც უფრო მეტი ფული აქვს, ვიდრე მისი მობმარების უნარი. თუ გაგიგიათ რიდესმე, ასეთ ტიას რომელიმე კოლეჯის ან ბიბლიოთეკის მშენებლობა დაიფინანსებინა? ან სამეცნიერო ლაბორატორია დაეფუძნებინოს? როგორ არა!

— მოხარული ვარ, რომ ზანგებში რაღაც მაინც ყოფილა არაპოლიტიკური, — თქვა ტომსონმა.

— არის, მაგრამ ძალიან ცოტა, — მიუგო მაკგაუნმა, — რადგან შავდრუნჭა თავით ფეზამდე პოლიტიკური ცხოველია. იგი ფერიკედან ასული მოვიდა. ის ისე ცოცხლობს პოლიტიკით, როგორც თახვი ტალახიდან შეთითხნილი თავზეშესაფრის შენებით. ამიტომ თვალი ადევნეთ ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება. თუ თქვენ შეიჭრიენთ, რომ მისი დედაკაცი კიდლებზე რაღაც ხურათებს აკრავს — ასი უფრო გამოიბით, აქედან იგი ადვილად შეიძლება გადაგიდეს პოლიტიკაზე.

თუ შავდრუნჭა წეკრია ან რამენაირად ხაგამოცემლო ხაქმეხთანაა დაკავშირებული, მისი წარმოსული და აწმყო უნდა გამოიკითხოთ, რადგან, რიდესაც შავდრუნჭა ამგვარი ხაქმეებით ინტერესდება, ეს ხაქმეები უფრო მეტად პოლიტიკური ხდება, ვიდრე „ალბომელი" და „ეუოენისტური მანიფესტი" ერთად ალებული. დრო იყო, ბიბლია თვალებოდა ერთადერთ წიგნად. რომლის წაკითხვაც შავდრუნჭას არ ეკრძალებოდა, მაგრამ თავი მომეჩერით, თუ შავდრუნჭამ ისიც პოლიტიკურ ლიტერატურად ჯერ ალაბაქეთ.

ასე რომ, ეეეეეერებით, თვალს ნუ მოაშორებთ იმ თქვენ ბანაალებულ შავდრუნჭას. თუ იგი შეკსპირს კითხულობს, ეს არაფერია, რადგან არც ერთ შავდრუნჭას არაფერი გაეგება პიესიისა — როგორც იმ ვეეეს ბატკ. ოტელოს, იმდენად ხულელს, რომ რიდესაც მის ხაწყალ, ხაყვარელ, პატარა, ნაზ დეზდემონას უადგილო ალაგან დაუვარდა ცხვრისბოლიი და შეატყობინებს, იქვე გადაწყვეტა თავისი შავდრუნჭა თავით, რომ დეზდემონამ ვიღაცას ნება დართო ხელი მოეთათუნებინა მისთვის. ამის შემდეგ შტერმა ის ნაძირალას, იაგოელს, რა ჯრიმა დამაგიწეკ მისი ხაწყალი, საშუალება მისცა ხაბოლოოდ აერია მისთვის გონება და ისე მოეშალა, რომ გაშმაგებულმა დაახრჩო ხაწყალი დეზდემონა. არა, ბატონებო, შეკსპირი შავდრუნჭების ხაკბილო არაა. მაგრამ თუ თქვენ დაინახეთ, რომ ის იმ უბადრუკი, შავდრუნჭებზე შეეკვრებული ეული ფოლკნერის წიგნებს კითხულობს, ხო შეიაჩნიეთ, რომ ეს წი-

ნენები ნამდვილად მოსწონს, აი აქ თქვენს წინაშე უკვე პოლიტიკურად საშიში, ინტეგრაციისაკენ მსჯელობი შავდრუნჩია.

— „შეიძლებიენ, რომ ეს წიგნები ნამდვილად მოსწონს", — რატომ უსვამ ამას კითხვითრეფლექსიებს? — აკითხა ტოპსენინმა.

— ახლი კითხვა ზეიფლები ინკოს ანატკონ, მაგრამ არა შენ, რადგან მშვენივრად იცი, რომ საწყო შავდრუნჩა თავხედდება და უტიფარი ხდება ამ ფოლკნერის კითხვით და ჩვენი ტრადიციებისათვის უფრო საშიშია, ვიდრე ბულდოზერი...

მაგრამ მოდი სხვა მხრიდან შევხედოთ საკითხს. თქვენ აუცილებლად უნდა უთავლოთ ალალ, რას ბაბს შავდრუნჩა, რადგან ძველთაგანვე ცნობილია, რომ ზოგიერთი საშმელი პოლიტიკურად საშიშად ითვლება, ზოგი კი — არა. დიდი ხანია დადგენილია, რომ შავდრუნჩა, როგორც კი ჩვეულებრივი დიეტის დარღვევას იწყებს, მოუსვენარი და უკმაყოფილო ხდება. ამიტომ თვალი გვქონოთ იმაზე, თუ რას ბაბს შავდრუნჩა. მსუქანი ხორცი, მწადი, ცერცი, მუუუი, საკოლნის შიგნეული, საზამთარო, მაწონი, კისრის მალები, მუზუდო, ლობიო, მსხვილად დაფქვილი სიმინდის ფაფა — უველაფერი ეს შავდრუნჩისათვის ტრადიციული და ჯანსაღი საშმელია და ჩვეულებრივ, მე ბაზს ვუსვამ, ჩვეულებრივ პოლიტიკურად საშიში არაა.

— ვარიაზე რას იტყვი? — თქვა ლარკინმა,

— ვარია გამოგრჩა.

— ეგ არაა პრობლემა, — მიუგო მაკგაუნმა, — ვარია ტრადიციული და უვნებელი პოლიტიკური თვალსაზრისით. თუ ვარიის მოპარვისათვის რომელიღაცა შავდრუნჩა ჩაგვავდათ კიდეც ხელში, აქ არაფერი არაა აწყარად პოლიტიკური. ჩვენთან, სამხრეთში, ასეც ფიქრობენ, რომ შავდრუნჩამ დროდადრო კიდეევე უნდა მოიპაროს ვარია. მაგრამ, — ხმას აუწია მაკგაუნმა და მაგიდას ხელი დაკრა. — ხამანწკა გამორიცხულია!

ვიგინზმა ჭიქაში ჩაიცინა.

— ღმერთო, გვიმალინე და შეგვიბრალე!

— ჯენკლმენებო, გარწმუნებთ, რომ შავდრუნჩებისათვის ხამანწკას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ის სძენს მათ მეცდარ გამბედაობას, მისი ბამთა ბილეშბრა კენჭები, ხოლო თავში კი საშინი ბოდვა უჩნდება. მოკლედ რომ ვთქვა, ხამანწკა უველანაირი სახით — შეშწვარი, მოხარშული, ორთქლით ნახარში, რა ხერხითაც არ უნდა იყოს მომზადებული — ეშმაკმა უწყის, რას ბაკაეთრბინებს შავდრუნჩას. და თუ როდისმე ხამანწკის ფასი დაეცემა, ჩვენს ქვეყანას დიდი სადარდებელი მოემატება.

კიდევ ერთ რამეს მიაქციეთ ყურადღება. თუ არამზადა დიდ მისწრაფებას იჩენს ბიუტეტსის, კორნეფლაური ქთმების, ცხელი ფუნფუშების, ბზის ღვიძლის (თუმცა ღორის ღვიძლი მისთვის ტრადიციული და ძალიან კარგი), ძირითადი კამის, ოქროსფერალას, ირმის ხორცისა ან ფრანგული ყიდაზე მომზადებული ხორცის ღვეზელებისა აწყარია, რომ იგი ცუდ ზეგავლენას განიცდის და პოლიტიკურად მოაზროვნე ხდება. ფრიგო არ არსებობა თვალუური გეგმრიოთ იმაზეც, თუ როგორ ამზადებს შავდრუნჩა თავის ტრადიციულ კერძებს. თუ, მაგალითად, იგი ღორის ფეხებს უველში შეწვავს იწყებს ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ მოხარშოს, თქვენს წინაშე პოტენციურად საშიში შავდრუნჩაა. აუცილებლად მიაქციეთ უურადღება შავდრუნჩას, რომელიც ძალიან ზშირად ჩინურ, იაპონურ ან ებრაულ საშმელებს მირთმეგენ. ყოველივე ამაში ღრმა პოლიტიკური ქვეტექსტია. სასწრაფოდ უნდა მიმართოთ გამოძიების ფედერალურ ბიუროს, თუ დაინახავთ შავდრუნჩას, რომელიც ფრანგულ ღვინოებს, გერმანულ ლუდს ან ვისკის და პერნოს მსგავს სასმელებს ყიდულობს. ერთხელ ახალ ორლეანში ერთმა ასეთმა შავდრუნჩამ ერთი ჭიქა პერნო დალია, გიგმართა სასამართლოს შენობისაკენ და ფრანგულ ენაზე გამოლანძღა ცნობილი მოსამართლე კეიჯუნი! შავდრუნჩები, რომლებიც მსგავს სასმელებს სვამენ, ყოველგვარ თავდაჯერებას კარგავენ და მზად არიან ერის გასაბედაურებლად.

შოტლანდიური ვისკი მათთვის ახლე მავნებელია. სულაც არაა საჭირო შავდრუნჩამ „ბონი პრინს ჩარლის" არსებობა იცოდეს. როგორც კი იგი შოტლანდიურ ვისკის დალევს, აქვე ფიცს დაგიწყებთ, რომ ჯორჯ ვაშინგტონის შვილთაშვილია და შეერთებული შტატების მთავრობის კანონიერი მეთაური. საკმე მარტო ეს რიდია. შავდრუნჩა, რომელიც დაბადებიდან სვამდა სიმინდის ან ჭვავის არაყს და მერე უცებ ვისკიზე გადავიდა, ყოყლინჩინობს, თავის ადგილს ივიწყებს და ნამდვილი მეამბოხე ხდება. ამას რომ თავი დავანებოთ, გიფიქრიათ ოდესმე, თუ რა დაეშალოთ ჩვენ ადგილობრივ ღვინო-არაყის დამამზადებელ მრეწველობას, თუ ყველა შავდრუნჩა შოტლანდიურ ვისკიზე გადავა? ეს ხომ უბედურება, კატასტროფის უდრის.

მაკგაუნის თვალები ცეცხლს აფრქვევდა. უცებ იგი წინ წამოიწია და შეთქმულივით ჩურჩულით განაგრძო. მისი ხმა თითქმის არ ისმოდა:

— ახლა მე ეს საკითხი სხვა ასპექტში მინდა განვიხილო, მაგრამ ნება მიბოძეთ. შეგახსენთ შავდრუნჩების პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უზნეო გამოვლინება. რომლის შესახებ, ჯენკლმენებო, დიდი ზიზღით უნდა გელაპარაკოთ. მე მინდა მოგიყვეთ ამ შემთხვევაზე. როცა უტიფარი, ეშმაკი, თავხედი შავდრუნჩა დგას მშვიდობიან, კეთილშობილ და წესრიგის მოყვარულ თეთრკანიან მოკალაქეთა ჯგუფში, სიზოგადო ადგილას რომ შეკრებილან და მართლმსაჯულებას ეგდებენ ყურს, და ამ დროს ეს შავდრუნჩა — გთხოვთ პატიებას — მოიუროდეს ბაეს

აფუძებს! მე ერთ-ერთ ასეთ შეკრებას ოვითონ ვესწრებოდი. მკვლელობის საქმე ირჩევდა და სწორედ იმ წუთში, როცა მოსამართლეს ნაფიც მსაჯულებს მიმართა, სასამართლო დარბაზის ბოლოში მდგარმა რიმელიღაც თავხედმა შავდრუნჩამ (რადგან სწორედ ამ ეგნარ ბიბმა ეს სმა) საზოგადოებაში მოკვეთის ელემენტარული წესები უხეშად დაარღვია. მთელი დარბაზი საშინლად აღელდა. პატიოსანმა მოკლაქეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს, ქალები ცხვირსახოცებს ინავლებდნენ, გული მისდოოდათ, ხოლო განრისხებული მოსამართლე, რაც ძალა ჰქონდა, ზარს რეკავდა და ფანჯრის გაღებასა და დარბაზის განიავებას მოითხოვდა. ეს შემთხვევა მხოლოდ სისძაგელეა და თავის მოკრა. საწყალი მართლმსაჯულები ახეთმა არაკანსაღმა გარემოებამ ისე დაანძინა, რომ საკმე არა მარტო დახურულად გამოიცხადეს, არამედ ბრალდებული შავდრუნჩა გაათავისუფლეს კიდევაც.

— შეუძლებელია! — დაიგრუხუნა ვიგინზმა.

— სამწუხარო ამბავია, ჯენტლმენებო, — თქვა მაკგაუნმა. — მაგრამ ნამდვილად მოხდა. ამიტომ აუცილებელია შავდრუნჩის პოლიციის გამოვლენის უკეთ შემთხვევას თვალი ვადევნოთ. ის კი უკეთგანაა, უკეთფერშია. მაგალითად, თუ შავდრუნჩა ბიჭი ხარბად ათვალიერებს ფურნალებს, რომელშიც დაუფარავადა ნაჩვენები თეთრკანიანი ქალების შიშველი სხეული (რაც იანკებო, თქვენი კიდევ ერთი შეცდომაა), უნდა დაიჭირო უსინდისო და ტაეგი გაანძო, რადგან შავდრუნჩა, როგორც კი ასეთი ფურნალების თვალიერებას იწყებს, ის ჭზას ადგება ფაკეი. რომლითაც იაპონელებმა აზიაში თეთრკანიანების სიძლიერეზე შეარყიეს. მათ უბრძანეს ჭარისაკაცებს დაწოლილიყვნენ ყველა თეთრკანიან ქალთან, ვისაც კი მისწვდებოდნენ თავიანთი ბუტეილინი ყველაფელი თითებით... შავდრუნჩა ბიჭის გონებაზეი ეს სურათები და ფილმები მზაკვრული გზით პოლიტიკურად დარდაიმნენება.

— თუ ღმერთი გწამს, გაჩერდი! — წამოიძახა ვიღაცამ.

— თქვენ გიკვირთ, რატომ? — მაკგაუნმა ნიკაპი წინ წამოსწია, თვალები რაღაც ავადმყოფურად აუელვარდა.—ამიტომ რომ ისინი თეთრკანიანის ღირსებას ძრის სეიმენ, საკეეფნად გამოაკვთ, რის დამალვასაც ჩვენ ვცდილობთ შავდრუნჩებისაგან სამასი წლის განმავლობაში. უნდა გახსოვდეთ, რომ შავდრუნჩებზე რენესანსმა! ძლიერი

1. ე. წ. „ზანგური რენესანსი“ — მიმართულება ამერიკელ ზანგთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში — ჩამოყალიბდა XX საუკუნის ოციან წლებში აშშ-ში, მის წარმოშობას ხელი შეუწყო მარკუს ჰარვეის ნაციონალისტურმა მოძრაობამ, რომელიც მიმდინარეობდა ლოზუნგით „უკან, აფრიკაში!“ და ოციანი წლების მიწურულის დაიშალა მისი ეიფორი ნაციონალისტური და უტოგავლენა მოახდინა. მათთვის ჯობიც კი პოლიტიკურ იარაღად იქცევა. ამიტომ ამ ხაკითხს ეროვნულად უნდა ჩაუფიქრდეთ.

აკ ტომპსონმა შავდრუნჩებთან ურთიერთობის „ფორმების“ ნაკლებობაზე დაიწყო ლაპარაკი, რომლებიც დაკვანსებდნენ, თუ რისკენ მიისწრაფვიან პოლიტიკურად შავდრუნჩები. მე კი დგანაბავეთ, რომ ტომპსონი ცდება. იგი მართალია მხოლოდ ამაში, რომ შაკკანიანს არა აქვს გამოშეშვებული ერთი თვისება ხაკუთარი ფორმა. იგი ყველაფერში თეთრკანიანის „ფორმებს“ ბაძავს და ამაბინჯებს მათ თავისებურად. ერთადერთი, რაც მას გააჩნია, ეს ელესლიოა და თავისი რელიგია. განსაკუთრებით კი ისაა აღსანიშნავი, რომ იგი თავისი რელიგიიდან გამომდინარე ხდება პოლიტიკური. თუ განუმარტავს ეს თქვენთვის ვინმეს როდისმე?

— არასოდეს! — დაკარწმუნე მე.

— ახეკე ვიცოდი. არასოდეს? მაშინ შემიძლია განვაგრძო. შავდრუნჩა ბაპტისტებს, მეთოდისტებსა და ყოველი ჯურის სექტანტებს კიცმა შეიძლება გაუძლოს; შეიძლება გაუძლოს ადვენტისტებსაც კი, თუმცა ისინი დანარჩენი შავდრუნჩებისაგან განსხვავდებიან. ყოველი რელიგია, რომელსაც შავდრუნჩა ემსახურება, ხავსებით მისაფარია. მაგრამ თვალი უნდა გეჭიროთ შავდრუნჩაზე, რომელმაც ბაპტისტობას ზურგი შეაქცია და პრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეღოს? როცა შავდრუნჩა იუდეველი ხდება, ეს პოლიტიკური აქტია, აქტია დაუმორჩილებლობისა და თავგასულობისა და, შესაძლებელია, თვით შავდრუნჩებისთვისაც კი ზომაგადასული სეპუხოლობისა.

მაგრამ მოდით გადავხედოთ შავდრუნჩათა ცხოვრების ზოგიერთ პოლიტიკურ მხარეს. აქ, ჩრდილოეთში, მდგომარეობა იმდენად შეშფოთებულია და არეულ-დარეულია, რომ არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. ავიღოთ თუნდაც ასეთი რამ: შავდრუნჩები თეთრკანიანებთან სახლებში სტუმრობენ, მათთან ერთად დადიან ქუჩებში, ტრანსპორტშიაც კი თეთრკანიანი ქალების გვერდით სხედან, კონგრესებს ესწრებიან, ლინკოლნის ძეგლის გარშემო დაეხეტებიან, თეთრკანიანების ეკლესიებში შედიან, დაჯეთ საპრიესტაღო ლოზუნგები, დაატარებენ ჩანთებს ნამდვილი სახუთებით, რბილ ქუდებსა და ჩუსტებზელდის სტილის ბოსსსხამებით დასეირნობენ, ჭირაობენ მანქანებს, გაწსაკუთრებენ კი ისეთებს, სადაც მძღოლად თეთრკანიანი ზის. ეს უკვეფერი — პოლიტიკაა, რადგან ასეთ შავდრუნჩას სურს დიპლომატი გახდეს, გაგზავნონ საზღვარგარეთ და შემდეგ ჩვენი შტატების სუვერენული უფლებები ამუჩად აიგდოს. ამათ მიუმატეთ ჯარჯიანა და მისისიპიდან მოსული შავდრუნჩები, რომლებიც ავრიკულ დოლბანდებში და მოსასხამებში დადიან და ცდილობენ თეთრკანიანების საზოგადოებაში მოხვედრას, ჯენტლმენებო, არაფერი არაა იმაზე ცუდი და უფრო პოლიტიკური, ვიდრე შავდრუნჩა, ამერიკის შეერთებულ შტატებს რომ ზურგს შეაქცევს, რადგან ამასთანავე იგი ზურგს აქცევს არა მარტო შტატებს, არამედ სამხრეთსაც.

მინდა გითხრათ შავდრუნჩების პოლიტიკური აქტიურობის კიდევ ერთი მხარის შესახებ, თქვენთვის ალბათ შეუმჩნეველი რომ რჩებოდა. ესენი არიან წვეროგოშვებული შავდრუნჩა ბიჭები, ზამთარში თავმომწონედ რომ დასეირნობენ ბერტითა და ქედებით, შარვლები კი ისეთი ვიწრო აცვიათ, რომ გგონია, ზედ გადაუსკვნიხართ. სულ სხვა ამბავია, როცა ასე თეთრკანიან ბიჭებს აცვიათ. მათ შორის დიდი განსხვავებაა. პირველ შემთხვევაში ესაა პოლიტიკა და ძლიერ სახიფათო, უფრო სახიფათო, ვიდრე ასეთი შეიარაღებული შავდრუნჩა დედაქალაქის ქუჩებში. უნდა რაღაც ახალი კანონი გამოიცეს, სანამ რიმე ხიფათს არ გადავეურივართ.

მიაქციეთ უურადღება წყნარ შავდრუნჩებსაც — შეცდომაში არ შეგიყვანონ. უნდა გეშინოდეთ სწორედ ამ წყნარების და არა მყვირალებისა, ჭუჩაში, ამერიკული პრესაში, რადიოთი, ტელევიზიით თეთრკანიანან მოჭალაქეებს შეურაცხუოფას რომ აუენებენ. ნუ მიაქცეთ ყურადღებას ამ ეპიდებს. ესენი ის ძალლებს ჰგვანან, ღობის გადადგა რომ ვიეეფენ, ხოლო როდესაც ეზოში შეხვალთ, თქვენკენ ხელის გასაოწყად ბორძიან. მათ ძალი უნდა გადაუგდოთ... მაგრამ თვალს ნუ მოაშორებთ იმ ჩუმჩუმელას, რომელიც თეთრკანიანის ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებს და სწავლობს. შეიძლება ის დროს იგი ძირგამომფხვრელად სულ სხვებს თეორიას, სტრატეგიასა და ტაქტიკას ამუშავებდეს.

— მოდი, ისეე მანქანას დავუბრუნდეთ, — თქვა ვიგინზმა. — ჩემი სიმამრი მანქანებს ყიდის, და ფრიგო არ იქნებოდა, მისთვის რიმე მერჩია.

— კარგია, რომ შეგახსენე, — უთხრა მაკგიუშმა. — ცოტა რამ უკვე ვთქვი ინ პატარა საზღვარგარეთულ მანქანებზე, მაგრამ პოლიტიკური მხარე თემისა „შავდრუნჩა და მანქანა“ უფრო მნიშვნელოვანია. კადილაკი სიიმედო იყო აქამდე, მაგრამ რაც იმ შავდრუნჩამ დღეს სენატორ სანრიიდერის სახლის წინ მოიმოქმედა, დანამდვილებით უკვე ვეღარაფერს იტყვის კაცი. იმ წყეულმა შავდრუნჩამ კადილაკისთვისაც კი პოლიტიკური მნიშვნელობის მინიჭება სცადა, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ყველაფერი, ახსოოლუტურად ყველაფერი, რასაც შავდრუნჩა აკეთებს, პოტენციურად პოლიტიკურია, მაგრამ მიხედნით თუ არა ამას, თქვენ მოგიხდებთან ახევი ადევნოთ თვალი იმ შავდრუნჩასაც, რომელსაც არ სურს ჰკრნდეს კადილაკი, თუმცა შესაძლებლობა გააჩნია. ასეთი შავდრუნჩა შეიძლება მეტ დაკვირვებას თხოოულობდეს.

არ გამოგრჩენ მხედველობიდან შავდრუნჩა, ვისაც საკმარისი ფული აქვს კადილაკის საყიდლად. მაგრამ ავტობუსით დადის, და შავდრუნჩა, რომელიც იხურავს ინგლისური მანქანისაკენ. თვალი ადევნეთ ყველა შავდრუნჩას, „ია გუარენტეთ“, „ბერსედესებით“ და „როლს-როისებით“ რომ დაჯრის. ნუ დაივიწყებთ იმათაც, ვინც ტრანსპორტს, ვითომც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი შავდრუნჩათა ხმებით იყოს არჩეული. ასეთი შავდრუნჩები ყველაზე ეუფეიან პოლიტიკურ თამაშს მისდევენ იმ დროსაც კი, როცა თვითონ ხმის მიცემა არ შეუძლიათ.

დიახ, ბატონებო! არ გამოგეპაროთ შავდრუნჩა, რომელიც თავს უბრუეს თეთრკანიანს თავის „მაღალ წელიურ შემოსავალზე“ ლაპარაკით. თქვენს წინ გაბღეჭნილი, გაამპარავნებენთ შავდრუნჩაა, რომელიც პირდაპირ პირში გახლით რაიმე პოლიტიკურს და ფეკრობს, რომ ამას ვერ ხვდებით, თუ ეს, რა თქმა უნდა, ის შემთხვევა არაა, როცა შავდრუნჩას სურს გითხრათ, თუ როგორ შეგიძლიათ თქვენ და მას ერთად მოიპოვოთ დიდი თანხა. ასეთ შემთხვევაში შავდრუნჩა ცოტაოდენი ფულის მოგებას ცდილობს, ამიტომ ნუ შეგაშფოთებთ ეს ამბავი. ასეთ შავდრუნჩას ყველა ფეხებზე ჰკიდია, გარდა საყოფარი თავისა, მაშინ, როცა მეორე, თქვენს შეშინებას ცდილობს.

არაან ისეთი შავდრუნჩებიც, კონსტიტუციასა და კოდექსებს რომ კითხულობენ და მათზე ფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობენ. ისინი პოლიტიკურად ყველაზე სახიფათო ჯგუფს წარმოადგენენ. ძალიან საშიშები არიან ისეთებიც, თეორეტიკოსად ლაპარაკის დროს საჭიდაოს რომ ფიქრობენ და არა თავს, როგორც ძველი სამრეწველო ტრადიციით იყო მიღებული. აქ პოლიტიკურია ისიც, თუ რას ფიქრობს შავდრუნჩა.

მაგრამ, ჯენტლმენებო, ამ მოკლე და ძლიერ არასრული ნუსხის შემდეგ მინდა გითხრათ, რომ, რამდენადაც ვიცნობ შავდრუნჩებს (და მე არც თუ ისე ცუდად ვიცნობ მათ), არც ერთ მათგანს თავშიც არ მოსვლია პოლიტიკური მკვლელი გამბხდარიყო. გეტყვით, რატომ. ეს მათში დიდი, დიდი ხნის წინ იყო ამომოფხვრილი.

...მაშინაც კი, როცა ვიცინოდი, თვალს ვადევნებდი იმ ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებს, რომლებიც მაკგაუნის ფართო სახეზე ერთმანეთს ცვლიდა, და მეჩიენებოდა, რომ იგი თავგამოდებით ცდილობდა გაღიმებას, მაგრამ საფოსტო მარკის მსგავსად. წებო ზომაზე მეტად რომ აქვს წასმული, ღიმილი იმ ადგილზე ვერ მაგრდებოდა, რომელზედაც მაკგაუნი აკრავდა. და უცაბ მეც ვიგრძენი აღელვება. ჩემი სიცილი ისტერიული და მწარე იყო. მიეხდილი, რომ მაკგაუნი თითქმის სიგიჟემდე იყო წარსულით შეპყრობილი. მან ჩაამწყვდია შავკანიანი რაღაც ყუთში და მუდამ თან დაატარებდა. მაგრამ სიცილის დროს იმასაც მიეხდილი, რომ მაკგაუნის მზერდა, ზოგი რამ მის მიერ ნათქვამში სასაცილო კი არა, მართალი იყო. მაგრამ სამწუხარო ეკზაჩარიტება ისაა, რომ მაკგაუნის ნათქვამი ყოველთვის სასაცილოდ გვეჩვენებოდა ხოლმე. მაკგაუნი ყველაფერ ზანგებზე ისეთი დარწმუნებით და თან ისეთ რაიმეს, რაც არასოდეს თავში არ მომივდიდა. ნუთუ იგი ჩემზე უფრო გულახდილი იყო? ნუთუ მისი გრძნობების, მისი ცრურწმენის შეუკავებელი გამოხატვა ჩემზე უფრო გულახდილს ხდიდა? ნუთუ მისი თავისუფალი მანერა საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვისა ყველფერისადმი, რასაც სემი განასახიერებდა, მაკგაუნს ჩემზე უფრო თავისუფალს ხდიდა?

და უცაბ ზარბელი ეიგრძენი მისი იმ თვისებისადმი, რამაც მაიძულა დიდი ხნის წინათ დამარხული ეგზვები ხელახლა განმეცადა, მისი თვისებისადმი, მკვეთრად განემარტა ის სინამდვილე, რომელშიაც მე ვცხოვრობ და რომლის შესანიშნაც ოფიციალად ვაიძულებ თავს ვიფიქრო. და, საერთოდ, რამდენადაც დასაშვები ამ სინამდვილეში უკვე არარსებული წარსულის იდეალებით ცხოვრებაზე?[1]

— ჰო, ჯენტლმენებო, — ამბობდა მაკგაუნი.— შავდრუნჩებისაგან თავის დაცვის ერთადერთი გზაა—კარგად ფლობდე პოლიტიკას, ე. ი. ის, რაც თქვენ, იანკებს, წინათ არასოდეს გიკეთებიათ, რადგან შავდრუნჩები არასოდეს შეგიწყვალიათ.

ოთახის მეორე ბოლოში ზეხდავდი სემს. მას ხელები ზურგზე შემოეწყო და ჭიდარა ჯენტლმენთან სასიამოვნო საუბარში ილიმებოდა. ნეტავ მაცოდნინა, თუ არსებობენ მაკგაუნის მსგავსი ზანგები? და თუ არსებობენ, რას იტყოდნენ ისინი ჩემზე? რა ადგილი მიჭირავს მე, ლიბერალს, ყოფილ რადიკალს, ჩრდილოეთელს, სემის ფიქრებსა და ცხოვრებაში, მის შეცნობაში, თუ რაა პოლიტიკა? ხელს ფლიის თუ არა სემს რაიმე გრძნობა, რომ დამინახოს მე ისეთი ირონიული თვალთახედვით, რომლითაც ველაპარაკდეს დანინახავ მას მე რადიკალური ოცდაათიანი წლების დროს გამომფშვავებული ჩვეულების გამო? ან შესაძლებელია, ის, როგორც ჩემი ამხანაგები ფიქრობენ, ყველა თეთრკანიანს ანთებული თვალებით მისჩერებია და იცინის რაღაცნაირი უსასრულო, მაგრამ შეუფრნველი, უხმო სიცილით?

მაინც რა არის, ეშმაკმა დასწყევლოს, — გავიფიქრე მე. — სემის სრული სახელი?

---

1. თეთრკანიანი სამხრეთელები ზშირად იმდენად არიან წარსულით შეპყრობილნი, რომ არ ძალუთან ან არ სურთ დაინახონ აწმყო მისი რეალური ცვლილებებით; ცხოვრობენ ოა წარსულში, საკუთარ თავს და ზანგებს ხედავენ ისეთებად, როგორიც იყვნენ ასეული წლის წინათ. ამ ფაქტს ბევრი ამერიკელი მწერალი უსკამს ხაზს, მათ შორის უ. ფოლკნერი, თ. ვულფი, რ. პ. უორენი და მრავალი სხვა (თ. კ.).

ინგლისურიდან თარგმნა თამაკრ ცინცაძემ

რევაზ ჯაფარიძე—60

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მწერალს რევაზ ჯაფარიძეს. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო რევაზ!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ძმასა და მეგობარს, თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს და მოგილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 60 წლისთავს.

თქვენი შემოქმედება, სამშობლოს ბედსა თუ უბედობაზე, მის გმირულ წარსულზე, ბედნიერ აწმყოსა და კიდევ უფრო უკეთეს მომავალზე დაფიქრებული ხელოვანის შემოქმედება, კარგა ხანია შეიყვარა და გაითავისა ქართველმა მკითხველმა.

თქვენ შემოქმედთა იმ ჯგუფს ეკუთვნით, რომელნიც, ფაქტიურად, განსაზღვრავენ თანამედროვე ქართული მწერლობის დონეს და ამდიდრებენ მის საგანძურს.

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოხვედით და ერთგულად, მუხლჩაუხრელად ემსახურებით მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს. თქვენი პირველი ნაწარმოები — მოთხრობა „სიზმარი ზღვაზე“ 1949 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა თქვენს პირველსავე რომანს „ხევის პატარძალს“, რომელშიც მართლად და დამაჯერებლად ასახეთ ომის შემდგომი ქართული სოფლის საკოლმეურნეო ცხოვრება.

დიდი წარმატება ხვდა წილად რომან „ჯარისკაცის ქვრივს“, რომელიც ეფდაფად განეკუთვნება ქართული საბჭოთა პროზის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს.

„ენების კვირა“ დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიან დღეებს მიუძღვენით. ამ რომანში თქვენ მაღალმხატვრულად აღწერეთ შორეული ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე ქართველ მეომართა გმირობა და თავდადება.

ქართველმა მკითხველმა გულთბილად მიიღო თქვენი მოთხრობების კრებულები „ბონდო“, „ახლო არს ხაფხული“, „ჯიმარაის ტუსაღები“, „მარუხის თეთრი ღამეები“, „ვერცხლის ამლაბუდა“ და სხვა.

თქვენი სახით ქართულ მწერლობას მგზნებარე და პრინციპული პუბლიცისტი ჰყავს, რომელიც მუდამ გაბედულად, თამამად იჭრება ცხოვრების შუაგულში, იქ, სადაც ძალუმად ბობოქრობენ ადამიანური ვნებანი. თქვენ ყოველთვის იბრძვით სიმართლისა და პატიოსნების მაღალი ჰუმანისტური იდეალების დასამკვიდრებლად. აქტუალობა, თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემებში წვდომა გამოარჩევს თქვენს კრიტიკულ-პუბლიცისტიკურ წერილების წიგნს „აწონილი სიტყვა“. თქვენს კალამს ეკუთვნის აგრეთვე ორი შშვენიერი წიგნი „ალაზანი დიდია“ და „მწვანე ზამთრის ქვეყანა“. ორივე ეს ნაწარმოები საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიებით აღნიშნა (1974, 1981).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მკითხველი მოწონებით შეხვდა თქვენს წიგნებს „ადამიანის ფორჩხილი ზღვა“, „ახლობელი შორეთი“, „ბუხენვალდის სამრეკლო“, რომლებიც მოგზაურობის შედეგად შექმენით.

შესანიშნავად თარგმნეთ ი. ბაბელის, ნ. ტიხონოვის, ა. ბერესტოვის, ვ. კერნბახის პროზაული ნაწარმოებები.

თქვენი სცენარის მიხედვით კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გადაიღეს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სხვისი შვილები“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

დიახ, მრავალმხრივია თქვენი შემოქმედებითი ინტერესების სფერო. და მაინც უნდა ითქვას, რომ თქვენი შემოქმედების გვირგვინს დიდი შრომითა და რუდუნებით შექმნილი ვრცელი და მრავალპლანიანი რომანი-ტეტრალოგია „მძიმე ჯვარი“ წარმოადგენს. თქვენ დიდი ისტორიული სიმართლით აღწერეთ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო. მაღალმხატვრულად და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით დახატეთ სოლომონ პირველის, უმამაცესი სარდლისა და გამჭრიახი პოლიტიკოსის სახე. რომანის დიდ ღირსებაზე ისიც მეტყველებს, რომ მასში ნაჩვენებია ნამდვილი ხალხური ხასიათები, მთელი გალერეა იმ დროის ქართველი გლეხკაცობისა, იმ უსახელო გმირებისა, რომელთა თავდადებამ და გმირობამ იხსნა ჩვენი ქვეყანა მრავალი ავბედითი განსაცდელისაგან.

ეს რომანი თქვენი დიდი შემოქმედებითი გამარჯვება იყო და ჯილდოც საკადრისი გხვდათ წილად — შოთა რუსთაველის სახელობის პრემია!

ძვირფასო რევაზ!

თქვენი დამსახურება მშობლიური ლიტერატურის წინაშე სათანადოდ აღინიშნა. დაჯილდოებული ხართ შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო ნიშნის ორი ორდენითა და მედლებით.

თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები კიდევ ერთხელ გულითადად მოგესალმებიან, დღეგრძელობას, ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებენ შშობელი ერის სასახელოდ.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

ანდრეი ბელისა და ტიციან ტაბიძის მიმოწერა

„კრასნაია პოლიანა“, 3 ივნისი, 1929 წელი

ძვირფასო ტიციან!

ნება მომეცით, აქედან კიდევ ერთხელ გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ და ნინო ალექსანდრეს ასულს ასეთი ტკბილი სტუმარმოყვარეობისა და თქვენთან გატარებული დღეებისათვის. მე და კ. ნ. თავს შეხანიზნავად ვგრძნობდით. შორიდან ეს უფრო აშკარაა. არ მინდა, დროზე ადრე ქნითი გავთვალო „კრასნაია პოლიანა“, მაგრამ ჯერჯერობით ძალიან მოგვწონს აქაურობა. ადგილი არაჩვეულებრივია, კლიმატი — ვანშკურნავი. ხალხი ცოტაა (თითქმის არავინაა), ორი ლამაზი, სუფთა ოთახი ვიკერავეთ ეკითი ბერძნისაგან. ამინდი ჯერჯერობით ჩინებულია, ხასიათოვნია, არც ცივა, არც ცხელა. როდადენდრი ბუჟავეს.

ძვირფასო ტიციან! ჰაა ვარო და კეკეხიაში ცხოვრების გეგეტებს ვაწერობთ. ვეფიქრობთ იმაზე, რასაც თქვენ გვეუბნებოდით; ეკრძოდ: შეგვიძლია აგვისტოში ერთი-ორი კვირით კოკორში დადგინავდეთ. თუ მოახერხოთ, მოელაპარაკეთ ინ კაცს, რომელიც კოკორში ბინებს ანაწილებს, გთხოვთ, შეგვაწეროთ ორიოდ სიტყვა, რათა ორი ოთახი გამოგვიყოს (შეიძლებისდაგვარად შარშან რომ ვცხოვრობდით, იმ სასტუმროში) სამი კვირით, იმ აგვარშით, რომ 81 ივლისს შოვიდან გამოვემგზავრებით, თუ მანკანა იქნა, აგვისტოში ზეკარის გადასასვლელიდან (ამ შემთხვევაში გვინდა ქუთაისიდან თბილისში შემდეგი გზით წამოვიდეთ: ქუთაისი — ახასთუმანი — ბორჩომი — მიხაილოვო — თბილისი) თბილისში ჩამოვალთ. იქნებ შეგვინახოთ ოთახები კოკორში 3-დან, ვთქვათ, 20 აგვისტომდე? თუ თქვენ, ბოლო და ლეონიძე შესცლეთ ორიოდ სიტყვა შეგვაწეროთ, ძალზე მადლობელი დავრჩებით. თუ ზეკარის გადასასვლელი დაკეტილი იქნება, ალბათ 2 აგვისტოს თბილისში ვიქნებით და ერთი-ორი დღით კვლავ თქვენი სტუმარმოყვარეობით ვისარგებლებთ (კოკორში წასვლამდე, თუ კოკორში მოვეწყობით). იქნებ ერთი კვირით კახეთში წასვლაც მოვახერხოთ (20 აგვისტოსთვის). აგვისტოს ბოლოს, სექტემბრისათვის, ვფიქრობთ, ერთი ხუთი დღით ხევანზე გავეშუროთ. იქიდან კი პირდაპირ მოსკოვში გავემგზავრებით (ტრეკანაბოსკოვი).

ვოცნებობთ თქვენთან ერთად შოვში ჩასვლაზე: ო, რა კარგი იქნებოდა...

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას იმ სითბოსათვის, მეგობრობისა და სტუმარმოყვარეობისათვის, რითაც ვიყავით გარშემორტყმული თქვენს სახლში. მეგობრებს მოკითხვა გადაეცით. გულითადი მოკითხვა ჩვენგან ნინო ალექსანდრეს ასულსა და დედამისს.

მხურვალედ გორთმევთ ხელს თქვენი
მოსიყვარულე ბ. ბუბაევი

16 ივნისი, 1929 წელი
ტფილისი

ძვირფასო და შესაბვარლესო ბორის ნიკოლოზის ძეო!

ძალზე გამეხარდა, როცა ხომხეთიდან დაბრუნებულს „კრასნაია პოლიანადან“ გამოგზავნილი თქვენი წერილი დამხვდა, კიდევ უფრო მიხარია, რომ დიდებულად მოეწყეთ და თავს ჩინებულად გრძნობთ. თვალწინელივ ვხედავ თქვენს კეთილ ბერნებს და საღამოობით სანაპიროზე სეირნობის ეამს გონებაში მეც თქვენი მეგზური ვარ.

განსაკუთრებით ის მახარებს, რომ კეკეხიაში ცხოვრების ხელსაყრელი პირობები ფექმნებათ.

ჩემს მეგობრებთან ერთად ვლოცულობ, რომ ასე იყოს შოვშიაც, კოკორშიც, ახეთში, რასაკვირველია ეს ეამ ბევრისთვისაც ნიმარნიხარი და ამ ეამი წლის განმავლობაში დღეინდეგ მოუთმენელად ველით ზაფხულს, რათა ჩვენი მზის კვეშ თქვენი ხილვით ეავბედნიერდეთ.

რაც შეეხება კოკორსა და ახეთს, ყველაფერს მოვაგვარებთ, ან ქუთაისში შეეხვდებით ერთმანეთს, ან შოშში გამოგიგზავნეთ ბარათს. ძალიან მოგვწონს თქვენი თბილისში დაბრუნების ეეგმა — ზეკარის გადასასვლელის გავლით. ჩვენ არ ვეუფიელვართ, მაგრამ ამბობენ, შესანიშნავი გზაა. რაც შეეხება თბილისში ჩამო-

ხელას რამდენიმე დღით, სიბარულით დაგვიმობი ჩვენს ნინს, ნინო ალექსანდრეს ასული, ბავშვი და დედამისი ამ დროისათვის ანაპაში იქნებიან. ამ დღეებში ნინანდელს ვეტყვეთო სომეხ და თურქ პოეტებთან ერთად. წინანდელმა ყველა მოაჯადოვა. მე და პაოლომ წარმოვიდგინეთ, როგორ მაგზიბლავთ იქაურობა. დარწმუნებული ვართ, მთებიც მოგეწონებათ და ველიც. შეხვედრისას ყველაფერს გიამბობთ. კვლავია ნიკოლოზის ასულს ყველასაგან მოკითხვა გადაეცით. ჩვენთვის ორავენი ერთნი ხართ. ოღონდ ძალზე მკცრად ნუ დაიცავ დგგეგმილ მარშუტს, დანარჩენი ჩვენ-ზე იყოს. მოკითხვას გითვლით ნინო ალექსანდრეს ასული, დედამისი, პაოლო და თამარ იაშვილები, გ. ლეონიძე ლენინგრადშია, თვის ბოლოს დაბრუნდება.

თქვენი მოსაყვარული ტიციან ტაბიძე

კუბინო 1929 წლის 13 სექტემბერი

ძვირფასო ტიციან!

ნუ გიკვირვებთ, რომ ვერ გამოგიხმაურეთ. მოსკოვში ჩამოვედი ოუ არა, უამრავი საზრუნავი და სამუშაო დამხვდა. ხოლო, როცა გავიგე, რომ კ. ნ.-ს თქვენთვის ღია ბარათი გამოუგზავნია, გადავწყვიტე წერილის დაწერა ჯერ-ჯერობით გადამედო, რათა ჩემს შესახებ არ მომეწეროს „სამუშაო კორსტენდად", („სამუშაო კორსტენტ" მე ვუწოდებ კუბინოში გგატარებული დღის გეგმას, რომელსაც ნაკისრი ვალდებულებები მკარნახობენ. ამ „გეგმის" გარეშე ვერ შევძლებდი უკანასკნელ წლებში მოელი რიგი სამუშაოების ჩაგარებას). ჩემი „კორსტენტ" იმაში მდგომარეობს, რომ მოელი დღე (ღილიდან ღამემდე) მკცრად მაკვს განაწილებული, რომელშიც შედის ისეკ სამუშაოსათვის საჭირო დასვენება, ჭამა, ალრიცხვაზე აყვანილი ძილი — ამდენი და ამდენი საათი და ა. შ.

მაგრამ, ალბათ, მიმიხვდებით...

მიმიხვდებთ, რომ არა მარტო ზრდილობა და მადლიერების გრძნობა მკარნახობს ამ წერილს, არამედ სრულიად სხვა. რაიც, არ დაგიმალავთ, თქვენს მიმართ პირდაპირ სულიდან „გამოცისკროვნდა". ეჭვი არ მეპარება, თავი მოგაბეზრეთ, რამეთუ ჭკუთაისის და კოკრის შემდეგ სრულიად ირაციონალური დერეფნების ეუმს მიხილეთ. საბაგირეოდ, მე და კ. ნ.-ს თქვენი და ნინო ალექსანდრეს ასულის უფრო ახლოს გაცნობის შესაძლებლობა მოგვეცა. ამ გაცნობის შედეგად რადაც „გამოცისკროვნდა" ჩვენს ურთიერთობაში. თვალწინ მიდგახართ ფალეთი ღიმილი მეფიანება. მე და კ. ნ-ი ვიწუეთ კუჩნიოდან და ვიგონებთ თქვენს ბინაში გატარებულ მოელ რიგ ჭართულ ეპიზოდებს, თქვენი გულისხმიერი, ქეთილი და გულითადი, უკკეიანესი სულით ნათელმოსილ ეპიზოდებს. და ეს ცოცხალი ეპიზოდები, რომელთა შედეგად წარმოჩინდა თქვენი მეგობრობა, მრავალ ფამიერია და არა „სულის მოსახსენებელ ეპიზოდ".

ხაერთოდ, მე მკერა ადამიანია (ინდივიდუუმია), არ მკერა „პიროვნებისა", რაიც თვალთმაქცობაა (ნიღაბი) და ვიცი: ჩვენ ვართ პიროვნებები, რომლებიც, უგერგილოდ შეერთებულნი, ურთიერთობის შედეგად ვშორდებით ერთმანეთს. ამ ხაკობში კი ძალზე ხეკპიკიური გახლავართ, რამეთუ მკერა: პიროვნების თვალთმაქცობის გადალახვა სოციალურ ჭრილში — უანდელესი რან არის, ასკერ ძნელი, ვიდრე ჩვენ გვგაონია.

და აი, ბედის წყალობით ორჯერ ხაცოდავ, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა და თქვენთან სტუმრად მოხვედრილმა, თქვენთან ურთიერთობის შედეგად ვიგრძენი ის კოროტების არსებობა, რომელიც იშვიათად წარმოჩინდება ხოლმე ურთიერთობაში და გბნილეთ პიროვნების თვალთმაქცობის გარეშე, ნიღაბამდელი.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე თქვენ დაგინახეთ. ამ დანახვის შედეგია ის მშვიდი და გულუბრყვილო სიხარული, რომლითაც ყოველ-ვე ამას გიუწყებთ.

მადლობას გიხდით, ძვირფასო ძმაო, იმისათვის, რომ შემიძლია ძმა გიწოდოთ. ამაშია ჩვენი მოგზაურობის დიდი სიხარული: უფრო დიდი, ვიდრე ზოვის, გორის, კახეთისა და სხვა „ტურისტული" მოგზაურობისა, სადაც ხედმა არ გაგვიღიმა. მხოლოდ მოსკოვში გახდა ნათელი — როგორ არ გაგვიღიმა ბედმა. ყოველწუთს მესმის ქეთილი ნაცნობების სიტყვები, რომლებმაც ასე ადვილად შემოიარეს მოელი კავკასია, გამოკანმრთელდნენ: „ზოგნი რომ ვიყავი... მე ვისვენებდი... რატომ არ ნახეი მყინვარი?" ახლაც კი ვგრძნობ კავკასიასთან დაკავშირებულ ნაღველს: რა-ტომ მა-რალია ეს გაგვი-ღი-მა ბედმა!

ამ „უბედობაში" არის ჯიუტად სისტემატური, კავკასიის თავზე ჩვენს მიმართ კითხვის ნიშნად ქცეული რაღაც.

მაგრამ ყველაფერს ფარავს ხალხი, შეხვედრები, საუბრები, გულითადი დამოკიდებულება და დაუვიწყარი სითბო, რომელიც ჩვენში მოგონების ღიმილს იწვევს.

ძვირფასო მეგობარო, გადაეცით ალოლის ჩემი გულითადი მოკითხვა, გადაეცით, რომ რაც თქვენ მოგმართავთ, მასზეცაა გადამაკვნა ის გრძნობა, რომელსაც ჩემში თქვენ იწვევთ, რამეთუ ორავენი ჩემთვის განუყოფელნი ბრძანდებით. ეთანრთან, რომ დაუსრულებელ ეკითხულთა მის ლეკნებს. მართალია, ეს მხოლოდ თარგმანია, მაგრამ ძლიერად მოკმედებს: ძალიანაა!

იმას ალარ გეუბნებით, რომ თქვენ და ნინო ალექსანდრეს ასულსაც ვერ განსხვავებთ ერთმანეთისაგან. მრავსენია კიდეც, გულითადი სალამი რომ გავუგზავნეთ სიტყვებით, რაც იგი გულში ყუავლობს...

იძულებული ვარ, შეეწყვიტო ეს კეთილი სურვილებით აღსავსე „არაფრის მაქნისი“ წერილი, რამეთუ ჯერ ღაბის ორი საათიც არ არის და მორიგი სალამის სამუშაოთა საჭალადე ცხვირწინ მეხლანდება.

მუდამ თქვენი მოსიყვარულე
ბორის ბუბაევი

●

1929 წლის 5 ოქტომბერი. ტფილისი

ძვირფასო ბორის ნიკოლოზის ძეო, თქვენმა წერილმა ყველანი ძალზე გაგვახარა, თუმცა კლავდია ნიკოლოზის ასულმა ადრევე გვაცნობა ამის შესახებ. ისე ენერგიულობდით თქვენს კეთილნაზე, რომ გვეგონა, უსიამოვნებანი ინერციით კვლავ ფეხზედგმე მოგაკვლევდათ, თქვენი კანმრთელობის ამბავი ყველაზე მეტად გვაღელვებდა; როცა კლავდია ნიკოლოზის ასულისაგან კარგი ამბები შეეტყვეთ, დავმშვიდდით, ვიფიქრეთ, დაივიწყებდით თბილისის კარანტინს და მშვიდად განაგრძობდით „მოსკოვს“. თითქოს ყველანი ამ ეპოპაის მონაწილენი ვარო, ამ ერთადერთი უდიდესი მოვლენისა, რომელიც თითქმის ჩვენს თვალწინ იწერება და რომლის შიფრი განსაკუთრებით გასაგებია ჩვენთვის. ეს ნამეტნავად საფრთხობია, როცა თქვენზე ვფიქრობთ, ვიგონებთ კავკასიაში ცხოვრების დღეებს. თქვენთან ერთად გასეირნება „ეროროლის“ ცხის დასთვალიერებელად ამ ზაფხულის ერთადერთი საამო მოგონებაა. უთქვენოდ ჩვენ ვერასდროს ვნახავდით, ყოველ შემთხვევაში, ვერ ვიგრძნობდით ამ ხხიეკიტროვნებას, ხოლო ის, რაც ერთმა დღემ დაგვიტოვა, ბედის წყალობასა და ფერიცვალებასა მგავს, მე მგონი, ჩვენი მთები თქვენი შთაგონების წყაროდ იქცნენ. ისინი გაეცოცხლდნენ დღა თქვენ, ვითარცა ვრუბელის ორეული, კერის გენი წარმოგვიჩინეთ, ოდესღაც სენ-ვიტორთან ამოვიკითხე ამის შესახებ, როცა ის ადგილების მფარველ ბერძნულ ღმერთებზე და კასტალიაზე ლაპარაკობდა.

ამ ზაფხულის ბევრი უსიამოვნება შეგვხვდა, განსაკუთრებით პოლოს, ჰოდა, ამის გამო მეც, მაგრამ ყველაფერი გვავიწყდება, როცა ვიგონებთ თქვენთან შეხვედრას კოკორსა და ტფილისში. გწერთ იმიტომ, რომ მინდა იცოდეთ თქვენცა და კლავდია ნიკოლოზის ასულმაც, თქვენ უნდა გამგდლოდეთ ჩვენს სულიერ ხიბარულს და ძალიან გვეამება, თუ კვლავ გიხილავთ საჭალადელში, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, წარსულ ზაფხულთან შედარებით უკეთეს ვითარებაში: ვიმედოვნებთ, რომ შოფსა და კახეთში, ახასთუმანში მიმავალ გზაზე წინ ადარაფერი გადაეგლობებათ. ამჯერად უფრო ხელმისაწვდომი აღმოჩნდება. თქვენი წერილიდან შევიტყეთო, რომ ნაუოფიერად მუშაობთ, მაგრამ მე მაინც გთხოვთ, რამდენიმე სტრიქონი მომწერეთ ჩვენდა გასახარად.

ორიგე ეკიმი, ზანდუკელიცა და მოკლეაძეც ხშირად მეკითხებიან თქვენი კანმრთელობისა ამბავს და მათაც უხარიათ, ავადმყოფობა რომ არ გაგვიანურდათ.

ტფილისში თვალი მოკკარი მარტიროს სარიანს, ვაფიშველს ჩამოაკითხა და მეორე დღესვე გაემგზავრა. ეროვანში გარდაიცვალა მოხუცი ოგანესიანი — მე მგონი, თქვენც იცნობდით.

პოლო ანდა ქობულეთში, თქვენი წერილი წაეკუთხა. წერილის გამოგზავნას აპირებს, ნინო ალექსანდრეს ასული და ყველა ჩვენთაგანი მოკითხვას გითვლით. გადაეცით ჩვენი საერთო მოკითხვა კლავდია ნიკოლოზის ასულს. მისთვის კოლეკტიურ წერილს ვამზადებთ — უნდა ვთხოვოთ, საკარიველო არ დაივიწყოს, გვინდა კავკასიიერ ოდისეიზე დაგიყოლიოთ.

დიდ მადლობას გიხდით თქვენცა და კლავდია ნიკოლოზის ასულსაც წერილისათვის.

მოკითხვა შემოდგომის კუბინის, შემოდგომის მოსკოვს და თქვენი ეპოპაის მოსკო

რახუნიკს არ დავეშგავნო, რომელსაც სხვა-თათვის ხაბოძებული არაფერი გააჩნია. ნიეზშე ლაპარაკობდა „ორეულისსიღმე“ სიყვარულზე. მე მიყვარს ახლობელი თავისი „სიშორით“, ეს-ოდენ ადამიანშია ეს „შორეული“, ვითარება კოკორის პრობლემა, რომელიც შეიძლება ყველა-ფერად გაიშალოს თუ მიუდრეობას, ფიქრსა და შეშფოთებას დავაკუურებთ. ჭიდა, სულიც მაშინ იწყება აუკვალებას. შენც გინდა სხვას ანიკეო ეს ყვავილობა, ჩვენ კი ცრუ თანაყვავილობით ვეტმასნენით ერთურთს, ძღვნად კი ბზო�ge ფერფლი და ნაბეწავები მიგვაქვს. ტეე ბზოincge მაშინ მიიწევს ზვიადად ზეკით, ცისკენ, როცა გამოიშორებთ ილ ხეები გარკვეული მანძილით არიან დაშორებული, ხოლო თუ ხეები ერთიანთუს ბეჭიდოდ ეკვრიან, ალარც ფოთლებს ისხამენ და ალარც იზრდებიან.

ის, რაც ხის მიმართ ანბანური ეშმაკობაა, ადამიანებზე რატომღაც არ ვრცელდება. ჭიდა, ფიქრობენ, რომ ერთმანეთთან მშრალი, ლტტონი ხახვნი სოციალურობაა! არა, ეს ანტისოციალობაა. მე სოციალური ვარ მაშინ, როცა თან მიმაქვს ბოის ედელვაისი და ვუძღვნი ვიდაკას. თუ მე იგი არა მაქვს, მეგობარს ვერაფერით გამოვადგები. მაშინ მშრალი, უსიცარიელო დახმარება დაბმარება კი არ არის, სულისაგან მოწყვეტა, რამეთუ ჩვენ, გაპარტახებულები ყოველთვის წამგალეკენი ვხდებით. როდესაც ვგრძნობ, რომ ყველფერს გავცემ, რაც სიჩუმეცა და მუდრეობაში გამიზრდია, სირცხვილით ვიწვი. მეჩვენება ვალდებულების უსიცარიელი ალრეღლება კიბიდან ცხვირსახეცლის ამოცლაა და სხვა არაფერი. აი მაშინ ან გავუძაბი ადამიანებს, ან ვდგევნი მათ ჩემგან: სოციალურობის გამო და არა ანტისოციალურობის მიზეზით.

რას ვაკეთებთ სოციალური ტაქტისაგან? მთელი სოციალურობა ეშყარება „ტაქტს“, ტაქტი კი რიგმის გამოხატულებაა. რიგმი არის ხელ ახალ-ახალ ფასეულობათა თავისუფალი შემოქმედება. ჩვენთან კი რიგმი სტატისტიკაა, ალრიცხვაა და სოციალური ტაქტის ნაცვლად — მეოლდიენი, სწორედ ის „ვალდებულება“, რომელიც არც „ღმერთს არგია“ და არც ეშმაკს“. ჭიდა, ჩვენთვისაც ბძანება ეს ვალდებულება და იმისთვისაც, ვისაც ვეხმარებით.

ჩვენ დიდხანს და ბევრი უნდა ვისწავლოთ, რათა წუალილ ყოფნა შევძლოთ. შემდეგ ფრთხილად სამნი უნდა გავხდეთ, შემდეგ — ოთხნი, რათა ბევრთან მისასვლელად მოვემზადოთ, ჩვენ კი პირდაპირ გვსურს თავშეურა, მაგრამ ეს ნიშნავს — უმალლესი მათემატიკის დაუფლება არითმეტიკის გარეშე მოისურვო.

სოციალურობა უფრო რთული ხელოვნებაა, ვიდრე პოეზია, მუსიკა და სხვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ. ჩვენ კი ამ უნაზეს ადგილას, ამ ურთულეს ინსტრუმენტთან მხოლოდ „კაკალონიას ვაჭარობენ, ზოლუსის მსგავსად, მუშტებს რომ უშვნს კლავიშებს. როცა ველური კლავიატურაზე ქუსლებით დათარეშობს, მაგვალი ეურისხთვის ალტანელი კაკალონიაა, ჩვენ კი ამ „ეშუსნელი ბრძოლას“ ურთიერთობა-ეს წოდებთ.

ძვირფასო ტიციან! აი, რატომ ვარ ახე გაბარებული, თბილისგარეთ თავშუბაფარი რომ მჰვიენი. ჩემთვის ეს რაღაც მეტისმეტად კარგის მომასწავებელია. ხოლო ოჭვენსა და ნინო ელეკსანდრეს ახლოს მიმართ, გაბაკუთრებთ ამ ზაფხულის შემდეგ, ძალზე თბილი გრძნობით განვიმსჭვალე. უკან დიდად ემაკოფილები დავბრუნდით, რამაც დაგვავიწყა ჩვენი მარცხი-ანი მოგზაურობა კაკეტიაში. ემაკოფილები დარჩენი ინიტიმურ, რომ ოჭვენსა, ნინო ალექსანდრეს ასულთან და პაოლოსთან ურთიერთობის დროს საოცარი სიახლოვეს და ბეშმარიტი ადამიანურობის რელიური გრძნობა დაგვეუფლა; მერე რა, რომ პაოლო იაშვილს ეზეიათად ვხვდებოდით. იქნებ სკოთხა კიდეც, რადგანაც სხვაგან „ეროდა ბონება მისი“ და ჩვენთვის არ ეცალა (ალბ. ანრონ). ვინ იცის, ეგეთ ეს უფრო კონკრეტული, გულთანადი შეხვედრისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო (გადადეკით პაოლოს ჩემი გულთბილი სალამი და ალუსენით, როგორ მიგიჭის წერა, უთხარით, რომ არა ვარ „წერილების მოსწავლეი“, ჩემი სიჩუმე, ისევე როგორც მისი მოოუწერილობა, არაფერს ნიშნავს), ზედმიწევნით კარგად ვიცი, „ნაოკვამი ანრი სიცოცე რომაა“. დ მაინც ვიმედოვნებ, რომ რომელიმე თქვენთაგანი ჩამოვა მოსკოვს. მაშინ უფიოოდ შეხვედრით ზამთრის ალბინონი. ო, რა მუდრეოდ გავაკარებდით ფლის (და არა მარტო ერთს) ჩვენთან.

ჯავახიშვილი რახა იქმს? ამას წინათ „ლტტ-გაზეთში“ წავიკითხე, მაგრამ ბის თავს ოაფიდ უსიამოვნებაა. თუ შეხვედრით, გულითადი მოკითხვა გადაეცით.

ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, მთელი ამ ხნის განმავლობაში „მოსკოვით“ ვიყავი დაკავებული. ო, რომ იცოდეთ, რა შავ დღეში ვარ, მაგრამ, მე მგონი, დაფერილს არა უმჯობრ. ჯერ ჯერობით მესამე ნაწილის მხოლოდ სამი თავი (200 გვერდი) დავწერე. 150 გვერდი მაინც დ-ბრჩა. ყველაფერი მეოთხე თავზეა დამოკიდებული, — თუ შეკრეფილი მასში ჩემთვის საკმარო... გადმოცემა, კარგია. ნაწილი უკვე ზზადი მაქვს (5 თავი). თუ ვერ შეკრეფილი, — ჩემი მცდელობა, თუნდაც სამი პირველი თავის წარმატება, წუალში გადასაყრელი იქნება.

ახლა თავს შეხვედრის უფლება მივეცი, ამიტომ შეკრეფი ამ „საცოდავი“ წერილის დაწერა, თორემ სამაბნის დროც კი არ მჭონდა, რკინის რეგიმები ვიყავი. ყოველი დაწერილი გვერდის ხუთჯერ გადაკეთება და გადაწერა მიხდებოდა.

აი, ძვირფასო ტიციან, რისი თქმაც მინდოდა. ნუ დამძრახავთ წერილის ღარიბული ტონის გამო. გიმეორებთ — მოხსნელი არ გახ-

ლავარო. მე მსურდა მხოლოდ გეგრძნოთ, რომ გულითა და სულით ვწერი.

მარად თქვენი გულწრფელად მოყვარული,
არასოდეს დავივიწყებ „ცისფერ ყანწებს".

ბორის ბუგაევი

1930 წლის 10 მარტი. ტფილისი

ძვირფასო და უსაყვარლესო ბორის ნიკოლოზის ძეო!

დღეს ტფილისში გაზაფხულის ხიომ დამბერა, ჩემი უპირველესი სურვილია, მოგებსალმოთ და ეს სიხარული გაგიზიაროთ. მე და ჩემი მეგობრები ვიმედოვნებთ, რომ კვლავ განმეორდება თქვენთან ტფილისში შეხვედრის უცაბედი სიხარული.

დღე არ გავა, მე და პაოლომ თქვენ რომ არ გაგიხსენოთ, მაგრამ როგორღაც ვერ ვახერხებთ ჩვენი გრძნობის გამოხატვას ნაოცხანთ მონახაზში.

ვიცით, ჩვენს მიმართ მომთხოვნი არ ბრძანდებით, მაგრამ მაინც ძნელია წერილში იმის გამოთქმა, რისი მოწერაც გვწადიან.

თქვენი სიახლოვე ადამიანურად გვაახლოებს ერთმანეთთან, მაგრამ შორიდან თქვენ მაინც ანდერი ბელი ბრძანდებით და დაშორება სიამაყის გრძნობის ალტაცებას ერთგვარად ანელებს. ვცდილობთ, თავი არ შეგაწყენინთ, არ შეგაწუხოთ. თქვენ ამბობთ და გვწერი, წერილების წერა მეძნელებაო. თქვენ, ბიოლოგიის მეცოდნენ, ჩვენი სიყვარულის ამოცნობა არ გაგიგირდებათ, ამასთან, უფრო ადვილად მიხვდებით, როგორ გვაშინებს თქვენთან წერილის მოწერა.

იქნებ ეს წერილი ოდესმე რუსული პოეზიის არქივში მოხვდეს და მსურს ხაზი გავუსვა იმას, რომ ახლა, როდესაც ფასეულობათა გადაფასება უადგილეს საკმედ იქცა, ჩვენ თქვენნი სახით ქედს ვიხრით დიდებულ პოეზიის წინაშე, პუშკინის, ტიუტჩევის, ბლოკისა და ბელის პოეზიის წინაშე. .

სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ კუჩინო რუსული აზრისა და სიტყვის პირველ მერიდიანს კვეთს და ზოგჯერ ეს მერიდიანი კოკორში გადის. ჩვენ ადამიანურად მივეჩვიეთ თქვენს სიახლოვეს და ახლაც მაგიდასთან ვზიხარ და თვალწინ მიდგას თქვენი შეწუხებული სახე, ვგრძნობ შთაგონების შემოტევას და მესმის ორფეოსული მიმნები.

ძნელია ამის შემდეგ ჩვენი ცხოვრების წვრილმანებზე წერა, მაგრამ რას იზამ: ნინო ალექსანდრეს ახლაც მთელი ზამთარი იავადმყოფა, თამარ იაშვილმაც, ამ დღეებში სოხუმს მიეგზავნებიან. ბავშვები კანმრთელად არიან, ბზინად გიგზავნეს.

ტფილისში მარტიროს სერგო ძე იყო ჩამოსული, გვინდოდა ერთად მოგვეწერა წერილი, მგონი, ამას ჩემზე ნაკლებ ეხერხება წერილების წერა, მოსკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი მინდიაშვილი

ყოველდღიურობის მიღმა...

70-იან წლებში არაერთი საინტერესო ახალგაზრდა პროზაიკოსი მოვიდა ქართულ ლიტერატურაში. მათ შორის არიან სოსო პაიჭაძე და მერან აბაშიძე, რომელთა მოთხრობების გარშემოც მინდა ჩემი აზრი გავუზიარო მკითხველს.

მერან აბაშიძის მოთხრობაში „აქეთ მაშხალები, კვაზიმოდო!" მთხრობელი თავად პერსონაჟია. მთავარი პერსონაჟი — ახლად ინსტიტუტდამთავრებული, ქართული ენისა და ლიტერატურის ახალგაზრდა მასწავლებელი, და, ბუნებრივია, რომ მოცემული ნაწარმოების მხატვრულ საჭიროსაც მისი თვალსაწიერიდან აღქმული ვეცნობით.

ბუნებამ მკაცრად დასაჯა მასწავლებელი — ფიზიკურად მახინჯი დაიბადა. გონებრივი და სულიერი „სიმახინჯისაგან" განსხვავებით ფიზიკური სიმახინჯე უფრო თვალშისაცემი და აშკარაა. ამდენად, მასწავლებელი დაუცველია დაცინვისა და შეურაცხყოფისაგან. გარშემოყოფნი მისი დანახვისას საკუთარი ფიზიკური ნორმალურობის გამო მაშინვე ერთგვარი უპირატესობის გრძნობით იმსჭვალებიან და დასაცინად განეწყობიან, რასაც არცთუ იშვიათად „პანღურებიც მოჰყვება ხოლმე". რადგან მასწავლებელი, მისი ფიზიკური სიმახინჯე, მუდამ „ღია", დაუფარავი დაცინვისათვის (რისიც ყველაზე მეტად ეშინია მას), უნდა მიაგნოს ისეთ საშუალებას, რომლის შემწეობითაც თავს დაიცავს, „თავს მოიზღუდავს". ასეთი თავდაცვის საშუალებად იგი იმავე იარაღს — დაცინვას, ირონიას, სარკაზმსა და ცინიზმს ირჩევს და მათს „თავდასხმებს", „შემოტევებს" ხან მიაჩერელი, ხან გესლიანი ენამახვილობით უმასპინძლდება. საერთოდ, სინამდვილის, ადამიანების საგნებისა და მოვლენების ირონიული ინტერპრეტაცია მის ცხოვრებისეულ მრწამსად და პროფესიულ პოზიციად იქცევა. იგი ირონიის, დაცინვისა და სარკაზმის საგნად აქცევს არა მარტო გარე სინამდვილესა და ადამიანებს, საკუთარ თავსაც. ავტოირონია ერთგვარად საკუთარ თავზე ამაღლებისა და თავდაცვის ფუნქციისაც ასრულებს.

მასწავლებელი თავის შინაგან ტკივილებსა და შეპირვებებს ყოველთვის ირონიულად, სიცილით გამოხატავს, რაც ფსიქოლოგიურად ათავისუფლებს მთავან და სულიერი დრამისაგან. ირონია ერთგვარი კათარზისის ფუნქციისაც ასრულებს (ამ კონტექსტში მართლდება სპინოზას ცნობილი სენტენცია — „სიცილი სიხარულია და ამიტომ თავისთავად — დიდი სიკეთეო").

მოცემულ ნაწარმოებში ამბის გადმოცემის, თხრობის მანერის თავისებურება მის კონტრასტულობასა და პარადოქსულობაში, ამბივალენტურობაში მდგომარეობს: იგი თითქმის ყოველთვის გულისხმობს პოზიციურად გამოხატული აზრის მიღმა უარყოფითი აზრის წაკითხვას, პირდაპირ გამოთქმული შეხედულების, თვალსაზრისის „უკუღდებას", საპირისპირო მნიშვნელობით ინტერპრეტაციას:

„...ერთი არგენტინელი მწერლის წიგნში წავიკითხე (რა გვარია ის მწერალი, დამავიწყდა, კორტასარია ვგონებს!), ჰოდა, იქ ერთი ქალია გამოყვანილი, რომელიც მოწყალეობის დად მუშობს ერთ-ერთ ჰოსპიტალში. დაჭრილი უნახავს ერთი, ჯერ მოურჩენია, მერე კი, როცა დაუნახავს, რომ ამ კაცს სხვა რამეც უნდა, არც იმაზე უთქვამს უარი. არ უყვარდა, არც მოსწონდა, მაააგრამ! — ჰუმანურობა, ბატონო, ადამიანურობა!"

მასწავლებელი „იბრძვის სიცილის იარაღით" თავის მიერ არჩეული დაცინვის ობიექტების წინააღმდეგ. ეს დაცინვა უფრო ზზრრად დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია მისთვის, ვის წინააღმდეგაცაა მიმართული. გამოსაკვლევს წარმოადგენდნენ და, ნინო და გივი, რომელთა შე-

სახეںაც მთრობელი, მასწავლებელი, თუმცა ირონიათი გვესაუბრება, მაგრამ ეს დაეინტვა, ირონია ზიზღსა და სიძულვილს კი არ შეიცავს, არამედ — თანაგრძნობასა და სიმპათიას.

მოთხრობაში „აქეთ მაშველები, კვაზიმოდო!" სასაცილოსთან, კომიკურთან უხილავი სიმეგობითა დაკავშირებული სევდიანი, ტრაგიკული. ცხოვრებისეული ამბები და მოვლენები, რომელთაც ავტორი მთხრობელის, მთავარი პერსონაჟის, შეშვეთით გვაცნობს, ფორმით კომიკურია და შინაარსით ტრაგიკული. მასწავლებლის სახალხო, სახუმარო ცხოვრებისეული და სულიერი თავგადასავლების მიღმა ღრმა სევდა და სამძიმილი იფარება ადამიანური მარტოობისა და არსებობის ტრაგიზმის გამო.

მერამ ბაბუძის ეს მოთხრობა წარმოადგენს მისი მსოფლგაგების კარდინალური პრობლემის — ადამიანისა და საზოგადოების რეალური დისჰარმონიისა და სასურველი, მაგრამ განუხორციელებელი, მიუწვდომელი ჰარმონიის მხატვრულ „ცდელვას". ამ დაპირისპირებულობის, დისჰარმონიულობის საზეკასმელად, მის უფრო „ვიზუალურად" წარმოსაჩენად მწერალი მიმართავს ეფექტურ ფორმას — მთავარ პერსონაჟად ფენომენად მახინჯი ადამიანი გამოაყავს, რომელიც თავისი სიმახინჯის გამო უფრო თვალსაჩინოდ გამოიყოფა და „უპირისპირდება" ადამიანებს, საზოგადოებას.

8. ბაბუძის მოცემული მოთხრობა მხატვრული დეფინიციებრივია ამ თვალსაზრისისა, რომლის მიხედვითაც არ არსებობს საზოგადოებისგან ეზოლირებული, ეული, მარტო ადამიანის ბედნიერება, რომ ბედნიერება ფიქციაა იქ, სადაც არ არის მეორე ადამიანი (იგივე თვალსაზრისი აკითხება მერამ ბაბუძის კრებულში წარმოდგენილ მეორე მოთხრობაშიც „პოეზიის ბანერის ქალიშვილი").

მასწავლებლის სოციალურ პარტნიორად, ანტიფუნდად მოთხრობაში გამოდის ბოროტი და დესპოტური ბუნების ჭეშმე ანდრო. ისინი პოლარულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მარტო გარეგნობით, არამედ სულიერი წყობით, ხასიათით, ინტელექტით და მგრძნობელობით...

მასწავლებელი და ანდრო, მთელი მოთხრობის მანძილზე ურთიერთდაპირისპირებულნი, შეურიგებელი კონფრონტაციაში იმყოფებიან.

„...ვინ არის ანდრო? ანდრო ჩვენს მეზობლად მდებარე ეკლესიის მღვდლის შვილია... 8 სთ-დან (ზუსტად 8 სთ-დან) გამოეთრევა სახლიდან თავის ძმაკაცებთან ერთად.

ჯერ სახაშეში შეიენენ...

დაეურტყამენ პატარა-პატარას...

მერე გარეთ გამოვენენ და...

თქვენსკენ კარგად მოგებსენებათ...

არის გამვლელი გოგოების მახრად ადგება და სხვა უბნელების უბნის ლაწალეფნ..."

ასეთივე აგრესიული დამოკიდებულება აქვს ანდროს მასწავლებლისადმი. იგი თავიანი ამფსონებიითურთ, სადაც მოპარავს თვალს, როგორც კი მოიხელთებს, მას არა მარტო დასცინის, ზზეოლ-რად, მთხრობელისაგე სიტყვებით რომ ვთქვათ, თავის „გამბერილ ღიმილს კაი-კაი პანღურებსაც" მოაყოლებს და უმოწყალოდ, შეუბრალებლად სცემს.

ანდროს ხერს მასწავლებლის დამორჩილება, დამონება, თავისუფლების წართმევა, რაც ყველაზე ძვირფასია მისთვის. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მასწავლებელი არ უშინდება ანდროს და თავგანწირული იცავს თავის მამაკაცურ, ადამიანურ ღირსებას და დამოუკიდებლობას. თუ მასწავლებელი ანდროს დამორჩილდება, მაშინ მის წინააღმდეგ არავითარი უსაბრალოობა არ განხორციელდება: მეგელის თანაბმად, ეთიკა არა აქვს გამხდარა, თავისუფლების მოსაპოვებლად თავისი სიცოცხლეც კი გაიღოს მსხვერპლად, იგი იმსახურებს, რომ იყოს მონა.

მასწავლებელი არა თუ არ ემონება ანდროს, თავად გადადის შეტევაზე (გაიხსენეთ მათი ჩხუბის სცენა), ხოლო მოთხრობის დასასრულს, როდესაც ანდრო უკვე თავის ცოლს, მასწავლებლის დას, ბუცელში ფეხს ჩაარტყამს და ნინო საავადმყოფოში გარდაიცვლება, იარაღით ხელში სახლში ჩაკეტილ ანდროსაკენ შურისძიებელად მიეშურება:

„ბატონებო! სიდღაც ყური მომიკრავს — ხამართლიანი შურისძიება ბედნიერის ხდის ადამიანსო. არ ვიცი, რამდენად სწორად მოგაწოდეთ ეს სიდღაც გაგონილი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მე ახლაც ბედნიერად ვგრძნობ თავს, როცა იარაღმამარჯვებული ვდგავარ ჩემი მტრის სახლის წინ, ერთთანად ვცადაცდე და დაკაკუნება ვერ გამიბედავს, ვაითუ მამამისმა ან სხვა ვინმემ გააღოს კარი და დამნაშავემ ფანჯრიდან გადახტომით უშველოს თავს.

მაგრამ არა! ეს არ შეიძლება, რომ მოხდეს! დამეწყნარეთენი, ძვირფასო სკეპტიკოსებო, რომ კარს მხოლოდ ანდრო გააღებს და სხვა არავინ!..

მაშ... გავაჩერადენთ ეშაფოტი!

აქეთ მაშველები... კვაზიმოდო!"

ავტორი ამ მოთხრობით გვეუბნება, რომ როგორი სუსტიც არ უნდა იყოს ადამიანი, მის დამონებას ვერასოდეს შეძლებენ ვერავითარი ძალმომრეობა, ვერავითარი ფიზიკური ძალა, თუ იგი არ დაჩაკრგავს ამაუ სულს, დაუმცხრალ სუფთელსა და ნეიმბოზე, ენერგიულ „ნებას თავისუფლებისაკენ"!

როგორც მთხრობიდან ვიცით, მასწავლებელი თავდაპირველად გადაწყვეტს, შეიეკვროს ანდრო, „შეიეკვროს მოეკაცი თვისი", გადაწყვეტს ამ მუშაური მცნების მისდიოს, ამ მცნებიდან გამომდინარე პრინციპით იცხოვროს, მაგ-

ალ. ბ. ბ. ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ მალე რწმუნდება, რომ პრაქტიკულად ცხოვრება, ხოციალური ყოფიერება არ იძლევა ამ მცნების განხორციელების შესაძლებლობას, რომ ბოროტებას სიყვარულითა და სიკეთის ქმნით კი არ უნდა დიუპრისპირდე, არამედ სიძულვილითა და ბოროტებით.

ახეთია, მახწავლებლის აზრით, ადამიანური არსებობის ხამწუხარო ეკუშპრიტება.

მახწავლებლის თვისებების გადმოცემას და გრძნობათა გამოხატვას ახასიათებს ერთგვარი ფსიქოლოგიური სირთული, პიპერბოლის ელეშენტი, შინაგანი კონტრასტულობა, მაგრამ ყოველივე ეს მის მხატვრულ სახეს კი არ ამუნდოვანებს, არამედ მეტ გარკვეულობასა და კონკრეტულობას ანიჭებს.

მახწავლებლის მხატვრული სახე ოსტატურად, დამაჯერებლად „გამოძერწილია" სახეა, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ პერსონაჟებზე. ზოგიერთი მათგანის ხასიათში ერთგვარი სქემატურობა, სწორხაზოვნება შეინიშნება. ჩემის აზრით, ახეთია ანდრო, მის ხასიათში არ არის დინამიკა, „ოძრაობა", განვითარება...

მახწავლებელი არ გახლავთ ადამიანისა და კაცობრობის მოძულე ცინიკისა მიზანთროპი, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს. მას ადამიანი კი არ სძულს და ადამიანს კი არ დასცინის, მისი სიძულვილისა და დაცინვის საგანს ნარმოადგენს ის უარყოფითი თვისებები ადამიანში, რომლებიც სხვა ადამიანთა უმეტესობის წყაროდ იქცევა ხოლმე. მახწავლებელს არ მიაჩნია, რომ ბოროტება, ზნეობრივი მაწკიფრანი ადამიანისათვის იმანენტურია, რომ ბოროტება ადამიანის ბუნებაშია.

ანდროს მსგავს ბოროტ ადამიანებად არ იხალებიან, არამედ ფორმირდებიან, როცა ბავშვობის სამყაროს ტოვებენ და სოციალურ-საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩაერთვიან.

ერთადერთნი, ვისაც მახწავლებელი ყოველგვარი ირონიის, ორაზროვნებისა და დაცინვის გარეშე, უშუალოდ და გულწრფელად ეხუბრება, ვისთანაც იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს, ბავშვები არიან. ადამიანები, მისი რწმენით, წმინდანები, ანელილნი არიან. ბავშვობის ხანაში, რადგან „მათ ჯერ ჯერ თაფლის წვეთად არ ჩაიკრიბა ოკრის წკრილი", რადგან „მათი თვალები ჯერ არ ეუმდურეკია ზეს..."[1], რადგან ჯერ არ განუცდიათ „უზომო სიხარული ან უზომო მწუხარება, რომლის შედეგადაც ადამიანი საბუდამდე იფიტება...".

ბავშვობისა და ბავშვების ამაღლებული და ამაღელვებელი სიყვარული მახწავლებლისა წმიდათა-წმიდაა, მისი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, რელიგიაა.

მერამ ამაშორის მეორე მოთხრობის („ეროზიის ხანძრის ქალიშვილი") სათაური მეტფოტრულობა და ენერგიულობა წაკითხვისთანავე გარკვეულ განწყობას გვაქმნის. იგი ეკუშპრიტებულია, როგორც მოთხრობის აქტიური კომპონენტი, როგორც ხარმეული, ხაიდანაც მოცემული ნაწარმოების მხატვრული სამყაროო უნდა ალიქმებოდეს. ტექსტის კითხვისას სათაურის ექსპრესია მატულობს და ძლიერდება. იგი მრავალგზის, არაერთხელ მეორდება და ტექსტის ინტეგრალურ ნაწილად ალიქმება. როდესაც მოთხრობის მთლიანად ვეცნობით, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სათაურშია ფოკუსირებული, დაწერილი მთავარი სათქმელი. იგი ორგანულად შეიჭრა მის სტრუქტურაში და დანარჩენ ტექსტს არა მარტო იდეურთემატურად და ემოციურად, სტილისტურადაც კი უკავშირდება.

„ეროზიის ხანძრის ქალიშვილში" ორი ტიტლური ფენაა. მათი ურთიერთმონაცვლეობა მკითხველში ემოციათა, განწყობილებათა მონაცვლეობას იწვევს და გარკვეულ სტილისტურ ეფექტსაც ქმნის. მიუხედავად ურთიერთგანსხვავებულობისა, ორივე მათგანი თავის გამართლებას პოულობს მოცემული ნაწარმოების საერთო მხატვრულ კონცეფციაში.

ერთია — ავტორის მონოლოგები („შურსულებული დელაბოციური, ზეაწეული, რამდენადმე პათეტიური ტონით), რომლებიც კომპოზიციურადაა ორის გამოყოფილი დანარჩენი ტექსტისაგან, ე. ი. ინიციპარ, რასაც მოთხრობის მთავარი პერსონაჟი — ნინო პირველ პირში მოგვითხრობს. ავტორის მონოლოგები თხრობის დროითი და სივრცეობრივი პლანიდანაა ამოვარდნილი, ასე ვთქვათ, მის „გარეთაა". ისინი თუმცა ტკვეთრად განსხვავდება მთავარი პერსონაჟის მეტყველებისაგან — რიტმიკით, ინტონაციურ-სინტაკსური წყობით, მეტყველების მელოდიურობით, მაგრამ ნაწარმოების იდეურ სამყაროს, პრობლემატიკას ორგანულად უკავშრდება.

ავტორის მონოლოგები ლირიკული მედიტაციებია, რომლებიც მის განცდებს, განწყობილებებს, აზრებს, სულიერი ცხოვრების ფრაგმენტებს გამოხატავს მოცემულ მომენტში. ავტორის მხატვრულ სახეს მოთხრობის პერსონაჟთათვის დამახასიათებელი სივრცეობრივ-დროული, ემპირიული კონკრეტულთან არ გააჩნია, მაგრამ მას აქვს თავისებური ემოციური, სულიერი კონკრეტულობა. ავტორისეული მონოლოგების ფორმა ლექსალურ, პოეტურ ფორმას უახლოვდება:

„გადადი ლოცვავ მუსიკაში, მუსიკავ — ისევ მას მიეცვარე, ვინცა ალგალინა.

ნარიელ იგი შენის ფრთებთან, განფინე ღრუბლად, წვიმად აქციე, ჩამოიცვარ უფლის ცრემლებად.

ეკლავ ალადგინე ლურჯი ტბიდან, შეასხი ხორცი, დაატკეე ისევ, ალოდინე, დადგე, დაწვი, ალიქმეინენე სული ამა საოკუნნოა. განშიდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორად: დაიყენე კედლის წინაშე, განაცდევინე, რა ძნელია მისი დამხმარეცა"...

შევნიშნავთ, რომ ასეთი პოეტური ფორმით მეტუველები ნინოს თხრობაშიც გვხვდება და აქ ავტორისა და მთავარი პერსონაჟის მეტუველება ერთმანეთს ემსგავსება, ე. ი. ალარ ხდება მათი სამეტყველო ნაკადის ინდივიდუალიზება. ეს, ჩვენი აზრით, მოცემული ნაწარმოების მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი პრინციპია, რომლის მიზანია იმის ჩვენება, რომ ავტორისეული პოზიცია პერსონაჟის პოზიციას ემთხვევა და მის გარეთ არ გადის.

ავტორისა და გმირის მეტყველებაში ჩართულ მედიტაციებში მწერალისათვის მნიშვნელოვანია არა იმდენად გამოხატვის სიზუსტე და ინფორმაციულობა, რამდენადაც ემოციური სიზუსტე, სიტყვიერი ალმაფრენა, სიტყვიერი ქსოვილის რაღაცნაირი ხაზიანი ორგანიზება და მუსიკალურობა.

●

ნინოს და გიგის უუკარო ერთმანეთი. ერთად ცხოვრობენ. მაგრამ სიყვარული და თანაცხოვრება არ აღმოჩნდება საკმარისი პირობა ნინოს სულიერი მარტობისა და ყოველდღიური, ულიმლამო ემპირიული ყოფის დასაძლევად, რადგან მათს სიყვარულს დაუკარგავს ყველაზე არსებითი, მნიშვნელოვანი — გრძნობათა სიძლიერე და რომანტიკა...

ნინოსა და გიგის კომუნიკაციის ფორმაა — დუმილი, ოღონდ არა მეტყველი დუმილი. ნინო კვლავ მარტო, ეულ სულად რჩება. მაგრამ, ცნობილია, ადამიანს ხანგრძლივად არც ფიზიკურ, არც სულიერ მარტობაში ყოფნა არ შეუძლია. ამიტომ, როდესაც არ ხდება კომუნიკაციის პრაქტიკული რეალიზება, ადამიანს იგი სულიერ სფეროში გადაჰკავს და არაკომუნიკაბელობის კომპენსირებას საკუთარ თავთან, წარმოსახულ პიროვნებასთან ან პერსონიფიცირებულ საგანთან საუბრით ახდენს, როგორც ამას აკეთებს ზღვაში მარტოდმარტო დარჩენილი მეზღვაური ემინგუეის მოთხრობაში „მოხუცი და ზღვა".

მოთხრობის მეორე ნახევარსაც, არსებითად, შეადგენს ნინოს საუბარი, დიალოგები თავის თავთან, უფრო სწორად, თავისი ქვეეგოობიერებიდან „გამოყოფილ მე"-სთან, რომელსაც თვითონ „ორეულს" უწოდებს. ნინოს ფსიქიკაში ეს დიალოგები თავისადაუნებურად მიედინება, ამ დროს იგი მთლიანად შთანთქმულია ორეულთან საუბრით და გამოთიშულია გარე სამყაროსგან. ნინოს დიალოგები საკუთარ ორეულთან მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებაა, რისი მეშვეობითაც მწერალი მის მარტოობას წარმოაჩენს და, იმავდროულად, ამ პერსონაჟის გაორებულობას, შინაგანი მთლიანობის დაკარგვასა და მისი ცნობიერების დარღვეულობასაც დაგვანახვებს.

ნინო თავის ფიქრებს, აზრებს, მოჩვენებებსა ალიქვამს როგორც გარედან, ორეულის მიერ თავსმოხვეულს. იგი ებრძვის, ეკამათება თავის ორეულს, რომელიც ალეგორიული გადაწყვეტილებების მიღებას, ახსნრდულ აზრებსა და პასუხებისებს შთააგონებს და მის დაძლევასა და განადგურებასაც ცდილობს:

„ო, წყეულო! მე ხშირად მეუფლება შენი მოსპობის სურვილი, მაგრამ რამდენჯერაც ავიკვანე სახრჩობელაზე, იმდენჯერეც ის ულუფი ჩამომაცვი ესერეზე. რამდენჯერაც მოგიღერე დანა, იმდენჯერეც ჩემსკენ მოატრიალე მისი ალესილი პირი".

მაგრამ როგორ აღვიქვათ ნინოს ეს გაორებულობა?

როგორც მისი პიროვნული ნაკლის, როგორც პათოლოგიური კაზუსის, ავადმყოფური სულის მაჩვენებელი, თუ როგორც სულიერი სიმდიდრის, როგორც იმ სხვადასხვაგვარ პოტენციათა სიუხვის გამომხატველი, რომელთაც ნინო, და საერთოდ, ადამიანი თავის თავში ფარულად ატარებს?

ნინოს აქვს პიპერთროპირებული, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაუკუღმართებული მგრძნობიარობა", რომელიც „ზიზღრენიას უფრო მგავს, ვიდრე პოეზიას". ასეთი მგრძნობელობა მას ხილულის მიღმა შეაგრძნობინებს და დაანახვებს უხილავს; მწვანეული, იდეალიზებული ფორმების მიღმა — მდაბალს, საგანთა და მოვლენათა გარეგანი. მოჩვენებითი ბარმონიის მიღმა — დისჰარმონიას, გარეგანისა და შინაგანის ღრმა კონტრასტულობას:

„ნუთუ ვარდის სურნელება ქვდომის სიმბოლოა?

ნუთუ ყოველგვარი სილამაზე, სისპეტაკე და ეთილშობილება მხოლოდ ფარსია?".

„რატომ მეჩვენება ხანდახან, როცა ვარდი მიჭირავს ხელში, რომ მის გახმწნილი ვვამის სუნი ასდის და არა ის ეთილსურნელი, რომლითაც ბუნებას დაუსაჩუქრებია?..."

ასეთი მგრძნობიარე სული, ანატომ ფრანსის სიტყვებით, იმ ზეპირნებრივ, სასწაულებრივ შუქს მგავს, რომელის მეშვეობითაც მისი მფლობელი გამუდმებით ხედავს ჩონჩხს იქ, სადაც სხვები სხეულის მშვენიერებას ხედავენ, კუნთების ვრეხას იქ, სადაც თვალები ღიმილს ამჩნევენ. ნინო მფლობელია ამ საგნებისა და მოვლენების ხილულ ფორმათა „დამშვილი" მაგრამ შუქსა, მაგრამ ამ უკანასკნელს მისთვის საგანთა შემეცნებით მოგვრილი სიხარული კი არ მოაკვს, არამედ სულიერი დრამის, იმედგაცრუების, სკეპსისის წყაროდ იქცევა.

აკაკი მინდიაშვილი
ყოველდღიურობის მიღმა

ნინოს წარმოსახვა უალრესად აჭეიური ბუნებისაა. თუ ნინოს მეხსიერებაში შემორჩენილი ჭარსულის სურათები მეტ-ნაკლებად ადეკვატურნი არიან რეალური სინამდვილისა, სამაგიროდ წარმოსახვაში მის მიერ აღქმული საგნები, მოვლენები, ადამიანები განიცდიან ტლეე დეფორმირებებიან, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოქმედებით ტრანსფორმაციას განიცდიან:

„ხაკმარისია ვინმე ან რაიმე მომეწონოს, რომ ჩემი წარმოსახვის უნარი მას დაამარხვინის, პაროდიად აჭცევს და ისე წარმომიდგენს ხოლმე არ ვიცი, რისი ბრალია ეს...“

ერთადერთი, რასაც ისე აღიქვამს, როგორც არსებობს, დეფორმირების გარეშე — ბახის პრელუდიები (ორდანზე შესრულებული), რადგან მის „ხანძარს, თვალთაგან წამოსულ ინ შუქს“, იმ მაგიურ ძალას, რომელიც საგნებს საბურველს ხდის და რომელიც ალბათ მამისგან გადმოეცა მემკვიდრეობით, „არ შეუძლია მისი საფარველის დაწვა, რადგან ეს მუსიკა თვითონაა ცეცხლი...“

ნინო ადამიანებს განარჩევს იმის მიხედვით, რომელი ხაწუხი უფრო მეტია, რომელი უფრო ძლიერი და განვითარებული მათში — გრძნობადი თუ გონებრივი, „პოეზიის ხანძარი“ თუ „შვიდი გონები“, რომელიც „ყოველთვის ან დასცინის, ან განცვიფრებით უმზერს გადარეული ჭარიშლის როკვას“. ნინოს შეხედულებით, ადამიანთა ეგზისტენციის, ტრაგიკულობის, არაკომუნიკაბელობის მიზეზი ისაა, რომ მათ არსებობაში, ცხოვრებაში, ხაწუხაროდ, უპირატესობა გონებას ენიჭება, მაშინ როცა ნამდვილი გრძნობები, „პოეზიის ხანძარია“ ეკუმპირატების გამომხმაბელი და ხაფუძველი ადამიანის ღირსეული ეკეკეებისა და გადაწყვეტილებების. ადამიანური ეოფიერების ეზრი, უმაღლესი სიმართლე, მიეწვდომელია გონებისათვის... იგი მხოლოდ და მხოლოდ გრძნობადი აღქმისა და უშფალო ხულიერი „ცდის“ კუთვნილებაა. ვინც გონების კარანგით ცხოვრობს, ვისი გრძნობადი, ემოციური ცხოვრებაც მწირია, მას თავისი თავისა და სხვათა შეკნობის უნარი აქვს აღრეფირებული. ამიტომაა გაუგებარი მათთვის, ნინოს ეზრით, მამამისის მიერ ლეკის მოკვლა და თვითმკვლელობა. ხოლო ვინც მის მსგავსად „ეულის გონებით“ შეხედავს მამის ხაქციელს, დაინახავს „მაგალითის გაფაკეზებული ხულის ისტერიული პათეტიკისას“, და არ იტკვის, რომ მას უნდა „გამორჩინა დიდსულოვანი მოთმინება, არაფრად ჩაეგდო მიეწენებული შეურაცხოფა (რადგან შეურაცხყო მასზე მდაბალმა) და ამპარტავანი, თავის თავში დარწმუნებული ინდივიდივი გაფხრიოს ღიმილით ენიშნებინა: „შენ შენი სიცოცხლე არად გიღირს. რადგან არც არაფერი ღირს, მე კი სხვა იდეები მაქვს ცხოვრებაშო?!

არა! ჩვენ სხვა ხალხი ვართ, ბატონო მშვიდო, გონებავ და ხაერთოდ — გონებავ! ჩვენთან, ეროვნულ მაში არ შეიძლება!“

მთელს მოთხრობას ლიტმოტივივით გასდევს უცნაური ნოტალგია, ძალუმი ნოსტა, მონატრება მაღალი ვნებების, გრძნობების, ჭარიშლის, ღიღეთ, მუსიკის, „პოეზიის ხანძრის“, ენერგიის... ენერგიის, რომელიც ადამიანის არსებობის მშვიდ, მონოტონურ მდინარებაში შეიპრეკა, ამ სიმშვიდეს, ერთფეროვნებას ააფეთქებს შიგნიდან, „პოეზიის ხანძრის“ ალანთებს და სხვა. ღიღეკარე, კალაპოტში გადაიყვანს...

ნინო გონებაში ხედავს ბოროტების წყაროს, გამანადგურებელ ხაწუხს. გონების ხაკირისპიროდ ვვთავაზობს გრძნობას და პოეზიას (ხაერთოდ, ხელოვნებას — ადამიანი პოეტურად უნდა ცხოვრობდეს და როგორც პოეტი ლეკსს, ისე პოეტურად უნდა „თხზადეს“ თავის ცხოვრებას). ის ფიქრობს, რომ ადამიანს — დაეეემულს, „მიწის ტალახში“ განრთხმულს გონებასთან ერთად, — გრძნობა, „პოეზიის ხანძარი“ აღადგენს, გაწწმენდს, გააკეთილშობილებს და შეაცნობინებს საკუთარ თავს, რადგან მხოლოდ მას ძალუძს —

დასწვას და გაანადგუროს გამქირდავი ღიმილი და პრაზაული აზრიკენება;

ნათელი მომფინოს გაურკვეველ ხურვილებს და გააუფროს ყოველგვარი ტკივილი;

დაამხსნროს მონობის ბორკილი;

მიანეოს ხელოვნება მაშრალთ და დაკრდომილთ...

„პოეზიის ხანძრით“ აღორძინებული ადამიანი — აი, მისი იდეალი!

●

ორივე ზემოთაგანხილული მოთხრობის დომინანტაა — კონტრასტი. სწორედ იგი განსაზღვრავს მათი სიუეეტის ორგანიზებას, არსებით როლს თამაშობს თხრობის კომპოზიციაში, მხატვრული სტრუქტურის აგებაში.

მასწავლებლის ფიზიკური სიმახინჯე კონტრასტია ანდროს გარეგნობასთან, ხოლო კიდევ უფრო მეტ კონტრასტში — საკუთარ ხულიერ მომხიბვლელობასთან, რაც განსაკუთრებით ბავშვებისადმი ამადელებულ ხიკვარულში ვლინდება, — ამ დროს იგი ეკუმპირატად მშვენიერია!

მასწავლებელი მოაზროვნე, ინტელექტუალია — ანდრო გაუნათლებელი და უბერი.

ანდროს გარეგნება კონტრასტშია საკუთარ ხულიერ „სიმახინჯეთთან“.

მერე მოთხრობაში, ნინოს მგრძნობელობა უპირისპირდება გივის გონებრიულობას, დუმილი — მეტყველებას. წარმოსახვა — რეალურს, პოეტური აღმფრენა — პროზაულ აზროვნებას, „მოცისფრო-მოყავისფრო ფერებით დატკვეევ-

ბულნი" — „ომიგაწეწილი, ცეცხლოვანი ქარიშხლის ბგერებად ქცეული" ადამიანებს... ახე იქმნება მ. აბაშიძის მოთხრობებში ოპოზიციათა, ანტიფიუნთა დინამიკური სისტემა.

ზოგადად, მერაბ აბაშიძის მხატვრულ სამყაროში სიკეთე დაპირისპირებულია ბოროტებასთან, სილამაზე — სიმახინჯესთან, გრძნობა — გონებასთან...

●

ვფიქრობთ, საინტერესოა ის ნოვაციები, რომელთაც მერაბ აბაშიძე ლექსიკის ფარგლებში მიმართავს და ქმნის (ვფშოდოთ ასე) ე ქ ს ტ რ ი ულ სიტყვებს (მაგრაცამ, დაჭეკფდამ, ზახრაფამ, პირადდამ, მსტერიული, არა-ვომ...). მ. აბაშიძე ყოველთვის არ იღებს სიტყვებს საყოველთაო ხმარებაში მიღებული და დაკანონებული ფორმით და სახეს უცვლის მათ. ასეთ დეფორმაციათა შედეგად სიტყვები მანამდე ჩვენთვის უცნობ, „უხილავ" მხარეებს ავლენენ, სხვადაგარი ექსპრესიულობითა და ემოციურობით იმუხტებიან. ეს სახეშეცვლილი ლექსიკური ერთეულები, კონტექსტიდან ამოგდებულნი, გარემომცველ სიტყვათაგან განკერძოებულნი, ნაწარმოების მხატვრული ატმოსფეროს, მთლიანი კონტექსტის, ავტორის სინამდვილისადმი მიმართებისა და საერთო ეროვნული პოზიციის გათვალისწინების გარეშე წონსწონია, ფრაგმატულად გიფმარილები. მაგრამ კონტექსტში, ნაწარმოების დინამიკურ სისტემაში ჩართულნი, მნიშვნელოვან ფუნქციურ დატვირთვასა და რელევანტურობას იძენენ. შევნიშნავთ აქვე, რომ მ. აბაშიძის მიერ რომელიმე სიტყვის დეფორმაციის მისი სახელდებითი, კონკრეტული შინაარსის დაკარგვა კი არ მოსდევს, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, ექსპრესიული და ემოციური „სივრცის" გაფართოება, დამატებით, ზოგჯერ ძლიერ შესამჩნევ მნიშვნელობათა ნიუანსების გაჩენა.

მერაბ აბაშიძის სიტყვისადმი ასეთი ინდივიდუალური მიდგომა კიდევ ერთხელ ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ „უსახლოო ნაცნობ სიტყვაში" მუდამ რის დაფარული რაღაც ახალი, ჯერ კიდევ გაუხსნელი პოტენცია და გაუმჟღავნებელი ექსპრესია, და რომ ნიჭიერი მწერლის შემოქმედი მასთან შესაძლოა მ ო ე ლ ო ნ ე ლ ო ბ ა ს თ ა ნ შეხვედრად იქცეს.

რადგან „ენობრივ ნოვაციებს" შეეხეთო, გვსურს, ამასთან დაკავშირებით ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ ენისადმი იმ დამოკიდებულებაზე, რასაც გ. დოჩანაშვილი თავის ბოლო მოთხრობებში ავლენს...

ჩვენი აზრით, საინტერესოცაა და გამართლებულიც გურამ დოჩანაშვილის „ლინგვისტური თავნებობა", მისი შემოქმედებით დამოკიდებულება ენის ის კონვენციური საშუალებებისადმი, რომელთაც იგი თ ა ვ ი ს ებ ურ ად იყენებს, ხოლო ზოგჯერ კი იდიოლექტის, იდიოსტილის სპეციფიკურ სისტემად გარდაქმნის (მ. აბაშიძის ენობრივი ნოვაციები მხოლოდ ლექსიკის სფეროში მიმდინარეობს, გ. დოჩანაშვილისა კი — ლექსიკისა და სტილისტიკის ფარგლებშიც)...

გურამ დოჩანაშვილი თავის მხატვრულ ამოცანათა ენობრივ მატერიალიზაციას ახლენს არა საყოველთაო, ნორმატიული ენისაგან გამოყოფილი, იზოლირებული, თავის თავში ჩაკეტილი რაღაც განსაკუთრებული კ ო დ ი ს, არამედ იმ სტილისტიკურ-სემანტიკურ პ ო ტ ე ნ ც ი ა თ ა მეშვეობით, რომელთაც იგი თვით საყოველთაო სალიტერატურო ენაში პოულობს და რომელნიც მანამდე არ ყოფილა რეალიზებული.

დღეს უკვე პარადოქსად ჩანს ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრული ენის ისეთი განხილვა, რომელიც თვლის, მხატვრული ენა ნორმატიულ, საყოველთაო ენას უნდა ემთხვეოდესო...

პირიქით, ნამდვილი მწერალი მუდამ უნდა ცდილობდეს, ერთი მხრივ, ნორმირებული ენობრივი გამოხატვის რეტინულ-შტამპური მოდელებისა და, მეორეს მხრივ კი, საკუთარი იდიოლექტის დაძლევას, რომლებიც „თავის უფლებებს" ყოველ მომდევნო ახალ ნაწარმოებში აცდადებენ ხოლმე. ენისადმი სწორედ ასეთი შემოქმედითი დამოკიდებულებით გამოირჩევა მ. აბაშიძისა და, განსაკუთრებით, გ. დოჩანაშვილის ენობრივი პოზიცია.

ენობრივი ნორმის კარიაღულობა არ უნდა აფურეთოთ მის უფაუოფაზე. ავტორები, რომელთაც სრულიად არ გადაუხვევენ ნორმას, მეტწილად მოსაწყენნი არიან. როდესაც ადამიანს გამომეშვავებული აქვს ნორმის გრძნობა, სწორედ მაშინ შეიგრძნობს იგი კარგ მწერლებთან ნორმისგან გადახვევის მოელს მომხიბვლელობას" („ზეიცა).

გურამ დოჩანაშვილი საყოველთაო სალიტერატურო ენის თავისებურ აქტუალიზაციასა და ფუნქციონირებას, ახალ სიტყვიერ კომბინაციებს, მის ლექსიკურ სემანტიკურ და სტილისტიკურ პოტენციათა „არანორმირებულ", უჩვეულო გამოყენებას, გამოხატვის ორიგინალურ საშუალებათა შექმნას საყოველთაო ენის შესაძლებლობათა ფარგლებში ახორციელებს. ასე რომ გაუმართლებელი და უსაფუძვლოა გ. დოჩანაშვილის მიერ ნორმირებული სტილის დარღვევის „ტრადიციის დარღვევასთან" იდენტიფიკაცია. მისი ენობრივი პოზიციის საყოველთაო ენისადმი, ფრანგიკისადმი დაპირისპირებად მიჩნევა.

გავიხსენოთ, რას წერდა ამ პრობლემასთან დაკავშირებით ფოსლერი გამოკვლევაში: „ფრანგიკული და ფსიქოლოგიური ფორმები ენაში": „ის, რაც შ ე ე ც ნ ო მ ა ა საყოველთაო ენის

ELIBRARY.GE

თვალსაზრისით, შესაძლოა, მხატვრული ღირებულების აღმოჩნდეს, თუ იგი თვითმყოფად პიროვნებიდან მოდის.

ხელოვნებაში ბატონობს პიროვნების უფლება, გრამატიკაში — კოლექტივის".

ჩვენის აზრით, მერან ბაბაშიძისა და გურამ დოჩანაშვილის მიერ მხატვრული ჩანაფიქრის მიზნით ეროვნული ხალხურ-ტიპური ენის, მისი წესებისა და კანონების „დარღვევა", მათი მარკირება უმეტესწილად ეხოტიკურად გამართლებული და მოტივირებულია.

* * *

ხოხო პაიკაძის მოთხრობის „უკანასკნელი დუბლის" ერთ-ერთი მთავარი პრობლემა (თემაა) ორი ყველაზე ახლოველი ადამიანის — ცოლისა და ქმრის, ანეტასა და ანგელის ურთიერთობა, რის საფუძველსა და ამოსავალსაც თითოეული მათგანის მარტოობა შეადგენს. მათი სიყვარული, თანაარსებობა სხვა არაფერია, თუ არა ცდა ამ ორი მარტოობის შინაგანი, სულიერი დაკავშირებისა. მთელი მათი ცხოვრება მტკივნეულია, მტანჯველი მარტოობა, მაგრამ ეი შეიცავს პოზიტიურ მომენტს — მარტოობის დაძლევისა და ერთმანეთში გადასვლის სწრაფვას. ანგელი და ანეტა ტანჯულნაა იმის გამო, რომ მთლიანად ვერასოდეს ამოიცნობენ ერთმანეთს, რომ მხოლოდ ნაწილობრივ არიან მოცეშულნი ერთმანეთისთვის, ვერ გიგმენებენთ ერთმანეთი მთელი სისავსით, მთელი ადამიანური რაობით, რომ თითოეულის სულიერი, შინაგანი სამყარო მიფწვდომელია და მთელი თავისაში არსებობის მანძილზე ერთმანეთისთვის მარადიულ გამოცანად დარჩებიან (ამავე პრობლემის მხატვრული „აკვლევა" კრებულში წარმოდგენილი პერეული მოთხრობა „მეთევზე") ანგელოზი და ანეტა ცოლქმრული ურთიერთობა, ცხოვრება, უსიყვარულო, გულგრილი თანაარსებობა კი არ არის, არამედ ერთმანეთის სულიერი სამყაროს წვდომის, ერთმანეთის ამოცნობის სურვილით ალსავსე ძალაუფლი თანაარსებობა. ისინი მიახლეთიან სამწუხარო ჭეშმარიტებას, რომ სიტყვიერი კომუნიკაცია, ყოველდღიური ურთიერთობა, თანაცხოვრება მხოლოდ აჩრდილია „რეალურ" გამოოუფმელის, შინაგანის, „ნამდვილის", „აზრმიფწვდომისა". ანგელი შეშრდა ჯანფდება ყოველივე ამის გამო და „ამბობენის ეაბს" ხასოწარკვეთილი ყურის: „ეუფელია, ყველაფერი ტყუილია!" ამიტომაა, რომ ანეტას გარდაცვალება, ანეტას დაკარგვა (მტკივნეული, მტანჯველ განცდასთან ერთად) ანგელის არსებაში უმალესი რეალობის შეგრძნებას ბაადებს და მეტაფიზიკური არსებობისთვის აღვიძებს, ხოლო ამ სიმაღლიდან იგი თავის განვლილ სოციალურ ცხოვრებას, ემპირიულ ყოფას, ანეტასთან და ადამიანებთან თანაარსებობას უკვე ისე აღიქვამს, როგორც ბუტაფორიას, როგორც არაგეშმარიტ ცხოვრებას, როგორც „თამაშს" (ამის გამო აეცდების ხოლეე ანგელი — წინათ ეეფიქრა, მხასხიობი ვიყავიო). უფრო მეტიც, როდესაც ისხენებს წარსულს, ეარდასულ ცხოვრებას და ცდილობს მის გაეცნობიერებას, ზოგჯერ ეეკვიე ეი ეკითხება, ის, რაც უკვე იყო, მართლა იყო, თუ მხოლოდ ეჩვენება, რომ იყო...

ცოლის დაკარგვის შემდეგ (ქალიშვილი ვიღაც მეზღვაურის გაყვა რუსეთში) ანგელს ყოველდღევრი ინტერესი უქრება გარეხამყაროსადმი, მოლიანად ეთიშება გარემოს. იგი ალარ არის მისი სამყარო. თავის თავში ჩაკრმავებული, საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო მდინარეებიდან ამოგარდნილი, სოციალურობადაკარგული, გარეშეთათვის გიჟია, არანორმალური.ია. იგი ხმას არავის აღარ სცემს. არავის პასუხობს შეკითხვებზე.

„რაც ცოლი მოუკვდა, ალარავის არ ელაპარაკება..."

„ეს ანგელი არ არის?! — გაიოცა ვიღაცამ.

— თამაზ, თამაზ, ნახე, ანგელი მოუუკვანიათ.

— ეე. გიჟეთის დოლიაზ?!"

მაგრამ ანგელი მხოლოდ გარშემომყოფთათვის არის გიჟი. იგი, როგორც ვთქვეთ, ისე და იმდენად კონკეტტირდება საკუთარ თავში, მისთვის ისე უფასურდება ყოველივე, რასაც კი ადრე რაიმე ღირებულება ჰქონდა, ისეთი გულგრილი ხდება. რომ ამას, რაც მის მიღმაა, ვეღარ აღიქვამს... ანგელის არსებობაში თითქმის მთლიანად რედუცირდება ობიექტური სამყარო. იგი ამ დროს შეიძლება შევადაროთ ლაინბიერის ჩაკეტილ მონადას, რომელსაც „სარკეული არა აქვს ბარეხამყაროში". ახლა ანგელ ფერს ალის დგას ჭეშმარიტებასთან, ვიდრე მაშინ, როცა ნორმალური ადამიანი, სოციალურ ურთიერთობებში ჩართული არსება იყო. ანგელის ახლა ალურობა — ეს „სიგიჟე", „არანორმალურობა" — ამორთავს მას ცხოვრებეს ჩვეულებრივ, ყოველდღიურ, კონფორმისტულ წარმოდგენათა და შეხედულებათა რიგიდან და ეპრეულად აძლევს საშუალებას „გამოფიზლდეს" და ჭეშმარიტად დაინახოს, გაიცნობიეროს თავისი წარსული, სოციალური თანაცხოვრების აზრი, არსი ცოლ-შვილთან ურთიერთობისა, სიყვარულისა, არსებობისა, დაინახოს საკუთარი თავიც — ისეთი, როგორიც ის სინამდვილეში იყო და ისეთი, როგორიც ამჟამად არის.

ანგელის მთელს განვლილ ცხოვრებას, რომლისგანაც შენდება მოთხრობის მხატვრული სივრცე, მის „სნეულ ფონებში" (ავტორის სიტყვებია), „არანორმალურ", ტრაგიკულ ცნობიერებაში გაეცოცხლებულს ვეცნობით.

ანგელი როგორღაც დროის მიღმა, სუბიექტურ დროში არსებობს...

„უკანასკნელ დუბლში" შესანიშნავადაა გამოსახული სუბიექტურ და რეალურ დროთა, ასევე შინაგანი, სულიერი „სივრცისა" და ემპი-

რიული სივრცის შეუსაბამობა და ურთიერთმონაცვლობა — სოსო პიაჭაძე კარგად ფლობს და ოსტატურად იყენებს „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდს.

ანგია მთლიანად თავის ცნობიერებაში „ცხოვრობს“. ისეთი შეგრძნება გვიჩნდება, თითქოს მისი სხეულია ნაალებად „მატერიალური“ გახდა და საგნობრობა, წონადობა დაკარგო. გარე სამყარო, „სამყარო ყველასთვის“ მისთვის აღარაა ღირებული. როცა იგი თავის ცნობიერებიდან „გამოდის“, ქალაქს, სახლებს, ადამიანებს, საგნებს, ყოველივეს — აღიქვამს როგორც მირაჟს, როგორც ზმანებას: ანგიას აღარ აქვს გარემო, მაგრამ აქვს შინაგანი სამყარო, სულიერი ფსიქოლოგიური რეალობა...

ანგიას აწმყო და მომავალი — წარსულია, რომელიც მოგონებებით ცოცხლდება მის „სნეულ გონებაში“ და აქტიურად გვიაზრება. მაგრამ ანგია წარსულის, განვლილი ცხოვრების მხოლოდ შემჩეცნებელი კი არ არის, არამედ — კვლევადამცდელიც. ესაა ცნობიერება, რომელიც იხსენებს და იტანჯება. ესაა ინტელექტუალურად და ემოციურად დაძაბული ცნობიერება. ანგიას ამჟამინდელი ყოფიერება ის კი არ არის, რაც არის ახლა, არამედ ის, რაც უკვე იყო. ანგია განუწყვეტლივ „ბაურბის“ თავის თავს წარსულში და ცნობიერებაშიც მოგონებებად დაშლილი წარსული უწყვეტ და ამორფულ ნაკადად მოეცინება. უფრო სწორად, წარსულთან შემოაქცევს მას აწმყოში და თავის აწმყოდ აქცევს:

„წარსული აღარ არის, ყველაფერი აწმყოა. შვილის ეკვივე აწმყოა, ანეტას ღიმილიც აწმყოა, თეთრსაღამოთანში ეკმინის გრილი სუნთქვილიც — ყველაფერი ამ წამს ავსებს, თვალის დაფარულებს. შეუძლია მშვიდად ჩაგდეს მათ შორის.

ყველაფერი აწმყოა...“

●

ანგიას, ხამსახურებრივ და ოჯახურ „მიკროსამყაროში“ ჩაკეტილს, სოციალური მოვალეობებით დამძიმებულს, ყოველდღიური, ერთფეროვანი ცხოვრების ჭსელში გახვეულს, მეიბადაკარგულს, თავისუფლება ენატრება („...ხამსახურიც, სადაც ყოველდღე დადიოდა, საკუთარი ოჯახის ნაწილად შეიჩვია, ყოველ დილა-საღამოს უსიტყვო დერეფანში გადი-გამოდიოდა სახლიდან თავის სამუშაო ოთახისკენ და თანდათან დაავიწყდა, რომ ამ დერეფანში სხვა სამუშაო კარიც არსებობდა“). მართლაც, რა-გორც ვიცით, იგი გთავისუფლდა მოგალირაცხოვანი (ხამსახურებრივი, ოჯახური, ამხანაგური და ა. შ.) დამოკიდებულებისგან და მოვალეობებისაგან. ყოველგვარი კავშირი გაუწყვეს პრაკტიკულ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან, ადამიანებთან, ხაზოგადოებასთან („მარტოობა მარტო!... მარტოა ყველას წინაშე ხაჩინო და გამორჩეული“...). ანგია აღარ ფიქრობს ხვალინდელ დღეზე, მომავალზე (უმომავლო კაცია). მისი მომავალი ის არის, რაც არ არის — მის ცარიელ პორიზონტზე ერთადერთი წერტილი ჩანს — „წამი აზრამიუწვდომი დასასრულისა“. რომელის წინათგრძნობაც მას ხშირად უჩნდება ხოლმე. ანგიამ არ უწუხს, სათო უნდა წავიდეს, სათი მიდის (მას აღარა აქვს ცხოვრების ეგზმა), ფაკტორად არსადაც არ მიდის. იგი მიზნის გარეშე ცხოვრობს და ინერციით მიმყვება „ამ ბოგეგანის სამყაროში“ ცხოვრების ნაცრისფერ დინებას:

„ცხოვრება ყველებურად მიედინებოდა და მისი ოჯახი, მისი ორი მუუდრო ოთახი ისევ ისე არის იქ, რვასართულიანი სახლის სხვა ბინებში ჩაფლული და ჩამპრსული, ისევ დეეს მასში, როგორც პატარა წუნარი კიუტა უზარმაზარ ბეგმში და ნელა მიეგორთება სადღაც შორს, სადღაც აზრამიუწვდომი დასასრულისაკენ“.

ანგიას ახეთ ცხოვრებაში (რომელიც რაიმე რეალური, ენერგიული ქმედების, სოციალურად სასარგებლო აქტივობის შესაძლებლობასაა მოკლებული), გარეგნულად ინერტულ არსებობაში ერთადერთი „ქმედებაც“, დრამატულ აქტად ს

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

და შვილთან, მონაცრებულ, მოწყურებულ სიმშვიდეშია.. გასხლტომიდან ამ ადგილს და თავისი სიცოცხლე გაეტანა".

ახლა კი თავის თავთან პირისპირ დარჩენილი ანგია თავისუფალია. მაგრამ თავისუფლებამ მას არაფერი არ მოუტანა, გარდა უსასრულო... მარტოობისა. იგი ისევე ეული და უბედურია, როგორც ის ადამიანი ადელფეიტრ შამოის მოთხრობიდან, ვინც „თავისი ჩრდილი დაკარგა" — ანგიას კი სოციალურობა დაკარგა, სხოციალურობამ თავისუფლება მოუტანა, თავისუფლებამ — მარტოობა.

ავტორის მრწამსით, თუმცა სოციალური კონტაქტები და მოვალეობანი სხვათა წინაშე ზღუდავდნენ ანგიას თავისუფლებას, თრგუნავდნენ მის ინდივიდუალობას, სამაგიეროდ, რაღაც აზრს მაინც ანიჭებდნენ არსებობას.

მაშასადამე, ასეთი თავისუფლება, მარტოობა და სასოციალურობა აბსურდია, უაზრობა...

ეს კონცეფცია იკითხება. ჩვენი აზრით, სოსო პაიკაძის შესანიშნავი მოთხრობებიდან — „უკანასკნელი დუბლი".

●

სოსო პაიკაძე შემოქმედებით პროცესში იმდენად გამთბარებია და სიტყვიერი ქსოვილის „სილამაზეზე" არ ზრუნავს, რამდენადაც ამბების, აზრების, განცდების, მოვლენების, მოგონებების ნაკადის „ეგზაშვლებაზე", მათს, რაც შეიძლება, ადექვატურად გადმოცემაზე. ამდენად და ამიტომ იგი წერს ერთფეროვად ახე ნათლად და: ახე „ბუნდოვნად".

სოსო პაიკაძე თავისი სტილისტიკით ტიპოლოგიურად იმ მწერლებს ჰგავს (განსაკუთრებით კი მარსელ პროუსტს), რომელთა ნაწარმოებების ძირითად ფონს რთული პერიოდები და მრავალიარყსიანი წინადადებები ქმნიან — ზოგჯერ ერთი წინადადება მის მოთხრობებში მთელ გვერდს იკერს ხოლმე. ინტენსიურად გამოყენებული ასეთი წინადადებების ფონზე თვალშისაცემი ხდება მოკლე და მარტივი წინადადებები, მათი ასეთი ურთიერთმონაცვლეობა კი თავისებურ სტილისტურ ეფექტს ქმნის. ამიტომ, ბუნებრივია, მწერალს უწევს კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების პრიდუქტიული გამოყენება, რაც ყოველთვის არ არის მოტივირებული, სტილისტიკაც გამართულები და დამლეფილი. ასეთ წარუმატებელ შემთხვევაში ეს კავშირები (განსაკუთრებით ხშირად „და" კავშირი) როგორღაც ამოვარდნიან ტექსტიდან, განკერძოვდებიან და იზოლირებულნი მხოლოდ თავისთვის და „თავის თავში" არსებობენ.

სოსო პაიკაძე, როგორც მწერალი, პირველ რიგში, სტილისტიკით, მისი აზრ თუ იმ თავისებურებით, გამეფდაზედეს. როცა ავანალიზებთ ამ მწერლის მოთხრობებს, რომც გვინდოდეს, ვერ ვიტ ავუფლით მის სპეციფიკურ მხატვრულ ენას, რომლის გარკვეული უჩვეულობა, არასტანდარტულობა და ერთგვარი სიბნელე მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოვლენის პირობას წარმოადგენს.

სოსო პაიკაძე არ წერს ე. წ. „ლამაზი, რაფინირებული" სტილით, მაგრამ აქვს თავისი სტილი და ოსტატურად ფლობს მას.

რას ვგულისხმობთ ამაში?

უპირველეს ყოვლისა, წინადადებათა, ფრაზათა და სიტყვათა თავისებურ წყობასა და კომპოზიციას. იგი უმეტესწილად ახერხებს მიაგნოს და გამოიყენოს სიტყვათა, ფრაზათა და წინადადებათა სწორედ ის წყობა და თანმიმდევრობა, მათი ისეთნაირი კომპოზიცია, რომ შესატყვისნი გახდიან ისინნი იმ „შინაარსისა", რომლის მხატვრული რელიზებაე შედეგნენ მწერლის მიზანს: სოსო პაიკაძის მხატვრული სამყაროს, აზროვნების „მანერისა" და ენის სპეციფიურობას სწორედ ასეთი სიზუსტე წარმოადგენს და არა სიტყვიერი გამოხატვის „სილამაზე".

უფრო მეტიც, შესაძლოა მისი ნაწარმოებების ენა ზნრაფ სეალდებოდეს საერთო ლიტერატურულ-ენობრივ ნორმას, სინტაკსური თუ ლექსიკური თვალსაზრისითაც არ იყოს სწორი, მაგრამ ეს სინტაკსურ-სტილისტური „დარღვევები" სოსო პაიკაძის მოთხრობებში შემოხვევითი არ უნდა იყოს. ისინი, ალბათ, იმ შინაგანი აუცილებლობიდან მომდინარეობენ, რომელიც მწერალს „აიძულებს" ისე წეროს, როგორც წერს. ხოლო „შინაარსი" ნაწარმოებებისა ამ ენითა და სტილისტიკით გამოხატის, როგორითაც უკვე გამოიხატა...

●

უნდა ითქვას, რომ არა მარტო მერაბ ალაშიძისა და სოსო პაიკაძის, არამედ, საერთოდ, 70-იან წლებში მოსულ მწერალთა პერსონაჟებს ტიპოლოგიურად ერთიანებით დროის, ადამიანური არსებობის წარმოგვლინის გამძაფრებული, ინტენსიური განცდა, გაუცხოების, ჭეშდან გამიდდინარე, მარტოობის. ცხოვრების ტრაგიზმის მძაფრი და მტკივნეული შეგრძნება. ამ თაობის მწერალთა ნაწარმოებებში, ზემოთქმულის გამო, მხატვრული „ცვლეკნაა" და ახასხვის საგნად იქცევა არა იმდენად ემპირიული სინამდვილე, რამდენადაც შინაგანი, ფსიქოლოგიური სამყარო, სულიერი დრამა. გურამ ჩიტელიშვილმა თუ აჭარული გმირი შემოიყვანა თანამედროვე ლიტერატურაში, 70-იანი წლების ლიტერატურაში ეგმირი ამ ექტივთას მოკლებული, გარეგნულად ასიიური და უმოკმედოა — უფრო შნაგანნი, სულიერი და გონებრივი ექტივთიანი ხასიათდება (გამოირჩევა). ბისი სამყაროს „ბასტატებეი", სამოკმეფო ასპარეზიც „დაეფრეოფეოლია". „ხამოცდაათიანელთა" ნაწარმოებების გმირები „უბიოგრაფიონიც" არიან ინ გაგებით, რომ „გარეგანი", „მეფეტური", ცხოვრებისეეფი თავგადასავლებით მდიდარი ბიოგრაფია არა აქვთ, მათი „თავგადასავლები" უფრო „სულიერი, ინტელექტუალური თავგადასავლებია" (ალეკ ვალური), ვიდრე — ყოფითი და ემპირიული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირა გელაშვილი

აფრედრიკი და განაგულ ჯადოქრიანი საკრავი

„ბატერ (კოლლოო“ ანუ ალდგენილი საბუფუალეპი“ პირველ რიგში წარმოადგენს მოთხრობას მოთხრობის შესახებ: იგი გვიჩვენებს მოთხრობის შეთხზვის პროცესს, რომელსაც წარმართავს ორი მთხრობელი: პირველი მთხრობელი უსაბეოოა (ვუწყოდით მას „ავტორი“), და მოგვითხრობს აფრედრიკ მე-ზე, რომელმაც „გაითვალისწინა რა ეროვნულ ლიტერატურაში ფანტასტიური ჟანრის გამოვლენათა რეალური ნაკლებობა, გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა შეექმნა“ რაიმე ფანტასტიკური ნაწარმოები. აფრედრიკ მე ერთდროულად მთხრობელიცაა და პერსონაჟიც: იგი ჩვენს თვალწინ, ჩვენი თანდასწრებით იწყებს ბესაშვ კაროს თავგადასავლის შეთხზვას. რომ აფრედერიკ მე თავად „ავტორის“ პიპოსტასია (ორივენი კი მწერლისა) ეს ნაწარმოებში არც ისე შენიღბულია. ამაზე მიგვანიშნებს მისი გვარი „მე“ (ხოლო სახელი „აფრედერიკი“ იუმორით აღბეჭდილი მინიშნებაა ხელოვანის მიმიმკროლაკ ფანტაზიაზე, ჯერ ერთი იმ აზრით, რომ ეს არის ფრენა, ლივლივი, ნავარდი, ფრთების გაშლა წარმოსახვისა და მერე იმ აზრითაც, რომ ესაა „აფრენა“ — ანუ ერთგვარი გადახტა ნორმიდან, ჩვეულებრივი, „ნორმალური“ ცნობიერების ზღვარს გადასვლა, რასაც „ღვთაებრივ სიგიჟეს“ უწოდებს ერთი დიდი გერმანელი პოეტი). აფრედერიკ მე ავტორის „მერე მე“ და მეხსიერია, თავად ავტორი კი მკითხველთან ერთიანდება და ამიტომ „ჩვენ“-ის სახით შემოდის თხრობაში („აფრედერიკს მოგვიზიეს“, „აფრედერიკს შეგვიცოდა“, „ჩვენი ბესაშვ კარო“ და ა. შ.). ავტორი, როგორც ზუნ ინსტანცია, სშარად მიმართავს მთხრობელსაც, მკითხველსაც და აფრედერიკის წარმოსახულ პერსონაჟებსაც. მას ხელიწიფება ნებისმიერი ჩარეცვა თხრობაში. აფრედერიკის წმიწეებულ ამბავს ხშირად თავად აფრედერეს, ავტორის იუმორი აფრედერიკის მიმართ არის იუმორი საკუთარი თავის მიმართ.

თუ ტრადიციული რეალისტური პროზის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია მკითხველის დარწმუნება მოთხრობილის აბსოლუტურ სინამდვილეში, იმაში, რომ ამბავი სწორედ ისე მოხდა, როგორც მოგვითხრეს, აქ „ეატერ(ეპ)ლლოო“-ში ავტორი ნიადაგ გვახსენებს და მიგვითითებს, რომ ყველაფერი, რასაც კკითხულობთ, აფრედერიკის ფანტაზიის ნაყოფია, მისი გამონაგონია; იგი ჩვენს თვალწინ თხზავს ფანტასტიკურ ამბავს. მაშასადამე, იუმორი, რითაც სუნთქავს მთელი მოთხრობა, პირველ რიგში ინტელექტუალური ხასიათისაა. მას ლოგიკური საფუძველი აქვს, იგი მოიდინება მწერლის „გამოუსწორებელი“ მიდრეკილების მხილებიდან: მწერალი თავს ისე იქერს, ვითომ განგების ნებით, მართლა მომხდარ ამბავს ასახავს, მაშინ, როდესაც თავად არის განგება საკუთარი პერსონაჟებისა და მათი ცხოვრების მიმართ. ჩვეულებრივ, მწერალი იკრნების უამრავ დეტალს ამბის დამაჯერებლობისათვის, „ეატერ(ეპ)ლლოო“-ში კი ვკითხულობთ: „ხოლო განგებამ, უზენაესმა ფანტასტმა, ისე ინება, რომ შორიახლო მომავალ ეტლს, სულ ერთია რომელი, მაგრამ მაინც, სიზუსტისათვის, მარცხენა წინა თვალი დაუზიანა“. თუნდაც ეს ერთი ფრაზა, ასეთი სიახლითა და სიმშიაბოლოთ რომ ფეთქავს, გარეგნული, უაზრო ეფექტი კი არ არის, არამედ, როგორც უკვე ვთქვით, ამოზრდილია ნაწარმოების ლოგიკიდან: რაკი აფრედერიკი თავად თხზავს, ხომ ფაქტიურად სულერთია, რომელ თვალს დაუზიანებს ეტლს. მთავარია, რომ ეტლი რაღაც დამაჯერებელი მიზეზით უნდა გაჩერდეს, რათა დიდი მუსაკოთი როხახი „შემთხვევით“ შეხვდეს ობოლ ბესაშეს. ეს გახლავთ უწყვინარი ხუმრობა, იუმორი რეალისტური თხრობის მანერის მიმართ, იმ რეალიზმის მიმართ, რომელის წარმომადგენლადაც გვევლინება თავად მწერალი გ. დანანაშვილი.

თუმცა, ჩვენ ამბის შეკმნის პროცესს ვეესწრებით და, ლამის მაინც ეზიარებელვართ (ავტორი ხშირად უხმობს მკითხველს. შეხედოს აფრედერიკს, მოუსმინოს რას ამბობს იგი, „გოცებულია“ აფრედერიკის მრავალი უცნაური საქციელით: „ეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

�e არ არიან, არამედ გამოგონილი, ამ მოთხრობის თავისებურება ის გახლავთ, რომ ემოციური ჩვენ მაინც არ ვრჩებით გულგრილნი აღწერილი ამბის მიმართ, ჩვენი თანაგრძნობა და თანადგომა არ აკლდება ბესლიკ კარის და როგორც გულშემატკივარნი მივაცილებთ მას მოთხრობის სოლომდეე. ამას კი პირველ რიგში განაპირობებს თავად ავერედერიკის უალრესად გრძნობიერი დამოკიდებულება საკუთარი პერსონაჟებისა და მათი ბედ-იღბლის მიმართ, რაც გადადევა მეთხეველსაც. თუმცა ავტორი გვიდასტურებს: ჯოელ ფუთს გვახსენებს: ყველაფერი მთხრობელის ფანტაზიაა, ჩვენ, სწორედ იმის გამო, რომ თავად მთხრობელი დიდის გრძნობიერებით გადმოვაცემს გამოსაგონს, მაინც გაბვიცილი მას, მიუხედავად იმისა, რომ არა თუ ანგარიშში არ გაუწევს, არამედ საგანგებოდ უგულებელყავს მეთხეველისა და მსმენელის ელემენტარული, ძალისა და რხილში გამჯდარი მოთხოვნილებები: მთხრობელმა დაარწმუნოს იგი მოთხრობილის სინამდვილეში, შეუქმნას ნამდვილობის ილუზია. მთხრობელის ემოციური დამოკიდებულება მოსაუთხრობთან უფრო ძლიერი აღმოჩნდება ავტორის გამოაფიზზლებელ კომენტარებზე, სახეშარო შეძახილებზე, წამდაუწყვ რომ გვახსენებენ ამბის არარეალურობას. ავერედერიკის გრძნობიერება კი გამოწვეულია შემოქმედებითი პროცესის ცნობილი კანონით: წმერლისთვის რეალური საკუთარი წარმოსახვის ნაყოფი: ეერსონაჟი მისთვის ცოცხალი ადამიანია (შეგვიძლო გაგვეხსენებინა უამრავი მაგალითი: მოფმანს ეშინოდა საკუთარი პერსონაჟების, კლაიტი ჭვითინით შეკვრა: მეგობართან და ამცნო საშინელი ამბავი: რომ გარდაიცვალა პენთეზილეა, — მისი ტრაგედიის მთავარი გმირი და სხვ.). ამიტომ, ავტორმა რამდენიც არ უნდა გვახსენოს: ბესლე კარო ავერედერიკის გამოგონილი პერსონაჟიაო, ავერედერიკი აცოცხლებს, გვაჯერებს და აგვატკივებს კიდეც საკუთარ პირმშოს. რეალურია ამბავი, მაგრამ რეალურია ავერედერიკის წარმოსახვა მასში ბოჭილი არსებობი.

ბოლოს ბავშვური ხაწყუნი ხელოვნებაზე. ბავშვურ შემთხვევაში ლიტერატურაში, მრავალფაზოვანად ვლინდება: მწერალს, პოეტს, იმასთან ერთად, რომ ხსვაზე მეტ ტკივილსა და აზრს იწოვს (ზონაგანად სწრაფად შედის ახალი) შენარჩუნებული აქვს ბავშვური გაკვირვებისა და ალტაცების უნარი, ცნობისწყურიანი, ინტერესება, განცდათა სიახლე და რა მთავარია დაუთრგუნავი წარმოსახვა — ფანტაზია, რომლის უველაზე დიდი საზეიმო დარბაზიც პატარა ბავშვის სულია: ბავშვისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომ ცხენი, რომელსაც ის მიუმეტნებს, ხისაა და გამოქვაბული, სადაც ყველანაირი ხასწყალი ხდება, ორი ბალიშისგან შედგება: გოლება ვერაფერს აწყობს წარმოსახვის წინააღმდეგ. ბავშვმა ძალიან კარგად იცის, რომ ბისი ცხენი ტოხია და როცა სპირდები, თვითონვე აღნიშნავს ამას, მაგრამ თამაშში სინამდვილე დავიწყებულია. ბავშვი საოცრად ღიაა ყოველგვარი პირობითისადმი. წარმოსახვის ძალითა და ინტენსიობით შემოქმედი ბავშვსა მკავს და თამაშის სულია არის შეპყრობილი: იგი „ოგონდებს". გამოგონილს თავადვე იჯერებს და სხვასაც აჯერებს. მაგრამ ეს ირსებითი წესი თამაშისა ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, მიმალულია. იგი დაფარულია სერიოზულობით: ობიექტურად აღწერენ ობიუქტურად „მოამდგარს". მაგრამ როცა თამაში გამოაშკარავებულია და ეს თამაშის წესი თავად იქცევა თემად, რაც ხდება „ვატერ(პო)ლოო"-ში, იქვე უკვე ბავშვურ სტიქიას — თავისუფლებას, დაფდგრომლობას, საზღვარი ალარა აქვს: ავერედერიკს წარამარა აფიწყდება თავისი საქმე და თხრობის მთავარი გზადან კარმენის ბუჩქნარისაკენ გადაუხვევს ხოლმე. აქ ავტორი მაშინვე ეიეინის დასცმს: სულ დაავიწყდა ბესლე კარო და ისევ კარმენს გამოეკიდაო, მეთხველსაც მიუთითებს ავერედერიკის ათას ანარეკლოვანაზე. შემდეგ ისევ დაბრუნებს ავერედერიკს ბესლე კაროსთან, მერე ალმოაჩენს, რომ ავერედერიკი სულაც ვერ ამყოფებენს ფანტასტიკის ნიგს და ამ მხრივ არაფერიც არ გამოსდის, სულ სხვა მხრივ გამოსდის საქმე. ერთი სიტყვით, ავტორი მეთხველებს (მრავალობითში მიმართავს) იწვევს დროთა საერთო „თამაშში" — მაღალესთეტიკურ, მხატვრულ ე. ი. აზრიან თამაშში — ნაწარმოების შექმნის ანუ გამოგონების პროცესში და ჩვენც „ბავშვური" თამაშის წესით — გვჯერა და გვტკივა გამოგონილი ბესლე კარო. მთელი მოთხრობა გაფლენილია დაფოკუსებული სიანცით, ონავრული ხალისით, რაც შადრევნივით ამოჩუხჩუხებს ხან აქ და ხან იქ, ავერედერიკის, კარმენის თუ რაზნას პასაჟებში და შემდეგ იქვე ელეკიერ დინეზანში გადადის.

მაშასადამე, ახალი ცხოვრება და ამბავი ავერედერიკის წარმოსახვის თამაშია, ავერედერიკისა, რომელიც „ცდილობს" იყოს ზუსტი. (ფიტერი სკოლიერები), თანმიმდევრული და ამა-

ვე დროს ფანტასტიურიც: აი, ჩვენს წინ განლორცეული ჯოროს შესაქმე: ცარიელი (ქაღალდის) დედამიწა ნელ-ნელა ივსო ადამიანებით, ბუნებით, გზებითა და ჭალების ჯუნაბანდებით. დატრიალდა ბესიმე კაროს ბედის ბორბალი. ავრედერიკი ნიადაგ თავისი შეკმნილი ჭეშეული შუაგულში ტრიალებს, კუდში დასდევს საკუთარ პერსონაჟებს, ფთავლთვალებს მათ. მწერლის ფანტაზიის უნიადაგ ლაბორატორიას გარეცხან რომ შეუხედოთ, ბარეშე პირის თვალით, მაშინ მწერალსა და მის პერსონაჟებს ერთად დავინახავთ. რიდებაც ავრედერიკა მე წარმოსახავს, მაგალითად, ბესიმე კაროს მაგავრობას ეტლით მუსიკოს რიხსთან ერთად, იგულისხმება, რომ ის ამ ეტლს ხედავს თავის პერსონაჟებიანად. ჩვენ კი შეგვიძლია ავრედერიკი წარმოვიდგინოთ იმავე ეტლთან ერთად, როგორც მხედველი. რომელსაც ვერ ხედავენ პერსონაჟები. იგი უჩინარი მოთვალთვალე იქნება უკვე ცოცხალ არსებებს შორის. მას ავტორის უჩინმაჩინის კუდი ახურავს, აი, ახლ ხედავს ავრედერიკა და მის პერსონაჟებს ავტორი. ეს ავტორისეული ხილვა უალრესად ორიგინალური და არტისტული მომგებება მოთხრობისა: მაშასადამე გზად „შემთხვევით“ ჩავლილმა დიდმა მუსიკოსმა ობოლი მწყემსი ბესიმე კარო ეტლით წაიყვანა ჭალაჭ ალკარასისკენ. კოფოზე ზის მეეტლე. ეტლში კი მუსიკოსი რიხსი და ბესიმე; ...ამბის ავტორი ავრედერიკ მე, ყოველად ფანტასტი. შეუმჩნეველად აბტა უკანიდან ეტლს და... ზურგითა სარეველს ზენაკეცებზეკრული მიეწება, თუმცა არა, არა, ამ, ეს რა ზამოდდა მაინდამაინც ეს. „შეუმჩნეველად“-მეთქი — ავრედერიკ მეს ძალიანაა რომ ელრიალნა და ეკიშვნა, მაინც ვერავინ შეამჩნევდა — ავტორი გახლდათ“. ან კიდეც. ბესიმე კარო უკვე მხეცურმა სპორტმა (ვატერ(პო)ლოო!) ჩაეკალა ავრედერიკი მარტო დარჩა ჰატარა ჭალაჭ ალკარასში. იგი მოწეწილი დაბორიალებს ღამით, დათოვლილ, უკაცრიელ ქუჩებში, სადაც ბის გარდა მხოლოდ ერთი ავადმყოფი დაწრიალებს: „გარეთ არავინ გამოდიოდა მიმოფანტალტები და ავადმყის გარდა, ეს, დანაჩაბიდეკულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ავერედერიკი „გამოუსწორებელი“ რომანტიკოსია, რომანტიკოსის მარადიული და ცხოვრებისადგომა ყოველად აუცილებელი ტიპია, პირველ რიგში, თავისი მხურვალე, დაუოკებელი სიყვარულით ამ მარადიულ ღირებულებათა მიმართ, როგორიცაა თავისუფლება, სიყვარული, სილამაზე, სიმართლე, ბუნება, ხელოვნება. ავერედერიკი ხომ ავტორის გამჭვირვალედ შენილნულ სახეს წარმოადგენს, ავტორი მას „აბრალებს“ თავის არსებით მიდრეკილებას, რომანტიკულ წყობას სულისას და იკმაყოფილებს ხატოვან-ემოციურ, ამაღლებულ-ლირიკული მანერით წერის მოთხოვნილებას, რაც დღეს ასე პირდაპირ, უშუალოდ და უფიქციოდ, გამაუცხოებელი იუმორისტულ-თამაშისეული დისტანციის გარეშე უკვე შეუძლებელია. ავერედერიკი ავტორს საშუალებას აძლევს, გამამანძღოს რომანტიკული ოვითგამოვლინებისგან: „გადაბარალებს“ რა ავერედერიკს ლირიკულ ალტაცებასა და გრძნობამოკვარბებულობას. ავტორი უფლებას ანიჭებს საკუთარ თავს, კი არ დასცინოს, არამედ მხიარულად გაიცინოს ავერედერიკის ათასგვარ რომანტიკულ „გამოსვლებზე“ („ეიფ, ეს რა თქვა“ და სხვ.). მკითხველთან ერთად „გაიკვირვოს“ მისი ათასნაირი ახირებანი, დაბნეულობანა: „აჰ, სადან ხან გადაგვიბა ავერედერიკი, ავერედერიკ მე, რომელსაც სხვა რამ ჰქონდა მოსაყოლად ჩაფიქრებული, ეუფუ, სულ სხვა რამ, გამიზნულ-მწარედ, და სუსულსუხვნა კი მგონიეთ“. ბოლოს კი შუამავლად უდგება „საწყალ“ ავერედერიკს მკითხველთან, რათა ამ უკანასკნელმა „აპატიოს“ მოხმრობელს მთელი ეს რომანტიკული ამოფრქვევები, რაც არსებითად ლექსის გაჩენით გამოიხატება პროზის ჭსოვილში: „და თუ ხანდახან ლექსად უქცევდა, ოჰ, აპატიეთ, ვის არ გაგვრიხის ლამაზ ქალისაკენ ოხერი თვალი“.

მაშასადამე, მოთხრობის ფანრული „ხარვეზი“-ს (ფანტასტიკური ამბების სიმცირე) გამოსწორების საშუალებად ავერედერიკი აიჩემებს სიგარეტ „კარმენს“ და შემდეგ, მისი სახელწოდებით ინსპირირებული (ან პირიქით: შეიძლება კარმენისადმი თანდაყოლილი სიყვარულის გამო ჰქონდეს არჩეული ის სიგარეტი) თავად კარმენს მიმართავს და ამდენად, ფეჯტიურად ოთხივე თხრობის საერთო დინებაში. გარეგნულად, თემატიურად რომ კარმენსა და ბეთამე ეროს არაფერი აკავშირებთ, სწორედ ამიტომ უხმობს მას ავერედერიკი, ფანტასტიკის შესაქმნელად: „...ხანდახან თუკი ავიწყდებოდა კიდეც ამორჩეულა და მისნაირი ჯარა... ის ფანტასტიკაში, დროდადრო ტუსელ-უბრალოდ კი არ ახსენებდოდა თავისა ქალი, სახელად კარმენ“. მაგრამ კარმენის ახასიათები ღრმა შინაგან კავშირშია მოთხრობის ძირითად პრობლემასთან: მოთხრობა „ვატერ(პო)ლოო“ მთელი თავისი შინაგანი პათოსითია და გამიზნულობით თავისუფლების ბიმნი. ავერედერიკი „თავისუფლების ტრფიალს რომ იტკვიან“ სწორედ ეს არის, და მისი დაუცხრომელი ლტოლვა ... სულდლებისაკენ, ამ „სულის ველურად აყვავებული ბუჩქნარისაკენ“ სწორედ კარმენისადმი სიყვარულში ვლინდება. კარმენი მისთვის ნიმეშია უკომპრომისო თავისუფლებისა, ვინც წამით არ შეეოოებოდეს, ისე არჩევს სიკვდილს, თუკი მოსთხოვენ სიყალბეს და ძალდაგებას საკუთარ გრძნობებზე. გულზე. „თავისუფლების ღიღილია“ კარმენი, რომელიც მაშინვე ეკდება, როგორც კი მისი თავისუფლება შეიზღუდება.

ბოლო ავერედერიკს, როგორც მწერალს, რაც შეეხება, მისი საქმე ამ მხრივ ცოტა სხვაგვარად გამდავი. როგორც შემოქმედი იგი თავისუფალია პრობლემის, თემის არჩევაში, თავისუფალია მისი ფანტაზია (ნებავთ მარცხენა ბორბალეს დაუზიანები ეტლს, ნებავთ მარჯვენას), იგი თავისუფალია მასალის მხატვრულად ფორმირების თვალსაზრისით და ა. შ. მაგრამ როცა უკვე ეს არჩევანი ხდება, არჩევანი პრობლემისა — შემოქმედი უკვე თავად ემორჩილება გარკვეულ ობიექტურ კანონებს. ნამდვილი შემოქმედი დგას აუცილებლობის წინაშე: მართლად. ტუტუბარად და სწორად გაიაზრის ეს პრობლემა სინამდვილის, ეპოქის, გარემოცეული ცხოვრების ერთიან კონტექსტში, ანგარიშს გაუწევს საქმის რეალურ, არსებულ ვითარებას, ახასოს. იგი, ამდენად, შემოქმედება თავისუფლებისა და აუცილებლობის დიალექტიკითაა აღბეჭდილი. ამ დიალექტიკას ზუსტად გამოხატავს თავად ავტორის სიტყვები: „ამორჩეული და მისანილი“. და ავერედერიკმა კარგად იცის, რომ ობიექტურად თავისუფლება თავისით ჩამოვარდნილი მწიფე ლიღვივით არ უვარდება პირში კაცს. იგი ვეელაზე ძნელი, ძნელად მოსახელთებელი ბედნიერებაა, და ეკუშარიტებისაკენ (ამ შემოხვევაში მუსიკისაკენ), სინათლისაკენ მიმლტოლავ ადამიანს გზაზე წინააღმდეგობა, ცდუნება და ეშმა — განსაცდელი ელოდება, რომელიც ზოგს დაღუპავს, ზოგს კი გამოაწრთობს და განამზადებს შინაგანი თავისუფლებისათვის. ამიტომ მთელი თავისი ლირიკულ-რომანტიკული პათოსის მიუხედავად, მან მოთხრობაში უნდა შემოიტანოს სწორედ ანტიპოეტური, ანტისულიერი მატერია. ავერედერიკის რომანტიზმი სიღრმისეულია (ერთგულება გულისა იდეალისადმი) და არა ზედაპირული, რომ მეიფე ოატიანზში შეაძლებინოს და ჩიტების ბიკეკიანა და ოყაბიერ ხიტკბილებში გაანარულებინოს თავისი ეგრინის ისტორია, რომგორც კარ უნდა ემეტებოდეს მისთვის ჩვეულებრივი ადამიანური ბედნიერება: „რა ადვილია აქ დამთავრება, მოკლედ რომ მოვკრაო: „ბეხმე კარომ მუკოოთი მეცადინეობთ თავი გამოიჩინა, გაბდა ცნობილი მუსიკოსი, წამოზრდილ რამონაზე ჭკვარი დაიწერა, მოზუცმა სიკვდილის წინმას გადაბარა დიდი, თეთრი კოსმერვატორია

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

და დირიჟორის სპილო ძვლის პატარა ჯოხი, ბესიგის მუსიკალური გამოსვლებისას დარბაზში ფაშფაშ ინგრეოდა, შინ მყავდა შესანიშნავი შვილები, ორი ბიჭი და ერთი გოგო, ხოლო ჩიტები სტეფნდნენ... მაგრამ არ იყო, ძვირფასნო, ასე და აფრენდრიე მე-8 რომ მოგატეფოთ, სირცხვილით სარკეში ვეღარ ჩაიხედეს".

მაშასადამე, თავისუფალი აფრენდრიანი უკვე თავად ემორჩილება ობიექტურ კანონებს, სიმართლის გულისთვის და აღიარებს ძალმომრეობის, ანტიპოეზიის, განსაცდელის რეალურ არსებობას. ბესიგე კაროს განსაცდელი კი ვატერ(პოლოო ანუ ე. წ. აღდგენითი სამუშაოები, სადაც მუსიკის ამაღლებული სამყაროდან უცებ მოხვდება პატარა ბიჭი, როგორც ანა-მარიას მუსიკასა და სიყვარულს მოწუვტილი დიმენიკო ხვდება კამორაში. ობიექტურად არსებული განსაცდელს რა მხატვრული ფორმით გამოხატავს მწერალი, ეს უკვე მისი ნებაა. აქ იგი თავისუფალია. ასეთი თავისუფლებითაა განსაზღვრული „ასეთი ფიზიკურ-ბიოლოგიური" — ადამიანის მხეცად გარდაქმნის მეთოდური, „სპორტული" სკოლა.

მთელი მოთხრობა ჩვენ მოგვეწოდა არა როგორც წინასწარ მოხაზული, დასრულებული მოცემულობა, არამედ როგორც შესაძლებლობა; იგი ჩვენს თვალწინ, ლამის ჩვენი მონაწილეობით განვითარდა, მისი შექმნის პროცესი გაეზადდა. ასევე ადამიანიც (ბესიგე კარო) პოტენციური მოცემულობაა მწერლისათვის: იგი თავისუფალ არსებადაა გაჩენილი, მაშასადამე თავისუფლება მისი საპატიო, მაგრამ ხაფანგი პირველადი მდგომარეობაა: მასში არ არის წინასწარმოფიქრებული სიკეთის ან ბოროტების შეუცვლელი, მზაბარეული პროგრამა: მისი სული ყოველნაირ შესაძლებლობათა ველია: დადებითის და უარყოფითის. მაგრამ მას ჰყავს მფარველი, მწყალობელი (აქ: რობასი, რომაშნი: მამა. დიმენიკო ნიადაგ გრძნობს, რომ ვიღაცას უყვარს) და ყავს მაცდუნებელი; როგორ გაიკვლევს ადამიანი გზას, რას აირჩევს, სათ წავა და სად დარჩება, ეს წინასწარ არავინ იცის. ამ. ბესიგე კარო მუსიკის ამაღლებულ სამყაროში მოხვდა და მასში უდადები ეთიკური სულისძგრა მიმდინარეობს. ღვთიერივი საწყისის გაწლისა და აღზევების პროცესს ვესწრებით. მაგრამ შემდეგ იგი რეკსაჩის სკოლის სიბნელეს მიადგება და რამდენიმე ხანში ის ღვთიერივი ამარხება მის არსებაში: ძნელად, ძალდატანებით, მაგრამ მაინც ამარხება. ეს დამარხვაც არ არის სტაბილური და სამუდამო. ადამიანი ელასტიურ შინაგან სისტემად რჩება: დიდმა ეთიკურ-ემოციურმა ზეგავლენამ კვლავ შეიძლება გამოიწვიოს სულისძგრა, იხსნას ადამიანი, აღადგინოს დამარხული სიკეთე და აჩქარდა საბოლოოდ: რადგანაც უკვე განსაცდელის, უკვე ბოროტების შემეცნების შემდეგ; მაგრამ დიდი დაცემის, დიდი შეცოდებისა და უწმინდურების შემდეგ გადარჩენა შეიძლება იყოს მხოლოდ შინაგანი: აქ ჩვენულებრივ ადამიანურ ბედნიერებაზე ლაპარაკი უკვე გამორიცხულია. როგორც გადახდა გამოხსყიდისა — შემეცოდე თმობს სწორედ ჩვენულებრივ ადამიანურ კეთილდღეობას. მოთხრობის ფინალი ოპტიმისტურია: შინაგანი და კოსმიური თვალსაწრისით და არა ვიწრო ადამიანური ბედნიერების აზრით, რაც თავად წმერლის მიერ იყო პაროდირებული. ბესამეს სახით სამყაროს ხილამაზისა და სიმართლის სულმა შეინარჩუნა თავისი ნაწილი, თავისი ზეალი, მაგრამ ობოლმა ბესამემ დაკარგა უახლოესი ადამიანები, მამობილი რობასი, და რამონა — პირველი სიყვარული. შეურაცხყოფილი სიყვარულის დაბრუნება შეუძლებელია. მოთხრობის ბოლოს ბესამე ისევ ისეთი უსახლკარო, ფოვოსტომი და ობოლია, მაგრამ განცდილმა სიყვარულმა, ტანჯვამ, ალერსმა, დამეცრებამ, ძალმომრეობამ, ამაღლებამ, დაცემამ მას შესძინა ახალი სახელი — მთელი სამყაროა: წყალი, მიწა, ბაერი. ამ სამყაროს პირისპირ თავის ფლეიტასთან მარტოდ დარჩენილმა ამიერიდან წმწყარებითია და ტანჯვით მოპოვებულ სამყაროს სიყვარულზე უნდა იმღეროს. მაგრამ სამყარო მეტისმეტად დიდი სახელია ამისათვის, რომ ადამიანმა ჩვეულებრივი „ადამიანური, მეტისმეტად ადამიანური" ბედნიერება — სიყვარულ, საკუთარ საგანთა ინტიმური გარემოცვა, ბერი და ცერა, ახლოსელთა სითბო და ალერსი არ მოისაკლისოს, თუკი ეს სამყარო ამ უკანასკნელს გამორიცხავს. ამიტომაა, რომ ბესამე კაროს მომავალი გზა — სოფელ-სოფელ ხეტიალი, მიწაზე ცოფარება ჯოფი, გარეთ და სიმარილი, განუუქრელი ფლეიტით ხელში, და ამ გზის ბოლოს სადღაც რომელიმე პატარა საყდართან უპატრონო საფლავი — აფრენდრიანს, ავტორისა და მკითხველის მიერ ამბიკვალენტურადაა განცდილი: გვიანტანს, რადგან ბესამე გადარჩა შინაგან დაღუპვას, იგი მიწის, და ცის შვილი — თავისუფალია. გვიღონებს — რადგან იგი, შეობლების შემცველი რობასისა და რამონას დამკარგავი — ისევ მარტოა. ავტორი გვარწმუნებს: უპატრონო საფლავები არ არსებობენო. ჩვენც ვუჯერებთ მას, მაგრამ საბოლოო დანალექი, რომელსაც გვეტოვებს ეს მხიარულებითა და მწუხარებით გაჟღენთილი მოთხრობა, მაინც სევდაა. სხვა მოთხრობების ფინალიც ოპტიმისტურია: მხოლოდ შინაგანი აზრით: პერსონაჟები (ძმები კეფერაძეები თუ სხვ.) თავიანთ თავთან რჩებიან, არ დაკარგობენ იდეალსა და რწმენას, მაგრამ მათი გულისგატეხისა და გაწბილების წყაროა ცხოვრება და გარშემომყოფი ადამიანები.

გამხეცებული ბესამეს სულიერ აღორძინე-

ნაირა ფალაფიშვილი
აფრენდრიანი და განაგრძო ჯადოქრიანი
სპარპალი

ბა-ადგენენ იწვევენ სიმღერა — დიდი მუხიკოხის ჭრიალტიანელ როხასის მოგუგუნე ხმით ნამღერი ლეკნი. („ფარანი დამიდგიოთ ერთი ცეგანი, მოფერებან გადამჩეკია გარეული მხეცაო"). ეს კი ის სიმღერაა, თავად ბეს

მე — ოფლი, უცოდველი პატარა მწყემსი რომ მღეროდა ხოლმე ბავშვობაში. ამ სიმღერის ემატება* როხასის მიერ მრისანეულ და შთამბეჭდილად წარმოთქმული სიტყვები: „ზენ ღარანი ხარ, როგორც იესო". ეს კი ის სიტყვებია, დედა რომ უმღერიდა პატარა ბესაძეს ძილის წინ — ეს ოვანნას ტკბესტია, რაც გამოიწვევს ბესაძეს შნაგან შეძრას: დამარხული სინდისისა და სათნოების მტანჯველ გამოთავისუფლებას, ადგენენახ. ასეთი გადარჩენა ამრიხია რადაც სასწაულსა ჰგავს, თითქოს დაუჯერებელია ლოგიკის თვალსაზრისით. მაგრამ იგი არც გულისხმობს ლოგიკის ძალას, არამედ სულის ბუნებელ, სასწაულებრივ შესაძლებლობებზე მიუთითებს. ასეთივე სასწაულებრივია ოვანნას ძალით მესხიერების ფსკერის, სულ კვედა შრის გასხივოსნება — დავიწყებული ენისა და ბავშვობის ელვისებური ამოტტაცივება ქალიშვილის ცნობიერებაში იაკობ გოგებაშვილთან. ოვანნა — სიტყვისა და ბანგის ძლეგამოსილი ერთიანობა, მაგიური ბეჭედად რომ ანდვება ბავშვის ჩვილ სულს. („ადეგე უფრო მკვეთრად, უფრო სასწაულებრივადა" ეს აზრი გამოხატეფილი ნოდარ წულეიანკირის მოთხრობაში „სისა-ტურა". დედის სიმღერა აცოცხლებს მკვდარ ბავშვს).

მაშასადამე, აფრეფერიკის მთელი „ფანტასტიკა" საბოლოოდ გამოვლინდა: მისი მსოფლმხედველობრივი თავისუფლებით — ადამიანში ინტუიტური, გამოუცნობი ძალისა და მის შეხალეფლობათა აღიარებით, რა დაუჯერებელიც არ უნდა იყოს ეს ემპირიული ლოგიკის თვალსაზრისით.

საერთოდ, ბავშვობა სენტიმენტალური ალტაცების საგანი კი არ არის გ. ლონაძეშვილის შემოქმედებაში, იგი სერიოზულ ფსიქოლოგიურ პრობლემა განიხილება. ბავშვობაში დალეკილი შობაეკდილებანი რომ მძლავრ ცნობიერ თუ ქვეცნობიერ იმპულსებად მიმკვანა ადამიანს, ეს საკმარისად შეისწავლა ფსიქოლოგიამ. თუნდაც უადრეს ასაკში განცდილი ეკოლი გვაქვნია და ეფოციების კვალი შეიძლება ადგენენ იქნეს დიდი ხნის შემდეგაც, ადამიანის გიუეფერმრთებისა და დამახინჯების შემდეგაც, ცხადი დიდი სულიერი ზეგავლენის, ზზრარდ ტრანსის შედეგად, რადგან დალეკილი სიკეთე თუნდაც დავიწყებული სახით მაინც არსებული მოცემულობაა. გაცილებით ძნელია და ზზრარდ აღმაა შეუძლებელიც ბავშვობიდანვე დამახინჯებული ადამიანის მორალური აღზრდა, გარდაქმნა. ბავშვური სამყაროს გადვიძება, გამოხმობა ბესაძეს არსებაში ეკოლი სადინარს პოულობს და ეკუმპარიტებისაკენ მიეყოლება მას. მაგრამ ახე არ ხდება მოთხრობაში „განსმდგომი შეაკცა". მთავარი პერსონაჟის დიდი სულიერი ეთიკური ტემპერამენტი ბავშვობაში ალბათ ფაფერაკეფის ძიებაში ვლინდებოდა. ეს იყო ბუნებრივი სურვილი, ინსტინქტი „საკმარო საქმეთა" ჩადენისა, თავგანწირვისა, რადაც განსაკუთრებით ამაღლებულისა და დიადის გაკეთების, სიყვარულის გულისათვის. მაგრამ ეს დიდი და ლამაზი ტემპერამენტი, მზურვალება, პატარა ბავშვის სულში რომ ლაღად იყო, დიდი ადამიანის დავიწროებულ, დაპატარავებულ შინაგან სამყაროში კი არ ჩრება, არამედ გუდდება. სულის ეს დაგუბება კი საშიში და საბედისწეროა: რადგან ის იქ ვერ ეტევა. („დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა, პატარაში ლაღად იყო"). მაშასადამე ითხოვს, ეძებს სადინარს. მაგრამ, როგორც ფტეკინან, სუბიექტურ-ობიექტურ ფაქტორთა რიული ურთიერთმოქმედებით ისე ხდება, რომ ამ კეთილი საწყისისა და დიდი ტემპერამენტის თავის თავთან იგივეობრივი, შესაბამისი გამოვლენა ვეღარ ხერხდება: თავისი არსით რომანტიკული და გმირული სული, მოხვედრილი საკმისნონის ულელი და წვრილ-წვრილ სიამტკბილობათა სამყაროში, „პატარაობის დიდსუფრავიღლებს" მოწუყტილი, ვერც ამ სამყაროს ეგუება და ვეღარც გამოსავალს პოულობს მისგან. ის დაკუბებული კი წრიალებს, გამოსვლას ითხოვს, აწყალებს ადამიანს და რაკი სწორ კალაპოტს, თავის შესაბამის ვეღარ პოულობს, თავისავე საწინააღმდეგო მიმართულებით გამეორიდგრება და ამოფრეულ მდინარესავით უეცდურების საწინდარია, ბუნებრივ კალაპოტში რომ სიუხვე და სიცოცხლე მოაქვს გარემოსათვის. ეს დიდი და დაუზარეკავი ენერგია საშიში ძალაა და ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ უკვე ვეღარ ამაღლდება, ეს ენერგიას უნებურად (თვითონაც ვეღარ უდგება წინ) საბოლოო დაცემისაკენ წარმართავს. რადგან დაცემის გზა მისთვის აშკარაა, ამაღლებისა კი ძნელი, გრძელი და ბუნდოვანი: ყველა მცენეა დარდეფული გარდა ერთისა: „არა კაც ჭალ". არჩილი (შინაგანად, პირველსაწყისით მიმართული დიდისა და მთელიანისაკენ) ვეღარ უძლებს ამ ერთადერთ ძაფზე კონწიალს: იგი მასაც ყყვეტს: რადგან ეს მაინც ენერგიის ერთბაშად გამოვლენაა, თუმცა უკვე უარყოფითი. ამ სახელიზერო ტრანსს კი მასში სწორედ ბავშვობის ადგილებში მოხვედრა და ამით ბავშვობის „უფრაზოდ ოლიანის" გახსენება გამოიწვევს: გახსენება თავანისცემამდე მისული, თავგანწირული სიყვარულისა „დედფუფალ ნ-ისადმი" (უფროსკაცად გოგონასადმი), უსაზღვრო ბავშვური მოწიწებისა და თრთოლვისა, თავზეხელაღებული გამბედაობისა და სხვ. ამ „დიდსუფრავლებს" შემდეგ მას უბადრუკი, უსულო ცხოვრების ჭვრიან-ჭვრიანი ამბები შერჩა. მან ადარ იცის როგორ ხდება „დიდი", კეთილი, ლამაზი ამბები, „დიდი". ძნელი საკმისაკენ კი უბიძგებს მაცდუნებელი: იგი ალვაც ადამიანს,

მორწმუნე მართას. ამით ასრულებს თავად იმ ადამიანის სურვილს, რომელიც საკუთარი სულის გადარჩენის მიზნით სხვას თხოვს მოკლას იგი, დახსნას ატანაგან ცხოვრებას (მართა ვედარ უძლებს დარდს გარდაცვლილი შვილის გამო), ანუ ეროიმტიული მორწმუნის ეგოიზმით, ნაწარწყმედნიანებენ უხიგებას სხვას, სხვის შვილს — არჩილს, ნამდვილი ეგოიზმის ნაცვლად არჩილ სხვას ბნელ „ეგოიზმობს", პირადად მას არაფერში არ ეკრძალება მართას სიკეთილი, მას ამ ეროიზმ არ ეკრძალება მართას სიკეთილი, მას ამ მკვლელობისეულ არავითარი პირადი ინტერესი და ანგარება არ ამოძრავებს: იგი დამნაშავის გარდა ვა და შეიძლება დამნაშავეზეზე უფრო მეტად მსხვერპლია: იგი ილუსება როგორც ამჭვეტ ნიური მორალური, თუ იურიდიული კოდექსის თვალსაზრისით, ისევე მართას ქრისტიანული კოდექსის თვალსაზრისითაც: როგორც მკვლელი საუკუნოდ წარწყმედილია. არჩილის ტრაგედია დაუსარკვევი, დიდი შინაგანი ენერგიის ტრაგედიაა და არა ხუნენთი პატარა, მარტივად ბოროტი კაცისა.

ეფრედერიკმა კი სწორედ იმიტომ მიუჩინა ბესიმეს როსანი, რომ ეხსნა იგი დიდი ენერგიის ბესიმეს ბოროტი ბალოვნენისაგან, ყალბი; ჩლუნგი და ბოროტი გამოვლენისაგან, ყალბი; რადგან მხილოდ ფიზიკური ძალიერებისაგან, სხვის დახვიჩრება-დამბინჯებაზე რომ იყო მიმართული.

ბენდეკ მთელი სინამდვილე ამის წინააღმდეგ მეტყველებდეს, ეფრედერიკს მაინც სჯერა და უნდა სჯეროდეს (რადგან რწმენას რეალური ძალა აქვს) ადამიანის გადარჩენა, და სულ რომ ამოძიძირკვლს რომანტიზმი დედამიწიდან, ეფრედერიკი მაინც რომანტიკო

სებისათვის თავად სიცოცხლის სულია. „ყველაფერი რიტმია“ — წერდა ნოვალისი. მთელი მატერიის მოძრაობა, ფეთქვა, ვიბრაცია — ადამიანის სისხლის, მეცნიერთა წვენისა თუ ზღვების მიმოქცევა სამყაროს ერთიან, დიდ სუნთქვას შეადგენს. ეს სამყაროს მუსიკაა — უხილავი, უზღვრო რიტმი თუ მგეროვანქცეული ხმოვანება. „კაცდემიანი ნ. ბერკოფსი წერს: „ისევე როგორც მთელ რომანტიკულ კულტურას, მოდმანს მუსიკა ესმის როგორც სამყაროს შინაგანი მთლიანობა და ერთიანობა“. მუსიკა „ბუნების სანსკრიტია“. რომანტიკოსთა მზერა მიმართულია სამყაროზე, როგორც მთელზე, ამიტომაა მუსიკა — როგორც ამ მთლიანობის უნივერსალური გამოხატულება — დომინანტური ფენომენი მათ ესთეტიკასა და აზროვნებაში. ავგუსტ შლეგელი, განსხვავებით ბერძნული პოეზიისგან, რომელსაც ის უწოდებს „ფლობის პოეზიას“ (Besitz — სამყაროსთან ერთიანობა სახეზეა, განხორციელებულია) რომანტიკული პოეზიის არსებითი ნიშნად აცხადებს ლტოლვას, ბონატრებას (Sehensucht, томление), რადგან სამყაროსთან კავშირი აქ უკვე ლტოლვის საგანს წარმოადგენს, ადამიანს ის ენატრება. რომანტიკულის მსოფლგანცდა ეს არის მონატრება, სევდიანი ლტოლვა მარადიულისაკენ, რასაც ყველაზე ინტენსიურად გამოხატავს ყველაზე ნაკლებ მატერიალური ხელოვნება — მუსიკა. რომანტიკული რომანის ცენტრში, არსებითად პროზისა და პოეზიის სინთეზს რომ წარმოადგენს — ამ სამყაროს მთელიანობისაკენ მიმლტოლავი ადამიანი დგას. ნოვალისის, ტიკის ბრენტანოს, აიჰენდორფის რომანებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩართულია ლექსი, სიმღერა, როგორც საგნის, არსების არსისეული თვითგამოხატება, მათი არსის იდენტიური დასახიათება. „ეს კეთდებოდა ბგერის დაკერის მიზნით, რათა მიეგნოთ მისთვის, მოეპოვებინათ იგი ასახული საგნების წიაღში და ახე შიგნიდან გაენათებინათ ისინი“ — წერს ნ. ბერკოფსი. მაშასადამე, ლირიკული საწყისის ფუნქცია — სამყაროს შინაგან სიცოცხლესთან მიახლოებაა, სამყაროს მთლიანობასთან შეერწყმის სურვილის, ანდა ამ შერწყმის გამოხატვაა. „კი ამბობს ნოვალისი „ლექსი ნაწილია და მთელის უმჯობესი ერთიანობაა“.-ო. რომანტიკული მსოფლმხედველობა აპირობებს ლირიკულისა და ეპიკურის უმჯობესოს სინთეზს მათ რომანებში: სამყაროს გულისგულთან სიახლოვის განცდა ლირიკული ეპიკაზის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომაა ეპიზოდის მკაცრი ჩარჩოები და დიფერენციაციი მიუღებელი რომანტიზმისათვის.

მძლავრ ლირიკულ ნაკადს, ლირიკულ საწყისს გ. დოჩანაშვილის შემოქმედებაში ეს მარადიული „რომანტიკული“ ლტოლვა აპირობებს — ლტოლვა ნაწილისა მთელისაკენ; ადამიანის ლტოლვა ბუნების, სამყაროს საიდუმლოსაკენ: ამას ქადაგებს პატარა, ეიდენო მისიონერი — ბუეუტა, რომ მთელი სამყარო, „ყოველივე ერთ-ერთ ... ეზიანებოდეს, ... ეზიანებოდეს, ... ლერბრივი სილამაზე“, რომ „...დღისით და ღამით მუდამ მოისმის რაღაც იდუმალი, შორეული, რომელსაც მიწვდომა უნდა, რომელიც უნდა გაიაზროთ, რომელსაც უნდა დაუდარაჯდე, მერე მიაგნოთ და მიხვედი, ჩასწვდეთ, ახსნათ...“ სამყაროს საიდუმლოს დაცვა სურს ადამიანთაგან მრავალგზის გაწბილებულ გრიშას და ეწინააღმდეგება თვითმკაფიოდ, ცალმხრივ რაციონალიზმს, მშრალი ლოგიკის ცნებებით, ფორმულებით და სქემებით რომ სურს ამოწურვის, „ახსნას“ სამყაროს ჯრი, პოეზიისა და სულიერის პრიმატს პრაკტიკულის წინაშე აღიარებს და იცავს კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ხოლო მწერალი — ლუკა, ყოველთვის „უცნო სოფელში თუ მოსვლიბოდა, განმარტოვდებოდა... და მიწას ხელისგულებს დაბჯენდა და რაღაც შორეულს, რაღაც იდუმალს ასე უდგებდა ყურს“. ყველანაირ იგრძნობა ადამიანის მტკივნეული წუთვალი — იყოს სამყაროს ნამდვილი შვილი, მისი ორგანული უჯრედი. ასეთი დაბრუნებაა შვილისა მამასთან — რომანი „სამოსელი პრინცეი“.

ეს გასლავი მარადიული სევდა და ლტოლვა ადამიანისა, განსაკუთრებული ძალით ხელსახო რომ იფეთქა რომანტიზმში, რომელიც აუმჯობდნდა კლასიციზმისა და განმანათლებლობის საუკუნეებში გაბატონებულ გონების კულტს, მიიჩნია რა ეს პოზიცია ადამიანის შემეცნებითი უნარის გაცალმხრივება-დავიწროებად, წინ წამოსწია ჭრნმობად-ინტუიციური საწყისი და აღიარა სინთეზური შემეცნების შესაძლებლობა და ფეცოიტლმობა („ჩვენ შეგვიძლია უფრო მეტი, ვიდრე შემეცნება“ — ნოვალისი. „ბრნამს, რომ ახს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულო შორის, და უცნოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელოობა მათი საუბრის“ — ბარათაშვილი).

თუ გავიხსენებთ ჩვენი ეპოქის ლიტერატურის, განსაკუთრებით პროზის ძირითად დამახასიათებელ, წამყვან ინფორმაციას, რაც შეესაბამება საკუთნის მრავალ სიძნელეთა შეიღგად დაღლილი, დაეჭვებული, გულგატეხილი, ძმიშედ და დარდიანად ჩაფიქრებული ადამიანის დაწერეთ, დამალ, გაბზარულ ხმას, შეიძლება ვთქვათ, რომ გ. დოჩანაშვილის ეკსტატიური ტონალობა, რაც „ზნრიად ახასიათებს მის საუბარს სიტყვის, მწერლობის, მუსიკისა და ბუნების შესახებ, ერთგვარად გამორჩეულ რეგისტრს ქმნის და მიგვანიშნებს, რომ მწერალს შენარჩუნებული აქვს ხელოვნებისა და სამყაროს საკრალურობის განცდა. მათი საიდუმლო-ნი დღეს უკვე გაინელებული ალტაცების უნარი. ეს რეგისტრი გვაოწუფებს, გვაახსენებს, რომ ხელოვნება — პოეზია თუ მუსიკა — არ არის (არ უნდა იყოს) ჩვეულებრივი საქმიანობა თუ საქმე — ერთ-ერთი მრავალ სხვათა შორის,

მხოლოდ რაციონალური, მხოლოდ ლოგიკური და მხოლოდ მიწერები, როგორც ხშირად განიცდება იგი ჩვენს საუკუნეში, არაფერ „ხელმოთა“ იგი, „ხელმოთოდ გასაგონი“ და ყურიდან ამდენად „დიდი მარგალ“. ამიტომ: ბესლიეს შესავლას კოსნერვატორიიას თეთრ შენობაში წინ უსწრებს მისი განმანგა ხიდიუმლო დარბაზში, რაც გაგზშენდის, განთავლის რატუალის ფუნქციას იძენს.

და სულაც რომ არ გავაანალიზოთ მწერლის მსოფლმხედველობრივი საფუძველი, განა სწორედ ეს ინტონაცია ნაწარმოებისა („ჯაბერ(პო)ლოო“) არ მიგვანიშნებს, რომ აქ ნიმალიზმზე ლაპარაკი უაზრობაა? ნიმალიზმი და ყოველგვარი სახის ურწმუნობა სულიერ ღირებულებათა მიმართ იწვევს დეკრესიულ, აგრესიულ ან ციანურ ტონს. ხოლო გ. დოჩანაშვილის ნაწარმოებთა სათუთი, ლირიკული, ხშირად ლირიკულ-ელეგიური განწყობილება, შინაგანი პათოსი, ემოციური ინტენსიობა მიგვანიშნებს შინაგან ენერგიასა და სისავსეზე, რასაც განაპირობებს რწმენა, მაშინაც კი, როცა მის მოთხრობებში ასახული სინამდვილე ამ რწმენის საფუძველს თითქოს არც გვიჩენს. ტონალობა აზრისა და პოზიციის გამომხატველია. განა ეს ავტორისეული ნიუანსული სამყაროსა და ადამიანის მიმართ არ გამორიცხავს ყოველგვარ დეკადანსზე ლაპარაკს?: „უჰ, წყალი და მიწა, წყალი და მიწა, სრულიად მიწა, ეჰ, რაოდენი რამის მომცემი, მრავალფეროვან და უზარაფოთა მარადიულად მეძღვარი და დაუფეფრებელი, დაოკებულად უზმო ალერსით, ეს დიადი და მაღალი დედა-მიწა გამდები“. „უჰ“ და გაგრძელებული ხმოვანი ალრფოთვანებულ ტონალობაზე მიგვანიშნებენ, „ეჰ“ კი იმ ხანონულზე, რითაც ავტორი გვამცნობს, რომ ბესამეს შეიძლება დაკარგოს სამყაროს დიადი ნალამაზობა და სიბრძნის შეგრძნება.

და თუ ეს ტონალობა თანდათან ძლიერდება გ. დოჩანაშვილის შემოქმედებაში იმტკიცებ, რომ მწერლისათვის სულ უფრო იზრდება სამყაროსთან ადამიანის გრძნობადი, უშუალო კავშირის მნიშვნელობა. დღეგანდელი ადამიანი, ინდუსტრიული ცივილიზაციის, ტექნიკური საუკუნის პირმშო — სულ უფრო წყდება ბუნებას; ეს კი ნიშნავს, რომ წყდება თავისი პიროვნების გამამთლიანებელი, განმაკურნავ. ემოციები მასაზრდოებელ წყაროს, მშრალ მეცნიერებათა მოზღვავება თუ პოეზიისგან დაცლილი ცხოვრების წესი, ააზარაჯების დიდ საფრთხეს: „ორმ კვდება გული — მსოფლიო ღერძი“ (ტ. გრანელი).

მაგრამ ზოგი კრიტიკოსი ვერ (თუ არ) გაანასვავებს ავტორის პოზიციის რეკსარის მსოფლმხედველობისაგან და უპასუხისმგებლოდ მიაწერს მწერალს რეკსარის მხეცურ იმპულსებს, შემდეგ კი ნატიფ იუმორს ხალლიობს რეკსარის მეტაფველებაზე, ნატიფი იუმორი ნატიფი სულის გამოვლენაა და უხვად ეგებება მკითხველს ამ ნაწარმოებში, მაგრამ განა შეიძლება მას [illegible] ლოდეთ ისეთი ჩლუნგი და ხლაგი არსებობა, როგორიც რეკსარია? ეს ხომ იგივეა, ჯაფს მსოფლმხედველობა მ. ჯავახიშვილს რომ მივაწერო და მწერალს ვუკეიფინო, ჯაფ სულაც ვერ ხუმრობს ნატიფად და ესთეტიკურადო. ასეთი მეთოდის წყალობით ადვილდება გ. დოჩანაშვილის ჩარიცხვა ეპსიურდის მიმდევართა რიგებში. მაგრამ გ. დოჩანაშვილის შემოქმედება, თუ აუცილებელია პარალელების დაძებნა დასაფლეთის ლიტერატურაში, ახლისაა XX საუკუნის იმ ლიტერატურასთან, რომელიც ინარჩუნებს კავშირს კლასიკურ-რომანტიკულ მემკვიდრეობასთან, ინარჩუნებს დიდი სულიერი ღირებულებების რწმენას, დგას ჰუმანიზმის საფუძველზე და გამოხატავს ადამიანის ლტოლვას კოსმიური პრომეთეისაკენ (შეიძლება დავასახელოთ რ. მ. რილკე რომანი, „ალბრეხტი ძე ზეცოთმისა ქარგაზე, ან ბ. პეხეს შემოქმედება და მრავალი, მრავალი სხვა). მას მსოფლმხედველობრივად, შემოქმედებითი ტემპერამენტით, ფსიქიკური წყობით არაფერი აქვს საერთო XX საუკუნის იმ ხელოვნებასთან, რომელიც სამყაროს, ეთიკურ საკრებულს, სინათლეს მოწუყეტილი, ქაოსში ჩაკარგული ადამიანის უმორიზონტო, გამოუვალი მდგომარეობის ტრაგიკული კონსტატაციაა, თუმცა არა თანხმობა ადამიანის ამ ბედ-იღბალზე: იქნება ეს კიდეკ თუ ბეკეი.

„ავტერ(პო)ლოო“ — მოთხრობა მუსიკის შესახებ — გვიმეღვნების ლტოლვას, დაკეკრილ იქნეს მუსიკის უსნილეა-უსხეულო მოძრაობა და განიკვთდეს, გადაიღვაროს იგი ენის სხეულში, რაც იწვევს ენის განსაკუთრებულ რიტმს, მელოდიას, დინამიკას. ეპიური თხრობის უფრო შეფარული რიტმი, იქ, სადაც მუსიკა თავად ჩქეეეა თემად, გადადის პოეზიის აწყარო რიტმში, ხახეების უწყვეტ ნაკადში. მუსიკა ის ალკმიაა პროზის მკვრივ ნივთიერებას პოეზიის დენად. მოლიელივე ელემენტად რომ ააკრთლებს: „ხოლო ფლეიტის მთვარის სალუქი, ვერცხლად თხერი ხული ედგა და მთვარის ხილულად იდუმალ შუქზე, ღამის ციაგა ხასიბლებში, მჭრეალ წუხილისას უფრო ელერდა და ამ ფლეიტას შედგომილი ჩვენი ბესამე უიმნატიფხმოდ ღამღამობითაც კი ვეღარ სძლებდა. იმ განაბული ჯადოკრიანი საკრავით ხელში სუნთქვაშეკრული ადიოდა კასერეხის აქვმულ ბორცეზე და ღამის პეზშეი ფრთხილად ჭდებოდა, რათა დიეკრა იქ“.

ფლეიტის „მთვარის სულის“ მოკოვებას ცდილობს ბესამე, მის გამოხმობას, გამოტანას ფლეიტის სხეულიდან — და განთავისუფლებას.

ნარკა ჭელაშვილი
ალექსანდრეული და განაბული ჯადოქრული საკრავი

ბგერის მოპოვება და გონთავისუფლება საიდუმლო, ჯადოქრულ პროცესად არის გაგებული მოთხრობაში. ფლეიტის „მთვარის სულის“ დაჭერა შეიძლება მხოლოდ სამყაროსთან, ბუნებასთან შინაგანი კავშირის დამყარებისას, სამყაროს სიწმინდესთან შინაგან პირმთნიანში — რადგან ფლეიტის სთქმელი სწორედ ეს არის — სიწმინდე: „როდესაც იყო ფლეიტის ხმაში, მძინარე ბავშვის ნიკაპზე მძიმედ ჩამოდვენთილი ნერწყვივითო წმინდა“.

მუსიკა ნეტარებისა და ტანჯვის, ტკივილისა და სიხარულის ინტენსიური სინთეზია: „იდუმალი ნეტარებისგან რაღაც მთავარი ძლიერ ტკიოდა“.

თავად ბგერის წარმოქმნაში პეგელი ხედავს რაღაც ტკივილის არსებობას: მატერიის შიგნით მოიწყვდეული სულიერის ტკივილს, გამოვლენის წუთრვილს: „ბგერის გაჩენა ძნელი ასახსნელია. როდესაც სპეციფიური — თავისთავში მყოფი — ყოფიერება თავს აღწევს სიმძიმეს და გარეთ გამოდის, ეს არის სწორედ ბგერა. ეს გასდევთ ჩვენი იდეალურისა, რომელიც იმყოფება სხვისი ძალაუფლების ქვეშ, ამავე დროს ზეიმიც ამ ძალაუფლებაზე, რადგანაც იდეალური მასში თავისთავს ინაბრუნებს“.

ფლეიტის სულის გამოვლენა და ბუნებასთან შინაგანი კავშირის დამყარება თანმხვედრილი პროცესებია. ბესამე ივსება დედამიწის, ბაერის, წყლის, მცენარის სიყვარულით.

„დედამიწას სიყვარული ატრიალებს“ — ეს გასდევთ რომან „სამოსელი პირველის“ აზრობრივი ბირთვი, აზრობრივი ღერძი, რომელზედაც ტრიალებს მთელი რომანი: სამყაროს როგორც ერთიანი და მთლიანი სისტემის წესრიგი მის რიტმულ მოძრაობაშია დანაბული (დედამიწის ტრიალი). ხოლო წყარო, ბიძგი და საფუძველი ამ უმაღლეს სფეროსურზე მოწესრიგებული მოძრაობისა, უმაღლესი ორგანიზაციისა გასდევთ სიყვარული. ეს უძველესი აზრი მოაქვეს სოუკუნეებს საკაცობრიო აზროვნების წიაღიდან ქრისტიანობის გავლით. სიყვარულია სამყაროს შინაგანი ერთიანობის საფუძველი და კანონი — იგია მისი მამძრავებელი. შემაკავებელი და გადამრჩენელი ძალა. ამ ძალის წყალობით უკავშირდება ადამიანი სამყაროს, როგორც ნაწილი მთელს: დომენიკო მაშინაც კი, როდესაც სრულიად წუწყებს ნათელს, გრძნობს ვიღაცას უყვარს ეს „ვიღაცის“ უყვარული სიყვარული მისდამი და თავისი აზრის სიყვარული ანა-მარიასადმი წარმართავს დომენიკოს გზას. ხოლო სამყაროს საიდუმლო სუნთქვის, მისი დიდი, რიტმული ვიბრაციის ხმოვანება — მუსიკა. ანა-მარია მუსიკოსია და ამავე დროს სიყვარულის შინაგებელი დომენიკოსთვის: ანა-მარია სიყვარულის სიბრძნის კარს უსნნის დომენიკოს გულს და თავისი მუსიკით რასაც მიიღებ მის არსებას სანეკარს ერთიან შინაგან ყელში, მის დიდ სუნთქვაში.

სიყვარულია მარადიულ ღირებულებათა [illegible] ერის ყველაზე დიდი და გამძლე: არ იწვება და არ იფერფლება მხოლოდ ანა-მარიას ამეთვისტო. მუსიკალურ პრიზმაში დანაზული და გაგებული სამყარო როგორც მოძრავი, ხმიერი მთელი — განაპირობებს რომანის საერთო სტილს, მის რიტმულ-მელოდიურ ენას: სიცოცხლის ვრცელი ნაკადი, მბრუნავ დედამიწაზე სიცოცხლის ერთიანი დენა — რომანის არსებითი თემაა. ამ ერთიან დინებაში არიან ჩართულნი პერსონაჟები: მიედინება სიცოცხელ, ცხოვრება აღვსილი ხილმაზნით და სიმპიხნჯით, მწუხარებითა და სიხარულით, სიბრიყვითა და სიბრძნით, არარობითა და სიდიადით. სიცოცხლის ვრცელი ნაკადის ფონზე მოსჩანს დომენიკოც: როგორც მდინარეში მოტივტივე ბაგარს წყალი, ასევე დომენიკოსაც — ყოველი მხრიდან ეხება სიცოცხელ, ზოგჯერ რომ თავზე გადაუვლის, ჩაძირავს, ფარავს და მაშინ მხოლოდ ერთიანი დინებაღა ჩანს: ასე გვეკარგება ხანდახან მთავარი პერსონაჟი, დაფარული სიცოცხლის ერთიანი ნაკადით.

ანა-მარია, როგორც მუსიკა, როგორც სულის უმაღლესი ორგანიზაცია, კვდება უდაბლეს საფეხურზე მდგარი, პრიმიტიული, უფორმო, ანიმალური, ხსელი ძალის — უგრს ხელით. მაგრამ იგი აგრძელებს სიცოცხლეს დომენიკოს სულში — და როგორც უკვე ვთქვით. „მამის“ ფარულ ხსოვნასთან ერთად განსაზღვრავს დომენიკოს შემდგომ გზას — თვითგანადგურების სურვილით შეპარობილი გმირის სვლას კამორას ბნელეთისაკენ, კამორასგან მორალურ და რეალურ თავისდაღწევამდე და დაბრუნებას პირველსაწყისთან — მამასთან. ანა-მარიას სიყვარულსა და კანფიდანელთა თავისუფლების მსხვერპლურ-ამაღლებულ სამყაროს შორიგული, განსაცდელგამოვლილი დომენიკოს მოკიბეული სიბრძნე ვლინდება სწორედ მამასთან მომანიებელურ დაბრუნებაში და მის სახოლო საქციელში: იგი წვავს ბოძებულ ბაგანურს — სამოსელ პირველს — მაღლდება რა აქვეკეთნიერ ვნებათა ღელვაზე, ამ ვნებათა ღელვას საკუთარ ძარღვებში გამგრძელებელი, იგი ივსება კოსმიური სიყვარულით და ამგვარად განეშორდება ახალი გზისათვის: სიტყვისათვის.

ასევე „ვატერ(პო)ლოო“-ზიც მუსიკის ანუ თავისუფლებისა და სიყვარულის სამყაროს უპირველესობა ანტისუფლეა, ძალადობისა და ხაკალის სფეროო — ვატერ(პო)ლოო (ასევე პოფმანისათვის ძირითადი ანტითეზებია: მუსიკა და ანტიმუსიკა). ვატერ(პო)ლოო ანტიმუსიკაა — ნოსლისა და ბარმონიული ხმიერებისაგან დაცლილი, შედეგებული, ჩლუნგი, ცხოველური სტიქია, — რომლის ანტიმუსიკალურობის ბგერწერეულ გამოხატულებას წარმოადგენს წვერთნელ რეტსაჩის ხმოვნებრმაწყდარი ხასელი „ოტერექსარი“. ამ უზმოვნო ტანაჯ მატერიაში ძირება ბესამეს სული და მისი ხასელიც კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავს მუსიკას — ხმოვნები: „ეს ხმა-ა დდ ბსმ", მაშინ როდესაც მუსიკა ენაში ხმოვნების ზეიმია, მათი წმეყვანი კოორა და დიდი ელოვა დმიენაოოსი, როგორც აზვირთებული მოძრაობა ხულისა თანმხმოვნებს კარგავს („ითიუ").

ვატერ(პო)ლოო, მიმპრიფული სიყვარულისა და თავისუფლების, სამყაროსთან კავშირის წინააღმდეგ, მუსიკალურ ხელოვნებასაც, როგორც ამ კავშირის გზასა და გამოხატულებას, თავის სამსახურში აყენებს, ეს კი ძალადობისა და ბოროტების შენიღების მიზნით ხდება. მხეცის გაღვიძება უფრო ადვილია ადამიანში, მისი შენიღება კი უკვე რთულ ხელოვნებას გულისხმობს, იგი მეთოდური ზვრთნით მიიღწევა: წყალსურთელებმა წყალკეგზე ერთიანნეთი უნდა დაახბინრონ, დაიმტკიცონ, წყალზეკით კი უსათოლეს გამომტაკვალენს შენინარჩუნონ სახეზე. ამ გამომტაკვალენის გამომუშავების მიზნით მწერთნელი რეკსარი მენდელსონის მუსიკას ასმენენს ალსაზრდელებს. „მენდელსონით სახეზე" ისინი ისტალტოდან ამორეკილენენ „თამაშს", (კამორაში ბოროტების შენიღებასთვის ბრეკრიკოს ყალი ფეიზერი იკმნენ. კამოო არა მხოლოდ ძალმომრეობის სისტემა, არამედ სიყალნის ტოტალური ორგანიზაციაც) „ვატერ(პო)ლოოში" ნამდვილ მუსიკას აკენებენ სიყალნის სამსახურში. მაშასადამე, ვატერ(პო)ლოო წარმოადგენს ძალადობას ადამიანზე და ხელოვნებაზე (მუსიკაზე).

მთლიანად „ვატერ(პო)ლოო" მუსიკალური ნაწარმოების შთაბეჭდილებას ახდენს: განფენილებისა და თემატური ბაზების მრავალფეროვნებით, განცდათა მოდულაციების სწრაფი მოსაცვლითობით, იმ ემოციურ ლოგიკით და სტრუქტურული პრინციპებით, რაც მუსიკალურ ნაწარმოებს ახასიათებს. გარდა იმისა, რომ მუსიკა როგორც მსოფლმხედველობრივი განზომილება და თემა აშკარად აპირობებს რიტმულ-მელოდიურ ენას, იგი განსაზღვრავს მოთხრობის შინაგან სტრუქტურულ სპეციფიკასაც. მოთხრობის ყველა პერსონაჟი თუ თემატური ხაზი ახასიათებდ ფორმდება და ეს ის ასპექტი მუსიკალური ლიტერატურეების მსგავსად გარკვეული რიტმითა და ლოგიკურ-ემოციური კანონზომიერებით ეწესცვლებიან, ეკსოვენიან. კვეთენ ერთმანეთს (ერთი ასპექტი მეორის შუაშია ხშირად შეგრილი) და ბოლოს აზრობრივ კონტრაპუნქტებში ერთიანდებიან. ახეთი ლიტერატურეებია: „ავტორი", „ფერედერიკი", „ბეხმე კარი", „რამონა", „კარმენი", „ფლეიტა", „როზანი", „ვატერ(პო)ლოო", „რეკსარი", „კარტუზი ბაბილონია". „ლალეკი", „ეანონი" და ა. შ. დადასვლი ერთი ასპექტიან მეორეზე ირტასტული და დინამიური. ხშირად მისი მოჩვენებითი ალოგიკურობა (რომელსაც ლოგიკური ფუნქცია აქვს) აპირობებს იუმორს. ძირითადი აზრობრივი კონტრაპუნქტი თავისუფლებაა და სიყვარული: ეს გაბლავთ ფერედერიკის უმთავრესი ხულიერი იმპულსი, მოთხრობის არსებითი გაბნეულობა და თავად მუსიკის არსი: („ფლეიტას... თავისუფლება და სიყვარული გაანდა, ჭკნნდა", „ყოველ საკრაზეი ეს ორი მცენეა... უზნეანეა, — ტანჯვით საწვდომი თავისუფლეა და და სიყვარული, ეს ორად ორი უუბალდენი ამბაჯეეეეა. სიიდემლიდ ძეეს!" „ბნელმა ანარმა ცოტათი... ბაუმპართანი — თავისუფლეთი იყო ბიეი", „...ტყუილუბამლიდ კი არ ახსენებენოდ თავნენეა ქალი, ხასელად — კარმენ, თავისუფლებას, ხულის ველურად ავუკავლებენენ ბუჩქნარს, მისით ეტრფიდეა, და დიდად უუვარდ თავისუფლეეა") აჭ ერთიანდებიან ლიტერატურეები: „ფერედერიკი", „კარმენი", „რამონა", „ფლეიტა", „როზანი", „კოსმერეკატორის თერი ზენობა", „ეანონ", ანტიფეზა — (ანტიმუსიკა, ძალადობა) — „რეკსარი", „კარტუზი", „ბეტოვენ", „ვატერ(პო)ლოო" — თამაში. ბეხმე — ამ ორი ტალვის მოჭმედების ველია.

ახასიათებს რა ლირიული პროზის, როგორც ასეთის, ძირითად სტილურ ნიშნებს, მის ძირითად ფსიქიკურ განწყობილებებს", მ. ბრანდეხი წერს: „პოლარული განწყობილებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მუსიკალური ტონალობებისა „dur"-ის და „mol"-ის მსგავსად. დაძაბულობის ზეიწეული განცდები მხიარულ ალეგროს მოგვაგონებენენ, ხოლო ელეგიური — ლრმა, ზეთაღნენელ ადაგიოს". „ვატერ(პო)ლოო" — როგორც ლირიული პროზა, ანუ ლირიკულ-ეპიკური სინთეზი და არსებითად მოთხრობა მუსიკის ზეხეზე, პირდაპირ ითხოვს მუსიკალურ ტერმინოლოგიისა თუ ანალოგიებს, რაც პროფესიული კვლევის კომპეტენციის შეადგენს.

ჩვენ მხოლოდ მივუთითებთ, რომ პასაჟები (ლიტერატურეები) ერთმანეთს სხვადასხვა რიტმით ეწესცვლებენ: ზოგჯერ ეპიზოდ დაწვრილებით აღწერა-ახასნა გრძელ პასაჟად ივრცობა, ნელი ამზადებს ზეორეს, დინჯად. ზოგჯერ კი, და ეს ოჭ, სადაც განსაკუთრებით ინიბება ატმოსფერო, ბედი, თითქოს ფარული „ჰიპერნარატო" მოჭმედებს. მაგალითად მე-12-18 თავებში, იმის წინ, ვიდრე ბეხმეს კარგა ხნით შეიწოვდეს ვატერ(პო)ლოოს ბაობი და კარგა ხნით გაბატონდებოდეს „ანტიმუსიკა", პასაჟების მონაცვლეობის რიტმი ჩჩკარებულია: „ბეხმე", „ფერედერიკი", „რამონა", „ვატერ(პო)ლოო", „რამონა", „ვატერ(პო)ლოო". ეს ალეგლეტელი, დაძაბული რიტმია, მაფუსებელი განსაცდელის სამოლო მოახლოებისა, რამოსახთან გამოთხოვებისა.

ამგვარად, მუსიკა აყალიბებს ფრაზებს, გრძელ სინტაკსურ პერიოდებს, რომელთაც კარგად დაკვახასთვეეენ თავად მწერლის სიტყვე-

ნინიკა ბელაშვილი
აფრიდონიკი და ბანაბულ ჯაბოტრონი
საკრავი

ბით ანა-მარიას შუისკის თოთბაზე: „უსწორმასწორო, ლბილი საფეხურებით ტალღად დარწყული კიბე". მოთხრობის ენა მუსიკით, პოეზიით და ა.შ.ით ამოძრავებული ნაკადია: ხან ნეტარი დინება, ხან ზელფარე და დაძაბული, ხან ელეგიური-მელანქოლიური ან თამაშისეული, რომელიც ზიგა და ზიგ წუდება რეკსარის „ვალტერ(პოლოოს" ტალღენ ლრიალით, ხორხოცით, ყმუილით, ზმეილით, ანიმალური ბმაურის (ანტიმუსიკის) მოელი არსენალით, სადაც კვდება სული ბესიმენი და ბმიმე მატერიად იქცევა მისი სახელი „ბსმ და ხსმ".

მხოლოდ მიაღლილნით ალვწერეთ ის შინაგანი მეკანიზმი, რაც იწვევს საბოლოო ესთეტიკურ შედეგს: მოთხრობა არა მხოლოდ იკითხება, არამედ თითქოს ისმინება კიდეც, ის გვრჩება არა მხოლოდ გონებიდან-აზროვნებიდ, არამედ მუსიკალურ მეხსიერებაშიც — სმენაში, წაკითხვის შემდეგ წაკითხული ერთხანს კიდევ ისმის. ხმიანების. ფენომენურ ფენომენა, რიტმი. ინტონაცია.

„ვალტერ(პოლოოოს" ლირიკული და ეპიკური ნაკადი თანაზომიერადაა წარმოდგენილი. ლირიკულ-რომანტიკული გაფრთხილრიტელია ოფმრინო. დისტანციურ-ეპიური დამკვირვებლობით, სიფსიზეთი. ამ მოვლენებს აქ განაპირიბს ორი მთხრობელის არსებობა. ერთი (აფრედერიკი) მკვეთრად ლირიკული სუბიექტია — სამყაროს თავისი განცდისა და დამოკიდებულების პრიზმაში წარმოგვიდგენს. მეორე — „ავტორი" — უფრო ობიექტური. დაშკვირვებლობით გამოირჩევა. კომენტარებით აფრედერიკის მიმართ. თუმცა თავისუფლებისა და სიკვარულის საკითხში აფრედერიკის ეპსტაზი „გადალეგება" ხოლმე.

ემილ შტაიგერი თავისი ცნობილი წიგნის („პოეტიკის ძირითადი ცნებები") ბოლოს აცხადებს, რომ ნებისმიერი სტილის მოწონება თუ დაწუნება სუბიექტური გემოვნების საკმეა. მისთვის პირადად უფრო მისაღები ის ნაწარმოები, რომელიც აწონასწორებს ტონალობებს: ლირიკულს (რომელიც მიღის, მიიკვრება) და ეთქვათ, დრამატიულს (რომელიც დაძაბულობაში ჩერდება). რომ მისი აზრით სრულიფოფილია ის ქმნილება, სადაც ხმიიე ტონალობა — ლირიკული, ეპიკური და დრამატიული — თანაბარი სიძლიერით, წონასწორობაში იქნება ერთიერთს გადაკვთილი.

ჩვენის აზრით, გ. დოჩანაშვილის პროზა ამდაგვნებს ახეთ მიდრეკილებას ტონალობათა სინთეზისაკენ, რაც განსაზღვრავს მისი ენისა და სტილის მრავალფეროვნებას. განსაკუთრებით ელინდება ეს მოგრეტი ბოლო მოთხრობაში „განმბდგომი შუა კაცი". აქ ლირიკული, ეპიკური და დრამატიული თანაბარი ინტენსიობით-თოა წარმოდგენილი, დრამატიული — ფინალისაკენ ძლიერდება. აქ ინტენსიობით გამოთქმული სიცოცხლის ბეგლიხვლი, ადამიანთა კაეშრინის ხულიერი ველი, სიიდანაც გარიყულია მთავარი პერსონაჟი, ის ვინც შუაში უნდა მდგარიყო. დასასრულ შეეგზონთ ენის პრობლემას.

ენასთან შემოქმედებითი დამოკიდებულებას, რაც საერთოდ დამახასიათებელია გ. დოჩანაშვილისთვის, საფუძველად უდევს ენის გაცდენა უსაზღვრო და ამოუწურავ შესაძლებლობათა საუფლოდ. ენა მწერლისათვის პოტენციური მოცემულობაა და არა გაკეთებული, უმრავი, ხტიბილეური სისტემა. ენა განსაკუთრებული ეუნრადღების, ფიქრისა და კვლევის საგანია, ამიტომ არის, რომ ენა და სიტყვა გ. დოჩანაშვილის ნაწარმოებებში თავად იქცევა ხოლმე თემად და პრობლემად, გაეიბნენ „თავფარავნელი ბაბუაკ"; „თავფარავნელსაც სიტყვა აწვალებდა — იმასაც სიტყვა სჭირდა... სიტყვასთან ეფილდ მაინც მარტოობა უნდოდა. უმოწმოდ შუბმა... სიტყვა — სანუკვარ ქალს ჰგავდა, იმასაც ჰკონდა თავისი თქმითი, „ზრდილი მკერდი, ეჰ, თვალწყრანი და ბმრები ისეთი, მაგრად ბრმასავთ უნდა შეგეყენო — გაბუტებული ხელისგულებიან მორთოლვარე შუბები, სიტყვა სანუკვარ ქალსა ჰგავდა და იმასთან ყოფნისას რა მოწმე უნდოდა... სიტყვაალაინლის არავინი დანახვა სურდა..."; ან რომანის ფინალი: „...ხმოიხეთი პირველია სიტყვა... და მაგ სიმოსეულ რაკა უფრო მეტ ხალხს გადაეწყვეტ და გადაადგრეს, უფრო მდიდარი შეიქნენი, უფრო ტანჯული..."

მწერალი ახორციელებს ენის შემოქმედებით კვლევას, ცდილობს ითვისოს მისი ფარული შესაძლებლობები, წვალება ლექსიკური თუ სინტაქსური კონსტრუქციების დონეზე, რაც დაკავშირებულია დიდ და ძნელ მუშაობასთან და ზშირად ექსპერიმენტალურ ბეწვის ხიდზე გადდის. ეს პრობლემა ითხოვს თანამშედგრულ ანალიზს. ლ. ბრეგაძის წერილში კონკრეტული მაგალითებით ნათელყოფილია, რომ სიტყვათქმანდობა გ. დოჩანაშვილის მოთხრობაში არ წარმოადგენს თვითმიზნურ თამაშს, აკვიატებას ანუ ფორმალიზმს, იგი არსებითად ხორციელდება ენაში არსებული სიტყვათწარმოების კანონთა ანალოგიით და ყოველთვის აქვს ფუნქცია: ლოგიკური თუ ემოციური (მაგალითად, „გადაწყვეტდა" იქმნება „გადაირია"-ს, „გადაიხარხარა"-ს ანალოგიით და უფრო ინტენსიური ვიდრე „გადაწყვეტდა". იგი „გადაირია"-ს ახოციაციას იწვევს და თითქოს ეფექტიულიაციაზეც მიგვანიშნებს: გაოგნებულ ხელეფის გაშლასა თუ თავის გადაჭეშეტვზე ან რაღაც მსგავსზე. ანალ: „სადღაც ადამიანც ცოტათი ოფლიანთ-ქოსდა იქნებ" — ამ კომპოზიციი დასახიათებული თავისუფლება, როგორც ყველაზე უფრო რელატიური ყველა ცნებათა და ღირებულებათა შორის. თავისუფლება მუდამ გადაჭეშეტვნი აუცილებლობასთან: ანე ალმოჩნდა ეანრის, მწერლის თავისუფლებაზე რაც ვსაუბრობდით. ფილოსოფიის ენაზე ხომ მას „აღმოჩენიერებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი აუცილებლობა" ჰკვია. თვით კარმენის სიყვარულის თავისუფლებაც შედარებითია და არა სრული: აკი კარმენიც, რომელიც სიყვარულის თავისუფლებას თვის ხელშეუხებ უფლებად აცხადებს, ასეთივე თავისუფლებას ანიჭებს დონ ხოზეს, ემორჩილება რა მამაკაცისა და ქალის ურთიერთობის თავისებურად გაგებულ კანონებს: „შენ უფლება გაქვს მომკალ მე". კარმენის თავისუფლება ეხლები დონ ხოზეს უფლებას. თავისუფლების შედარებითობის გამოხახატავად გაერთიანნდა ოდნავობის აღმნიშვნელი თითქმის ყველა ლექსიკური ერთეული, რითაც მიგვეჩვენნა, რომ ეს ასეთი შედარებითი ცნება მაინც უდიდესი რამ არის ცხოვრებაშია. ეს ფუნქცია ყოველთვის არაა ადვილი ამოსაცნობი, იგი უალრესად მრავალფეროვანია და სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა კუთხით წარმოგვიდგება.

სიტყვათქმნადობა, ენის განახლება, როგორც შემოქმედებითი პროცესი, უძველესი მოვლენაა. მაგალითად, მორაციუსი ნაშრომში „პოეტური ხელოვნებისთვის" წერს: „კატონისა და ენიუსის ენა ახალ სახელთა შემოტანით განა არ ამდიდრებდა ჩვენს მშობლიურ მეტყველებას? ყოველთვის იყო და კვლავაც ნებადართული იქნება სიტყვის გამოკეთია აწმყოს დამდეგი!

ვით ტეე მოიხსაბს წერეთა სრბოლაში ნორჩ ფოლლებს ძველთა ცვენის შემდეგ, ისე ენა შეიმოსება ხოლმე ახალადშობილი და ღონიერი სიტყვებით, როს მოძველებულთ გაუდით ყავლი. სიკვდილს ვერც ჩვენ ავცდებით და ვერც ის, რაც ჩვენეულია!

ცხადია, არც ჩვენს მეტყველებას შეუძლია შეინარჩუნოს ოდინდელი პატივი და მოსდენილობა. ბევრი გარდახული სიტყვა კვლავ აღდგება ხოლმე, ხოლო ის სიტყვა-თქმანი, ახლა რომ ღირსება-პატივშია, დავიწყებას მიეცემა, თუ ეს მოსხურვა ჩვეულებამ, რომლის ხელთაა ძალა, სამართალი და მეტყველების წესი და რიგი" (თარგმანი ა. ურუშაძისა).

აშკარაა ენის თანდათანობითი გამდიდრება, გამრავალფეროვნება, გართულება გ. დერჟავინელის შემოქმედებაში. იქმნება გრძელი სინტაკსური პერიოდები, ფრაზა უხვტეტრიანი ხდება, აზრობრივ-ემოციურად განსაკუთრებული ტავადი და ინტენსიური. ხშირად ერთი წყაითხვით ძნელი ალსაქმელია, ისევე როგორც ძნელია ო. ჩხეიძის ენა. მაგრამ, ჯერ ერთი, „ძნელი" — ფრიად სუბიექტური და შედარებითი კატეგორიაა, (რაც ერთისთვის ძნელია, მეორესთვის შეიძლება ადვილი იყოს) და მეორეც, დღეზედ არავის უთქვამს, რომ წიგნი ერთი წაკითხვისთვისაა გათვალისწინებული. სწორედ თავისი სირთულის, ლექსიკურ-სინტაკსური მრავალფეროვნების გამო, იმის გამო, რომ ის ერთი წაკითხვით ვერ ამოიწურება, ასეთი ენა ყოველ წაკითხვაზე ახალ-ახალ „სიუპრპრიზს" გვთავაზობს, ჩვენ ფრაზაში ახალ-ახალ ნიუანსებს, ინფორმაციას, ეთასგვარ შრეებს აღმოვაჩენთ. მაშასადამე, იგი დიდხანს რჩება საინტერესო. სწორედ იმიტომ, რომ ერთი წაკითხვით მას ვერ ვეუფლებით მთლიანად, იგი ისევ და ისევ გვიწვევს, გვეძახის თავისი სიღრმეებისაკენ, თუ რასაკვირველია, პირველი წინადადებისთანავე არ ვისროლეთ მოთხრობა გვერდზე და ვეცადეთ, დაგვეძლია სუბიექტური გაღიზიანება, გამოწვეული სტილის სირთულით, იმით, რომ ფრაზა მაშინვე და მთლიანად არ გვეძლევა, არ გვნებდება.

ალრედერიკე ისევე ეგულება განაბული ჯადოკარი ენის გამოკვეთებულში, როგორც ბესამეს — ფლეიტაში. ტანჯვით და წვალებით, გოლნებთა და უგონობით — მთელი არსების ხარჯვითაა მხოლოდ შესაძლებელი იმ მრავალსახიანი, ლამაზი და შემზარავი ჯადოკრის გამოხმობა და მოშინაურება. ბესამე და ალერედერიკე ერთნაირ გზებს მიუყვებიან: ერთის გზა ბგერების, მეორისა კი სიტყვების ტევრში გადის. როგორც ჩანს, ეს გზა არ არის უწყინარი და უვნებელი თამაში, თუ გავიხსენებთ ჰოლდერლინის სიტყვებს, რომ ადამიანისათვის ბოძებულ მადლთაგან ენაა ყველაზე საშიში მადლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქცევა ომთავალში

გიორგი ლაბაძის მოთხრობა „ავტობიოგრაფია — 1972“, ასეთი სტრიქონებით იწყება:

„დავიბადე ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტ წელს. ეს წელი, როგორც ჩვენი ისტორიის მასწავლებელი ამბობს, პიროვნების კულტის დაწმხობისა და ადამიანის უფლებათა განმტკიცების წელია ჩვენს ქვეყანაში. მამამაც ამ წელს იმარჯვა და მოადგილის, სკამდან დირექტორის საკარძელში გადაინაცვლა...“

ახლა, როცა ამდენმა წელმა განვლო იმ ამბებიდან, როცა თვალწინელივ გამოჩნდა პიროვნების კულტის მავნე შედეგები, ადვილია დასკვნების გამოტანა. მაგრამ მაშინ ეს ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელიც კი იყო. ზოგიერთებს თავზარი დასცეთ ოდენ ოდენ ბრალდებამ და სანამ საქმეში საბოლოოდ გიერკვევდნენ, დიდხანს იბორძიკეს ამ გზაზე. საქართველოში ეს უფრო მეტად გამოიკვეთა. უკანა პლანზე გადავიდა ჩაფიერებული, საკუთარ ფულისთქმაში დანთქმული პატიოსანი მოკალაქეები, ასპარეზი კი იმხანად მედროვეთა და ალოლლტეტებს დარჩა. „მამამაც... მოადგილის სკამდან დირექტორის საკარძელში გადაინაცვლა“, — ირონიულად შენიშნავს მოთხრობის მთავარი პერსონაჟი.

„პირველად გ ა ქ ც ე ვ ა ჯერ კიდევ მაშინ მიცდია, ფეხი რომ არ ვიცოდი და აკვანში ვიწექი არტახებით გაკოჭილი! მას მერე სულ ახე გავრბივარ — ხან ფეხით, ხან ფიქრით, უფრო ფიქრით. საცაა თექვსმეტი წელი შემოხრულდება და ახლაც არ ვიცი ხეირიანად, რატომ არ მიდგება გული შინ.“ — ამბობს შინაგანად მოწრიალე მთავარი გმირი. იგი ჯერ კიდევ ვერაგად ვერ გარკვეულა საქმეში, მან ჯერ კიდევ არ იცის, რა ჰქვია ამას, მაგრამ გრძნობს კი და, რაკი გზა ვერ უპოვია, გამწარებული აწყდება მარტოსულობის მაღალ ღობეს.

„უპატრონო ბავშვები როდი ემუერებიან ნაზოგადოებას! — წერს ტარიელ ჭინტურია ერთი წიგნის წინასიტყვაობაში, — პირიქით, ნაზოგადოება ემუერება ბავშვებს უპატრონობით!“

ეს მამრატად ახეა. სამოცანი წლების ნაზოგადოებრივმა ყოფამ მოთხრობის გმირი უპატრონად აქცია. თუმცა დედაც ჰყავს, მამაც, სიმდიდრეც აქვს და ფუფუნებაც, მაგრამ მაინც დუხჭირია. მაინც ობოლია. სულით ობოლი.

რა უნდა ამ ბიჭს, ამ პატარა პიროვნებას, აკვანიდან რომ გადმობობღებულა და სადღაც მიფორთხავს? რა საყვარო მოუხმობს პაწაწინა თავვაკარა წყაროს? რა კალაპოტისკენ დაძრულა შინ უმწიფარი ტვინი და ალღო? ან ერთი ციდა უარყოფა, კიბის ქვეშ რომ შეუფუფუნა და ახლობლების ძახილზე ერინტს არ ძრავს, რა ზმეს აყურადებს? რა ცინცხალი ფერები უვსებენ მზერას?

„ეს მერე სულ ახე გავრბივარ — ხან ფეხით, ხან ფიქრით, უფრო ფიქრით! საცაა თექვსმეტი წელი შემოხრულდება და ახლაც არ ვიცი ხეირიანად, რატომ არ მიდგება გული შინ“.

მწერალი არაფერს არ აკარებს. კითხულობ და გკერა ამ შინაგანი წრიალის.

„ბაკეცვა“ ნაწარმოებში კონკრეტული არაა. არც მისი მიმართება სწორხაზოვანი. ერთიცა და მეორეც პირობითია, ოღონდ ამ პირობით გზებს თავთავიანთნი ნაპირი ხვდება. მწერალი ძირითადს გამოარჩევს — ოჯახი, სკოლა, საზოგადოება. ლტოლვის ეს გზა მარადიულია და აქ რაიმე სიახლეს თითქმის არც უნდა ელოდე. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავნახავთ, სიახლეც არის და ყოფიერების ლაბირინთში ღრმად ხედავ. მაგრამ ნუ ვიჩქარებთ. ჯერ ბიჭი სკოლაში მიდის (გარბის!).

„მახსოვს პირველად სკოლაში წასაყვანად მომამზადეს... („მახსოვს პირველად სასწავლებელში...“ ზუსტი ასოციაციაა! ვ. თ.) მთელი ღამის უძილარი ვიყავი. უფრო სწორად, ძილით კი მეძინა, მაგრამ ძალიან ცოტა. ერთი სული მქონდა, როდის გამოვიხუროვდი სახლის კარს და წავიდოდი იქ, სადღაც — საოცნებო ადგილს, სკოლას რომ ეძახდნენ...“

მაგრამ:

„მიხვლისთანავე არ მომეწონა რაღაც... გული ჩამწყდა... მოვიდე ჩანთა ზურგზე და სკოლიდან გამოვიარე.

სეკტემბრის თბილი, მზიანი დღე იყო. დაფიქრებული მივუყვებოდი ქუჩას. საოცრად იმედგაცრუებული და გულნაკლული ვიყავი, ოღონდ იმას ვეღარ მიგმხვდარიყავ, ასე რა მიწურავდა გულს და ამ არცოდნით შეწუხებული, ფეხით (ვიღაცის მიერ ქუჩაში გადმოგდებულ) ცარიელ თუნუკის ქილას მივარიხინებდი.“

ბიჭი შვიდი წლისაა. რაც მაშინ ვერ გიგია, გვიან მიხვდა.

„მასწავლებელთა უმრავლესობას არც თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანი უყვართ, არც სკოლა და არც ჩვენ. ჩვენ ვიღაც ვენდოთ ან ვიღა შევიყვანოთ? ისტორიის მასწავლებელს კი გამოეყოფოდი ამთანგან — ზნეობენ, თმამდათოვლილ ბერიაკეს, მაგრამ რა ვქნა თუ მისი მაღალფარდოვანი და განსენებული მსჯელობანი ოდნავადაც ვერ ეკარება ეშვებითა და უნდობლობით მოწამლულ ამ ბულს? ჩემს თვალში იგი იმის ნათელი უარყოფა უფროა, რასაც გვასწავლის და გვაჯერებს საერთოდ. ან სხვანაირად როგორაა ვიფიქრო? ჩემს გვერდით რომ გოგო ზის — თამრიკო (ალ. ბებო მიყვარს ძალიანო, მოსცლისთანავე რომ განგაცხადა), ერთი ღარიბი ოჯახის შვილია. მის მშობლებს მისთანა ბარე ხუთი ჰყავს. თავის ბავშვებს რომ ვერ ავდგინ, მასწავლებლებს რითი გაუშალონ ხელი? სწავლით კი ნამდვილად კარგად სწავლობს, მაგრამ თვეზე წარმოიდგინეთ, მათემატიკაში ორჯერ ჩემზე მეტი რომ იცის და მე აქეთ მეზმარება, მეოთხედის ბოლოს მასწავლებელმა ბა „ხუთი" დამიწერა, იმას კი — „ოთხი".

მწერალი სულ უფრო და უფრო აშიშვლებს ფუფუზე დაფუძნებული მატერიალური კეთილდღეობის უგვანო არსს, რომელიც ჯერ ოჯახში იჩენს თავს, მერე სულიერ ფასეულობებს ეუფლება და ბოლოს უცილობელია, მთელ საზოგადოებას მოიგება, როგორც გადამდები, დამღუპველი სენი.

და აი, საზოგადოებაც:

„რამ დასცა და დაგიჩაჯა ეს ხალხი? რისი ან ვისი მონა გამხდარან? ეუჩაშიც ისე შეცბუნებულები და დაბნეულები დადიან, თითქოს რაღაც დაუკარგავთ ან დამართნიათო".

ასე მტკივნეულად განიცდის მოზარდის გამახვილებული მგრძნობელობა ამ საკოვლითაო გულგატეხილობასა და ხელჩაქნეულობას. ამათ თვალწინ რომ გკლავდნენ, ხელს არავინ გამოიღებს, არავინ წამოგეშველება, არავინ მოგიდგება. შეეხწრო კიდეც ავტობუსში ერთ ასეთ სურათს: „...მგზავრებმა, რომელთაც ეს-ესა გვერდი ავუარე, ელა-ფელი მზერა ჯერ მე შემავლეს, მერე წინ გააპარეს თვალი და ბოლოს ისეა გვერდზე გიიბედეს გულგრილად, თითქოს ვერც ვერაფერს ხედავდნენ და ვერც ვერაფერს ამჩნევდნენ. მე არ დამიჯერებია. მათი ამ ყალბად გადამალული მზერისთვის, წინ რომ გიიბედეს ოქროკენ გამეკვა თვალი და უმალ ყველაფერი ნათელი გახდა: ვიღაც სახენაირეთი, ჭკვრგაუპარსავი ახმახი გულმოდგინედ უფაფურებდა მის წინ მდგომ შუახნის მანდილოსანს ჯიბეში ხელს...'

მაშ ახე, ბოლო ნიღაბიც ჩამოიხსნა! სენი საოკეანეთაო. ახლა რაღაც უნდა მოხდეს. ახე გაგრძელება დაღუპვას ნიშნავს. ვიღაც უნდა ადგეს, ვიღა�უნდა თქვას, ვიღაც უნდა გაიშვიროს თითი. ხალხი მოელის ამ ვიღაცას, დანატრულია მას. დ, როცა ბიეის უმწიფარი ხმა გაისმა „ბაძა ქორდიო", უმალ თავიანთი ბაძა შეუფერთეს ამ სიტყ ძახილს და მანკიერებისა უკან ნაცადეგინეს: ახლაბა ერთი კი მოიხედეთ ერთმანეთი და გაოცებით უკან — ვინ გამიბედეო. მაგრამ ამდენ მკაცრად მიცქეიტეს თვალს რომ წაიწყუდა, ზიში გიერია იმ გაოცებას და რისხვას. იმძლავრა მერე ამ ზიშმა და კარისკენ მოაძურწვინა. „გააჩერე, ჩავდივარ!" — შეუღარნა ძმეოლს".

მწერალი აქ მეტად დროულად და გაბედულად სვამს გმირის პრობლემას, პიროვნების როლის დიდი მნიშვნელობის პრობლემას. მზილება და „მოყვარეს პირში უძარხე" ყოველთვის იყო სოციალისტური რეალიზმის საფუძველთა საფუძველი. ახალი იდეების, ახალი საზოგადოებრივი ეოფის დამკვიდრებისათვის მებრძოლი ადამიანების გვერდით მუდამ შეურიგებლად იხატებიდა მანკიერი, უარეოფითი, ჩრდილეული. კრიტიკულმა ნაკადმა კიდევ ეფო მწვავე ხასიათი მიიღო 60-ინანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა ჩვენს საზოგადოებრივ ეოფაცხოვრებას აშკარად დაეტყო სადავემიშვებული სიფიზზოის კვალი, სოციალიზმისთვის უცხო ტენდენციების მოძალება და მომხვეშელობისა და ხელმრეფლობის განუკითხავი ზეიმი. „მაგრამ ამაღლდა თუ არა ადამიანი სულიერად? მატერიალურმა მიზნებმა ხომ არ მიაკუჩეს ადამიანში. ზოგადადამიანური განცდა? მდგამლ საჭიროებათა დაკმაყოფილებამ ხომ არ დაავიწროვა ადამიანის უმაღლესი სამზერი?" (კ. ამედეშვილი, „ბიჭნა").

აი, ასეთ პირობებში გაისმა მწერლობის მამხილებელი ხმა. ქართველ მწერალთა ძველმა და ახალმა თაობამ თითქმის ერთდროულად ჩამორეკეს გამაფრთხილებელი, საგანგაშო ზარი. ცხადია, ამ წიგნების უმეტესობა ვერ ასცდა ტრადიციულ ნაკლს — მხილების სწორხაზოვან მეთოდს: პატიოსანნი ებრძვიან უპატიოსნოსს. უპატიოსნოს ყველაფერი აქვს — სიმდიდრე, თანამდებობა, გავლენა, იგი პატიოსნის გადაბირებასაც ცდილობს, რომელსაც არც ფული გააჩნია, არც მდგომარეობა და ხშირად პატიოსნებაც შიშველი, უმწეო ცნების ნიადაგზე დგას. მაგრამ აქ დროულად ემბეგა საქმეში „ზემდგომი ორგანოები" და ყველაფერი შესაშური სისწრაფით გვარდება. ან ნაკლის მიუხედავად ქართულმა მწერლობამ მაინც თქვა თავისი სათქმელი, ოღონდ შემდგომ წლებში კრიტიკული ნაკადის მოძალებამ, როცა. უკვე ოფიციალურად და დაუფარავად ითქვა ყველაფერი, გზა გაუხსნა ფსევდოლიტერატურას, როგორც ამას მართებულად შენიშნავს კრიტიკოსი კობა იმედაშვილი ზემოდადასახელებულ წერილში „ბიჭნა". ეს ლიტერატურა „უმაწვილური სიბეჯითით იმეორებს ოფიციალურ შეფასებებს, ოღონდ თავი-

ვაჟა თევდორაძე
გაკეთება მომავალში

ს მრავალსიტყვაობითა და ყალბი პათოსით სიმწვავეს უკარნელებს მათ. სწორედ ასეთი ლიტერატურა ქმნის პატიოსანი თუ საქმისანი ადამიანების სტერეოტიპებს, მაგრამ არასოდეს არ მიანაწილებს მკითხველის იმ სილრმისეულ ალასტებზე, რომელთა გამოვლენაც გახლავთ ეს ყოველივე''.

გიორგი ლაბაძის „ავტობიოგრაფია — 1972-ში'' იწყება: ერთ-ერთი მთავანი უკვე წერილის დასაწყისში დავასახელეთ, მეორე — პირველიდან გამომდინარე — გმირის პრობლემა გახლავთ. საზოგადოების ჯანსაღი თუ არაჯანსაღი ნაკადი (რა თქმა უნდა, ყველა თავთავისებურად) გმირს ელის. ეს მოლოდინი აუცილებლობითაა განპირობებული. არ შეიძლება აქ არ გავიხსენოთ ბრეხტის პიესა „გალილეის ცხოვრება''. როცა გალილეის ერთ-ერთმა მოწაფემ სათაყვანებელი მასწავლებლის უკადრისი საქციელის ამბავი გიგო, აღშფოთებულმა წამოიძახა: უბედური ის ქვეყანა, რომელსაც გმირი არ ჰყავს. ამაზე დიდმა მეცნიერმა მწარე ირონიით შენიშნა: უბედური ის ქვეყანაა, რომელსაც გმირი სჭირდებოდა. ეს, ამ აზრს ნიუანსებ ჩამოთვლის გადაკარბებად ან ბიკერძოებად. გმირობა მარტო სიცოცხლის მსხვერპლად მოტანა ხომ არაა. დღეს ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს გმირი მართლაც მოვიდა და მომლოდინე ხალხი ერთმანად გაქცევა მას ყოველგვარი მანკიერებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ბრძოლა ახლაც გაშლილი ფრონტით გრძელდება, მაგრამ მაშინ, რომელ პერიოდზეც გიორგი ლაბაძის მოთხრობა გვიამბობს, მხოლოდ მოლოდინითა და ნატვრით იყო დამუშტული საზოგადოება. „ეე სულ იმ ვიდაცა ვეძებ, სულ იმ ვიდაცის მოლოდინში ვარ, რათა ფიქრი ვანდო, გრძნობა გავუზიარო, მაგრამ ვერსად მოვახერხეთ. იქნება ასაკი მიშლის ხელს? იქნებ იქ არ ვეძებ, სადაც უნდა ვეძებო?'' — გულისხმამძვრელად კითხულობს მოთხრობის მთავარი პერსონაჟი და იგი ამით უველას სათქმელს გამოხატავს. ხოლო, როცა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც პირველი გამარკვევით გაბრუებული ხალხი თვითონ მასში დაინახავს იმ ვიდაცას, ბიეი შეცბება. არა, თვითონ არა, ღმერთმანი! იგი საამისოდ ჯერ ძალიან პატარაა. წმიმი ეფეკტი კი თითქმის ყოველთვის ტყუის. ამან მასზე უფრო დიდი ჭაბუკიც დაანმა გურამ რჩეულნაშვილის „ალვადერობაში''. მართალია, გიორგი ლაბაძის მოთხრობაში ეფექტი თვითმიზნური არაა, მას ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუძვები გააჩნია, მაგრამ წმიმი წმიმია. გახარებული ხალხი ამას არ უფიქრდება, ან მერე დაუფიქრდება, სხვა დროს, და შეიძლება ასეეა გიორგაძეებლობამ შეიპაროს. მაგრამ ბიეიკი ამ ამთვითვე, ეფექტ სწორად, კი არ ეცილება, გაუცნობიერებლად, შინაგანი ალღოთი გრძნობს, რომ თვითონ ვერ გამოდგება ამ ხალხის წინამძღოლად. ამიტომ ისიც იმ ქუჩ ავაზაკივით გაურბის წმიერ შეეგაშეეცრილ ხალხს და ავტობუსის მძღოლსაც ცოდნით უნდშად მიუგდებს: „გაიჩერე, ჩავდივარ!'' მწერალი აქ ეზეშმარიტად ოსტატია როგორც მწერლური საიდუმლოს უტუფარი ცოდნით, ისე დეტალის ფსიქოლოგიური გაანზრებითაც.

მაგრამ ყოველივე ეს ფონია იმ დიდი სათქმელისა, რომელსაც მოთხრობის კვანძის გახსნისას გვეუბნება მწერალი. ნაწარმოებში დასმული სოციალური პრობლემა, მართალია, კონკრეტულ წლებსა და კონკრეტული ერის ცხოვრებას ეხება, მაგრამ ეს არაა მარტოოდენ იმ წლებისა და იმ ერის ტკივილი. გმირი, პიროვნება მხოლოდ იარაღად თუ გამოდგება ამ ტკივილის დასაყურებლად. მთავარი განახლების უწყვეტი, დიალექტიკური პროცესია, რომელიც შესანიშნავად არის მიგებული და გაანზრებული მოთხრობაში.

„მსჯავრი'' — ასეთია ბოლო ქვესათაური. მსჯავრი გამოაკვს კონკრეტულად ზეიელ — ეზოგლისთვის, სიმბოლურად — მთავალს აეზოგოსვის. ზეიელი უარს ამბობს მამის საეკვო მემკვიდრეობაზე, მაგრამ ეს არც ზემდეგ ზეიენილი ინფორმაციაა და არც იდეური პრინციპი. იგი ჩანახახზეიე არსებობს, როგორც მარადიული განახლების ჯანსაღი ულორტი და, სახედნეერად, სამეორეოდ დროს ყოველთვის იფეთქებს ხოლმე. „პირველად გაქცევა ჯერ კიდევ მაშინ მიეცი, ფეხი რომ არ ვიცოდი და აკვანში ვიწექი არტახებით გაკოპელი''... ეი, აქ იშლება ის ზამბარა, პირველი სტარტენიბიდანვე, რომ დამუტაბ ჩკითხეკი. სწორედ ამიტომაა, რომ თუმცა მთელი მოთხრობა კონკრეტული გმირის კონკრეტულ ცხოვრებაზეა დაწერილი, თითქმის ამავ დროს ყველა დეტალი, ყველა სიტუაციი თუ დიალოგი სიმბოლურ პრიზმაში ტყდება. ხოლო თავიც ასეა. აქ კონკრეტულ-სიმბოლურია სახამართლოცა და მსჯავრიც. მწერალი უზადად ხატავს ამ ორმაგ პლანს: „სახამართლოში დამსწრეები კი არა, თითქოს თავისი ბედის საძებნელად წამოსული ხალხი შეკრებილიყო. ყველას ისეთი გაფაქიცებულები და მომლოდინე სახეები ჰქონდათ, ყველანი ისე დაძაბულად შემომტკერეოდნენ, თითქოს ჩემს სიტყვაზე იყო დამოკიდებული, გაუღიმებდათ თუ არა ბედი''.

და გაუღიმათ! განახლების უწყვეტი პროცესი დაიწყო. მას უკვე ვერაფერი ვერ შეაჩერებს. ისტორიამ იცის პიროვნების როლის დიდი მნიშვნელობა ამ პროცესში. ძლიერი პიროვნებაა პროცესის მამოძრავებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკეთის გზით მიმავალი ადამიანები

ვინაცა გივი ჯოხაძის წინა ორ წიგნში გამოკვეყნებული მოთხრობები წაუკითხავს, შეამჩნევდა, რომ მწერალი ძირითადად ახახვეს სამამულო ომის პერიოდს, თუ რა გავლენა მოახდინა ომმა ადამიანების ფსიქოლოგიაზე. უფრო ზუსტად, ცხოვრება, ადამიანთა ურთიერთობა დანახულია ამ მწერლის თვალით, რომლის ბავშვობა დიდ სამამულო ომს დაემთხვა და ჩვენ ვიცით, რომ ეს არ არის ლოკალური, მხოლოდ ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მოვლენა. ომმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო მათზე, ვინც ომში უშუალოდ მონაწილეობდა, არამედ ღრმა კვალი დაჰნია ომით ცხოვრებასაც, ვინც უახლოობის გამო ფრონტზე ვერ წავიდა და შინ დარჩენილ უფროსებთან ერთად შეშფოთებით ადევნებდა თვალს ომის მსვლელობას.

გივი ჯოხაძე სწორედ ამ თაობის წარმომადგენელია, თუმცა, როგორც მისი ახალი კრებული გვიჩვენებს, ავტორს მოთხრობების თემატიკა გაუმარავლფეროვნებია. იგი წერს ბავშვობის წლებზე, ომის პერიოდზე, თანამედროვეობაზე, მეგობრობაზე და სიყვარულზე, უბრალო, პატიოსან და მართალ ადამიანებზე: — ამ მოთხრობებში სამყარო დანახულია იმ ბავშვის თვალით, ვისი ცხოვრებაც დიდ სამამულო ომს დაემთხვა და გასაკვირიც არ არის, რომ მწერალი მხატვრულად უფრო ძლიერი, დამაჯერებელი და გულწრფელი მაშინ არის, როდესაც თავისთავად ნაცნობ და განცდილ სიტუაციებს ასახავს. თავის ხაუკეთესო მთხრობებში ოსტატურად განაზოგადებს ფაქტებს და მხატვრულ დამაჯერებლობას ანიჭებს მათ. ავტორი ცდილობს, ყოველი ეპიზოდი ორგანულად დაუკავშიროს მოთხრობის მთავარ ჩანაფიქრს. იქნება ამის გამოცა მისი სტილი უბრალო და ნათელი, ამბავი კომპოზიციურად შეკრული, ემოციური და დასამახსოვრებელი.

ამის დასტურია კრებულის პირველივე მოთხრობა „ნაძალადევის ბალის ქრონიკა". ვერ ვიტყვი, რომ მოთხრობის სიუჟეტი მთლად ორიგინალური იყოს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ზოგჯერ სიუჟეტს არცა აქვს არსებითი, გადამწყვეტი მნიშვნელობა. ავტორი ახერხებს დამაჯერებლად დაგვიხატოს თბილისის ერთი უბნის ცხოვრება სამამულო ომის დაწყების წინა პერიოდში და მას შემდეგ, როცა ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა და ცხოვრებამ სხვა კალაპოტში დაიწყო დინება.

ავტორმა ჯურხანა და თამაზის კონფლიქტის მოგვარება ცხოვრებას დაეკისრა. ცხოვრებას უნდა დაეშტაკიცებინა გმირის მორალური სიხ-ალეტეკე. სახლოსო დასკვნამდე მწერალი და მკითხველი ერთიანშად არ მიდიან. ბ. ჯოხაძე, მართალია, თავიდანვე ამოდგენენს დამოკიდებულებას გმირისადმი, მაგრამ არასოდეს არ არის ტენდენციური. აქვს საიმისო ტაქტი, ზომიერების გრძნობა და სიტუაციისადმი საერთო მიდგომის ალი. რომ მკითხველს თავს პირდაპირ არ მოაბეზოს თავისი სიმპათიათ-ანტიპათია. მკითხველი თვითონ, შეუმჩნეველად, ლიტერატურული ძალდასტანების გარეშე დგება ავტორის მხარდამხარ და აზიარებს მის პოზიციას. ჯურხას სიწმინდე და პატიოსნება ომის ჭარიშმხალმაც ვერ გაანელა და შებილა, ავტორმა გმირის ხასიათი გაახსნა მოკმედებაში, წინააღმდეგობრივი სიტუაციების ფონზე დამაჯერებლად გამოაფინა მისი საუკეთესო თვისებები. ნაწარმოებს ემოციურობასა და მიმზიდველობას მატებს ეპიზოდი-გახსენება, როდესაც მოთხრობის გმირის გონებაში ერთიანად ბავი რამდენჯერმე ჩაიკრალებს ადრინდელი ფიალოგი ნათიასთან. ავტორს ზომიერად აქვს გამოყენებული ეს ლიტერატურული ხერხი.

ბ. ჯოხაძის ამ წიგნში ბოროტ, ზნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო მუშადაც ითვლებოდა. მე არ მინახავს, მაგრამ ამბობენ, რომ მისი სურათი მოუცალებლად იყო გამოკერული მოწინავეთა დაფაზე და თუ იმ საჭარბოს ეწვეოდნენ ეკსკურსიებზე ან შემოწმებებზე, აუცილებლად მის დაზახათან მიიეკვნენენ". ჩარო მთელინი პიროვნებაა, აქ კი, როგორც, ალბათ, უკვე დავრწმუნდით, მწერლისთვის თავადია გმირის მორალური მხარე. სიკეთის ქმნისთვის დამუშტული შინაგანი ბუნება, საკმაოდ ვრცელი შესავლის შემდეგ ასეთიც შემოაჯეს იგი მოთხრობაში: „ომის დაწყების წინ სულ პატარა ვიყავი და ალბათ ამიტომაც იყო, რომ რაღაც არაჩვეულებრივი სიკაშკაშით ჩვენსა თავში ჩაკეფილი ნაძალადევში გაგონილი სასელი — ჩარო. ვისაც კი ომის წინა წლებში ნაძალადევში გაუვლია, არ შეიძლება, არ შეენიშნა ეს ჯაბეკი, ბუნებას რომ დაუშურებელად მიემადლა უველა აჩქეესნიერი სიკეთე: ახოვანება, სილამაზე, ნათელი სახე, აზრიანი თვალები, დიდებული მიხრა-მოხრა და რაც მთავარია — კეთილი გული".

თავი დავანებოთ „დიდებულ მიხრა-მოხრას". გმირის უზომო სიუკვრელით გატაცებულ ავტორს კალამი წამით გაეკვა. მაგრამ უურადღება გავამახვილოთ ბოლო ფრაზაზე — „რაც მთავარია — კეთილი გული". აი, ეს ხსნის ყველაფერს — მწერლის პოზიციას და პრინციპს, ამიტომ მთელი შემდგომი მისი მეცადინეობა სწორედ ამ გულის ჩვენებისა და გახსნისკენაა მიმართული. ჩაროა სამართლიანობის დამცველი უბანში. ადამიანი, რომელიც თავიდანვე უხეშად კი არ ეჩეკვა კონფლიკტში, არამედ საქმის გარჩევის შემდეგ და „ვაი იმ უბაწვეთის ბრალი, სულერთია იყო მისთვის თავისი თუ სხვა უბნელი... მას ჩაროს მძიმე ხელი და უურების დასრეა არ ანცდებოდა".

თავისი ცხოვრებითია და მოკმედებით ამ ზნეობის, ქცევის ერთგვარ გაკეთილეს უტარებს თანატოლებსა და უმცროსებს, სწორედ მან ჩიგდო თავი საფრთხეში და ბავშვი ტრაფვაის ბორბლებს გამოსცალა. ხოლო, როდესაც ომი დაიწყო, ჯვშნის მიუხედავად, კომისარიატს მიაკითხა: „ჩაროს დიდი გული ჰქონდა და ამ გულმა ბევრჯერ მიიყვანა სამხედრო კომისარიატში და ითხოვნინა ფრონტზე გაშვება. რამდენჯერაც დაწერა განცხადება, იმდენჯერვე უარი უთხრეს". ბოლოს და ბოლოს რიაღაც მიაკითხა და თავისი გიატანა... ომიდან ცალხელა დაბრუნდა. ბავშვები თავიანთ ერკას შორიდან უყურებდნენ. არ უნდოდათ ცალხელა ჩარო ახლო ენახათ. მაგრამ როდესაც ერთხელ, თავგანწირვის ფასად, ის ერთ-ერთ დაჩაგრულს გამოესარჩლება, „ვეღარ მოვითმინე და ნელა, გაუბედავად, დაჩეტული სახელოში ხელი მოვაკელ და მოვწიე, შემომხედა და გამიღიცინა. ახე მიკუვებოდი სახელოში ხელჩაკიდებული და არ მინდოდა მეგრძნო, რომ ჩარო ცალხელაიყო. ის დაჩუტული სახელო სულაც არ ანგრევდა ჭეშდა მას და ჩემთვის რომ ეკითხათ, ინახავ კი ვიტყოდი, უფრო ალამაზებს-მეთქი, ასე იქცა ჩარო ჩემს სათაყვანებელ ერკად. კაცი ყოველთვის მართალი და სიმართლისთვის შემართული".

გმირის სახე გასარკვევია, ნათლად წარმოჩინდა მისი შინაგანი ბუნება — სიკეთის, სიმართლის დამკვიდრებისაკენ მიმართული სამყარო. ადამიანი ნამოქმედარით ამდიდრება, აკაილებენ თავის პიროვნებას. დიდია დადებითი მაგალითის ძალა. მწერლის ვალია, მხატვრულად განაზოგადოს და დამაჯერებლად გვიჩვენოს იგი. მეთხეველიც ასე ხელიხელჩაკიდებული უნდა მიდიოდეს მის გმირთან ერთად, უნდა უთანაგრძნოს მას. თავის მოთხრობაში გ. ჯოხაძე ოსტატურად ახერხებს ამას.

ერკებულნი კიდევ ერთ კარგ მოთხრობას ვეცნობით. ის აგებულია მარად ძველ და მარად ახალ სიუეეტზე — სიმდერის უკვდავებაზე, მის ძალასა და ზემოქმედებაზე. მოთხრობა ეძღვნება ქარიული ხალხური სიმდერების შესრულების უბადალო ოსტატს ჭამლეტ გონაშვილს. ჩანს, რომ მწერალს სწორედ მან შთაგონა ეს ნაწარმოები. ეს იგრძნობა არა მარტო იმით, რომ ნაწარმოების თავად მოკმედ პირს სულაც გონა ჰქვია, რომლის „ხმოიაც მღერის სიმღერა", არამედ მოთხრობის დასასრულითაც: თავისუფალ ქეეეანაში „ახლაც არის ჭაბეკი გონა, რომელიც არ ითვლება ამ გარდასული დღეებს და მღერის მუსაზე... თავისუფლებისმოყვარე ქვეყანაზე, წინწყაროსთან შეხვედრილ ლამაზ ქალზე, ხელხვავზე, პურის ყანაში დატრიალებულ ნამგალზე და მღერის დღევანდელ მზეზე, სიყვარულზე და ცადაზდილ ხარაჩოებზე, რომლის დანგრევის უფლებას არავის მისცემს ხალხი და სიმღერა".

ასეთი პათეტიური დასასრული თითქოს კიდევაც უსდება და შეესაბამება მოთხრობას, მის ერთგვარად ზეაწეულ და ლაღ ტონს.

გ. ჯოხაძის ამ წიგნში სულ თვრამეტი მოთხრობაა შეტანილი. ისინი, ცხადია, ერთნაირ მხატვრულ სიმაღლეზე არ დგანან, ერთნაირად ვერ გვიჩვენებენ ავტორის შესაძლებლობებს. შეიძლებოდა გვეოქვა ზოგიერთი ნაჩქარეეთად დაწერილ მოთხრობაზე, როდესაც ავტორი მთელ იმედს სიუეეტზე აშკარებს და უბრალოდ გვიყვება ბანალურ ამბებს („რატომ? — აი, გიგა?", „წეოილი და ზავი", „ეკა"). ადგვნშნა ცალკეული დაუშუშვებელი დეტალები და მოგვეუვანა აკა-იქ გაპარული სტერეოტიპული ფრაზები, მაგრამ, მოდი, მოვეკკეთ მწერლის გავლენაში, გვერდით ამოვფდგეთ მას და მიეკუვეთ სიკეთის ბაზაზე მიმავალ მის გმირებს.

ალბერ კამიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთარგმნელის ფიცასიტყვაობა

ბერძნული მითოსის წიაღში შობილი მშვენიერი ელენის სახე დიდმა გოეთემ ამა ქვეყნის მარადიული და უტკბესი სილამაზის სიმბოლოდ დასახა. ვაიმარელმა ბრძენმა კიდევ ერთხელ შეახსენა თანამედროვეთ დიდი ჭეშმარიტება: ბუნებრივ საწყისებს დაშორებული ადამიანი, რომელმაც გარე სამყაროს და საკუთარ პიროვნებას შორის შეუვალი ზღუდე აიგო, ცივი გონების მსხვერპლი ხდება და ფაუსტური უმმრობის საშინელი შეგრძნების ტყვედ იქცევა. ჰარმონიული ადამიანის გოეთესეული ცნება „ბუნების ზვალლობასაც“ გულისხმობს. სწორედ ეს არის „ფაუსტის“ ავტორის ერთი დიდი გაკვეთილი. დანტემაც ადამიანის მაძიებელ გონს მეგზურად ბეატრიჩეს ღვთიური მადლით სნეიმსილი სილამაზე წარუძღვარა. გოეთეს ელენე და დანტეს ბეატრიჩე დღესაც ადამიანური მშვენიერების და სრულქმნილების ხატად გვეელინებიან.

მეხსიერება ადამიანის უდიდესი ნიჭია და წინაპართა სიბრძნე, რომელიც გამოცდილების სახით თაობიდან თაობას გადაეცემა, სწორედ ის საძირკველია, რომელსაც ახალი ღირებულებები უნდა დაეფუძნოს. ადამიანის მსგავსად კაცობრიობასაც ღალატობს ხოლმე მეხსიერება. და აი, მაშინ დგება „ჟამი წყლულებისა“. ალბერ კამიუს ამ ესსეს მიზანიც სხვა არაფერია, თუ არა კიდევ ერთი მგზნებარე და ამაღლებული შეხსენება იმ ჭეშმარიტებისა, რომ გონებისა და ბუნების დაპირისპირება კარგს არას უქადის კაცობრიობას. ჩვენს ეპოქაში კიდევ უფრო მეტად საცნაური შეიქმნა ადამიანის გონების უზომო სწრაფვა სამყაროს საიდუმლოებათა წვდომისა და დალაშქვრისაკენ. ჩქარ შემთხვევაში წრეგადასული ეს მცდელობა ადამიანს საკუთარი სიღიადის საბუთად დაესახავს და ყოველივე ის, რაც უშუალოდ ამ მიზანს არ ემსახურება, ფუჭ გართობად უცვნია. ამის გამართლებას ბევრნი დროის მოთხოვნილებებით ცდილობენ. მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ ბუნებას და მასში განფენილ მშვენიერებას დრო ვერას აკლებს. მისი სიღიადე მისსავე მარადიულობაშია, ხოლო ამ მარადიულობის ფესვები ადამიანის გულის სიღრმეში ძევს.

კამიუ თავისი ესსე XX საუკუნის უდიდეს ფრანგ პოეტს რენე შარს უძღვნა. „ელენეს გადასახლებაში“, როგორც რენე შარის ლექსებში, ძალუმად იფეთქა სამყაროს, ადამიანისა და ბუნების სიყვარულმა. რენე შარის ლექსების გერმანული გამოცემის შესავალ წერილში კამიუ წერს: „ბუნების სიიდუმლოვნა, მოჩუხჩუხე ნაკადულის ხმა და სინათლე შემოიჭრა აკმაფე ჩრდილებით და ოფენ ექოთი დასახებულ პოეზიაში. ახლა უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ პოეტურ რევოლუციაზე“.

რენე შარის პოეზიის უმთავრეს ღირსებად კამიუ „პრესოკრატული სამერძნეთის ტრაგიკული ოპტიმიზმის“ ერთგულებას მიიჩნევს და მისი პოეტიკის სიღრმეში „გახსნილობნელ ღამეს“ აღმოაჩენს. კამიუს ესსეც ხომ ჩმელთაშუა ზღვის მზიური ტრაგიზმის გახსენებით იწყება?!. გვსაკუთრებით ფსანიშნავია კამიუს ერთი მტკიცება: „შარს, რომელიც ჩვენსავით ებრძვის ისტორიას, არ აფრთხობს ისიც, ომ ისტორიის სიღრმეში შეინარჩუნოს და განადიდოს სილამაზე“. სილამაზე და ჭეშმარიტება ორივე ხელოვანისათვის განუყოფელი ცნებებია. „შარის ლექსები ჭეშმარიტების მაცნედ გვევლინებიან. ამ ჭეშმარიტების მიღმა ადამიანისთვის მთავრდება სამშობლო და იწყება გადასახლება“ — ასკვნის კამიუ. „ელენეს გადასახლება“ ადამიანური სამყაროდან გაძევებული სილამაზის ნოსტალგიითა გამსჭვალული. ბუნების მშვენიერების გაფრთხილება და დაცვა, ადამიანური ბუნების და მისთვის დამახასიათებელი ღირებულების ხელმეორედ მოხვეჭა და დამკვიდრება, მეგობრობის, სიყვარულის სათუთი მოვლა-პატრონობა — აი, ის უმაღლესი კატეგორიები, რომელთა სახელით კამიუ ბრძოლას უცხადებს ყოველივე იმას, რაც დღეს წინ ეღობება ადამიანების სურვილს, დამკვიდროს „ადამიანთა მიწაზე“ სიკეთე და სათნოება.

კამიუ ბოლომდე ერთგული რჩება წმინდა ადამიანური ღირებულებებისა, რომლებიც ანტიკური სამყაროს გენიან შეა. ძნელბედობის ჟამს სწორედ ეს ღირებულებები განუტკიცებდა ადამიანს გონების საბოლოო ტრიუმფის რწმენასა. ეს რწმენა XX საუკუნის მიწურულის ადამიანსაც სჭირდება. ამიტომაა, რომ ორმოციოდე წლის წინ შექმნილი ეს ღირიეული ესსე დღესაც არ გვესახება „ღაღადისად უდაბნოს შინა“.

გიორგი ეკიზაშვილი.

ᲔᲚᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲕᲘᲗ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲨᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲠ ᲢᲠᲐᲒᲘᲖᲛᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲠᲘᲗᲝᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲘᲖᲛᲘᲡᲐ. ᲬᲘᲜᲐᲓᲠᲘᲗ, ᲛᲬᲣᲮᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲗᲘᲡ ᲤᲔᲠᲮᲘᲡᲐᲜᲘ ᲛᲝᲣᲪᲣᲠᲔᲗᲘᲡ ᲣᲬᲐᲓᲛᲝᲛᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲣᲠᲘᲗ ᲓᲛᲘᲗ ᲨᲔᲣᲫᲛᲔᲓᲐᲡ. ᲛᲓᲣᲛᲐᲠᲘᲗ ᲩᲐᲚᲔᲪᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲧᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲔᲢᲐᲠᲘᲗᲐ ᲐᲦᲛᲘᲩᲜᲓᲔᲑᲐ. ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲐ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲛᲔᲓᲐᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲣᲫᲛᲔᲓᲐᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲝᲠᲒᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲠᲘᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲗ, ᲔᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲘᲗᲘᲠᲔᲚᲘᲡ ᲯᲐᲚᲘᲡᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲝᲠᲒᲔᲜᲘᲡ.

ᲪᲘ ᲛᲝᲛᲐᲠᲘᲡᲐᲜ ᲢᲠᲐᲒᲘᲖᲛᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲐᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘᲐ.

ᲩᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲗᲐᲜ ᲡᲘᲚᲛᲐᲖᲔ, ᲑᲠᲔᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲘᲛ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲘᲐᲠᲐᲪᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲪᲘ ᲞᲘᲠᲖᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲮᲘᲚᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲠᲘᲠᲓᲔᲚᲘ ᲘᲔᲠᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲑᲠᲔᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲠᲘᲡ ᲨᲛᲘᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲖᲘᲡ ᲔᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ. ᲛᲐᲡ ᲐᲠᲪ ᲧᲝᲕᲝᲤᲘᲠᲘ ᲒᲐᲜᲫᲣᲠᲕᲘᲡᲐ ᲧᲣᲠᲯᲣᲚᲘᲡᲬᲛᲝᲓᲔᲓ ᲓᲐᲜᲝᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐᲓ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘ ᲐᲠᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲪ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲝᲠᲒᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲛᲝᲛᲐᲠᲗ. ᲘᲒᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲚᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲤᲘᲠᲓᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲛᲔᲚᲘ ᲡᲘᲚᲛᲐᲖᲔ. ᲩᲔᲜᲘ ᲓᲠᲝ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲘᲓᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲒᲐᲜᲘᲗ, ᲑᲠᲔᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲛᲔᲓᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲛᲔᲚᲘ ᲡᲘᲚᲛᲐᲖᲔ. ᲛᲐᲡ ᲐᲠᲪ ᲧᲝᲕᲝᲤᲘᲠᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲘᲚᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲛᲘᲪᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲪᲔᲜᲖᲘᲡ ᲔᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ. ᲛᲐᲡ ᲐᲠᲪ ᲧᲝᲕᲝᲤᲘᲠᲘ ᲒᲐᲜᲫᲣᲠᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡᲐᲜ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲝᲠᲒᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲜ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲪ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲝᲠᲒᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲠᲘᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲛᲔᲚᲘ ᲡᲘᲚᲛᲐᲖᲔ. ᲛᲐᲡ ᲐᲠᲪ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲝᲠᲒᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲠᲪ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲝᲠᲒᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲛᲝᲛᲐᲠᲗ. ᲘᲒᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲚᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲤᲘᲠᲓᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲛᲔᲚᲘ ᲡᲘᲚᲛᲐᲖᲔ. ᲩᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲗᲐᲜ ᲡᲘᲚᲛᲐᲖᲔ, ᲑᲠᲔᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲘᲛ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲘᲐᲠᲐᲪᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲘᲒᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲣᲫᲛᲔᲓᲐᲡ ᲨᲔᲜ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს, თუ რით განვსხვავდებით ბერძნებისაგან, იგი ჩვენი დროის იმ ფილოსოფოსს უნდა დაეკითხოს, რომელიც პლატონს უპირველესი და ჯობები მოპაეკრე გახლავთ. „მხოლოდ თანამედროვე ქალაქში ძალუძს გონებას საკუთარი თავის შემეცნება“ — ეი, რის მტკიცებას ბედავს მეგალი. ამრიგად, ჩვენ დიდი ქალაქების ეპოქაში ვცხოვრობთ. ხელის ერთი მოსმით მოკვეთეთ სამყაროს მისი მარადისობის საფუძველი: ბუნება, ზღვა, ბორცვი, მწუხრის მედიტაცია. ცნობილრება ჯუჭების ბინადრად იქცა, რადგან ისტორიაც ჯუჭებში იწერება. ახე ინება ადამიანმა. ჩვენს მიერ შექმნილი, ყველაზე უფრო გამორჩეული ნაწარმოებებიც ამ გზას გაჰყვნენ. დოსტოევსკიდან მოყოლებული ამაოდ დაძებნით ევროპულ ლიტერატურაში ბუნების პეიზაჟებს. ისტორიას არც მასზე არსებული ბუნებრივი სამყაროს ახსნა ძალუძს და არც სილამაზისა, ოდითგანვე მასზე მაღლა რომ იდგა. მან ორთავეს უგულებელეყოფა ირჩია, იმ დროს, როცა პლატონის აზრი მოიცავდა ნონსენსსაც, გონებასაც და მითსაც, ჩვენი ფილოსოფოსები მხოლოდ ნონსენსს და გონებას იტოვებენ, დანარჩენზე კი თვალს ხუჭავენ... თხუნელა აზროვნებს.

პირველად ქრისტიანობამ სამყაროს მშვენიერებათა ჭვრეტის ნაცვლად ადამიანის სულის ტრაგედიას მიაპყრო ზზერა. რაც შეეხება ადამიანის სულიერ სამყაროს ცნებას, ქრისტიანობამ იგი თავის კეთილნებად აქცია და სწორედ ეს იყო მისი სიმყარისა და ძლიერების საფუძველი. ღმერთის სიკვდილის შემდეგ კი რჩება ისტორია და შიშველი ძალა.

კარგა ხანია, ჩვენი ფილოსოფოსების ყოველი ცდა იქცეულა მიმართული, რომ ადამიანური ბუნების ცნების ადგილზე სიტუაციის ცნება გაამაგრონონ, ხოლო ძველისძველი წარმოდგენა ჰარმონიაზე შემთხვევათობის ზღვარგადასული და უწესრიგო სწრაფვით ან კიდევ გონების ულმობელი მოძრაობით შეცვალონ. თუ ძველი ბერძენები ნებისყოფას გონების საზღვრებს უწესებდნენ, ჩვენ გონების საძირკველში ნებისკოფის სწრაფვა ჩავდეთ და ამით ჩვენ ულმობელ ძალად ვაქციეთ. ბერძენებისათვის ღირებულება წინ უსწრებს ქმედებას და მის საზღვრებსაც განაპირობებს. თანამედროვე ფილოსოფია კი საკუთარ ღირებულებებს მოკვედების ბოლოს მოიძიებს. ამრიგად, ღირებულებები არ არსებობენ; ისინი იქმნებიან და ჩვენ მათ ისტორიის დასასრულს თუ ვიხილავთ. ღირებულებებთან ერთად ზღვარიც ქრება. არავინ უწყის, რა სახეს მიიღებს საბოლოოდ ღირებულებები, რადგან ბრძოლას, რომლის მუხრუჭი სწორედ ეს ღირებულებები უნდა ყოფილიყო, დასასრული არ უჩანს. დღევანდელი მესიანისტური წარმოდგენები ერთმანეთს ეხლება და მათი იარაღის ყღარუნი იმპერიათა შეტაკების ხმაურში ინოქმება. „ზომიერების უგულებელეყოფა — ბანძარს მმსგავსება“—წერდა ჰერაკლიტე.—„ბანძარი ძალას იკრებს, ნიშეე ხადღაც უკან ბრუნდებ“ ამჟამად ევროპა ფილოსოფიურ საბუთებად ოუოს ალარ იყენებს. იგი ამისთვის ზარბაზნებს უზმობს“.

მაგრამ ბუნებას მაინც თავისი გააქვს. კაცთა მოდგმის უგუნურობას იგი უშფოთველ ზეცას და საკუთარ ღირებულებებს უპირისპირებს. და ასე გაჩერძელდება ალბათ, სანამ თვით ადამი არ აალდება და არ დაიფერფლება საერთო ნანაცარში, სანამ ისტორია არ ჰპოვებს ალსასრულს გონების ზეიმსა და ადამიანის ადონიაში. მაგრამ ბერძნების ზომ არასოდეს უფიქრიათ, რომ ზღვარის გადალახვა შეუძლებელია. ისინი ერთს ამტკიცებდნენ — ზღვარი არსებობს, ხოლო ვინც მას გადალახავს, სასტიკად დაისჯება. დღევანდელ ისტორიაშიც არაფერია ისეთი, რაც შეიძლება ასეთ მტკიცებას დაუპირისპირდეს.

ისტორიული გონიც და ხელოვანიც სამყაროს გარდაქმნას ისახავენ მიზნად. მაგრამ ხელოვანს საკუთარი ბუნება აინტერეს, ცნოს საზღვრები, რომელთაც ისტორიული გონი არად აგდებს. ამიტომაცაა, რომ პირველი თავისუფლებას ეწირაფვის, მეორე კი ტირანიას აფუძნებს. ვინც კი დღეს თავისუფლებისათვის იბრძვის, იგი საბოლოო ჯამში, სილამაზის დაცვას ემსახურება. რა თქმა უნდა, საქმე არ ეხება თავისთავად სილამაზის შენარჩუნებას. სილამაზე არარაა ადამიანის გარეშე და თუ გვსურს, ჩვენს ეპოქას ხანდიადე და სიმშვიდე შევძინოთ, მისი უბედურებაც უნდა გავიზიაროთ. მაშინ არც ერთი ჩვენთაგანი ალარ იქნება მარტოსული. ისიც აშკარაა, რომ ადამიანი ვერ იარსებებს სილამაზის გარეშე. ჩვენი ეპოქა კი სწორედ ამ ჭეშმარიტების დავიწყებას ცდილობს. იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ამსოლუტი და იმპერია გაამაგროს. სურს სამყაროს ისე უცვალოს სახე, რომ არ განვლოს გამოცდილებათა ყველა სიფხერი; სურს წესრიგში მოიყვანოს იგი ისე, რომ თავიდან აიცილოს მისი გაჯნერება.

კალიფსომ ოდისეესს არჩევანი შესთავაზა — ან უკვდავება, ან სამშობლოს მიწა. ოდისეესმა მიწა და სიკვდილი ირჩია. მსგავსი სიდიადე დღეს ჩვენთვის უცნობი რამაა. ვინმემ შეიძლება თავმდაბლობის უკმარისობაც გვიყიდინოს, მაგრამ ეს სიტყვა უწინარეს ორაზროვანია. მსგავსად დოსტოევსკის ტაკიმასხარა და ტარაბა პერსონაჟებისა, რომლებიც ზეცაში ვარსკვლავებს ეკოტინებიან, ხოლო სინამდვილეში საზოგადოებრივი თავშეურის პრიველსაკე ადგილას საკუთარი სიმდაბეე და სიჩუსელი გამოაქვთ საამკარაოზე, ჩვენც ფაგრგით ადამიანური სიამაეე, რომელიც საზღვრების ერთგუ-

---

ალბერ კამიუ
ელენეს გადასასლება

ლებასა და ადამიანური არსებობის პირობების გაცნობიერებულ სიყვარულს გულისხმობს.

„მე ძმაკაცს ჩემი საუკუნე“ — წერდა სიკვდილს წინ სენტ-ეგზიუპერი. ამ სიძულვილის მიზეზი არც თუ ისე შორსაა იმოგან, რომელთა შესახებ ადრე მოგახსენებდით. მაგრამ რაც არ უნდა სულისშემძვრელი იყოს ეს მწარე ამოძახილი კაცისა, რომელსაც უყვარდა ადამიანები, ფოსტებდა მათში სწორედ იმას, რაც მართლაც და დაფასების ღირსია, ჩვენ ამ მტკიცებას მხარს ვერ ავუბამთ. და მაინც, ზოგჯერ ცდუნება გეუფლება ზურგი აქციო ამ სვიდისმოგვრელ და გზასაცდენილ სამყაროს, მაგრამ ეს საუკუნე ჩვენი წილხვედრია და თუ კი ერთმანეთი შევიძულეთ, ცხოვრებასაც ვეღარ შევძლებთ. საუკუნის დაცემის მიზეზი მისსავე სათნოებათა უზომობაში და მანკიერებათა სიდიადეში უნდა ვეძიოთ. ყველა ამქვეყნიურ სიკეთეთა შორის, ჩვენ სწორედ ის უნდა დავიცვათ და შევინარჩუნოთ, რომელიც დროთა სიღრმეში იღებს სათავეს. რა სიკეთეა ეს? პატროკლეს რაშები ბრძოლის ველზე დაცემულ პატრონს დასტირიან. ყოველივე გასრულდა. მაგრამ ჰქონდეს ადგილებს ბრძოლას და, ჰა, გამარჯვებაც ლოსაა, რამეთუ სიკვდილის ხელი მეგობრობას შეეხო. მეგობრობა უპირველესი სათნოებაა.

გაცნობიერებული არცოდნა, ფანატიზმის უარყოფა, სამყაროსა და ადამიანის საზღვრები, ძვირფასი სახე, და ბოლოს სილამაზე — აი, ის წმინდა ადგილი, სადაც ბერძნებს კვლავ უნდა შეეხვედეთ. გარკვეული აზრით, ზვალინდელი ისტორიის სახე სრულიადაც არ იქნება ისეთი, როგორიც წარმოგვიდგენია. იგი შემოქმედებისა და ინკვიზიციის ბრძოლად მოგვეელინება. უიარაღო ხელოვანს ერთობა გაუბერდება და მაინც უნდა ვიქონიოთ იმედი მისი საბოლოო გამარჯვებისა, გვწამდეს, რომ ბნელეთის ფილოსოფია ღრუბელივით გაიფანტება აელვარებული ზღვის თავზე. ო, შუადღის აზრი!

ტროას ომს დასასრული არ უჩანს. და ახლაც, ვინ იცის მერამდენედ, დაინგრევა თანამედროვე ქალაქის საშინელი ზღუდეები, რათა თავისუფლება იზეიმოს „უდრტვინველ ზღვასავით სათნო სულმა“ და ელენეს სილამაზემ.

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, ეროვნულ-საგანმანათლებლო მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, კორექტორი — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 12.5.83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.06.83 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 1272 უე 08231 ტირაჟი 56.700.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 | 125

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ხელშეკრულება №

ქ.თბილისი 15 . დეკემბერი, 20 15 წელი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, მისი პრეზიდენტის რუსუდან ასათიანის სახით, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ (შემდგომში „განმცხადებელი"), კოლექტიური წევრი ----------
--ააიპ-ი-------ზესტაფონის ცენტრალური ბიბლიოთეკა, დირექტორი ლელა ფერაძის სახით----------
---

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია განმცხადებლის ასოციაციაში გაწევრება და თანმხლები მომსახურება.

2. ასოციაციის ვალდებულებები

2.1 ასოციაცია განმცხადებლის მიერ შევსებული და ხელმოწერილი ინდივიდუალური ან კოლექტიური გაწევრების განაცხადის ფორმის მიღებისა და საწევრო გადასახადის გადახდის შემდეგ აწევრებს განმცხადებელს ასოციაციაში მათ შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად.

2.4. განმცხადებლის მხრიდან ხელშეკრულების ვადამდელი გაუქმების ან დარღვევის შემთხვევაში საწევრო გადასახადი დარჩება ასოციაციის საკუთრებაში.

3. საწევრო გადასახადები

3.1 დამკვეთი, როგორც ასოციაციის წევრი, ვალდებულია გადაიხადოს ყოველწლიური საწევრო გადასახადი.

3.2 2014-2015 წლისათვის საწევრო გადასახადი განისაზღვრება --100---------- ლარის ოდენობით.

4. წევრობის გაუქმება

4.1. განმცხადებლის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში, დარჩენილი წევრობის ვადის შესაბამისი გადახდილი საწევრო გადასახადის თანხის განმცხადებლისთვის უკან დაბრუნება არ ხდება.

5. მომსახურების მიწოდების ვადები

5.1. განმცხადებლის წევრობის ვადა იწყება მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწევრებისთვის საჭირო პირობების შესრულებისთანავე.

5.2. განმცხადებლის წევრობა წყდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის შეწყვეტასთან ერთად.

6. ხელშეკრულების ღირებულება

6.1. წლიური საწევრო გადასახადის ღირებულება რეგულირდება ასოციაციის ტარიფებით. ტარიფები ყოველწლიურად ქვეყნდება ასოციაციის ვებ გვერდზე (www.gela.org.ge).

6.2. ასოციაციის მომსახურება განმცხადებელს მიეწოდება უფასოდ ან ფასდაკლებით ასოციაციის მიერ წევრთათვის დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

7.1. წლიური საწევრო გადასახადის გადახდა ხდება გაწევრიანებისას უნაღდო ანგარიშსწორებით საბანკო ანგარიშზე შევსებული განაცხადის წარდგენასთან ერთად და შემდგომ განაცხადის გარეშე.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების პირობებში.

8.2. ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება წინა პერიოდის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე მომდევნო წლის საწევროს გადახდასთან ერთად. წინააღმდეგ შემთხვევაში წევრობის ვადა ჩაითვლება დასრულებულად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მხარეთა იურიდიული მისამართები

9.1 ამ ხელშეკრულებას მხარეები დებენ 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

9.2 ხელშეკრულების ცვლილების ან გაუქმების შესახებ მეორე მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს არანაკლებ 1 თვით ადრე.

ააიპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია	**განმცხადებელი**
თბილისი, 0107, გუდიაშვილის ქუჩა 7	ააიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა
ტელ: 2363413	ზესტაფონი რობაქიძის 5
საიდენტიფიკაციო კოდი: 204417862	ს.კ 230091423
საბანკო რეკვიზიტები:	
თიბისი ბანკის ცენტრალური ფილიალი,	ლიბერთი ბანკი ზესტაფონის ფილიალი
კოდი : TBCBGE22	LBRTGE22
ანგარიშსწორების	
ანგარიში: GE73TB0600000100700861	GE33LB0115155258298000
(ლარი)	
	ბიბლიოთეკის დირექტორი: ლ.ფერაძე
ასოციაციის პრეზიდენტი	ტელ:5 99 403814
რ. ასათიანი	Email: feradze-lela@mail.ru
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)